


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

2 თებერვალი 2007

№3 (29)



სომალდი ტყეში
იაპონური ტრანზიტი
ნადირობა ავტორებზე
სპაგეტი ფელინისაგან
პოლემიკის თორმეტი ხერხი
ბენედეტის ბრწყინვალე შაბათი

შინაარსი

| | | |
|-----------------------------------|-----------|--|
| რედაქტორის გვირგვინი | 2 | ეპიგრაფის სამყარო |
| ქვეყანა-ინტერვიუ | 3 | შუაგულში (საუბარი ზურაბ ლავრელაშვილთან) |
| პროზა | 5 | გრიგოლ კ. რობაქიძე იაპონური ტრანზიტი (მინიატურები) |
| პირველი შთაბეჭდილება | 9 | მაია ჯალიაშვილი ქართული იკებანა |
| ჩვენი ყოფა, წუთისოვანი | 10 | კარელ ჩაპევი ლიტერატურული პოლემიკის თორმეტი ხერხი ანუ საბაზეთო დისკუსიითა სხვაელმძვანელო |
| პოეზია | 13 | თამუნა არდიშვილი ღამის ანბანი ჩემს სხეულზე |
| პოეტის ერთი ლექსი | 16 | დავით ჩიხლაძე ღრმის არარსებობის დღიურები |
| ახსენებები | 18 | ნიკოლაი ბერდიაევი რუსეთის სული |
| | 19 | პიტერ ვიერევი ლირიკის ღირსება ფორმას – ჰომ, ფორმალისმს – არა |
| აინტელუ | 24 | ნინო ტლაშაძე ნადირობა ავტორებზე |
| მომგონებათა სივრცე | 25 | ფრიდონ ხალვაში ერთხელ ნაზიმ ჰიქმეთთან |
| დაბეჭდილი | 27 | ჯემზ კოხენსი ბაუთვალისნიცხალი წერილმანი |
| არი და გედინება | 30 | მანანა გაბაშვილი თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით |
| გამომგონება | 38 | საბა სულხანიშვილი მოსე – ნილოსის ქვეყნის მისტერიები (ერთი ფარული გადაძახილი) |
| რეპორტაჟი | 40 | ეკა ბუჯიაშვილი მზარა წარსულის გურუსიდან |
| ახალგაზრდაობა, ან კი თქვენ | 43 | მანანა ნოდია ქუსლი |
| პირველი შთაბეჭდილება | 47 | მაკა ჯოხაძე განსაცდელი და არჩევანი |
| ქრისტიანობა | 47 | ეთერ ბერიძე „წინამშობრიდან საგურამომდე...“ |
| ლიმონის წუთები | 50 | ლიტერატურული ამბები და კურიოზები |
| პოეზიის მერიდიანები | 51 | ნიკოს ენგონოპულოსი სომალდი ტყეში და სხვა ლექსები |
| უმსოური ნოველა | 57 | მარიო ბენედეტი ბრწყინვალე შაბათი |
| ნაკვეთები | 61 | მანკილსნიტყვობის ნიშნები |
| მოზაიკა | 63 | იალიში ელჩისა |

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 77) 48-12-24
გავრცელება – (995 99) 93-18-52
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაზოში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
საბაჟოთაძე, თბილისი, სარაქიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ნიკოს ენგონოპულოსი, „დიოსკურები“
თამაზ ნატროშვილი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 16 თებერვალს

ეპიგრაფის სამყარო

ლალი ავალიანისაგან არ გვიკვირს დახვეწილი ლიტერატურულ-ესთეტიკური სტატია, ღრმა დაკვირვებანი, ახალი მასალებისა თუ ცნობების შემოტანა სამწერლო მიმოქცევაში, მაგრამ მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა ის ორიგინალური გზა, რითაც იგი წარმოსახავს რევაზ ინანიშვილის მართლაც ბრძნულ გულუბრყვილობას („ჩვენი მწერლობა“, 2006, №26).

ეს რა გზაა და:

ანალიტიკური გააზრება ეპიგრაფებისადმი მწერლის ლტოლვისა – იმპულსურისა, სპონტანურისა და გაცნობიერებულისა ცერთსა და იმავე დროს; და, თუ გნებავთ, ინტერტექსტუალიზაციისაკენ სწრაფვისა.

კრიტიკოსი საგანგებოდ იმონმებს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ზედმიწევნითი სიზუსტით გამოთვლილ პირველ ეპიგრაფთა თარიღს: XV საუკუნე – ფრანგი ფრუასარისა და იტალიელი რეჯიმონტანოს თხზულებანი. შემდგომ იმ ზოგიერთს იმ განთქმულ სახელთაგან XVIII-XIX საუკუნეებში, რომელთა ლიტერატურული მემკვიდრეობაც განსაკუთრებით გამოირჩევა ეპიგრაფთა სიუჟეტით, იქნება ეს ჟან-ჟაკ რუსო თუ გოეთე, სტენდალი თუ ვიქტორ ჰიუგო, უოლტერ სკოტი თუ ფრიდრიხ შილერი, ანატოლ ფრანსი თუ ნიკოლაი გოგოლი... უფრო აქეთ და აქეთაც...

და იქვე თითქოს სასხვათაშორისოდ ჩადებულ ფრაზა:

„ამ თვალსაზრისით არც ქართული მწერლობაა უინტერესო, – ილია ჭავჭავაძიდან დღემდე“.

ფრაზა, რომელმაც შესაძლოა მონოგრაფიის შინაარსიც განსაზღვროს, თუკი რომელიმე მკვლევარი ხელს მუყათად მოჰკიდებს ამ თემას, თორემ ცალკეულ სტატიებსაც ძალიან რომ წაადგება, ეს უკვე თვალნათლივია მას შემდეგ, რაც ლალი ავალიანის ამ ლიტერატურულ ნარკვევს გავეცნობით.

ხომ თითქოს ისეთი არაფერი, ცალკე სამსჯელოდ რომ ღირდეს, არადა, ჯერ მარტო ეპიგრაფების შერჩევის თავისებურებათა წარმოჩენით მრავალმხრივ საგულისხმო გარემო, მეტიც – სამყარო გადაიშლება მკითხველის თვალწინ, თუ ისე მიმზიდველად წარმართავ მსჯელობას, როგორც ამ სტატიაშია.

ერთად თავმოყრილი ეპიგრაფები ისეთ შთამბეჭდავს სურათად შეიძლება გამოიკვეთოს, დამოუკიდებელი ღირებულებაც ჰქონდეს.

გახსოვთ მკვლევარისაგანაც მოხსენიებული უოლტერ სკოტი და მისი რომანი „რობ როი“?

მესამე თავი განა ამ სტრიქონებით არ იწყება?

„მე განგებ შევამკე რითმიანი და თეთრი ლექსებით ამ ნიგნის თავები იმ იმედით, რომ ჩემზე ნიჭიერი მთხვე-

ლები გაიძულებენ შეუნელებელი ყურადღებით წაგეკითხა ეს მოსაწყენი ამბები“.

ცხადია, ეს ლიტერატურული ხერხია – თითქოს მწერალი კი არ გვიამბობს ამ მეტად დრამატულ და ჩახლართულ სიუჟეტს, არამედ, მთავარი გმირი ფრენსის ოსბალდისტონი ამ მეშუარულ ჩანანერებს უტოვებს მეგობარს და თავს იმართლებს, რაკილა თხრობა არ შემარჯვება, იქნებ ეპიგრაფებმა მოგხიბლოს და შეგიყოლიოსო. უოლტერ სკოტს მშვენივრად მოეხსენება თავისი თხრობის დიდებული ხელოვნება, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეპიგრაფების შერჩევას და, ამასთან, სწორედ დამოუკიდებელ ღირებულებასაც.

რაკილა ასერიგად დაინტერესებულიყო მარჯვედ ამოკრებილი ციტატებით, განსაკუთრებითაც დააფასებდა და აგერ დითირამბივითაც უძღვნიდა ლაკონურ, ტევად ფრაზას.

ეპიგრაფის უმთავრესი დანიშნულებაა თხზულების სულისკვეთების უკეთ ამოცნობა, მთავარი აზრობრივი შინაარსის გამოკვეთა, შესაფერისი განწყობილების შექმნა, მაგრამ სულ უფრო და უფრო გამრავალფეროვნდებოდა მისი მიზანი და გახდებოდა ეპიგრაფად წამძღვარებული ფრაგმენტი ირონიულიც და პაროდულიც, თვით ტექსტის ანტითეზაც კი... მისტიფიკაციისთვისაც არაერთხელ მიუმართავთ მწერლებს და მათ მიერვე შეთხზული ეპიგრაფები სხვებისათვის მიუწერიათ... გამოუყენებიათ პოლიტიკური ქვეტექსტების გასამკვეთრებლადაც,

ეპიგრაფებად მოხმობილ ციტატებში იმ შინაარსის აქცენტირებისთვისაც, რასაც ძალდაუტანებლად მიხვდებოდა ნამდვილი მკითხველი, ეპიგრაფსა და თხზულების სულისკვეთებას ერთმანეთს რომ მიუსადაგებდა.

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ის თხზულებანი, რაც დაუბრკოლებლივ და შეუკვეცელად ქვეყნდებოდა ცალკე ნიგნებში, ციტატის გადმოწერისას სულ სხვა შინაარსით იტვირთებოდნენ და ცენზურა დაუნანებლად მოჰკვეთდა ხოლმე მათ ეპიგრაფად გამზადებული ადგილიდან. ასე ამოიშლებოდა გალაკტიონ ტაბიძის ქრესტომათიული სტრიქონები ოთარ ჩხეიძის რომანის („აღმართ-დაღმართი“) ეპიგრაფიდან ჟურნალში გამოქვეყნებისას... არც მონტესკიეს სტრიქონთა ეპიგრაფად მოხმობას დაანებებდნენ მწერალს („ვენეციური ჭალი“)... თუმც ამ ყოველივეს მკვლევარები მიხედავენ.

ეს კიდევ ცალკე თემაა, დეტექტიური ელემენტებითაც შეზავებული – ეპიგრაფი სასტიკ ცენზურულ პირობებში, როდესაც რედაქტორები თვით ცენზორებსაც (ჩვენში მოფერებითი სახელწოდებით: მთავლიტი) აჭარბებენ.



რევაზ ინანიშვილის ნახატებიდან

რედაქტორის გვირგი

სხვათა შორის, თავისებური პოლიტიკური ქვეტექსტი აღმოჩნდება რევაზ ინანიშვილის იმ ეპიგრაფს, რომელიც ლალი ავალიანის სტატიაშიცაა განმეორებული, როგორც მარჯვე მისადაგება რობერტ ბერნსის ლექსის, „პატიოსანი სილარიბე“, სტრიქონებისა „დიდი ბავშვების“ – ფიროსმანისა და ლადო ასათიანის – ბედისწერაზე დაფიქრებისას:

**მდიდარს ოქრო აქვს – ჩვენ კი
თვითონ ვართ ოქროს ბიჭები...**

პოლიტიკური ქვეტექსტი აქ რა შუაშია?
რა და:

სტრიქონები მოხმობილია გიორგი ძიგვაშვილისეული თარგმანიდან, 1942 წლის შეთქმულების მონაწილისა, დახვრეტის განაჩენს რომ გამოუტანდნენ და მისი სახელიც ამოიშლებოდა, აღარსად უნდა გაჭაჭანებულიყო

არც მისი ვინაობა და არც მისი პოეტური ქმნილებანი თუ თარგმანები. ჩაკარგულიყო ადრინდელი პერიოდიკის – „მნათობისა“ თუ „ჩვენი თაობის“ – ფურცლებზე და იქ იპოვიდა რევაზ ინანიშვილი და კიდევ შემოაცურებდა ლიტერატურულ მიმოქცევაში. ასე შეეხმიანებოდა ტრაგიკულად აღსრულებულ ჭაბუკს და მას თუ ვერა, მის ლანდს მაინც გააეღვებდა მკრთალად ნოველაშიც და მთელ ნიგნშიც.

„ეპიგრაფებით რეზო ინანიშვილის თხზულებათა მხოლოდ მცირე ნაწილია აღჭურვილი, მაგრამ მათი სახელდახელო მიმოხილვაც ცხადჰყოფს, რომ ავტორის მსოფლალქმა ერთიანია და გაუბზარავი“ – ამ დასკვნით მოთავდება ეს ორიგინალური ძიება, მარჯვედ რომ წარმოსახავს მწერლის სილუეტს, მაგრამ მე მაინც იმ ვითომდა სასხვათაშორისოდ ჩაგდებულ ფრაზაზე ვფიქრობ: ამ თვალსაზრისით არც ქართული მწერლობაა უინტერესო...

ექსპრეს-ინტერვიუ

შუაგულში

*

**საუბარი
ზურაბ ლავრელაშვილთან**

– **ზურაბ, ორიგინალური რახან ვერაფერი მომაფიქრდა, პირველი კითხვა იყოს ბანალური, ისევ შენი პასუხის იმედად. როდის დაბეჭდვ შენი პირველი ნაწარმოები და როგორ დაგამახსოვრდა?**

– პირველი მოთხრობა 1985 წელს გამოქვეყნდა. თავდაპირველად, რედაქციის კარი რომ შევადე, პირველკურსელი გახლდით. უნივერსიტეტი დავამთავრე და კიდევ დაიბეჭდა.

– **რატომ გაგიხანგრძლივეს მოლოდინი სრული „ხუთნლედი“?**

– იცი რა? არ გავამხელ რედაქტორს, დაეზოგავ. მითუმეტეს კეთილად იყო განწყობილი. დროც სხვანაირი იდგა. ნაცნობ-მეგობრობა ჭრიდა და ეიოლებოდათ, ვილაცა შეეჩერებინათ, ვილაცა დაენინაურებინათ. თუმცა ჟურნალში დაბეჭდვის მერე დატრიალდა უცნაური ამბები.

იმ წლებში ახალგაზრდა მწერლების გამოქვეყნებული ნიმუშების განხილვები ეწყობოდა. ერთ-ერთ თავყრილობაზე ნოდარ წულეისკირმა შემაქო. მერე ეს მიმოხილვა-ანგარიში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოშიც“ დაიბეჭდა. ცნობილმა მწერალმა სრულიად უცნობ ავტორს კეთილი და შემაგულიანებელი სიტყვა შემაწია. ესეც არ მაკმარა, თავისთან დამიბარა, პროზის სექციას ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირში, და დამპირდა პირველი ნიგნის გამოცემას. ეს ისეთი სტიმული აღმოჩნდა... სულ ყოველთვის მინდოდა ამ ადამიანისათვის მადლობა გადაემხადა.

მერე ეს პირველი ნიგნი თითქმის 10 წელი იდო გამომცემლობა „მერანში“. ამასობაში ომი და უბედურება ატყდა თბილისში, შუაგულ რუსთაველზე, რალა მენიგნებო-

და... ვილას მივაკითხავდი. სასწაულია, ხელნაწერი რომ გადარჩა. ... მირეკავს ერთ დღეს გივი ალხაზიშვილი, შენი ნიგნი გამოდისო. პირადად იმასაც არ ვიცნობდი.

– **ეტყობა, მტკიცე ნებისყოფა გაქვს და არც მთლად გაუწირავი იღბალი მწერლობაში.**


– შეიძლება, მაგრამ მაინც სასწაული მგონია. რამდენიმე პიესაც მქონდა იმ წლებში დანერილი. გახსოვს ალბათ, ბიჭვინთაში დრამატურგთა სემინარები რომ იმართებოდა. ცხონებულმა ვაჟა ბრეგვაძემ შემეიქო ერთ-ერთი პიესა და შესთავაზა ცხინვალის თეატრს. საპრემიეროდაც მოამზადეს. წინა საღამოს დაურეკავთ და დედაჩემისათვის დაუბარებიათ, ხვალ პრემიერა გაიმართებო. იმ „ხვალ დილით“ ომი დაიწყო შიდა ქართლში.

მერე იყო და, პიესა რუსთავის თეატრს გადასცეს. იქაური რეჟისორი ბათუმში გაამწესეს სამუშაოდ. თან წაიღო, იქ დავდგამო, მაგრამ ვეღარ მოასწრო, გარდაიცვალა. ქ-ნ ნანა ხატისკაცსაც უნდა განეხორციელებინა ახალციხეში. ეს რეჟისორიც თეატრიდან გაუშვეს...

– **და მიატოვე პიესების წერა?**

– არა. არ მიმიტოვებია, მაგრამ მათ გამომზეურებაზე, ცოტა არ იყოს, ვფრთხილობ და აი, რატომ. მხატვარი მყავს მეგობარი, ამერიკაშია ახლა გადახვეწილი. აქ კარგა ხანს უმუშევრად იყო. ერთი ხანობა პოლიტიუროს წევრების ხატვა დაიწყო. შეუკვეთეს ბრეჟნევი – მოკვდა. კიდევ შეუკვეთეს ვილაცები – დაიხოცნენ. ვილა მისცემდა საქმეს... ადგა და წავიდა. მისტიკაა ალბათ (თვითორი-ასათვი გამომხატავს).

– **ზურა, შენს ნაწერებს პოსტმოდერნიზმს მიაკუთვნებენ.**



- არ არის მთლად ეგრე. ერთ ლიტერატურათმცოდნესთან ვიუარე, არა ვარ პოსტმოდერნისტი-მეთქი და წყალობასავით შემომამგება: შენ ეგ ცუდი რამე ხომ არ გგონიაო. კი არ ვინუნებ, მაგრამ, თუ ამომიჩემებ ზანგი ხარო, შეიძლება ზანგი ძალიანაც კარგია, მაგრამ არ ვარ, ბატონო, მე ზანგი.

პოსტმოდერნიზმი რალაც დიდ ქვაბს დაამსგავსეს, ყველაფერი რომ შეიძლება შიგ ჩაყარო. ერთი ჩამოყალიბებული განსაზღვრება არ მოიპოვება. კაციშვილმა არ იცის, რაა ეს პოსტმოდერნიზმი. მოდერნიზმი რა არის, ეს ვერ დაუდგენიათ. ჟანრი კი არ არის განსაზღვრული, დაფიქსირებულია პერიოდი. არადა, დრო არ განსაზღვრავს ჟანრს, ის უნდა განისაზღვროს ხელოვანის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე. მე თუ მკითხავთ, უფრო სიმბოლიზმს ვენათესავები. მოდერნიზმის ხელოვნება გულზე სულაც არ მენატება.

- ვიდრე წერას შეუდგები, მოფიქრებული გაქვს თუ მერე და მერე გამოიკვეთება სათქმელი. ანუ შენი პერსონაჟები დამყოლები არიან თუ მოძალადენი, სპონტანურად რომ გიბიძგებენ მიმართულებას?

- არსებობს ერთი მცდარი შეხედულება შემოქმედებაზე და განსაკუთრებით მწერლობაზე. თითქოს მუზა სპონტანურად გენვევა. არავის ახსოვს ის ფაქტი, რომ მწერალი მოფიქრებული სქემებით მუშაობდეს. რახან პოეტური ტრადიციების ქვეყანაში ვართ, თითქოს უცბად გაგინათდება გონება და შედეგრიც მზადაა.

- შეიძლება ასეც იყოს, რადგან ფაქტებიც მრავალადაა.

- რა თქმა უნდა, მაგრამ დიდი მწერლები მაინც საკუთარი მსოფლმხედველობით ქმნიდნენ. ხერხემალივით უნდა იყოს ავტორის კონცეფცია ნაწარმოებში. ხორცი ამას უნდა შეესხას, თუნდაც სხვანაირად გეტყვი, ფრთები ამ ხერხემალს უნდა გამოესხას.

როგორც წესი, კრიტიკა ასეთ რამეს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ჩანაფიქრის ამოცნობაზე თავს დიდად არ ინუხებს. თითქოს „პროკრუსტეს სარეცელი“ აქვს გამზადებული და თუ არ ჩაეტევი, მისთვის მიუღებელი ხარ.

მწერალი იმის მიხედვით უნდა ფასდებოდეს, რა ჩაიფიქრა და როგორ გაართვა თავი ამ ჩანაფიქრს.

- ბარემ აქვე მიპასუხე, რანაირი მულამია მწერლობა?

- მწერლობასა და შემოქმედებას მეცნიერების საპირისპიროდ განიხილავენ. ესეც ცდომილებაა. ფლობერი ამბობდა: პოეზია ისეთივე ზუსტია, როგორც გეომეტრიაო. მეცნიერება არის ჭეშმარიტების ძიება, თუ მწერლობა ამის სანინააღმდეგოა, ვის რად უნდა ასეთი მწერლობა.

ნებისმიერმა საქმიანობამ ჩვენს ჭეშმარიტებას თუ დაგვაცილა, ის მაგნე ყოფილა.

მე მგონია, ცდომილებასთან გვაქვს საქმე, გრძნობასა და გონებას შორის დაპირისპირებას რომ ხედავენ. რატომღაც ამტკიცებენ, თუ გონების პრიმატით ცხოვრობ, უგრძნობელი ხარ. არადა პირიქითაა. გონიერი ადამიანი უფრო მგრძნობიარეა, რადგან რეცეპტორები ტვინშია და არა გულში.

- სიყვარული როგორღაა, გულით უნდა ჰპოვო თუ გონებით? ამას იმიტომ გეკითხები, შენს პროზაში ქალისა და კაცის თავგანწირული სიყვარული არ იკითხება. თითქოს ვნებების ხატვას თავს არიდებ.

- მე ასე მგონია, სიყვარულით ბედნიერება კი არ უნდა ეძებო, ბედნიერი უნდა იყო, რომ შეიყვარო. ბედნიერებას კი გაპოვინებს სწორი ცხოვრება, სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობა. თუ სამყაროს რეალურად არ დაინახავ, ამ ჰარმონიას როგორ განსაზღვრავ?

- ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისში, ვის გინდოდა რომ დამსგავსებოდი?

- სამწუხაროდ, ქართველი მწერლები არ იყვნენ ისინი. არჩევანი მაინც განსაზღვრა დამონაფების ნდობამ. მიხედოდა მესწავლა მოკლედ თქმა, ზუსტად და გასაგებად წერა. რუსთაველს მაშინ ვერ გავიგებდი... იქ მეტ ოსტატობას ვხედავდი ფლობერთან, ჩეხოვთან...

- სიმართლე ითქვას და არც ჩვენი ჰაგიოგრაფიული ძეგლებით გატაცებასა და სიყვარულს უნდა ისაკლისებდე. რელიგია ჩნდება შენს ნებისმიერ ნაწარმოებში, თუმცა მერე და მერე თხრობისას ქრება, მაგრამ ეს სხვა საკითხავია...

- რახან დასაწყისისა მკითხე, ასე იმიტომ გიპასუხე.

- სულ ახლახან მოგენიჭა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ყოველწლიური პრემია პროზის ჟანრში. საერთოდ, როგორი განცდაა დაჯილდოება?

- გულწრფელად გეტყვი, ესოდენ საეჭვოდ მომრავლებულ საეჭვო პრემიების ფონზე განსაკუთრებულია. იმიტომ, რომ იმათ მალიარეს, ვისაც კარგად ესმის ლიტერატურა და შეუძლიათ ობიექტურები იყვნენ. ასე რომ, აქ მატერიალურ მხარდაჭერაზე უფრო, ჩემთვის გარემოა სასიამოვნო, ატმოსფეროა სტიმულის მომნიჭებელი. ბოლოსდაბოლოს პრემიისათვის ხომ არ ირჯები.

- ბოლო კითხვა ტრადიციულად: ახლა რაზე მუშაობ?

- და აი, რომანიც დავასრულე. რუსებს რომ უყვართ თქმა, უფრო „პოვესტია“. აქეთ წამოვედი. მოვწყდი არქაულ ეპოქას. გასული საუკუნის დასაწყისის ამბებია. წინასწარ არაფერს ვიტყვი, გამოჩნდება.

პარასკევს, 2 თებერვალს
ეროვნული ბიბლიოთეკის
საკონფერენციო დარბაზში
ალექსანდრე დიუმას ფრანგული
კულტურის ცენტრი
და
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
გინვევთ
კონფერენცია-კონცერტზე

**„ქართული პოლიფონია და
თანამედროვე ქმნილება“**

დასაწყისი 19 საათზე
გუდიაშვილის №7

ესაუბრა
ნინო დეკანოიძე

გრიგოლ კ. რობაქიძე

იაკონუსრი ტრანზიტი

*

მინიატურები

ცივილიზაციის პარაკირი (ორიგამი)

მოჭრილი ხე.
მრავალგვარია სევდა. მრავალფეროვანია...
ზოგჯერ საჭიროცაა და, უცნაურია, მაგრამ ზოგჯერ
სასურველიც კი.
ხის ცრემლები.

მთელი კაცობრიობის სევდა, თავისი წარსულით, ან-
მყოთი და მომავლითაც უტოლდება ხოლმე ერთი ადა-
მიანის სევდას, ან სევდას ერთ ადამიანზე... ხანდახან
ხეზე.

ვაჟას ნიფელი.. არამოჭრილი, სევდით გამხმარი...

და ხაზარულა დუმბაძის, ჩვენი... ბაბუასავით მშობ-
ლიური – მოგონებად ქცეული სიტყბო.

ვინმე დიდ-კაცის – მართლა დიდის, არა-კაცუნის, –
გარდასახვა – გარდაცვალებას პოეტები, თვითონ დიდნი,
ხომ ადარებენ მუხის დავარდნას – შემზარავსა და ვარ-
დნაშიც რა ძლიერად ძალმოსილს.

მერე მტირალი საკურა?! –

– ვინმე მთვრალი ტრაქტორისტის გაურანდავ-უდიე-
რი შემთხვევითობით წამოქცეული ახალგაზრდა, ვარ-
დისფერ-თეთრად მოელვარე ალუბალი...

მარიტა – გოგლას ბრონეული, მერამდენედ ფენიქსი-
ვით ხელახლა აბრიალებული და ისევ კიარმოჭრილი –
ჩაკლულ-გათელილი, პატივანდილ – მიფურთხებული,
ულირსებო ღირსებისვერმყიდველთაგან ღირსებანარ-
თმეული...

აქ კი:

– თითქოს იესო ხარ, სატანას მიერ აქ ამოყვანილი, წინ
მთების მწვანე ჩუქურთმა გეფინება; ქვევით ჩადაბლობე-
ბულია, ზევიდან კი ნისლი განვეს ნაძვნარში გატრუ-
ნულს, ხშირ ბუჩქნარში ჩიტები ინაბებიან, როდესაც მათ-
გან საუკეთესო თავის ჯადოსნურ სტვენას გააბამს; აქვე
არის წყნარი წყარო, ეს საჩუქარი, ნაჩუქარი ქართულის,
ენის – ნიჭიერის, ძლიერის და მაღლიანის, რადგან, რომ
შეგიძლია უთხრა – წყნარი ხარ! – და უთხრა წყაროს, –
რამდენ მარადიულობას უდრის ეს თქმა სამოთხეში?!...
და ნისლის კიდევე ზევით აზიდულა დალოცვილი, უსას-
რულო ლაყვარდი ზეცის – ძლივსლა მოჩანს ამ სილურჯე-
სა და ნისლის ქვემო სითეთრეს შორის არსებათ შორის
უამაყესი – არწივი... აიაროებს.

გრილა და მზე კი,
როცა გეხება ოქროსფე-
რი სხივით-საცეცით,
ღიმილით გეფერება, არ
გნვავს, არ გშანთავს.
ოცდები.

თავი ხომ ყველას
გვგონია ცოტათი მეტი,
ვიდრე არის ჩვეულებ-
რიობა (აღიარება კარ-
გია უკვე – უბრალოვ-
დები!) და ამ სიამაყით
მომამაყე პააა- ნა გონე-
ბით – გინდ ავტობუსე-
ბის მღებავები ვიყოთ,
გინდ ქუჩაში აფიშების გამკვრელები, გინდ „პიარშიკები“
(!) – მაინც ძალიან ძლიერ გვინდა, ვიფიქროთ – გვეცმის
მაცხოვრის ძალა!

აი, ამ ფიქრს, ნალოლიავენს შეწუხებული გულის მრ-
ვალთაგან ერთ, პატივმოყვარე კუთხეში, შორისკენ ის-
ვრის ეს გაოცება – ჰო, მაგრამ როგორ?!...

როგორ და, კარგო, ის ღმერთი იყო უკვე მაშინ და მისი
გახლდა აეს სუყველა და კიდევე მეტიც, ჩემო პანიავ, იმდე-
ნად მეტი, რომ არ მინდა, ფიქრ-შედარებით ჩვენი სიმცი-
რე-სრულყოფილების სულ სხვა რამესთან შენც შეგაცბუ-
ნო და შეეცბუნდე მეც თუნდაც სულ მცირედ!

ან კიდევე, ტკბილო, სადაა სატანას მოსატყუებელი
ღმერთი?!

... და მონებივრეს, აქ მოვლენილს დიდის ნიჭიერებით,
სამარადისოდ ნაწილად ქცეულს სრულყოფილების, გაქვს
ძალა, იყო ვინმე მნიშვნელოვანი ღვთიურ გეგმაში!

– იადამიანე! – ასე ლაპარაკობს და ასეთია უძოს მთა,
მდიდარი ხეთა მადლმყოფელი ჩრდილოვანებით.

მოგინდება მუხლზე დამხოზა ადამიანს ღვთის სადი-
დებლად; ემზობი კიდეც ერთი ციდა საყდრის პარმალთან,
მაგრამ... უკან ბრუნდები მერე ისევ, თბილისისაკენ და ეს
დაბრუნება იგივეა, რაც ღვთის დიდება ალექსებული კა-
ცის სულში, ვინაიდან ქრისტიანს გმართებს უამრავი რამ
და უმთავრესი მათგან ერთი შეგუება – მოთმინებაა.

აქ – გუგუნია, მანქანები, ტელეფონები, უშნო ფუსფუ-
სი და ულაზათო ტკარცალი, უტვირო სახეები და უსახური
ტვინები; აქ სხვაა სევდაა – ძველ თბილისზე, სიტყვით იმ-
დენად ძნელად აღსაწერზე, რომ, ეეე, აღარ მინდა რა, ლო-
თიანად!

მეზობლის გოგო ქალაღდისგან წეროებს აკეთებს. ექ-
ვისი წლისაა თუ შვიდის, მაგრამ კარგად გამოსდის – ორი-
გამი.

მზე – ამომავალი.

ჩვენს გამონაბოლქვიან, თანამგზავრებიდან კონტრო-
ლირებად, გაყინულურთიერთობებიან გაფუჭებულ დრო-
ში მზის მარადიულობა წამის წინათ რწმენით აღსაყვს
უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე გიდგება თვალწინ მისნური,
წამომართული კობრის დარი კითხვის ნიშნის ქვეშ... ?

დედა-მინაზე რალა ვიფიქრ – ვიტკვილოთ? ნავთობ –
დაშრეტილ, სისხლამომშრალ და, მკებნარი პარაზიტები-
ვით, ადამიანებმომრავლებულ ამ ჩვენს მასპინძელს კოს-



მიური მოგზაურობის ისე ვჭრით ხეებს, როგორც ციმბირელი ან თუნდაც სველიელი დალაქი აპრილებს სამართებლით „სკინჰედის“ ქალას.

ქალაღი გვჭირდება... ბევრი რამისათვის, მაგრამ მთავარი – ფულია, ფული!

ცივილიზაციას ყელზე ოქროს მძიმე, ან მძიმე ოქროს ჯაჭვი შეუბამს, სქელი სიგარა აუფულილებია და მოქანავე რესორებზე მოქანავე თეთრ ლიმუზინში ზანგურად მიხლართული რეპავს და რეპავს...

ამ რეპის „ტექსტსაც“ სულ თავიდან, ალბათ, ქალაღზე წერენ... თუ წერენ ისიც.

„ჰიმნი სუფთა ფურცლის“ – უარის თქმაა წერაზე, არ მახსოვს, რემბოსი თუ მალარმესი ... სულ სხვა აზრით და მიზნით, მაგრამ – ხეები?

ორიგამი.

ყოფა ყოველთვის ბრუნდება ჩვენთან და ხშირად თავხედური, უდიერი ჯახუნით კარის, – მიზანსცენაა ეს ერთგვარი, ავტორისეული, მაგრამ – აი, ასე მოულოდნელად დაგიბრუნებს იგი თავის წიაღში:

– ვთქვათ და მოგშივდა! სიგარეტიც გაგიტავდა (ისევე ქალაღი!), ან კიდევ ბენზინი დაგჭირდა სამოდროდ – რობოტი არ ხარ?!

ხელს ჯიბისკენ წააცურებ, იქ კი უცვლელად შრიალტკაცუნებს დამცინავად ხვლიკისფერი \$.

ეს ის \$ ხომ არ არის, ამ 2006 წლის წინათ იესოს რომ რაღაცეებს სთავაზობდა?!

მიფრინავენ წეროები.

ყოვლის მშობელი მიწით ნაზარდი ხეები კი სევდიანად ილიმებან.

უკვე ძალიან ბევრია სევდა; მაგრამ ცხოვრებად ნოდებულ უსანყისო და უსასრულო მშვენიერებას სანაღვლო და დასანანი არაფერი აქვს – უკვდავია და ამალორძინებელი საკუთარი თავის, როგორც ფენიქსი – ვაჟას ხმელი წიფელი.

ეს სევდა სხვაა, შენ გეკუთვნის, შენზეა, შენს მოკვდავობაზე, მოგუგუნე, მხრჩილავო, უმიზნო და უსინმინდუო ეპოქავე \$-ის, შენზე, ასე მდიდარი და ლამაზი ისტორიის ლარიბო და მახინჯო შვილო, მაგრამ მაინც დასანანო ცივილიზაციავე!

– ბანზაი! უფრო გაზარდე უაზრო როკვის გიჟური ტემპი! წინ ჰარაკირისკენ!

მაია და მირიანი (მაკატა)

იანვარი 2005 წლის. თოვლი თბილისში.

ცივა. რა გაათობდა ამხელა სახლს?

ამიტომ ყველაფერმა აქ მოიყარა თავი, ამ ორ პატარა ოთახში; ერთში – გასაშლელი თურქული ტახტი, წიგნები, ჩანაწერებიანი რვეულები, ატლასები, ნახატები და ლითონის ჯარისკაცების კოლექცია... მეორეში კი ყოფა: კაცობრიობის ნევროზის დამცინავი პანაცეა – მაცივარი, ამავე ნევროზის მიზეზ-პროვოკატორი-საინფორმაციო ყუთი – თV, ერთობ უშნო, მაგრამ აუცილებელი გამათბობელი და სავარძლები – წყნარი მასპინძლები მოთვალაყურე-

რე-მოფიქრალი უძრაობის და კონიაკის.

დანარჩენ ოთახებს კიდევ ერთი გაზაფხულის ასაკუროვებამდე სიცივე სტუმრობს.

პირველ ოთახში ფანჯარაა მოგუგუნე ქალაქის ყურისწამლები ცენტრისაკენ, „ვაუთი“ მომეტყველე ანგლომანები

„სიტის“ რომ ეძახიან; „ყოფითი ოთახის“ საჰაერო სარკმელი კი ვილაცას 150 წლის წინათ ჩაუგისოსებია, 125 წლის შემდეგ კი არქიტექტორისდიპლომიან ვინმე ვაი-კალატოზს ისე დაუჩრდილ-დაუბურავს ფრიად არაესთეტიური ვითომ-ნაგებობით, რომ ვერც წელიწადის და ვერც დღელამის დროს ვერ გაარკვევს აქ მყოფი კაცი.

ფხაჭუნი მესმის. სარკმელს ვაღებ. ჭრელია, მწვანე-თვალეებიანი, ნაზად მოალერსე და ცოტაც თავხედი.

– ბატის პაშტეტი გინდა?

– მიაუ!

... გაზაფხული მაიამ – ასე დავარქვი – ორი კნუტის მოყვანით მომილოცა, თანაც „ქალ-ვაჟის“... „ვაჟი“, სულ ცოდილო და გამოსახული მირიანია, ჩემი გურული ბების მრავალრიცხოვან და-ძმათაგან ერთ-ერთი, მასეტრო ფელინის, თავისი გროტესკული ხედვით, გურულ ფირალებზე ფილმის დადგმა რომ გადაენყვიტა, უსათუოდ იპოვიდა იმ, კაც-მირიანს... ამას კიდევ ქცევაც ზუსტად ისეთი აქვს და გამოხედვაც-დამეთხუე, ყაზახო, ვერ ყურობ, რას ვჩივი? მომიჭარი, თუ კაცი ხარ, ი კალბასი! – ზუსტად ასეთია, თუ ვაჭარბებდე, პორტ-არტურის შპიონი ვიყო!

მოფერება? – აი, ძალიან თუ „იშუსტრე“, გაგიმართლა და დაიჭირე, ბრჭყალების გამოუშვებლად, ნაზად, მაგრამ კატეგორიულად მოგიშორებს (ბატის პაშტეტის და მისთანების წყალობით ძალა აქვს? – მტრისას!) და სარკმელთან ახლოს ჩაცუცქდება გასაქცევად გამზადებული.

ველურია მირიანი, მაგრამ ფირალის მწვანე თვალეები მაინც ბევრის გაგებასა და დანარჩენის მიხვედრაზე მრავლადმეტყველებენ.

ალუბლის ტოტების დროც მიილია და – შემოდგომა იმავე წლის.

სავარძელი გვმასპინძლობს მშვიდ უძრაობას, მაიას, მე და ცოტა კონიაკს. გრილა, თუმცა რამდენიმე დღეა, არ მოუწვიმია.

ყავის მოსადულებლად წამომდგარი, ვხედავ – სარკმლის მიღმა, კარნიზზე მირიანი წევს, მირიანი – აბდალა, ამ ექვსი თუ შვიდი თვის მანძილზე კაი გაყაზილარებული. იქნებ მომაფერებინოს, ხელს ვინვდი და – სასნაული, თუ გინდა! – არ მირბის...

ვეფერები; წვიმა, უკეთ უწვიმობა ვახსენე



– საოცარია, სველია ეს შტერი...

მაია მონყვევით ხტება სარკმლიდან და პირველ სართულს მიშენებულ-მიფანჩატურებული ხუხულის სახურავზე უცნაური გამონყევით წინ უდგება დიდრონ, ნაცრისფერ, აშკარად მამალ კატას.

ვინ იცის, სადარნამყოფი, იქნებ, გლდან-თემქა-მუხიან მოვლილი, ნაჩხუბარ-ნათავგადასავლარი, ნაიარვეებიანი, მაგრამ თავის „ჭიკინაზე“ მაინც კატურად მზრუნველი, ანუ დაბანილ-ალოკილი აქ, სოლოლაკში დაბრუნდა, თავისი ძველი ტურფაც გაიხსენა, მოაკითხა და შვილიც კი იცნო!

უსაშველო სინაზით იყო გალოკილი მირიანი, კარნიზზე განოლილი, გაკვირვებული ატრიალებდა ჭკვიან თავს ხან ჩემკენ და ხან სახურავისაკენ, სადაც მაია მამა-კატას, მაკატას ეხახუნებოდა.

სამურაებით მოვაჭრა (ჰანაკა)

– ჰა, რობერტ, დღეს როგორ ხასიათზე ხარ, რამდენად ყიდი?

ყოველი შემთხვევისათვის მაინც ვეკითხები, თორემ კარგად ვიცი, რა ხასიათზეც არ უნდა იყოს, კაპიკ-პენს-თეთრადრაჰმასაც არ დააკლებს ოხერი; იცის ამ შაბათ-კვირას თუ არა, შემდეგ უქმეებზე მაინც ჩამოვალ და ვიყიდი...

უნიკალური მოვლენაა ვაჭრული „კოდექსი“, თავისებური, უბრალო და სასაცილო პარადოქსია: ისინი მყიდველს პატივისცემით ექცევიან ყველა შემთხვევაში – თუკი მოტი ხარ, ერთგვარ, ძლივს შესამჩნევ დაცინვას იღებ, ოღონდ მლიქვნელური მაღლიერებით შენიღბულს; ფულის „ყადრი“ იცი და – ოდნავ ამრეზილ – აგდებული ტონის მიღმა „კოლეგიალური გაგება“ კრთის – ფულისადმი სიყვარული ამ ხალხში „ნამდვილ“, ვაჭრულ პატივისცემას იწვევს.

ხომ სულ პოლუსურად სხვა და სხვა არის სიყვარული (ლიტერატურის იყოს!) და ფული, – თუმცა ესეც ვისთვის როგორ, – მაგრამ აეს რობერტა, რაღაც საშუალო მევახშეს და ანტიკვარს შორის, ეს, ერთი ნახვით, უსინდისოდ გამყვლეფი ნურბელა და ფურდალაკი, ეს სისხლისმხვრეები – ჯიგრულად ვთქვათ და – მამენტ, ჩრდილში ჩარლზ დიკენსით დატკობის შემდეგ ისიკავა ტაკუბოკუს უღრმავდება! იანუსია ეს უპატრონო, ერთი სახით ფულს გცინცლავს, მეორით კიდევ შეკითხვაზე:

– ჩინურია?

ჩიტუნელოსებრ უსინდისოდ გიპასუხებს:

– არა, იაპონური... აი, შეხედე, რა ლამაზია!

– ვა, დოჩანაშვილსაც კითხულობ? – მიკვირს.

– იასნია, ვკითხულობ, აბა, მამ გივის დამმარებულ სიფათს ხომ არ ვუყურებ დაღამებამდე?

გივი მოპირდაპირე დახლის არენდატორი ებრაელია – არ სვამს, არ ეწევა, ნარდ-დომინო-კარტ-ჭადრაკს არ თამაშობს და „სიტყვა და საქმეს“ „კითხულობს“ – ბუნებრივად ვერ იტანს რობერტა.

როგორც წესი, შაბათ-კვირის დილების ხშირი სტუმარი გახლავთ პახმელია...

– კანიაკი გაქვს?

– ვისთვის როგორ, – მაგიდის ქვეშ პლასტმასის ჭიქაში მისხამს „ანის“ თუ „არარატს“ და შეჭალარავებულ უღვაშებში ჩაცინებით სახეზე სიკეთე-სითბო-გამოკრთობილი მოულოდნელი დარცხვინით დასძენს:

– ოღონდ ლუიზამ არ დაგვინახოს, გენაცვალე, ჯერაც ადრეა, – და თვითონაც სვამს.

... ხატები, იარაღი, საათები, პორტსიგარები, მათარები, საბეჭდი, მანქანები, ჭურჭელი – ზოგს სისხლი სცხია, ზოგს ოფლი, უმრავლესობას – ცრემლი და ყოველი ნივთი კი ხმამაღლა მოთქვამს გაჭირვებაზე...

რეფორმებით მოამაყე, „რეგოლუციონერული“, „ახალგაზრდა“, „ახალი“ (სად ხართ, მირიან, ფარნავაზ, როსტომ ანდა აიეტ?!), ქვეყნის „საშუალო“, „ტექნიკური“, „ჰუმანიტარული“ ან უბრალოდ „დროებით უმუშევარი“ ინტელიგენცია სიცოცხლის ბოლო წლებს მშრალი ხიდის „ბარახოლკაზე“ რობერტასათვის მინებებული „იმენიო“ – სვირინგინი საათებით და მამა-პაპისეული ქამარ-ხანჯლით იხანგრძლივებს.

პერსპექტივებით დამამშვიდებელი ღიმილი „საარსებო მინიმუმს“ უფასო სასადილოსკენ უთითებს, ტელეეკრანზე კი მხიარულად ცეკვავენ სამბას გრიპიანი ქათმები.

რობერტა მართლა ერთია, მართლა ოქროა, იმ ერთლარიანი სამურაების გაყიდვითაც, ჩემი კოლექციისათვის ორად რომ მაძლევს, ბევრს ვერაფერს გამორჩება, მაგრამ ეს ადგილი გივისია და მისნაირების.

შერვაშიძეების, დადიანების, ჩოლოყაშვილების და ამირეჯიბების საგვარეულო განძს სხვა ადგილას ყიდიან გაცდილებით უფრო ბობოლა სოვდაგარები, აქ მხოლოდ ნარჩენებიღაა, პურის ფული...

– გული მიკვდება ხანდახან, ისეთი ხალხი მოდის, – მესმის ხმა და მამენტ მჯერა.

... ბაბუაჩემის ბაბუის, გერმანეს ნაქონ უზარმაზარ მრგვალ მაგიდაზე სხვადასხვა ლითონის ხუთასამდე ჯარისკაცი კლასიკურ სამხედრო-სტრატეგიულ წყობად განლაგებული: სულ წინ – მედოლეები, მეტუკეები და მედროშეები, შემდეგ – ფლანგების არტილერია, მსროლელთა პოლკებთან ერთად, უკანა ფლანგებზე – კავალერია, ავანგარდში – მძიმე-ჯავშნოსანი გრენადერები, ცენტრში – გენერალიტეტი, პირადი გვარდიითურთ და ბოლოს – არიერგარდი, ინფანტერიის რამდენიმე როტა.

ჩვენს მაღალ-ჰუმანურ დროში, მას შემდეგ, რაც დემოკრატიის მეტაბირალე ერთმა „დერჟავამ“ საკუთარ თავზე აიღო ამოცანა, ჰიროსიმასა და ნაგასაკის მაგალითზე მსოფლიოსთვის ბირთვული იარაღის ძალა ეჩვენებინა, ოფიციალურად დაიგმო ყოველგვარი „შეიარაღებულ კონფლიქტად“ სახელ-გადაკეთებული ომი. თქმა არ უნდა, რომ ინკ-მაია-აცტეკ-სიუს განყვეტის დავინყების შემდეგ, უფრო ჰუმანურია, „ნაკლებგანვითარებული“ აფრიკული ტომები იაფი და სწრაფად მომნამლავი სპირტით გავანადგუროთ, უფრო „გაცივილიზებული“ ერების რიცხვი კი გენური ინჟინერიით შექმნილი პროდუქტებით, „შიდა რეფორმებით“ და სხვა მექანიზმებით შევამციროთ და დარჩენილი „ზომბები“ „მომსახურე პერსონალად“ ვაქციოთ...

რობერტასთან ახლადდარეკრუტებულ ამ სამურაებს ჩემს არმიასი რომ ჩავრიცხავ, ყოველ პოლკს ახალ, გახსნილ და, ამავე დროს, მოიერიშე დისპოზიციაზე გავნალაგებ...

ინდოეთში ამბობენ – სჯობს ტრიალ მინდორზე შეეჩეხო ვეფხვს, ვიდრე ლელიანში გადაანყდე გველგესლას.

„უკანასკნელი რომანტიკოსი“ ამ ირონიულად შერქმეულ სახელსაც შეეგუება და, საომრად ნასული, წინ მტრის გასაფრთხილებლად აუცილებლად გაგზავნის მეზუკეებს და მენალარეებს.

ამომავალი მზის ქვეყანაში დღემდე ახსოვთ საზარელი სოკოები, ერთი – უსაშველოდ უზარმაზარი, მეორე – მომცრო.

რობერტა მარკიტანტიცაა ერთგვარი.

ჰანაკა კი წყნარად ელის კეთილშობილ დროს და ღირსეულ, სამართლიან სამურაებს.

... და, ქუჩაში რომ ვინმე ფლიდი ყურთ ჩაგჩურჩულებს:

– აბა, სუბო იაფად!, –

– არ მევახები, – უნდა უთხრა, კი არ უნდა გააპატრულტელევიზორო, ბბბი ქჭჭო!

დრო ჩადრიანი გეიშების (იკებანა)

– ჩვეულებრივი, ოლონდ იაპონელი პუტანაა... – რა ქნას, არ იცის და გეიშების შესახებ კითხვას ასე პასუხობს ერთი ჩვენი პატარა – ტანით კი არა, ასაკითა და გამოცდილებითაც – მეგობარ – აღზრდილ – თუ ჯერ კიდევ აღსაზრდელი.

არ იცის, რა ქნას...

პოლიტიკაში (ამ სიტყვა-ტერმინმა ისე გაიდგა ფესვფეხ-საცეცი ჩვენს ყოველდღიურობაში, ამას წინათ ერთმა ფრიად შორეულმა მონაცნობო ქუჩაში შემხვედრმა ქართველ-სომეხ-კიდევ რალაც მეგიტარემ თუ გიტარისტმა ისიც კი მითხრა – მეო, (აჰ, თურმე ნუ იტყვით!) პანკ-კულტურას პოლიტიკურ ქრილში ვთირავ – ვალივერებ – ვუყურებ – ვუმზერო და როცა ვკითხე, „რამშტაინის“ „ბენზინსა“ და „ამერიკაზე“ რას ფიქრობდა, – ბა, ვონცო, – მითხრა...ასეა) ... ჰოდა ამ წყეულ, ყოვლისმომცველ პოლიტიკაში დიპლომატიური პროსტიტუციის ერა დამდგარა, ოლონდ „გაორმაგსტანდარტებულ – შენიღბულის“, ანუ ჩადრიანის...

– შვილი მეზრდება, მე თვითონაც არ ვაპირებ ჯერ მარილზე გასვლას... რომ არ გვეხებოდეს ხო, მაგრამ გვეხება და აღარც ვილაპარაკოთ? – ჰაერში კითხვას კიდებს ეგნატე და ყავას წრუპავს.

მყუდრო რესტორნის აივანიდან მტკვარს გადავყურებთ.

– 2000-2001 – ის ეფენბერგი გახსოვს? მეორე ეგეთი ფუტბალისტი არც მანამდე, არც მერე აღარ მინახავს... უბრალოდ, დადიოდა მინდორზე, არც სირბილი, არც ფინტები... მაგრამ მაგისტვის წართმეული ბურთით არავის არ გაუხარია... კაცი იყო... აბა, რონალდინიოს ქარაქუცა ... რა მაგარია, მაგის... როდის რას გიჩალიჩებს, მიდი და გაიგე ... მოკლედ, ფუტბოლშიც საპაზორო გახდა ჩენი ბაზარი.

ამ ძაან თბილისში და ძაან თბილისურ მასლაათში დროც ძაან თბილისურად ასალამოვებს და „კალხოზნიზე“ (ეხლა ხომ რალაც სხვა ქვია უკვე; თბილისს რომ არ ა – ლას – თბილისებენ, იმაზეც დიდი სენქიუ ვუთხრათ!) ნელნელა მოვსეირნობთ, ზემოთ სოლოლაკ-ვერა-სახლისაკენ შეაღმართებულები, ყვავილების უჭრელესი ფარდის მიღმა ასევე ჭრელი ბრბო ირევა... თბილისელების?!

დროს გემოვნება გაუფუჭდა.

ბანგვლიან-ჭიბგახვრეტელ-მიტატუირებული – გეიშა არა! – რალაც უჯიშო, უწმანურ-უხამს-გულისამრევი, ხელში სიგარეტით თავხედურად დააბიჯებს ამ დროის ბრბოში...

ეს ასე თუ ისე მაინც ხომ ყოველთვის იყო, გულში იფიქრებ, მაგრამ, რუსთაველზე ამოსულები, ძვირ ბუტიკებში ამოზმანულს, მაგრამ იგივენაირად მეტყველ – თუ – უტყვე სახეებს ვხედავთ ...

– ჭაჭა დავლიოთ? – მეკითხება ეგნატე.

თავს ვუქნევ!

– ალბათ...

გაფუჭებულგემოვნებიანი დრო ჩვენს აღმასივით მრავალწახნაგოვან ცხოვრებაში ერთი პატარა ნაკლია, რომელსაც ნაკლებმგრძობიარე ადამიანი შორს მოისვრის.



მხატვარი მაკა ლდოკონენი

... მაგრამ ეს ნაკლი აიმ აღმასს წყლის სინმინდეს უკარგავს, ანუ აუფასურებს...

შოპენი.

ანდა სულაც სინატრა იყოს.

მსუბუქი სიო.

მაგიდაზე – იაპონურ ლარნაკიდან გადაშლილი „სამოსელი პირველის“ მწრდილავი იასამნის ტოტები...

გურული ჭაჭა, პანე, ასე 100-100, ან კანიაკი.

ტანწერწეტა და თვალნაბულა ბანოვანები.

მწვანე მინდორი და ზედ – თეთრსამოსიანი ანგელოზები ანუ ბავშვები...

სტილილი

და მაინც, სულის ჰანაკად ქცეულ ამ იკებანას ერთი ავსურნელიანი და უგემოვნო ყვავილით გააფუჭებს დრო ჩადრიანი გეიშების.

ნაკლებმგრძობიარობას ვსესხულობთ და შვილების სადღეგრძელოს ვსვამთ – ჯვარი ეწეროთ და ღვთისმშობელი ფარვიდეთ!

დაბნეული და არრას მცოდნე, უსუსურობის მფარავი თავხედურობის ჩადრით პატარა პუტანა თბილისში დასარსალებს, პლანეტაზე – დრო უცნაური ... როგორც ყოველთვის.

მაია ჯალიაშვილი

ქართული იკებანა

საკურა იაპონურ ენაზე ალუბლის ხეა. აი, ყველაზე ძლიერი ემოციური იმპულსი, რომელიც მინიატურების ამ ციკლს სიცოცხლეს შთაბერავს. ეს არის სიმბოლო სამყაროდან გამქრალი თუ ადამიანებისაგან გაქვევებული სილამაზისა, უმანკოებისა, ყოველივე იმისა, რაც გვხიბლავს გახუნებულ ფოტოებსა თუ ძველ წიგნებში, მუზეუმს მიბარებულ დასავიწყებლად განწირულ მემკვიდრეობა თუ ჯერ კიდევ მონატრებულ ბებია-ბაბუათა ნაამბობში. ერთგან ახალ სიტყვასაც ქმნის მწერალი: „კიდევ ერთი გაზაფხულის ასაკუროვებამდე სიცივე სტუმრობს“. სხვაგან: „მერე მტირალი საკურა?! – ვინმე მთვრალი ტრაქტორისტის გაურანდავ-უდიერი შემთხვევითობით ნამოქცეული ახალგაზრდა, ვარდისფერ-თეთრად მოელვარე ალუბალი...“

მინიატურების ავტორი თანამედროვე კაცია, მიმდინარე დრო – მოვლენების არა გულგრილი და პასიური თვალმიმდევნებელი, არამედ მგრძნობიარე დამკვირვებელი, ყოველივეს საკუთარ სულში რომ გამოტანჯავს, მერე ფურცელს მიანდობს ნაფიქრ-განსჯილს, იმ გაუმხელელი იმედით, იქნებ იმ უცნობ სხვაში, მკითხველში ნახოს თანამგრძნობელი, მისი ფიქრების გამოზარებელი, რათა მერე ხმაშენწყობილად იდარდონ ადამიანურობის დაკარგვაზე, ღვთიური გეგმიდან ამოვარდნილობაზე და სამყაროში უღმერთოდ, უპატრონოდ, მიუსაფრად დაკარგულობაზე. მაგრამ საიდან გაჩნდა იაპონიის ხატება? ალბათ, ესეც შორეულის, უცხოისა და უცნობის მონატრებაა. თანაც ორიგინალური გზაა გამოძებნილი ცალკეულ შთაბეჭდილებათა ერთ ძაფზე ასასხმელად. ავტორის სათქმელის მანერას ამჯერად მინიატურის ფორმა მოერგო, ფრაგმენტულად გამოხატვა სწრაფად წარმავალი დროის მოსახელთებლად, მისი ფერის, სურნელისა და ხმის დასამახსოვრებლად.

იაპონური ხელოვნება უპირველესად დეტალების შეცნობა-ასახვისკენ სწრაფვით გამოირჩევა, ამიტომაც საქვეყნოდ ცნობილია, ამ თვალსაზრისით, მათი მიღწევები ხელოვნებისა თუ ტექნოლოგიის სფეროში. დეტალების შემჩნევა-ამონერა-გააზრების სურვილი იგრძნობა მინიატურების ამ ციკლში, „იაპონური ტრანზიტი“ რომ უწოდებია ავტორს. სათაურშივე წარმოჩნდება ერთგვარი შეფარული დაპირისპირება რომანტიკულისა და რეალურისა. ეს ოპოზიცია თვითონ ავტორის სულს გამსჭვალავს და, ალბათ, კალამსაც ეს ალბინებს ხელში. „დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცთა ეამებისო“. ავტორი ორიოდე შტრიხით ზუსტად მოხაზავს თავისი გმირების ყოფით დრო-სივრცულ არეალს, რომელიც შემამოფოთებლად ქაოტური და ამაოა. არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდება. მაგრამ მწერალმა იცის, რომ რაღაც ყოველთვის ხდება, რა-

ზეც ღირს ერთფეროვანი ყოფიდან ყურადღების გადატანა და თვითონ სწორედ ასე იქცევა. ტკბება ბუნების, მისი ჰარმონიულობის, ფერის, სურნელისა და მუსიკის გამუდმებული „აღმოჩენით“: „ნისლი განვეს ნაძვნარში გატრუნულს, ხშირ ბურქნარში ჩიტები ინაბებიან, როდესაც მათგან საუკეთესო თავის ჯადოსნურ სტვენას გააბამს“.

ამ ტექსტებში დაცულია მინიატურის ფანრის სპეციფიკა. ნახატი მთელის ფრაგმენტია, ამბავიც მხოლოდ ეპიზოდია, მაგრამ ქმნის განწყობილებას. პირველ მინიატურაში სიმწყობრეს კატა ქმნის თავისი „ოჯახური“ იდილიით, რომელიც უპირისპირდება გმირის შინაგან სულიერ ფორიაქს „მაია და მირიანი (მაკატა)“.

მეორე მინიატურაში ფიქრთა ნაკადები ესეისტურ სტილშია, მთხრობელი განსჯის ადამიანის დანიშნულებაზე. ფიქრები ნასაზრდოებია ქართული მწერლობის ცოდნითა და სიყვარულით. მთხრობელის, (რომელსაც, რა თქმა უნდა, ავტორთან არ ვაიგივებ) სტილი, საზოგადოდ, ხან ხორკლიანია, ჟარგონით დამძიმებული, ხან დახვეწილი, სათქმელის შესაფერისად ჩამონაკეთულ-განატიფებული, ხანდახან ოდნავ პათეტიკური და დეკორატიულიც, საგანგებოდ შერჩეული სიტყვებით, იაპონური იკებანასავით. „იადამიანე! – ასე ლაპარაკობს და ასეთია უძოს მთა, მდიდარი ხეთა მადლმყოფელი ჩრდილოვანებით“. ავტორის სურვილი ჩანს აღტაცების მკითხველისთვის გაზიარებისა. მტანჯველი ფიქრი თან დაჰყვება, როგორ შეიძლება, „იყო ვინმე მნიშვნელოვანი ღვთიურ გეგმაში!“ ამ მინიატურაში („ცივილიზაციის ჰარაკირი (ორი-გამი)“ ლირიკული ლაღადისია თანამედროვე ცივილიზაციის ამოღობაზე, „მოგუფუნე, მხრჩოლავ, უმიზნო“ და უწმინდურ ეპოქაზე. მსჯელობა აგებულია კონტრასტებზე, თეთრი და შავი, ამ შემთხვევაში, ქალაქი – ბუნება, რწმენა – ურწმუნობა, სიკეთე – ბოროტებაა. მთხრობელის სხეული განყვეტამდეა გაჭიმული ამ უკიდურესად დაშორებულ წერტილებს შორის და არსად ჩანს გამოსავალი: „ბანზაი! უფრო გაზარდე უაზრო როკვის გიჟური ტემპი! წინ ჰარაკირისკენ!“

„...ხატები, იარაღი, საათები, პორტსიგარები, მათარები, საბეჭდი, მანქანები, ჭურჭელი – ზოგს სისხლი სცხია, ზოგს ოფლი, უმრავლესობას – ცრემლი და ყოველი ნივთი კი ხმამალა მოთქვამს გაჭირვებაზე...“ (სამურაბით მოვაჭრე (ჰანაკა)). აქ ნივთები მეტყველებენ დროზე და ადამიანთა სულების გაუხეშებაზეც. მინიატურაში რამდენიმე ადამიანის პორტრეტი სახიერად გამოიკვეთება, რომლებიც ქმნიან თანამედროვე თბილისური ყოფის ნათელ სურათს, წარმოაჩენენ ჩვენი დედაქალაქის მრავალფეროვან სულს, აფორიაქებულ მაჯისცემას. ავტორს სტიკვა ქართველთა გავაჭრუკანება, უღირსობა თუ უზნეობა, მაგრამ მაინც შენიშნავს რალაცას ისეთს, რაც აოცებს და დააფიქრებს. მას ადამიანების სიყვარული არ ანებებს გულგრილობას, ამიტომაც ასეთი სითბოთი ხატავს პერსონაჟებს, რომლებიც მკითხველის თვალწინ ხშირად მხოლოდ რამდენიმე რეპლიკით გაკრთებიან, მაგრამ შთაბეჭდილებაში რჩებიან. ეს „შემთხვევით შეხვედრილი“ უბრალო ადამიანები მას სულს უფორიაქებენ და მის საფიქრალს კონკრეტულიდან ზოგადისკენ წარმართავენ. საქართველო დღევანდელ მსოფლიოში მას იმ სა-

ხიფათო ზონაში წარმოუდგება, რომელსაც „მაღალგანვითარებული“ იმპერიები „გენური ინჟინერიით შექმნილი პროდუქტებით, “შიდა რეფორმებით” და სხვა მექანიზმებით ამცირებენ და დარჩენილებს კი “ზომბებად–” “მომსახურე პერსონალად” გადაქცევას უპირებენ.

მინიატურათა თემები დღევანდელი სატყვივარია და, მიუხედავად შავნელი სურათებისა, თხრობას თან დაჰყვება მოლოდინის ნათელი, რომ დადგება „კეთილშობილი დრო“, ღირსეული და სამართლიანი სამურაებისა.

ავტორს შესანიშნავი ალლო აქვს ენისა. ის ზუსტ და შესაფერის სტილს არჩევს თემისა და პერსონაჟთა ხასიათის შესაბამისად. ამიტომაც ლაღად და ბუნებრივად წარმართება დიალოგი მასა და მკითხველს შორის, რაც აუცილებელია ტექსტის აზრობრივ-ემოციური მუხტის შე-

საგრძნობად. „ამ ძაან თბილისში და ძაან თბილისურ მას-ლაათში დროც ძაან თბილისურად ასალამოვებს“ („დრო ჩადრიანი გეიშების (იკებანა)“, ამგვარად აღწერს აჭრელებულ, გემოვნებადაკარგულ თბილისს, ფსევდო ღირებულებებით, მათ შორის, უპირველესად, ფსევდოპოლიტიკით შეპყრობილს. გეიშას ახსენებს თანამედროვე „პუტანა“ და ჩნდება კონტრასტი, რათა უფრო ამაზრზენად გამოიხატოს დრო, მაგრამ მთავარია, რომ მწერალს ტუჩები ზიზლით არ ეგრისება, არამედ სიბრაღის თანაგრძნობა უკრთის. იცის, დრო უცნაურია, როგორც ყოველთვის, მთავარია ამ უცნაურობას არ მოაკლდეს მაცურებელი. ამ როლში ამჯერად თვითონაა და შესანიშნავად აღწერს „ცხოვრების სცენაზე“ ნანახს, განცდილს და სიტყვებით ქმნის თავის იკებანას.

კარელ ჩაპეკი

ლიტერატურული პოლემიკის თორმეტი ხერხი

ანუ საგაზეთო დისკუსიათა სახელმძღვანელო

ავტორის შესავალი

ეს მცირე სახელმძღვანელო პოლემიკის მონაწილეებზე კი არა, მკითხველზეა გათვლილი, რათა მან მიახლოებით მაინც შეძლოს პოლემიკური ბრძოლის ხერხებში გარკვევა. მე ვსაუბრობ ხერხებსა და არა ნებსებზე, რადგანაც საგაზეთო პოლემიკაში, განსხვავებით ბრძოლის სხვა სახეობათაგან – ორთაბრძოლა, დუელი, ცემატყევა, შერკინება, მატჩი, ტურნირი თუ საერთოდ მამაკაცთა ძალისმიერი შეჯიბრი – არავითარი წესი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ჩვენთან. კლასიკურ ორთაბრძოლაში, მაგალითად, დაუშვებელია მონაწილემდეგეთა შორის გინება. კრივში იკრძალება მუშტი ააცილო და შემდეგ განაცხადო, მონაწილემდეგე ნოკაუტირებულიაო. ხელჩართულ ბრძოლაში მიუღებელია ორივე მხრის ჯარისკაცებმა ცილი დასწამონ ერთმანეთს – ამას მათ ნაცვლად ჟურნალისტები სჩადიან ზურგში.

მაგრამ ეს ყოველივე და უფრო მეტიც – სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა სიტყვიერ პოლემიკაში და ძნელად მოიძებნება რაიმე ისეთი, რასაც ჟურნალური კამათის მცოდნე მიუღებელ ხერხად, უხეშ თამაშად, ბრძოლის არიდებად, სიცრუედ ან უღირს ხრიკად აღიარებს.

ამიტომაც ყოველად შეუძლებელია ჩამოითვალოს და აღინეროს პოლემიკური ბრძოლის ყველა ხერხი; თორმეტი ხერხი, რომელთაც აქ მოვიყვან, – მხოლოდ ასე თუ ისე გავრცელებული საშუალებანია, ყველა, ბეჭდვითი სიტყვის თვით ყველაზე უმნიშვნელო პაექრობებშიც რომ გგხვდება. მსურველთ შეუძლიათ სხვა აუარებლითაც შეავსონ.



1. Despicere (ზემოდან ყურება – ლათ.) ანუ ხერხი პირველი

გულისხმობს, რომ დისკუსიის მონაწილემ უნდა აგრძნობინოს მონაწილემდეგეს თავისი ინტელექტუალური და მორალური უპირატესობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აგრძნობინოს, რომ იგი – გონებაზე ზღუდული, ჭკუასუსტი, ტლიკინა ადამიანია, გრაფომანი, სრული არარაობა, გაფუყული პიროვნება, ეპიგონი, გაუნათლებელი თაღლითი, უთავბოლოდ მოლაყბე, გაიძვერა და საერთოდაც, ისეთი უღირსი არსებაა, რომელთან ლაპარაკიც არა ღირს. ასეთი აპრიორული გზავნილი შემდგომ გვაძლევს უფლებას თავადიშვილური, ქედმაღლურ-დამრიგებლური და თავდაჯერებული კილოთი საუბრისა, რომელიც განუყოფელია „დისკუსიის“ ცნებისაგან. შეკამათება, ვინმეს განსჯა, წინააღმდეგობა და, ამასთან, მოპირისპირისადმი პატივისცემის შენარჩუნება – ეს ყოველივე ეროვნულ ტრადიციებში არ თავსდება.

2. ხერხი მეორე ანუ Termini (აქ: ტერმინოლოგია – ლათ.)

საგანგებო პოლემიკურ მიმართულებათა გამოყენებას გულისხმობს. თუ, მაგალითად, დანერტ, რომ ბატო-

ნი იქსი, თქვენი აზრით, რალაცაში არ არის მართალი, ბატონი იქსი გიპასუხებთ, რომ თქვენ „მუხანათურად დაესხით თავს“. თუ მიგაჩნიათ, რომ, სამწუხაროდ, რალაცაში ლოგიკის ნაკლებობა იგრძნობა, მოწინააღმდეგე დაგინერთ, რომ თქვენ „ცრემლებს ღვრით“ ან „მოთქვამთ“ ამის თაობაზე. ამის ანალოგიურად ამბობენ „დორბლებს ყრის“, ნაცვლად „აპროტესტებს“, „ცილსა გვწამებს“, ნაცვლად – „აღნიშნავს“, „ლაფში სვრის“, ნაცვლად – „აკრიტიკებს“ და ასე შემდეგ. საოცრად მშვიდი და კრავივით უცოდველი ადამიანიც რომ იყოთ, ასეთი გამოთქმებით საკმაოდ სახიერად დაიხატებით, როგორც გამაღიზიანებელი, უგუნური, უპასუხისმგებლო და ცოტა არ იყოს, გაუნონასნორებელი არსება. სხვათა შორის, ეს თავისთავად ახსნის, რატომ გესხმით თავს თქვენი მოწინააღმდეგე ასეთი გამშავებით. ის უბრალოდ თავს იცავს თქვენი მუხანათური თავდასხმების, გინებისა და ლანძღვისაგან.

3. მესამე ხერხი Caput canis-ის (ცუდ თვისებათა მინერა – ლათ.) სახელითაა ცნობილი და მხოლოდ იმ გამოთქმათა გამოყენების ხელოვნებას გულისხმობს, რომლებიც მოწინააღმდეგეზე მხოლოდ უარყოფით აზრს შექმნიან. თუ წინდახედული ხართ, მშობარას გინოდებენ, თუ გონება მახვილი ხართ – იტყვიან გონება-მახვილობას იჩემებსო. თუ უბრალო და კონკრეტული დასკვნებისაკენ გაქვთ მიდრეკილება – შეიძლება განაცხადონ, რომ საშუალო დონისა და ტრივიალურ, აბსტრაქტულ არგუმენტებს ანიჭებთ უპირატესობას – წარმატებულად გალიარებენ ზეჭკვიან სქოლასტიკოსად და ა.შ. მოხერხებული პოლემიკოსისათვის უბრალოდ არ არსებობს თვისებები, თვალსაზრისები და სულიერი მდგომარეობანი, რომლებზედაც ვერ შეძლებდა რაიმე იარლიყის მიწებებასა და მათი დასახელებაც კი ამხელს მადევარი მოწინააღმდეგის გასაოცარ სიცარიელეს, გონებაჩლუნგობასა და არარაობას.

4. Non habet (არარსებულის კონსტატირება – ლათ.) ანუ ხერხი მეოთხე.

თუ სერიოზული მეცნიერი ხართ, მესამე ხერხითაც იოლად დაგამარცხებენ განაცხადით, გონებაჩლუნგი, ტლიკინა მორალისტი, აბსტრაქტული თეორეტიკოსიაო ან რალაც ამდაგვარი. მაგრამ თქვენი განადგურება Non habet-ის მეთოდითაც შეიძლება. შესაძლოა ითქვას, რომ თქვენ არც მახვილგონივრობა გყოფნით, არც გრძნობათა უშუალობა თუ ინტუიტიური ფანტაზია. და თუკი უშუალო ადამიანი აღმოჩნდებით, მახვილ ინტუიციონი, შეიძლება განგვმბრონ მტკიცებულებით, არც მყარი პრინციპები და აზრები გააჩნია და არც მორალური პასუხისმგებლობაო. თუკი კეთილგონიერი ხართ, არაფრად ვარგისხართ, რადგანაც ღრმა გრძნობები არ გააჩნიათ, და თუკი ამ თვისების მატარებელი ბრძანდებით, უბრალოდ ქალაჩუნა ყოფილხართ, რადგან უფრო მაღალი რაციონალური პრინციპები თქვენთვის უცხოა. თქვენს ნამდვილ უნარ-თვისებებს მნიშვნელობა

არა აქვს – უნდა მოიძებნოს რა არ გჭირდებათ, და ლაფში ამოისვართ ამ ყველაფერზე რომ შეეცდებით თავის მართლებას.

5. მეხუთე ხერხი Negare (არსებულის უარყოფა – ლათ.) ჰქვია და ყოველივე თქვენეულის, თქვენთვის დამახასიათებლის უბრალო უარყოფაა. თუკი თქვენ, მაგალითად, მეცნიერი ხართ, შეიძლება ეს ფაქტი უარყოფილ იქნას და ითქვას, რომ თქვენ ზედაპირული ლაქლაქა ბრძანდებით, ყბედი და დილეტანტი. თუკი ათობით წელი გატაცებით ამტკიცებდით, რომ (ვთქვათ) გჯერათ ჯანდაბისა და დოზანისა ან ედისონის, მეთერთმეტე წელს, პოლემიკისას შეიძლება თქვენზე განაცხადონ, რომ ჯერ არასოდეს ამალღებულხართ ჯანდაბისა და დოზანის თუ თომას ალვა ედისონის არსებობის პოზიტიურ რწმენამდე. და ეს გაუვით კიდევაც, რადგან ჩაუხედავმა მკითხველმა თქვენს შესახებ არაფერი იცის, ჩახედული კი ნიშნისგების გრძნობით ივსება იმის შეგნებით, რომ თქვენს ამკარას, თვალსაჩინოს უარყოფენ.

6. Imago (აქ: შეცვლა – ლათ.) – მეექვსე ხერხი კი იმას გულისხმობს, რომ მკითხველს რალაც წარმოუდგენელ საფრთხობელას შეუცურებენ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილ მოწინააღმდეგესთან, რის შემდეგაც ეს გამოგონილი მოწინააღმდეგე ნადგურდება. მაგალითად, ხდება იმ აზრების უარყოფა, რომლებიც მას თავშიც არ მოსვლია და, შესაბამისად, არც არასოდეს გამოუთქვამს. მას აჩვენებენ, ხისთავიანი ხარ და ძლიერ ცდებით, მაგალითად კი მართლაც სულელური და მცდარი თეზისები მოჰყავთ, რომლებიც სულაც არ ეკუთვნის მას.

7. Pugna (ცემა – ლათ.) – წინა ხერხის მონათესავე. ეფუძნება მოწინააღმდეგის ან მის მიერ აღიარებული კონცეფციისათვის ცრუ სახელის მინიჭებას, რის შემდეგაც მთელი პოლემიკა ამ თვითნებურად აღებული ტერმინის წინააღმდეგაა მიმართული. ამ ხერხს ყველაზე ხშირად ეგრეთწოდებული პრინციპული პოლემიკებისას იყენებენ, მოწინააღმდეგეს რაიმე უწმინურ „იზმში“ ადანაშაულებენ და შემდეგ ამ „იზმს“ უსწორდებიან.

8. Ulises (ულისე (ოდისევსი) – ცბიერების სიმბოლო – ლათ.) – ხერხი მერვე. მთავარი მასში ძირითადიდან გადახვევა, საკითხის არსისათვის თავის არიდებაა. ამის წყალობით პოლემიკა ცოცხლდება, სუსტი პოზიციები ინიღბება და მთელი კამათი უსასრულობის თვისებას იძენს. ამას „მოწინააღმდეგის გათანგვაც“ ჰქვია.

9. Testimonia (დამონშება – ლათ.) ეს ხერხი გულისხმობს ავტორიტეტის მოშველიებას (რომელიც გნებავთ), მაგალითად, განაცხადი – „ჯერ კიდევ პანტაგრუელი ამბობდა“, ან „როგორც ტრეიჩკემ დაამტკიცა“. ნივინიერებით თავმოწონებისას ყველა შემთხვევაზე შე-

იძლება მოიძებნოს ესა თუ ის ციტატა, რომელიც მოცუ-
ლავს მონინალმდეგეს.

10. Quousque... (ვიდრე... – ლათ.) ეს ხერხი წინას
ანალოგიურია და ავტორიტეტის არაპირდაპირი მითი-
თებით განსხვავდება. უბრალოდ ამბობენ: „ეს უკვე
დიდი ხანია უარყოფილია“, ან „ეს უკვე განვლილი ეტა-
პია“, ან „ბავშვმაც კი იცის“ და ასე შემდეგ, იმის წინა-
აღმდეგ, რაც ასეა გაცამტვერებული, აღარავითარი
ახალი არგუმენტი არ არის საჭირო. მკითხველს სჯე-
რა, მონინალმდეგე კი იძულებულია დაიცვას „დიდი
ხნის წინათ უარყოფილი“ – საკმაოდ დაუფასებელი
ამოცანაა.

11. Impossibile (დაუშვებელია – ლათ.) არ დაუშ-
ვან, რომ მონინალმდეგე რაიმეში მაინც აღმოჩნდეს
მართალი. მარცვლისოდენა ჭკუა აქვს და მარცვლისო-
დენა ჭეშმარიტებას ამბობსო – ესეც კი რომ აღიაროთ,
მთელი პოლემიკა ნაგებული იქნება. თუკი შეუძლებე-
ლია ამა თუ იმ ფრაზის უარყოფა, ყოველთვის რჩება შე-
საძლებლობა, ითქვას: „ბატონი იქსი თავს უფლებას აძ-“

სიტყვა „რობოტი“, რო-
მელიც მთელ მსოფლიოშია
დამკვიდრებული და, მათ
შორის, ჩვენს მშობლიურ
ენაშიც, პირველად კარელ ჩაპეკმა გამოიყენა, ჩეხმა მწე-
რალმა, 1920 წელს შექმნილ სოციალურ-ფანტასტიკურ
დრამაში „რუსის უნივერსალური რობოტები“. ტერმინი
ტერმინად და მანვე ზუსტად იწინასწარმეტყველა რობო-
ტული ცივილიზაციის ფაზი, საითაც ასე საბედისწეროდ
მისწრაფვის კაცობრიობა.

ეს მწერალი ჩვენი საზოგადოებისათვის იმ მხრივაცაა
ცნობილი, რომ მისი ნოველის – „რეკორდი“ – მოტივების
მიხედვით გადაიღო 1974 წელს გურამ პატარაიამ, გამოჩე-
ნილმა ქართველმა რეჟისორმა, ამავე სახელწოდების
ფილმი, რომელიც ჩვენი კინემატოგრაფიის საუკეთესო
მიღწევათა შორისაა საგულვეტელი და არც პოპულარობა
მოჰკლებია.

ჩაპეკის სახელი და ავტორიტეტი სულ უფრო თვალსა-
ჩინო ხდებოდა არამარტო ჩეხეთში, არამედ მთელ ევროპა-
ში, და ნიშანდობლივია, რომ 1938 წელს ისიც წარადგინეს
ნობელის პრემიის მოსაპოვებლად. და რომ არა ასე ნაად-
რევი გარდაცვალება, მოსალოდნელი იყო, რომ იმ წელი-
წადს ეს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო სწორედ მას
რგებოდა.

კარელ ჩაპეკმა სახელი გაითქვა თავისი დაუშრეტელი
იუმორითა და მახვილგონიერებით და, ამასთან, გაბედუ-
ლებითა და შეურიგებლობით. იგი მხოლოდ სხვებს კი არ
მოუწოდებდა: შეუდრეკლად იბრძოლეთ ყველგან და ყო-
ველთვის კაცობრიობის უბოროტესი მტრის წინააღმდეგ
და დაუზოგავად ამხილეთ დემოკრატიული ლოზუნგებით
შენიღებული ფარისევლებიო, – არამედ თვითონვე გახ-
ლდათ ხორცშესხმული სახება ამ მოწოდების აღსრულები-
სა, თანაც როგორი შთამბეჭდაობით!..

ჩაპეკის იუმორი ერთი მხრივ შვების სიცილს ჰგვრის
ადამიანს, წამიერად ავიწყებს დამთრგუნველ ყოფას და
განუმტკიცებს სიცოცხლის სიყვარულს, მეორე მხრივ კი

ლევს ჭკუა მასწავლოს...“ ან „ბატონი იქსი ოპერირებს
ისეთი უკბილო და ძველთაძველი ჭეშმარიტებებით, რო-
გორიცაა მისი „აღმოჩენა“, ან „გაიოცე სამყაროვ! ბეცმა
ქათამმა მარცვალი იპოვა და ახლა კრიახებს, რომ...“
ერთი სიტყვით, ყოველთვის მოინახება რაღაც. ასე არ
არის?

12. Jubilare (იზეიმო – ლათ.) ეს შედარებით მნიშ-
ვნელოვანი ხერხია და გულისხმობს, რომ ბრძოლის ვე-
ლი მუდამ გამარჯვებულის იერით უნდა დატოვო. განა-
ფული პოლემისტი არასოდეს მარცხდება. დამარცხებუ-
ლი მუდამ მისი მონინალმდეგეა, რომლის დარწმუნე-
ბაც შეძლეს და რომელსაც „ბოლო მოუღეს“. სწორედ
ამით განსხვავდება პოლემიკა სპორტის სხვა ნებისმიე-
რი სახეობისაგან. ხალიჩაზე მეტბოლი პატიოსნად
აღიარებს თავს დამარცხებულად, მაგრამ, მგონი, ჯერ
არცერთი პოლემიკა არ დამთავრებულა სიტყვებით:
„მომეცით ხელი, თქვენ მე დამარწმუნეთ“. კიდევ ბევრი
სხვა ხერხიც არსებობს, მაგრამ გამათავისუფლეთ მათი
აღწერისაგან; დაე ჟურნალისტებმა შეაგროვონ ისინი
ჩვენი ჟურნალისტის ასპარეზზე.

რედაქციისაგან

სატირული სიმკაცრით ჩას-
დევს ყოველგვარ უმსგავსო-
ბას და შეუფერადებელ სუ-
რათებს ქმნის მოშლილი რე-
ალობისა და თავდაყირა დამდგარი სამყაროსი, რომელიც
ასე არსებობს დიდხანს ვერ შეძლებს და ან უნდა დაიბრუ-
ნოს კაცობრიობამ თავისი ნამდვილი სახე, ღვთის ხატად
და ასლად შექმნილი, ანდა მართლა გადააბაროს თავისი
ბედი და მომავალი რობოტებსა და... რობოტობას.

ამ განცდითა და მხატვრული ტენდენციითაა გაყლენ-
თილი კარელ ჩაპეკის ბელეტრისტული თუ დრამატული
ქმნილებანიც და ლიტერატურული და პოლიტიკური პამ-
ფლეტებიც, რომელთაგან სხვადასხვა დროს ორი კრებუ-
ლიც ამოირჩა და ქართულ ენობრივ სამოსელშიც მოექცა
შალვა გვიჩიძისა და ნელი ამაშუკელის მეოხებით.

სხვათა შორის, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოე-
ბის ერთ-ერთი თავყრილობა 2005 წელს ჩაპეკის ხსოვნას
მიეძღვნა და როსტომ ჩხეიძემ, რომელიც იმ დღეს მსახიო-
ბის ამპლუაში წარუდგა დამსწრეთ, წაიკითხა ჩეხი მწე-
რლის იუმორისტული ნოველა „პოეტი“ და სატირული პამ-
ფლეტიდან „როგორ კეთდება ფილმი“ ზოგიერთი ფრაგმენ-
ტი. და იმ ლიტერატურულმა შეკრებამ კიდევ ერთხელ დაგ-
ვარწმუნა, რაოდენ ფასეულია კარელ ჩაპეკის მხატვრული
მემკვიდრეობა და რა აუცილებელი – მისი დამკვიდრება
ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ამასვე გვიდასტურებს ჩეხ პოლემისტთა ცხოვრების
ეს მახვილგონიერული, მხიარული და... ტკივილით გაყ-
ლენილი სურათი – ქალაღის რაინდთა ეს ლიტერატუ-
რისაგან შორს მყოფი შერკინებანი.

ჩეხ პოლემისტთა?
ვითომ ქართველ პოლემისტთა რატომ არა?
მართლაც რა სავალალო მსგავსებაა!..
ჩაპეკის ღრმა და ირონიული მზერა საიდან სად ამ-
ჩნევს ჩვენს ლიტერატურულ (თუ: ფსევდოლიტერატუ-
რულ) სინამდვილეში ფეხმოკიდებულ უმსგავსობას და სა-
იდან სად შემოგვცინის თავისი ლალი იუმორით.



თამუნა არდიშვილი

* * *

დღეს მარტოხელა მგზავრი ხარ ღამის,
მე რომ გავუშვი ჩემი ბუდიდან,
გავაყოლე სხეულის სითბო
და თვალთა ჭრელი, მძიმე ღუზები...
და მძინარე სადარბაზოდან,
ვიცი, გამოხვალ ჩქარი ნაბიჯით
და გაარღვევ მოციაგე სიზმრების ექოს...
წვიმს
და ასფალტი ისე პრიალებს
თავდახრილი ლამპიონის ქვეშ
თითქოსდა ცეცხლი ირეკლება
შენი გულიდან...

* * *

წითელი ღვინით შეხარხოზდა
კვლავ შემოდგომა
და ოქროსფერი გაიწოდა ზეცაში მკლავი,
მზეს გაუდო თითქოს ბილიკი,
რომ მოსულიყო ამ ალისფერ, მსუყე
მინაზე,
ჩამომჯდარიყო მთების წითელ კინკრისობებზე,
ცხელი გულ-მკერდით ჩახუტებოდა
პოხიერ მინას
და მისი მკვდარი უჯრედებიც
აევსო ჟრჟოლით.

* * *

ჩემი ძვლები
ლატანებია შენს ხელებში
რბილი, დამყოლი,
ნორჩი შტოების სურნელი ასდით,
გული დაჭრილი მომაშორე,
მკერდში ჩამიდე
ამ ნოტიო მინის გოროხი,
ზედ მწვანედ ენთოს ბალახი ოლონდ...

* * *

ჩვენ ბედისწერა
თავის ნიშნებით გვესაუბრება,

ასე მგონია, მაღლა, ზეცაში,
ვარსკვლავური განტოლებებით
ჩამონერილა თითოეული
ჩვენგანის ბედი...
ჩვენ კი გულებში
ბავშვობის სხივი შემოგვპარვია,
გვინდა, რომ გვნამდეს
დღეგრძელი ღმერთი
და მზის კურდღლებით
ვთამაშობთ ხშირად...

* * *

ასე მგონია ახალგაზრდობა
მტოვებს და სადღაც ილექება
ვერგამოთქმული ჩემი სიტყვები
და ეს ხანძარი,
არილი რომ მგონია ხშირად,
ჩემ მიერვე დაუნჯებულ გრძნობათა
ალი ხომ არ არის?
ასე მგონია
მოვილიე ყველა ფერი და
სიცოცხლე ჩემი
გამჭვირვალე ფარს დაემსგავსა,
განა რა დამრჩა?
ბანალური ყოველდღეობა,
მზის სიყვარული,
ჭრილობათა მძიმე ჭდეები
და აკინძული ყველა ჩემი მოვალეობა
იმ უწყვეტ ძაფზე,
რომელზეც, როგორც მჩატე ტიკინა
მეცა ვკიდევარ...

* * *

ჩემი სოფელი...
მაგნოლიის ლურჯი ხეები.
არავინ იცის უხსოვარი სახელი მისი
და დავინწყების იისფერ ნისლში
მარად მწიფობენ
მაგნოლიის ლურჯი ხეები.
იქ სასაფლაოს
ყვავილების სურნელი ასდის
და ჩემს წინაპრებს უყვართ დუმილი,
გავერანებულ წარწერებში ამოსულ ყვავილს
კურცხალი მოსდის გარიჟრაჟებზე...

* * *

სინათლე შორი
და განშორების ლურჯი სტროფები,
სათნო სულები, მზერანაშლილნი
და სამუდამოდ გარდასულები
იმ საზღვარს მიღმა,

სადაც კამკამებს ტბის ზედაპირი
და მწვანედ შლილი ფანჩატურები
უხმოდ გელიან...

ო, რა ხანია

ქარიშხლები მტაცებენ ფიქრებს,
მაფრინდებიან აკივლებული ფრინველები
ცეცხლისფერი, ლივლივა ფრთებით...

ავფეთქდი შენით,

ამიფეთქდა უძილო ღამე,

შენი სახელი

აღმურივით მოედო ბაგეს...

განწყობა

ჩვენ ვნებდებოდით მათრობელა,

ღვინისფერ ბინდებს,

ვიცქირებოდით მათი ფრთხილა

ფარდების მიღმა

და მოკიაფე ხილაბანდების...

ირხოდნენ ჩვენი ფილტვები,

სისხლი გალობდა ჩვენს ძარღვებში,

როგორც ტაძარში...

ვაყურადებდით ბინდ-ბუნდების

იდუმალ ფეთქვას,

წვრილი ხმით როგორ

ღიღინებდნენ იასამნები,

ვით საკმეველი

ნაზი იყო სურნელი მათი

და რომ ხეები

ჰგავდნენ მლოცველებს

და მუქ-ლურჯ გუმბათს

მიხატვოდნენ ღრუბლის რაშები...

* * *

ოცნებებიდან შენთან მოვედი,

ისე უეცრად შენს ბუნაგში დავიდე ბინა,

როგორც ზღაპარში ამოვყავი თავი და მერე

ყველა ოცნება წაიშალა

და არც ერთ ზღაპარს

აღარ ჰქონდა ბოლო კეთილი...

ბავშვობის ყველა ქანქარა წამი

შეუჩერებლივ ტოკავდა ჩემში,

დრო, დრო მიხმობდა,

მკლავების მღვრიე მდინარეებში

აღთქმულ ხმელეთთან

ველარაფრით გამოვალწიე

და ცხელი, როგორც ზაფხულის ღამე

დუღდი ჩემს ირგვლივ,

ხანაც ჩანჩქერი იყავი,

ხანაც – ბნელი მორევი

აულაგმავ ვნებათა მძიმე,
მასწრობელა სიმაღლეებით...

ივლისი

დღემ ჩაიარა,

მიარხევდა მძიმე თეძოებს

და ცხელი კაბა

მოეტმასნა ტანზე ვარდებად...

შორს, ჰორიზონტზე

ამონვერილ ნაძვის კენწეროს

მზე წამოედო...

სალამოს მნიფე ალუბლებით

ავესო კალთა...

* * *

ის უხორცოა, როგორც სიზმარი,

თუმც ჩემს სხეულზე, სხეულზე მტრედის

გადმოფრენილი უჩინარ ძაძად

მისია ჩრდილი

გამკრთალი წამით

და სამყოფად სამარადისო...

* * *

დამალა გული

ქათქათა მკერდის

ლამაზ სარჩულში,

თვალეებს რა უყოს,

მდულარე ჭუჭყი

იქიდანაც გადმოვლვარა,

დაუსვარა ღანვები მორცხვი...

იქნებ ბრმად იქცეს,

იქნებ ბრმასავით აკაკუნოს

გრძნეული ჯოხი

და უთვალეზო სახეზე ისევ

ზამთრის სხივივით

აციმციმდეს ღიმილის ბნკარი...

* * *

ღამის შვილი ვარ,

ჩემი თავი ღამემ მიძღვნა,

გამიმეტეს გარიჟრაჟებმა

და მენამული ულაყები

შორს გააგელვეს,

ჩემთან დარჩა მხოლოდ დაისი,

სალამოთა ავი სიყუჩე

და ღამე,

როგორც ყავის ნალექი,

ვითომ დამტევი საიდუმლოთა,

ვითომ მკითხავი უკითხავ ბედის.

* * *

აეფორიაქდი...
 სალამო კი გლუვდება მთებზე.
 თავს ველარ ვიპყრობ,
 მარტო ვარ სახლში,
 ვით საკანში
 და ფეთქავს გული
 ჩქარ-ჩქარა და ნანყვეტ-ნანყვეტად
 და გალობს გული
 ჩემს კისერში.
 ჩემს თვალეში ჰკიდია მთვარე,
 ო, მთებიდან წამოვა მალე
 ცისფერი ნისლი
 ჩემი ძარღვების...
 სალამოვდება...
 მასხდებიან ბინდის პეპლები,
 აცეკვდა სისხლი...

* * *

ეს ბაგეები კი არა, პეპლებია,
 ფერადები, ფრთაფარფატები,
 ბაგეები კი არა, პეპლებია
 მოუსვენარი და მშვენიერები...
 დაენაფე და იკმარე!
 ნუ მოსთხოვ ერთგულებას,
 ნუ მოსთხოვ ფრთები
 გაუხამდეთ ფიტულევივით
 და მზით მოქანცულნი
 შენს ფურცელზე გაირინდონ
 და არ დაფრთხნენ,
 არ დაიმშენ
 და არ გაფრთხილდნენ
 იქით, საითაც
 შენ აღარა ხარ;
 საითაც სხვაა,
 შენსავით ხარბი...

* * *

მენატრებოდი მთელი სხეულით,
 გადახლეჩილი გულითა
 და ცხელი კორდებით,
 თითქოს მზე მადგა
 დაუინებით მხურვალე თავზე
 და მწუნნიდა
 მაცოცხლებელი მოლის სიგრილეს...
 მენატრებოდი...
 და სხეული, როგორც მაგნიტი
 იზიდავდა სამყაროში გაბნეულ ბგერას,
 „მიყვარხარ!“ – ვილაც ჩურჩულებდა ჩემს
 გვერდით,
 სადღაც გამიხმობდა სალამო თბილი,

ვიმალეობოდი რბილად განფენილ ღამის
 ჩრდილებში,
 ბრწყინავდა ზეცა ისე მაცდურად,
 რომ დატრიალდა სამყარო წაღმა,
 იქნებ უკულმა...

* * *

ვზივარ სავარძელზე,
 რომელიც ვიყიდეთ საკმაოდ ძვირად
 და სიამაყით ვუცქერით,
 როგორც ამ ოთახის
 სრულფას მეუფეს,
 „სულ უნდა მიყვე,
 პატარა ლაქაც არ დატოვო,
 თორემ პოლი ჩაგიოხრდება“,
 ჭკუას მასწავლის დედამთილი
 და ფეხით ჯიქურ აპრიალებს
 ჩემს წინ იატაკს,
 ეს სავარძელი მართლაც რბილია,
 მტკივანი ზურგი თითქოს მშვიდდება,
 ბავშვებს ოთახში წამდვილად სძინავთ
 და ვგრძნობ ჩემი ჩიტივით სულიც
 თვლემით იბუდებს...
 როგორც ჩემს სახლში, ბავშვობაში,
 სადღაც მაღლიდან
 პიანინოს ჟღერა მოისმის,
 დაბნეულად წყდება ნოტები,
 მე მაგონდება მოკუნტული
 თბილ, ყვითელ შუქთან
 რაღაცას ვწერდი,
 და მერე დედას ვუკითხავდი
 მღელვარებით ხმამომთრთოლვარე.

* * *

ღამის ანბანი
 ჩემს სახეზე.
 თუ ამოიცნობ
 შავ იეროგლიფებს
 ჩემი სულის ბნელ კუნჭულებში
 ჩანვეთებულ შხამის წვეთებსაც
 ამონოვ ვიცი და
 ვით გველის შხამს გადააფურთხებ.

* * *

ჩემო ფიქრიანო მე,
 სიზმრიდან ცხადში
 მოგაქვს ვნებათა სიჩუმე,
 მზით მოსარკული ცა
 და გადამხმარ ბალახში ჩამჯდარს
 ხარაბუხების ზუზუნი.



დავით ჩიხლაძე

დროის არარსებობის დღიურები

ბოლო პერიოდის ბადრი გუგუშვილს

1.

დროი.

ვინ სთქვა რომ ის არსებობს?
შენ, დიადო, მოგენდე მთლიანად.
სანამ დავსწერდი, არ ვიცოდი ვით
მეთქვა ეს.

ვინც ჩემს გვერდით იყოს,
ის იყოს დაი და ძმაი
და დედაი ჩემი.

თუ იგინი არა მახლდნენ თანა,
შენ იყავ მეგზური და მფარველ ჩემი.

შენ დამანახე, ვით ამზადებენ
შემოდგომას დასაბადებლად.
ან სად იმყოფება შესანიშნავი
ქალი-პოეტი დენიზ ლევერტოვი.
რომელი მატარებლით მგზავრობს
კარლ სენდბერგი.

რომელ გლეხებს ხვდება იოსებ ნონეშვილი.
შენ იყავი, კარგი, მფარველ ჩემი? -
მფარველი ყველასი ჩვენი.

რომ შევძლოთ მშვიდად ვუყუროთ
შემოდგომის ცაზე ანგელოზთა ჩვეულ
ფრენას, ადამიანში
დავინახოთ ცრემლი მწუხრის, ცრემლი
სიხარულის, სიცილზე უნინ.

შეხედე, ანანდა, ამ შემოდგომის
ფოთლებს მოფენილებს ირგვლივ,
ამდენი იქნება გზა ჩემსკენ მომავალი
და ყვავილებს კი ბევრი ლაპარაკი

არ სჭირდება.

მწყემსი გასძახებს მეორე მწყემსს,
თუ შელამება უკვე ახლოსაა,
მე ვის დავუძახო?

2.

ამ მთაზე სახლს კი არ ავაშენებ,
პატარა ქოხს.

მთვარის შუქში დავაბინავებ,
მთვარის ბალიშს დავუგებ
ან სულაც შიშველ მინას.

მაპატიე, ღმერთო, მაიმუნი თუ ვიყავი, -
შენი მაიმუნი. შენ მე შენი სახე
მაჩუქე, მე კი მაიმუნი გავხდი.
ვუჩოქებდი ლამაზმანებს
(თუმცა ისინი მართლაც ლამაზები არიან,
ღმერთო).

ვაშენებდი სახლებს, იმ სახლებში,
სადაც მწერალს უნდა ეცხოვრა,
კაბინეტს მოვანყოფდი ხოლმე,
დიასახლისებს გაზქურებს და
სარეცხის მანქანებს ვუმონტაჟებდი,
რომ ემზადებინათ კერძები და ერეცხათ
სიბერემდე.

და მაპატიე, ღმერთო, შენი მაიმუნი თუ
ვიყავი.

ლითონის დადნობასაც ვახერხებდი,
დიდ ლუმელებს ვაგებდი ამისთვის,
რომ სართულზე სართულები
დამემატებინა, იქ ხალხი შემესახლებინა,
და ელ.განათებაც შემყავდა მათს უკვე
საკუთარ ბინებში.

მე ვიცოდი, რომ შენ ხარ.
სალამოს, დალილი, ლუდს შევექცეოდი
მეგობრებში, ან სულაც ნაცნობებში
და ხანდახან კი ვიფიქრებდი ხოლმე,
რომ შენ სადღაც უნდა იყო.

აბა, ჩემი სახლის საკუთარი ბიბლიოთეკა
ხომ არ ტყუის?

ქართული მწერლობა, ბერძნული ფილოსოფია,
ისტორია რომის იმპერიის,
დიდი საბჭოთა და საყმანვილო ენციკლოპედია,
ბოლოსდაბოლოს, მსოფლიოს დიდი
მთავარსარდლები, რაინდნი და
სასახლეთა კურტიზანი ქალები ხომ არ
ტყუიან?

განა ტყუილად მოვუგროვე ეს დიდებული
ბიბლიოთეკა ჩემს შვილს, დათას?

არა, მე წავალ
და მთაზე სახლს კი არ ავაშენებ,
პატარა ქოხს,
და მაპატიე, ღმერთო, შენი მაიმუნი თუ ვიყავი.

3.

მინდა ვისწავლო იმიტაციების ხელოვნება.
დავემსგავსები კლეოპატრას და მოგწამლავ,
თუ არ შემიყვარებ.
ანდა სულაც აფერისტი გავხდები, ოსტაპ ბენდერი,
ოქროს მონეტებს მოვაგროვებ შენთვის,
რომ შენ კარგად იცხოვრო.
გამომგონებელს დავემსგავსები, ახალ ტანსაცმელს
გამოვიგონებ ქალებისთვის, უფრო კი შენთვის.
რომ შენი სხეული და ჩემი სხეული
დაფარულ იქნას უცხო ადამიანებისგან,
თუნდაც უცხო ხალხთაგან.
დავემსგავსები ჟონგლიორს, ილუზიონისტს,
ღვინით მოვაჭრე წვრილ ბიზნესმენს,
ილუზიის და ცდომილების ხარისხის გასაზომად
შენთვის.
დავხატავ რუკებს ჩვენი შესაძლებელი და
შეუძლებელი გამგზავრებისთვის.
დავემსგავსები ხომალდის კაპიტანს,
დავემსგავსები ორკესტრის დირიჟორს,
ერთხელ მაინც ხომ მოგატყუებ,
ერთი საღამო?
ყველაფერს გავაკეთებ, ფულს დავხარჯავ,
შევისწავლი იმიტაციების ხელოვნებას,
რომ შენ გეგონოს, დაიჯერო, რომ მე
ყოველთვის ეს ვიქნები ან რომ
ყოველთვის ნიჭი მექნება იმიტაციის.

4

ეგვიპტელებისთვის – რა!.. ჩვენთვის – მზე!..
კანონის ფურცლის გადაწერა ბევრჯერ შეიძლება,
ადამიანთა კანონების მხოლოდ.
ქალაქის შემოსასვლელის, პირველი ხიდების,
ძეგლებისა და ობელისკების შეცვლა
არავის ძალუძს, თუ პირველად
კანონს არ შეცვლის.
ეს უცხო მინაც ჩემი მინაა.
ზანგი მესაყვირე, მოხუცი პრინცესა,
მატარებლის იგივე ხმა,
გარემო, სადაც შენ არ ყოფილხარ და
არც წარმოიდგენ. შენთვის, სახლების
მშენებლისთვის,
უცხო იყო ამდენი სიცარიელე –

ხიდებზე, სართულებზე, საზოგადოებრივ
ტრანსპორტში.

შენ კი, მოქალაქე, ვიცი რასაც ფიქრობ.
ღმერთი რომ არსებობს ეჭვიც არ მეპარება.
შეიძლება მძიმე დროა.
მაგრამ ის არსებობს. ის ყველაფერს
ხედავს, რაც მე შემეხება და მე მას
არაფერს ვუმაღავ.
ეს ქალაქიც ჩემი ქალაქია და ყველა მინა ჩემი
მინაა.
ხო, პრინცესაზე გამახსენდა, რამდენი ლექსი
მიუძღვნა მას შოთა ნიშნიანიძემ?
„ვერ დათვლი“, - შენი ხმა მესმის.
აქ რა უნდა შენს ხმას,
ნუთუ ღრუბლების საქანელას აჰყვავ?
ეხლა ვხვდები მხოლოდ, ვაჟა-ფშაველას
რომ უთქვამს, „რატომ არ მოველ წვიმადა“-ო,
სწორი ყოფილა.
შენ ამ ლექსს შენს სათაურს დაარქმევდი,
„პიროვნება ქარი“, აი, ასე.
დიახ, სული ქარია და სწორი ყოფილა
ვაჟა-ფშაველა, როდესაც წვიმა დაინახა იმ დღეს.

5.

დროი. განა ის არსებობს?
თვითონ ეს მსოფლიო ჩვენს თვალწინ არის
მაგიური მედალიონი. ხეები ამოიზრდებიან
დედამინიდან,
მზე ცარგვალზე ჰკიდია და მთვარეც,
ჩიტები ჰაერს ჰკვეთენ თუ ჰაერში არსებობენ?
ქრისტემ ორი პური გაუნანილა ხალხს
და ყველას ეყო. ასევე თევზი, ხუთი
კალათა.
მესაყვირენი მეტროს სადგურში, იღება კარი ვაგონის.
ბაროკო, გოთიკა, შუასაუკუნეების ალქიმური
ფურცლები, ხალხი ფოტოგრაფიის გარეშე,
დარჩენილი ნახატებში, ბიბლიოთეკებში,
მაშინდელი ხეები, მაშინდელი საზრუნავი
ყოველდღიური.
ეს ყველაფერი, რასაც დღეს ხედავ, ან რასაც
იმ დროისათვის წარმოიდგენ, თუ
აღმოჩნდება, რომ ერთი ყოფილა, დაბრუნდები?
შენ ალბათ ფიქრობ, ადამიანებს ახასიათებთ
სიფრთხილე, ადამიანებს ახასიათებთ ასევე
სისასტიკე.
იქნებ იმიტომ, რომ ჰგონიათ, რომ
დრო არსებობს?
ალუბლის ტოტი,
შენ რომ დარგე გრიგოლ ცეცხლადის საფლავზე,
აყვავდა ამ შემოდგომაზე.


ნიკოლაი ბერდიაევი

რუსეთის სული

რუსული ყოფის წინააღმდეგობანი ყოველთვის პოულობდა ასახვას რუსულ ლიტერატურასა და რუსულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. რუსული გონის შემოქმედება ისევე **გაორებულია**, როგორც რუსული ისტორიული ყოფა. ეს ნათლად აირეკლება ჩვენს ყველაზე უფრო ნიშანდობლივ ნაციონალურ იდეოლოგიაზე – სლავიანოფილობასა – და ჩვენს უდიდეს ეროვნულ გენიოსზე – დოსტოევსკიზე, – რუსზე რუსთა შორის. რუსეთის ისტორიის მთელი პარადოქსულობა და ანტინომურობა აღიბეჭდება სლავიანოფილებსა და დოსტოევსკიზე. დოსტოევსკის სახე ისევე გაორებულია, როგორც თვით რუსეთის სახეა გაორებული და ინვესს წინააღმდეგობრივ გრძობებს. უძირო სიღრმე და თვალუნვდენელი სიმაღლე შეერწყმის რალაცნაირ **სიმდაბლეს, არაკეთილშობილებას, ღირსების უქონლობასა და მონობას**. ადამიანის ჭეშმარიტად ქრისტიანული სიყვარული შეერწყმის **კაცთმოძულეობასა და სისასტიკეს**.

რუსეთი ყველაზე უფრო **არასახელმწიფოებრივი, ანარქისტული ქვეყანაა მსოფლიოში** და რუსი ხალხიც – ყველაზე უფრო აპოლიტიკური, რომელმაც ვერასოდეს შეძლო თავისი ქვეყნის მონყობა. ყველა ნამდვილი რუსი, ჩვენი ეროვნული მწერლები, მოაზროვნეები, პუბლიცისტები – ყველანი იყვნენ... თავისებური ანარქისტები. **ანარქიზმი რუსული გონის მოვლენაა** და იგი სხვადასხვაგვარად მოსდგამდა ჩვენს, როგორც უკიდურეს მემარცხენეებს, ასევე უკიდურეს მემარჯვენეებს. სლავიანოფილები და დოსტოევსკი არსებითად ისეთივე ანარქისტები არიან, როგორც ბაკუნინი და კრაპოტკინი. ამ ანარქისტულმა რუსულმა ბუნებამ თავისი ტიპური გამოხატულება პპოვსა ლევ ტოლსტოის **რელიგიურ ანარქიზმში**. ჩვენი ხალხსნობა დამახასიათებლად რუსული მოვლენა, ევროპისათვის უცხო, არასახელმწიფოებრივი გონის მოვლენაა... არავის სურდა ხელისუფლება, ყველას ეშინოდა ხელისუფლების, როგორც ავი სულისა. თვითმპყრობელობის ჩვენი მართლმადიდებლური იდეოლოგია ასეთივე არასახელმწიფოებრივი გონის მოვლენაა, ხალხისა და საზოგადოების მიერ სახელმწიფოებრივი ცხოვრების შექმნაზე უარის თქმა... რუსეთის ისტორიის საფუძველში ძვეს მრავალმნიშვნელოვანი ლეგენდა რუსეთის ქვეყნის სამართავად ვარიანთა მონვევის შესახებ; ვინაიდან „ქვეყანა ჩვენი დიდაა და ბარაქიანი, მაგრამ უნესრიგო“. რაოდენ დამახასიათებელია რუსი ხალხის ეს **საბედისწერო უუნარობა** და სურვილის უქონლობა, თვითონვე დაამყაროს წესრიგი თავის ქვეყანაში! რუს ხალხს თითქოსდა სურს არა იმდენად თავისუფალი სახელმწიფო, თავისუფლება სახელმწიფოში, არამედ თავისუფლება სახელმწიფოსაგან, თავისუფლება ქვეყნის მონყობის საზრუნავისაგან. **რუს ხალხს არა სურს იყოს ვაჟკაცი მშენებელი, მისი ბუნება განისაზღვრება როგორც ქალური, პასიური და მორჩილი** სახელმწიფო საქმეებში; იგი ყოველთვის ელოდება **საქმროს, ქმარს, მბრძანებელს**. რუსეთი მორჩილი, ქალური ქვეყანაა. პასიური, რეცეპტური ქალურობა

სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებისას მეტად დამახასიათებელია რუსი ხალხისა და რუსეთის ისტორიისათვის... ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ისტორიამ **არ იცის რაინდობა** – ეს მამაკაცური სანყისი. ამიტომ რუსულ ყოფა-ცხოვრებაში არასაკმარისადაა განვითარებული პიროვნული თავისთავადობა. რუს ხალხს ყოველთვის უყვარდა ცხოვრება კოლექტივის სითბოში, რალაცნაირ განზავებაში მინის სტიქიასთან, დედის კალთაში. რაინდობა ჭედავს პიროვნული ღირსებისა და პატიოსნების გრძობებს, აწრთობს პიროვნებას. ამგვარ პიროვნულ წრთობას ვერ ქმნიდა რუსეთის ისტორია. რუს ადამიანში არის უნიათობა, რუსულ სახეს არ გააჩნია გამოკვეთილი პროფილი. ტოლსტოის პლატონ კარატაევი მრგვალია. **რუსული ანარქიზმი ქალურია და არა მამაკაცური, პასიურია და არა აქტიური. რუს ხალხს სურს იყოს მინა-წყალი, რომელიც პატარძლობს, ქმარს ელოდება**.



რუსეთი ყველაზე უფრო სახელმწიფოებრივი და **ბიუროკრატიული** ქვეყანაა მსოფლიოში. რუსეთში ყველაფერი პოლიტიკის იარაღად გარდაიქმნება... პიროვნება დაჩაგრული იყო სახელმწიფოს უზარმაზარი მასშტაბებით... ბიუროკრატია განვირცო შემზარავ ზომებამდე... შეუძლებელი გახლდათ ადამიანის შემოქმედებით ძალთა თავისუფალი თამაში. რუსულ ცხოვრებაში ბიუროკრატის ხელი უფლება იყო გერმანულობის შინაგანი შემოჭრა. გერმანულობა როგორღაც ორგანულად შემოვიდა რუსულ სახელმწიფოებრიობაში და ფლობდა ქალურ და პასიურ რუსულ სტიქიას. **რუსეთი შეცდა საბედოს, საქმროს არჩევამი**.

იდუმალი წინააღმდეგობაა რუსეთისა და რუსული ცნობიერების დამოკიდებულებაში ეროვნებებთან... რუსებს თითქმის სცხვენიათ, რომ რუსები არიან, **მათთვის უცხოა ეროვნული სიამაყე და, ხშირად, ვაი რომ, უცხოა ეროვნული ღირსება**.

რუსეთი ყველაზე უფრო **ნაციონალისტური ქვეყანაა** მსოფლიოში, ქვეყანა არნახული ნაციონალისტური ექსცესებისა, **რუსიფიკაციით** მის ხელქვეშ მყოფ ეროვნებათა მჩაგვრელი, ქვეყანა **ნაციონალური ბაქიობისა**, ქვეყანა, სადაც ყველაფერი ნაციონალიზებულია მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიამდე.

რუსეთის ისტორიამ გამოაჩინა სრულიად განსაკუთრებული სანახაობა – **ქრისტიანული ეკლესიის სრული ნაციონალიზაცია... ეკლესიური ნაციონალიზმი უშუალოდ რუსული მოვლენაა... რუსული რელიგიურობა ქალური რელიგიურობაა**, – კოლექტიური ბიოლოგიური სითბოს რელიგიურობა... ამგვარი რელიგიურობა უარს აცხადებს მამაკაცურ, აქტიურ სულიერ გზაზე.

თარგმნა
ნუზხარ კუჭუსნიძე

პიტერ ვიერეკი

ლირიკის ღირსება. ფორმას – ჰო, ფორმალზმს – არა

ზეცაზე დაკვირვების გარეშე, მწყობრი მიწიერი რუკების აგება ვერ მოხერხდება.

კოლრიჯი, 1830

როგორც ეთიკაა შიდა საზღვართა შემაკავებელი, ასევე ლირიკა – აღვირის მიშვებისა. ორივე ეჭვიანად იჭრება საბრაკონიეროდ ერთმანეთის ტერიტორიაზე, ერთიმეორეს ხელს უშლიან, თუმცა უერთმანეთოდ თვითდამანგრეველად ვინრო, მშრალი და არაჰუმანური გახდებიან. როცა ერთი ექსპლიციტურად ფარავს მეორეს (დიდაქტიკურად ზნეობრივ ხელოვნებაში), ორივე აგებს. თუმცა იმპლიციტური გადაფარვისას ორივე იგებს – მოიარებითი, იატაკქვეშა, უხილავი გზებით, რასაც ვერცერთი მწერალი ვერასოდეს გააანალიზებს მიუკერძოებლად გამდგარი განზე, რადგანაც პრობლემას თუ განუდგა, მწერალიც აღარ იქნება. აქ შეიძლება მხოლოდ ის ვცადოთ, რომ ხელისცეცებით მოვიხელოთ ფაქიზი შთაბეჭდილებანი ლირიკის მიმართებისა, ერთი მხრივ, წმინდა ფორმალზმის და, მეორე მხრივ, ეთიკისადმი.

თანამედროვე ამერიკული რეალობიდან გამომდინარე, ლირიკის ღირსება მოითხოვს უშუალო შეუგუებლობას ახალი აკადემიური სულის მიმართ. ეს ის სულია, რომლის ურბანული მოქნილობა და „გავარჯიშებული“ პასუხი გვაგონებს ბრწყინვალეებს, მკვდარ ბრწყინვალეებს, უძველესი ალექსანდრიისა. დღევანდელ ამერიკულ პოეზიაში ალექსანდრიზმმა მიიღო ფორმა, რასაც სხვა დროს (1947-ში) „კრიტიკოსის პოეტს ვუნოდებდით“. როგორც ადრეულ წლებში „პოეტის პოეტი“ უმთავრესად წერდა კოლეგა პოეტებისათვის, ისე კრიტიკოსის პოეტი დღეს ძირითადად წერს კრიტიკოსთათვის. კრიტიკოსის პოეტი, მის განკარგულებაში მყოფი პერიოდული გამოცემები და მენტორები მთავარ ყურადღებას ტექნიკაზე ამახვილებენ და, თანაც, არა მთელ ტექნიკაზე, არამედ გარკვეულ, სპეციალიზებულ ქვეთემებზე ტექნიკის ტექნიკისა. ზედმეტი იმის თქმა, რომ შინაარსს უარყოფენ. უარესიც, არაფრად აგდებენ ლირიკისათვის ყველაზე მეტად საჭირო თვისებას – ყელსავსე სიმღერას.

კრიტიკოსის პოეტის ყოვლადშემგუებული სტილი საღეჭი რეზინის გამყიდველი ავტომატ-მანქანასავითაა. რეაგირებს კრიტიკული ჟარგონის მიერ ჩაგდებულ თვითიულ ყალბ მონეტაზე და ღრანჭმონგრეული ამოისვრის ალუზიათა ნაგლეჯებს; თუ ბეჯითად მიუგდებ ყურს, მეტალის კმაყოფილ ჩხაკუნსაც გაიგონებ. ასეთ პოეტს აღძრავს არა

შინაგანი ლირიკული იმპულსი, არამედ გარეგანი მოდა კრიტიკისა. იგი მექანიკურად იმეორებს იმას (ვთქვათ კაიმონ ფრაიარი, თუ ტიპური ნიმუში გვჭირდება, ან ჯონ ბერიმანი), რისთვისაც ახალი კრიტიკის პირველ-დამწყებთ (მაგალითად, ჯონ ქრაუ რენსომს) შემოქმედებითი სპონტანურობით მიუღწევიათ. რობოტები უკეთესად ახერხებენ ყველაფერს, ვიდრე ადამიანები, გარდა სიყვარულისა და სიმღერისა.



ეს კონვეიერის დონები თავიანთი – „ჰადსონ რევიუს“ მსგავსი – გამოცემებიდან ატმოსფეროს მომწამვლელ ნივთიერებას ღვრიან სცენაზე.

პროფესიონალ ლიტერატურათმცოდნის ნაცვლად ჩვენს წინაშეა პროფესიონალი კრიტიკოსი, ახალგაზრდა დონი, ვინც პირველყოვლისა სხვა დონთათვის წერს და გზადაგზა ისეთი უადრესად საჭირო გამოგონებისათვისაც, როგორც უბრალო მკითხველია. ...პედანტი ისეთივე უბრალოა, როგორც ყოველთვის იყო და, ახლა, როცა, გინდა-არგინდა, ლიტერატურული მწერლობა აკადემიური წრეების ხელშია, მისი აქტივობა უფრო საშმიშა, ვიდრე ოდესმე... პედანტი მეტად შემგუებული ქმნილებაა და შეუძლია ისევე კომფორტულად იგრძნოს თავი მ-რ ელიოტის „ობიექტურ კორელატივთან“, მ-რ ემპსონის „ორაზროვნებასთან“, დ-რ ლივისის „სირთულეებთან“, როგორც ძველი კრიტიკული სამოსის მოძველებულ კოსტუმში, რაც დღეისათვის მეტწილად მიტოვებული აქვს.¹

კრიტიკაზე გაზურჩეველ თავდასხმას კი არ ვაპირებ, რაც რომანტიზმის მცდარ რწმენას ახასიათებდა ინსტინქტის მიმართ; მიზნად ვისახავ ყოვლადაუცილებელი და ჯეროვანი პატივი მივაგო მაღალი მოწოდების კრიტიკას, ახალსა თუ ძველს და თავს დავესხა მხოლოდ თავის თავში ჩაკეტილი კრიტიკის კერპთაყვანისმცემლობას. მართებულისა და შესატყვისი ვითარებისათვის კრიტიკა არც დამოუკიდებელია პოეზიისაგან, არც დიქტატორულია მის მიმართ და არც წინ უძღვის, არამედ დამოკიდებულია წინმსწრებ შემოქმედებით აქტზე. როცა ამ დამოკიდებულებას უარყოფენ, შინაარსი ცალმხრივად ენირება ფორმას, ყელსავსეობა ტექნიკის ცალკეულ დეტალებს, ცეცხლი კი – ტაქტს.

პოეტი შესაძლოა ცოტა ტაქტიანი იყოს და შედარებით მსუბუქად მოექცეს თანამედროვეებს. ისინი მის შემოქმედებას მიიღებენ „პოეზიად“ და, როგორც ასეთი, აულიარებელი და, იღბლად, ხელმოცარულ კანონმდებლად დარჩება. მაგრამ, როცა ვინმე ხელოვნების გენიალურ ცეცხლს შემოიტანს, ცხოვრების ყველაზე ხელშესახებად გამომხატველს, გაცილებით დიდი მტრობა წამოჰყოფს თავს; მტრობა, რაც ემუქრება კარლაილს, რასკინს, ნიუმენს, ნიცშეს; ასეთი მწერლები, რა თქმა უნდა, აკადემიურ თამამებს არ თამამობენ; ისინი მეტისმეტად გაბედულად

წინიდან: „შეუგუებული კაცი: ახალი გმირი ამერიკელთათვის“

გამოთქვამენ აზრს და ეს კი, სახიფათო თუ არა, უთუოდ ცუდი ფორმა მაინც არის. მაგრამ ალბათ ისიც უნდა გვახსოვდეს, მათ რომ ყოველთვის აკადემიური თამაში ეთამაშათ, ჩვენთვის სათამაშო აღარაფერი დარჩებოდა. მეცნიერება და კრიტიკა ერთგვარად პარაზიტულია გენიოსის მიმართ და როცა ვინმე, ვინც თვითონ დიად მიზნებს არ ისახავს, თავის ცხოვრებას ასეთი გენიოსის შესწავლას მიუძღვნის, თუკი შევძელით, დავინახავთ, რომ მეცნიერებასა და კრიტიკასთან იგივე ბრძოლაში ამოჰყოფს თავს... თუკი მხოლოდ თანამედროვე კრიტიკის მიერ აღიარებულ მწერლებს წავიკითხავდით და ვასწავლიდით, კრიტიკა თავისთავად სწრაფად გაქრებოდა.²

თითქმის ყოველი კარგი თანამედროვე პოეტი მაღლიერებით სწავლობდა ტ.ს. ელიოტისაგან და შემდეგ, თუკი მართლაც შეუგუებელი აღმოჩნდებოდა, ამბობდებოდა ელიოტის კულტის წინააღმდეგ. მისი დიქტატორული კულტი განსხვავდებოდა თვითონ ელიოტისაგან, ისევე, როგორც მარქსიზმი განსხვავდება მარქსისაგან. ამიტომაც უსამართლობა დავადანაშაულოთ ელიოტი მისი კულტის მიმდევართა, ფარისევლურ ამპარტავნებაში. სულ სხვა საქმეა მისი, როგორც ხელოვანის სუსტი ადგილი; არაჩვეულებრივ ღირსებათა მიუხედავად, რასაც რიტმისა და მეტაფორის დახვეწისა აღწევს (ეს ღირსებანი სწორად, მაგრამ იდეოლოგიური კუთხითაა შეფასებული წამყვანი ინგლისური კათედრების მიერ), ტ.ს. ელიოტს თითქმის ყოველთვის აკლია საბოლოო პოეტური დახვეწილობა: მგრძნობიარე ქსოვილი.³ ამ დახვეწილობას ვხვდებით არა მარტო იმ ორ პოეტთან, რომლებიც ელიოტზე დიდები არიან, კიტსსა და იეიტსთან, არამედ სხვა მხრივ ელიოტზე პატარა პოეტ ბედოუსთანაც. ასე რომ, დახვეწილობა, თავისთავად, არ კმარა, წამყვანი პოეტი რომ გახდეს. მას შეუძლია ააცეკვოს იდეები, შემეცნებითი ლექსი მუსიკალურად აქციოს და მუსიკას ძველი, მაგიური, გაბედული ძალა მიანიჭოს.

მფლანგველობა მეორე არსებითი ნაკლია „ბერნი მინის“ პოეტისა. მას აკლია დიდსულოვნება იმდენი ნიჭის ამოსაფრქვევად, რომ ნიჭმა გაბედოს და ისეთ არარაობამდე გაიფლანგოს, მოჩვენებითი ფუფუნებით შეიქცეოს თავი, რაღაც ეგომანიამდე და ახირებულ კაპრიზებამდე მივიდეს; ძალუძს გაბედოს და თავს ამის ნება მისცეს, რადგან ფლობს მყარ ცოდნას, საკმარისს საიმისოდ, რომ ამ თავნებობათა შემდეგ მაინც შეჰქმნას სიცოცხლით სავსე ქმნილება. მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისად გააზრებული „მინც“-ის თვისება, „quand-meme-ness“* შთაგონებული ხელოვნებისა („სიყვარულისა“ და „სიკვდილისა“ არ იყოს, სიტყვა „შთაგონებული“ ცუდი გემოვნების მაჩვენებელია: დღევანდელი სალონური კრიტიკული გემოვნება უკეთაა აღჭურვილი ირონიის, ორაზროვნებისა და ნართაულთა მოსაგერიებლად). არა ძუნძი შემოღობვა ნიჭიერებისა, თვითუფი მარცვლის ჩაბლუჯვა, არამედ უხვი მფლანგველობაა ნიშანდობლივი დიადი, ტონალობით აღსავსე მსოფლიო ლიტერატურისათვის.

მფლანგველობის გარეშე არ იქნება დიდსულოვნება. დიდსულოვნების გარეშე არ იქნება სიყვარული, ქრისტიან-

წული ქველმოქმედება და ბოლოს და ბოლოს – ქრისტიანობა. ტ.ს. ელიოტს აკლია ხინჯი – დაუდევრად, დაუნებლად გაფლანგოს საკუთარი თავი, აკლია უნარიც მიაღწიოს ჭეშმარიტი გენიოსისათვის ჩვეულ, სრულყოფილი საკაცობრიო ნოტის დაუდევარ მდიდრულ ხმოვანებას. ამ მხიარულ, მუსიკით აღსავსე ჭეშმარიტ ლირიკულ გამოცდილებას, დღესდღეობით, ხშირად არ აწვდის პოეზიის შემსწავლელ სტუდენტებს ელიოტ-პაუნდის ახალი კრიტიკის სკოლა. აბსურდულად მხილებული, როგორც შეთქმულება, და აბსურდულად განდიდებული, როგორც გამოცხადება, ეს სკოლა იყო განმათავისუფლებელი ძალა თავის არაპოპულარულ დღეებში (1912 წლის შემდეგ) და დამორგუნველი ძალა თავნებობის ჟამს (1940 წლის შემდეგ).

მონოდება უშუალობისაკენ არ უნდა ავუროთ ნეორომანტიკულ მონოდებაში ბოჰემურობისა და დამწყები „გენიოსობისაკენ“ ან რომანტიკულ ამბოხებაში სიმღერისა და ემოციისა შეზღუდვისა და ფორმის წინააღმდეგ. დიახ, სწორედაც მკაცრ შეზღუდულობასა და კლასიკურ ფორმაში შეიძლება შეიკუმშოს სიმღერა და ემოცია ლირიკულ ინტენსივობად, ნაცვლად განეილილი, დაუდევარი, უფორმო დიფუზიურობისა. რაც მეტია ელიოტური და ახალკრიტიკული შეზღუდულობა, მით უკეთესი, მაგრამ, ამავე დროს, კრიტიკოსის პოეტებს მთლად ნუ დაავიწყდებათ რომი კემპბელის „სისხლიანი ცხენი“:

**You praise the firm restraint with which they write –
I'm with you there, of course.
They use the snaffle and the curb all right;
But where's the bloody horse?**

**(შენ აქებ მტკიცე შეზღუდვებს, რითაც ისინი წერენ –
მეც რა თქმა უნდა გეთანხმები.
აღვირსაც კარგად იყენებენ და ლაგამსაც;
მაგრამ სად არის ეს ოხერი ცხენი?)**

ვერავინ იწინასწარმეტყველებს, რომ დღევანდელი პოეტები ადრეული პაუნდ-ელიოტის სიცოცხლისუნარიანობას მიაღწევენ, 1912 წელს რომ მოჰყვა. მაგრამ იმას ადვილად იწინასწარმეტყველებს კაცი, რომ ვერასოდეს მიაღწევენ იმით, თუ ელიოტსა და პაუნდს მიბაძვენ; ორივე ფლობდა დიად სიქველეს არა მიბაძვისა, არამედ თანადროულ ლიტერატურულ ავტორიტეტთა გამოწვევისა პაექრობაში. შეუგუებლობის აუცილებელი აქტის გამო ელიოტს ბრალი დასდეს „უფროს პოეტთა მიმართ“ „თავნებობაში“. დღეს ელიოტის კრიტიკოსები იმავე ბრალდებათა მეხთატეხაში მოხვდნენ; 1912 წლის ტორეადორი დღეს წმინდა ძროხად გადაიქცა. ჩვენი მანდარინების ახალგაზრდა თაობამ ელიოტის გამონაცვალის სამოსიდან ოფიციალური უნიფორმა კი შეიკურა, მაგრამ ის ორიგინალობა აკლია, რითაც ელიოტი იმპერიულად ავსებდა ამ სამოსს. იმპერატორი კი არ არის შიშველი, მას მეტად ბევრიც კი აცვია, უმთავრეს შემთხვევაში სამოსია უიმპერატოროდ.

რადგან ლირიკა შეუგუებლობას მოითხოვს, ტექნიკაში დაოსტატება ღირსებად უკვე აღარ მიეთვლება, თუმცა ჯერ კიდევ გუშინდლამდე ასე მიიჩნეოდა. მაგრამ დღემდე ღირსებადაა აღიარებული, თუკი ოსტატობის მიმღწევი

* იდიომური გამოთქმა და გულისხმობა: რაც გენებოთ ისა თქვით, მე მაინც ჩემი უნდა გავიტანო

მტკიცედ დამოუკიდებელი დარჩება. მაგრამ ძალზე ბევრ ახალგაზრდა პოეტს აკლია დამოუკიდებლობა, სამარადისოდ ჩაყინულან კონვენციონალიზმში (კონვენციურად „არაკონვენციურ“ მოდერნიზმში) თავისი ტექნიკურ უნარჩვევებიანად. იმიტომ, რომ 1920-იანი წლების კვალის გამკაფავნი 1950-იანებში უზუცეს სახელმწიფო მოღვაწეებად იქცნენ, მათი მიმბაძველნი კი წერას თავიდანვე თავის ოსტატთა მონიფული სტილით ინყებენ, სტილით, რაც თავიდან ძნელი მისაღწევი იყო, მაგრამ ახლა დაუმსახურებელი მეტკვიდრეობაა. ასეთ ახალგაზრდა პოეტებს, ახალი კრიტიკის ლექსიკოგრაფებს, *ab ovo*, თითქოსდა დაბადებიდანვე თავაზიანი, ირონიული ღიმილი შეჰყინვიათ სახეზე. მათი სწეულება ნაადრევი მონიფულიობაა.

მაგრამ სხვა ახალგაზრდა პოეტები, მასწავლებლები და მოსწავლეები გადალახავენ ამ სტერეოტიპულ მოდერნიზმს, ეწინააღმდეგებიან მის გაბატონებას კოლეჯთა ანთოლოგიებში. მრავალნი ამ ახალგაზრდული ჯგუფიდან უფრო მეტად ჯიბის წიგნების ლექსთა ანთოლოგიებს უჯერებენ, 100 თანამედროვე ლექსისა და 100 ამერიკული ლექსის სახელით რომ გამოქვეყნდა. ორივე კრებულს, ნიუ ემერიქან ლაიბრარისათვის, სელდენ როდმანმა ურედაქტორა. ორივე ანთოლოგია ერთობლივად მისივე ხელოვნების მანიფესტით, „თვალი კაცისა“ (1955), გახლავთ შემაკავშირებელი წერტილი შეუფუგებელი გემოვნებისა და შინაარსის აღორძინებისა, მიმართული პოეზიასა და მხატვრობაში არსებული ფორმალისტური, ტრივიალური, გარეგნული მოდის წინააღმდეგ. როდმანი სამართლიანად ამტკიცებს, საჭიროა არა ფორმის დაქვეითება, არამედ შინაარსის შესაფერისი დაფასებაცო, და ამას უწოდებს, „ხელოვნის მიერ ხელოვნებისათვის შემატებულ ხელმისაწვდომ სიმბოლოთა გამოსახულებას.“ როდმანი პიონერია რედაქტორთა შორის, მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღმოაჩინა და დაბეჭდა თეოდორ როტკე და რობერტ ლოუელი და დიდი ხანია ერთგვარი კატალიზატორია პოეზიასა, მხატვრობასა და კრიტიკაში. მნიშვნელოვანი ნაწილი მისი ანთოლოგიისა – „100 თანამედროვე ლექსი“ – უცხოური პოეზიასა, რაც ჩვენს სიმბოლიზმზე ფრანგულ გავლენასა და ჩვენს ლირიკაზე კელტურ (იეიტსი, დილან ტომასი) გავლენაზე მიგვანიშნებს. ამ ორი აუცილებელი გავლენის ტრანს-ატლანტიურობა უკუაგდება ჩვენს ლიტერატურულ შოვინისტთა იზოლაციონიზმს.

ფორმალისტი ყველაზე მძლავრია დღესდღეობით და ყველაზე გავლენიანიც, რაც გამოხატულია ტექსტის ექსპლიკაციის – ახალი კრიტიკის მიერ შემუშავებულ – მეთოდში. როცა ახალი კრიტიკოსები უკუაგდებენ უადგილო ისტორიულ, ფსიქოლოგიურსა და „დამრიგებლურ“ ინკრუსტაციებს (კლასის დამრიგებლის მითითებებს ბიოგრაფიებზე), ისინი ბრწყინვალედ გვასწავლიან თვით ტექსტის წაკითხვას. როცა ისინი უკუაგდებენ შესაბამის ისტორიულ, ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ ასპექტებს, არასწორად კითხულობენ თვით ტექსტს. მკითხველის გამოხმაურება ლექსზე ყოვლისმომცველი გამოხმაურებაა, *Gestalt*,* რომელშიც ესთეტიური, ეთიკური, ფსიქოლოგიური, ისტორიული ფაქტორები განუყოფლად შეკავშირებული.

* ნიმუში, აღნაგობა

თავის მოტყუება იქნებოდა გვეცადა მათი გაცალკეება მკვეთრი საზღვრებით; ფორმალისტი ვერცერთი ალქიმიკოსი ვერასოდეს გამოყოფს „წმინდა“ ესთეტიკის კვინტესენციას, რასაც მხოლოდ კრიტიკის სერტიფიცირებული, „წმინდა“ მანდარინები განსჯიან. ეს განუყოფლობა ფორმისა და შინაარსისა შეიძლება იყოს ალოგიკური, არასასურველი და სწორედ ასეც არის.

უდიდესი ფსიქოლოგიური გარდაქმნა ამერიკაში, 1930-სა და 1950 წლებს შორის, იყო რევოლუცია რევოლუციის წინააღმდეგ. პოლიტიკაში ამგვარი გარდაქმნა ხან მისასაღმებელია, ხანაც სახიფათო. მისასაღმებელია, როცა კომუნიზმისა და მის ამფსონთა სატყუარას ახდის ნიღაბს; სახიფათოა, როცა ხშირ-ხშირად გვთავაზობს საკუთარ თავს, როცა დროებით მოიმარჯვებენ ხოლმე მრუდე გზებზე, ნაციონალისტი აზრის-მეთვალყურენი; ამიტომაც საჭიროა, კერძო შემთხვევებში, ვუწოდოთ რევოლუცია – მიმართული რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციისა. მაგრამ თუკი ცვლილებებს პოლიტიკაში მხოლოდ ხანდახან მოაქვს სიკეთე, თითქმის მთლიანად მისასაღმებელია ფილოსოფიაში, ხელოვნებასა და პოეზიაში. ვინ მოინდომებდა დღეს, ორიოდ შემორჩენილი მარქსისტიდან, დაბრუნებოდა გამეშვებულ პროლეტარულ ლექსს, პროლეტარულ რომანს და „სოციალური მნიშვნელობის სიმღერებს,“ ახალი მასები რომ გამოფენდნენ ხოლმე 1930-იან წლებში.

რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციის შედეგად ამერიკულმა და ბრიტანულმა პოეზიამ – და ხშირად ფილოსოფიამ – თავი დაანება ყოველ შემხვედრ ბასტილიაზე შეტევას (გზადაგზა ყოველ როიალისტურ ნაწარმოებს რომ ჰკვეთდნენ თავს) და რწმენითაც და ტექნიკითაც ბურბონთა რესტავრაციას შეუდგა. რწმენის მხრივ ამერიკული და ბრიტანული პოეზია 1930-იანი წლების სემიმარქსისტული რადიკალიზმიდან 1950-იანი წლების ქრისტიანული ლიბერალურ-კონსერვატული მიმართულებით განვითარდა. ტექნიკის მხრივ კი იგივე პოეზია ხშირად გადადიოდა თავისუფალი ლექსიდან მკაცრი სერიოზულობით გამორჩეულ ფორმაში. როგორც რწმენის, ისე ტექნიკის მხრივ. ამ ევოლუციის სანიშნოდ უ. ჰ. ოდენის პოეზია გამოდგება.

1912-1913 წლებში ემი ლოუელის იმაჟინისტებმა თითქოს უკანასკნელი სიტყვა თქვეს თავისუფალი ლექსის განვითარებაში. იგივე ითქმის 1930-იანი წლების პროლეტარულ ლექსზე, როცა სოციალურ პათოსს თავისუფალი ლექსის გამომწვევი პრანჭიაობა დაუმატეს, რაც ტექნიკას აკლდა იმაჟინიზმის სპილოს ძვლის კოშკის ხანაში. მაგრამ უფრო ახალგაზრდა თანამედროვე პოეტებში თავისუფალი ლექსი მკვდარია და დავინწყებული. მიზეზი მისი სიკვდილისა, ცხადია, უპასუხოდ რჩება; ფროსტის მეტაფორისა არ იყოს, შეუძლებელია ჩოგბურთის თამაში ზადის გარეშე. ზადე მკაცრი ფორმისა – და რაც უფრო ტრადიციულია, მით უკეთესი – საჯილდაო ქვაა, რაც ყველაზე უკეთ ინვეცს, აგულიანებს, აცდუნებს პოეტს – გამოეხმაუროს მშვენიერებას.

არავითარი სადავო არ გავგანჩნია ახალი კრიტიკის ფორმალისტებთან ფორმის სიმკაცრის თაობაზე. დავა ინყება მხოლოდ მაშინ, როცა სიმკაცრე ყველაფერს ჩარა-

ზავს: მაშინ, როცა ისინი უარყოფენ შინაარსს (შინაარსის მნიშვნელობას და აგრეთვე მნიშვნელობას შინაარსთან მისვლისა), რის გამოც ისეთივე ცალმხრივნი ხდებიან, როგორც 1930-იანი წლების პოეტები იყვნენ, ვინც მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შინაარსს და არაფრად აგდებდნენ ფორმის საჭიროებას.

თუ შევძლებდით, სიტყვა „ფორმა“ უფრო ფართო, კლასიკური აზრით განგვეხილა, გასხვავებით ვინრო ტექნიკური გაგებისაგან, შესაძლებელი გახდებოდა გვეთქვა: ფორმა ხელოვნებაა, ფორმა ყველაფერია. ფართო კლასიკური გააზრებით ფორმა ნიშნავს არა მხოლოდ ტექნიკას, არამედ ადამიანის სულის ნაწილსაც. ეს ფართო მნიშვნელობა ფორმა-ნაწილისა განუყოფლად ესთეტიკურია, ეთიკური, სულიერი და, როგორც თვით სულს, კმაყოფილებისათვის სხვა არა უნდა რა, გარდა იმისა, რომ ფორმაც შეიარსება.

ცხოვრებაცა და ლიტერატურაც – ორივე დამოკიდებულია ფორმალურ ჩარჩოებზე; პირველი – ეთიკურ ფორმაზე, მეორე – ესთეტიკურ ფორმაზე. პოეზიის მკითხველი ვერ იქნება ნამდვილი ადამიანი, ვიდრე ერთდროულად არ გახდება ორივეს, ცხოვრებისა და ლიტერატურის, საკუთრება. ამიტომაც მისი ადამიანური გამომხაურება ლექსზე ერთდროულად ეთიკურიცაა და ესთეტიკურიც. იტყვიან, დიდი, კონსერვატიული რევოლუცია უფორმო, რადიკალური, მატერიალისტური ოცდაათიანი წლების წინააღმდეგ არასრულყოფილი იქნებოდა, რომ არ ჰქონოდა უფრო ღრმად შესანახი ფორმა, ვიდრე *terza rima*-ს რითმების სქემააო. რა დაცინვაა! თითქოსდა დანტეს *terza rima* რაღაც სიცარიელეში შესანახი ნიმუში იყოს და არა ჩრდილი, გადმოსროლილი უფრო ვრცელი სულიერი ნიმუშის მიერ. ფორმალისმი ვინრო ტექნიკური და წარმოსახვის გარეშე არსებული სიტყვიერი დამატებაა ლექსისა, კონსერვატიული ჭეშმარიტებისა, რომ თავისუფლება და მშვენიერება ტრადიციული სულიერი მემკვიდრეობის ფორმალური ნიმუშებითა გამაგრებული. ფორმას – ჰო. ფორმალისმს – არა.

ზოგიერთი ამერიკელი ფორმალისტი პოეტისა და მხატვრის საქციელი ცქვიტ, პარაზიტ მწერს მოგვაგონებს, „პოდურანს“ რომ უწოდებენ და ერთი განსწავლული ტექსტი ასე აგვიწერს:

„პოდურანს... ეს პატარა აქტიური ელფები დაუპატიჟებელი მწერ-სტუმართა ცხოვრებით ცხოვრობენ, მოფარვატებენ მასპინძლის მიერ ძნელად მისაგნები ბუდიდან და კრეფენ საჭმელის ნარჩენებსა და დაფანტულ ნამცეცებს... ეს სტუმრები სავსებით უვნებელი არიან ქველმოქმედთა მიმართ და ნაკლებ არიან შეგუებული მათ შორის ცხოვრებას, თუ არ ვიგულისხმებთ, რომ ნეიტრალურ სუნს გამოსცემენ და იშვიათი მოხერხებულობით ძვრებიან ყველაზე მჭიდრო ბრბოშიც კი.“

რასაკვირველია, შესაძლოა მოგვხიბლოს (რაკი ვიცით, რომ ლექსით თავის მოქონება არ ხერხდება) ამ ცქვიტი პარაზიტის მოხერხებულობამ, „დაფანტულ ნამცეცებს“ რომ კრეფს. ვინც ნიუ-იორკში დავიბადეთ, ტაშს დაუკრავთ „იშვიათი მოხერხებულობით ყველაზე მჭიდრო ბრბოში“ შეძრომას, მაგრამ განა „ნეიტრალური სუნი“ უმაღლესი ღირსებაა პოეტისათვის, როდესაც მიმდინარეობს არა რაღაც ეფემერული პარტიული დავა, არამედ აღნუსხვა სიკეთისა და ბოროტებისა? და, ჩვენი აზრით, დანტესა და მილ-

ტონს, როგორც ჩანს, კვლავ გვეძლევა მილტონის ხსენების უფლება, ნეიტრალური სუნი არ გააჩნიათ.

ჩვენს წინაშეა რეალური მოვლენა, რამაც ორ ბანაკად გაჰყო პარნასი ამ ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული დაპირისპირებისას. სახელდობრ, დაპირისპირება გამოიწვია დავამ, ეზრა პაუნდის „პიზური სიმღერები“ თანამედროვეობის ერთ-ერთი „უდიდესი შედეგია“, როგორც მონინავე პაუნდელეები აცხადებენ, თუ ეს წიგნი მოკლებულია ასეთ სიდიადეს არამარტო სტილისტურად, არამედ ზნეობრივი გულგრილობის გამოცო (მაგალითად, ბელსენის კრემატორიუმებისადმი). ჯორჯ ორუელის, ამ განსაცვიფრებლად შეუგუებელი კაცის, ბოლო საჯარო განცხადება გახლდათ კომენტარი ბოლინგენის პრემიის გამო, კონგრესის ბიბლიოთეკის ეგიდით რომ მიენიჭა ეზრა პაუნდს. 1949 წლის მაისში ორუელი „პარტიზან რივიუში“ წერდა:

„ამ ცოცხალ ხნის წინათ ვიხილე წერილი ამერიკულ პერიოდულ გამოცემაში, რომ პაუნდი მაშინ მუშაობდა რომის რადიოში, როცა „მისი გონებრივი წონასწორობა დარღვეული იყო“. მტკნარი სიცრუეა. პაუნდი მგ ზნებაზე მიმდევარი იყო მუსოლინისა 1920-იანი წლებიდან, და არასოდეს დაუმალავს ეს. იგი თანამშრომლობდა მოსლის მიმოხილებებთან „ბრიტიშ იუნიონ ქუთოთერლიში“. ...მისი გადაცემები საზიზღარი იყო. სხვა თუ არა, ერთი მაინც მახსოვს, სადაც ამართლებდა აღმოსავლეთ ევროპელი ებრაელების ჟლეტას და „აფრთხილებდა“ ამერიკულ ებრაელებს, თქვენი ჯერიც მალე დადგებო... შესაძლოა, კარგი მწერალია (უნდა აღვნიშნო, რომ მე პირადად ყოველთვის თავით ფეხამდე ყალბ მწერლად მიმაჩნდა), მაგრამ შეხედულებანი, რომელთა გავრცელებასაც თავისი თხზულებებით ცდილობს, მავნეა“

ორუელის მიერ გამოთქმული პროტესტი ნაცისტთა მიერ გაჩაღებული ჟლეტის ირგვლივ პოეტის ქირქილზე მხოლოდ პოლიტიკურადაა ღირებული თუ ესთეტიკურადაც? პოეზია უნდა განვსაჯოთ პოეტური საზომებით და არა პოლიტიკურით. მაგრამ თუნდ შემოვიზღუდოთ და მხოლოდ პოეტური საზომებით განვიხილოთ პაუნდის „პიზური სიმღერები“, სტრიქონ-სტრიქონ გამოჩნდება, რომ მის უხემ ქირქილს ნაცისტთა გაზ-კამერების მსხვერპლთა მიმართ, შესაბამისად მოჰყვა მისთვის ჩვეული წმინდა პოეტური გამომხატველობის შესუსტება. ეს იმიტომ მოხდა, რომ შეუსუსტდა უნარი ადამიანური თანაგრძნობისა, შეუსუსტდა მგრძნობიარობა და აღქმის უნარი. შესუსტება ერთდროულად ავინროებს შემოქმედებითი წარმოსახვის ყველა ასპექტს და თანაბრად მოიცავს პოეტურსა და სულიერ მხარეებს. ავიღოთ სპეციფიკური ნიმუშები პაუნდის ტექსტიდან; განა შეძლებს თუნდაც მარსიდან მოვლენილი საარაკო დამკვირვებელი, ვინმე წმინდა ესთეტი, „ესთეტიკისათვის შეუფერებელი“ ანტიფაშისტური და ადამიანური „ცრურწმენებისაგან“ განზე მდგარი, მშვენიერება ჰპოვოს მსგავს სტრიქონებში? „პეტენი იცავდა ვერდენს, მაშინ, როცა ბლუმში იცავდა ბიდეს.“ ან „ჟენეველი ნეხვიჭამიები / ბაყაყები, ბრიტები, ორიოდე ჰოლანდიელ სუტენიორთან ერთად.“ ანდა წიგნის მიერ მოწოდებული ცნობა, რომ ფაშიზმთან წინააღმდეგობით, „გოიმი ხელსაყრელ სასაკლავოზე მიდის“, „ყვეერი მეფე დავითის, უპირველესი ძალღმვილის“ გულისთვისო.

შემოქმედებითი წარმოსახვის ისეთივე სტერილიზებას ვხვდებით ერთ დროს იმედისმომცემი რომანისტი ილია ერენბურგის ნაწარებში; როცა წარმოსახვა მთლიანად შეეგუება ტოტალიტარულ ავტორიტარულად, ერენბურგის შემთხვევაში – კომუნისტსა და პაუნდის შემთხვევაში – ფაშიზმს (ამერიკული პოპულიზმის გავლით), შედეგად ერთსა და იმავე ესთეტიკურ სიბერნეს მივიღებთ. მექანიზებული პროგრამის სული ადამიანურობას აცლის არა მსხვერპლს, არამედ გამარჯვებულს, მის მიმდევრებს, აპოლოგეტებს; და რაც ადამიანურობისგან ცლის, ლირიკულობისაგანაც ცლის, მიჰყავს წმინდა *l'art pour l'art*-ისაკენ, სრულიად აშორებს პოლიტიკასა და ეთიკას. ეს დასკვნა, გარდასული დავის მშვიდი გახსენება, ალბათ ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილია, იმავე დავიდან რომ მომდინარეობს.⁴

ამ გაკვეთილის წარმოშობამ გარკვეულ ხანაში შეუსაბამო და უსამართლო ბრალდებანი გამოიწვია, ორივე მხრიდან და სერიოზული დაპირისპირება ესთეტიკაში, პოლიტიკურ დემაგოგიაში გადაიზარდა. დღეს უკვე მივინყებულნი სტატიები პაუნდის ფაშისტურ შეხედულებათა გაზიარებაში ადანაშაულებდნენ ბოლინგენის პრემიის კომიტეტს, რაც არც ზემოთაღნიშნულ „პიზურ სიმღერებს“ უკავშირდებოდა და არც ზემოთხსენებულ რეალურ ვითარებას. ცილი დასწამო არაფაშისტ ოპონენტს ფაშისტობაში, იმის ნაცვლად, რომ მიიღო და სერიოზულად განიხილო მისი არგუმენტები, ისეთივე უსამართლობაა, როგორც მეორე, სულ ახლანდელი, დემაგოგია, არაკომუნისტ ოპონენტებს კომუნისტობას რომ აბრალდებდნენ.

უსამართლო გაზვიადება დაამახინჯა არამარტო ანტიპაუნდური, არამედ ჯილდოს დამცველთა მხარეც. დღესაც კი, დამცველთა უმრავლესობა, ჯილდოს სერიოზულ კრიტიკოსებს სქელკანიან ფილისტერებად ნათლავენ, ვისაც არ შეუძლია ესთეტიკური საზომებით შეაფასოს პოეზია. ჯილდოს ვერცერთი სერიოზული ესთეტიკური კრიტიკოსი ვერ უარყოფდა პაუნდის სასიკეთო წვლილს ამერიკულ ლიტერატურაში, წვლილს, რაც უკვე გათავისებული და აღიარებულია ნამყვან ლიტერატურულ წრეებში. მხოლოდ პიროვნებისადმი შურისძიებით აღვსილ კრიტიკოსს, ვისი მდგომარეობაც თანაგრძნობას თუ იწვევს, მხოლოდ მას, ვისაც დებატებში გამარჯვება სურს და არა სამართლიანობა, შეუძლია უარყყოს მშვენიერების იშვიათი (თუმცა არა ნიშანდობლივი) გაელვება პაუნდის გვიანდელ სიმღერებშიც კი; დაამდაბლე შენი ამპარტავნება – ამ წუთისათვის ეს სტრიქონი გამახსენდა.

ტექნიკური ვირტუოზობა, *à l'art – pour – l'art* ფორმალისმი, უმჯობესია სამიტინგე პოეზიისათვის, როცა ხელოვნება პოლიტიკური პროპაგანდის მექანიზმად იქცევა და საუბრობს მხოლოდ პოეტის „სოციალურ პასუხისმგებლობაზე“, და არა მისი ხელოვნების სტანდარტების პასუხისმგებლობაზე. ვირტუოზობა სიქველე არ არის; მაგრამ განსხვავებით სამიტინგე პოეზიისაგან, ვირტუოზობა, სხვას თუ არაფერს, ხელოვნების სტანდარტებს მაინც სცემს პატივს და ამიტომაც ნაკლებ მავნეა. მაგრამ რატომ უნდა ჩავკეტოთ პოეზია ამ სიყალბეში, ავტორიტარულად და პრიალა ავეჯს შორის არჩევანში? მესამე გზაც ხომ გვაქვს: არა დიდაქტიკის ზნეობრივი ქადაგება, არამედ ზნეობრივი

ჭვრეტა ლირიკული ჰუმანიზმისა. ზნეობრივი ჭვრეტა ისეთივე ნაწილია ჰუმანური ყოფისა, როგორც სიყვარული და თავყარაობა. უმაღლესი მიზანი მშვენიერებაა და არა სოციალური საჭიროება; ავტორი და ფორმალისტიები თანხმდებიან ხელოვნებისა და ცხოვრების ამ უპირველესი პოსტულატის გამო. და მაინც, ფორმალისტებმა უნდა შეითვისონ მეორე პოსტულატიც: მშვენიერებას მხოლოდ მშვენიერებაზე მეტის ძიებით თუ მიაღწევ.

კატალიზატორი მხოლოდ ხანდახანაა საჭირო; მიუკერძოებლობა სხვა შემთხვევაში არ არის მიუკერძოებლობა ამ შემთხვევაში, როცა ვადგავართ გზას სიმშრალისაგან თავის დაღწევისა, გზას ელიოტის იმპერიის ანტილირიკულობისა და კრიტიკის მანდარინებისაგან თავის დაღწევისა. საჭირო კატალიზატორი იქნება გაუთლელი ხმა, ან ხმა *Toidy Toid* ქუჩიდან, ღრჭიალ-ღრჭიალით რომ აპობს ჰაერს ურიტმო და დაუხვეწავი, მეტისმეტად აუტოდიდაქტიკური, თანამედროვე მოდის გემოვნებამ რომ გარყვანას; ხმა გამგმირავი, გამაოგნებელი აღფრთოვანებისა, არა კეთილშობილი ველურისა (დენდებისაგან ნალოლიავების), არამედ სულმდაბალი ველურისა, უტაქტო ვულგარულობაში გათქვეფილისა, რომლის მხსნელი ვულგარიზმიც შინაარსს შესძენს ფორმალისმს, ჰერმეტიზმსა და ხელოვნების დეკადენტურ დახვეწილობას. ლირიკა შეიძლება დაბრუნდეს ან არ დაბრუნდეს ამერიკაში ასეთი რისკიანი, მაგრამ ცოცხალი მრისხანების გავლით. მაგრამ ლირიკა არასოდეს დაბრუნდება ახლანდელი ალექსანდრიული მუზეუმების გავლით: ჰკითხეთ ფუტურებს, მათ იციან, როგორ განახსვავონ ყვაილი შუშისაგან.

პოეტებსა და მკითხველებს შორის კავშირის მომავალი აღდგენით, სხვათა შორის, აღდგება ეთიკური არსიც. მაგრამ ეს არასოდეს, არასოდეს მოხდება ექსპლიციტური ქადაგებით; სარედაქტორო სტატიები, თუნდ ანგელოზთა მიერ გართმული, ჰკლავენ ლირიკას. ლირიკა კი ერთი უდიდეს დანიშნულებათაგანია, პოეტს რომ შერჩენია, მას შემდეგ, რაც მეცნიერებისა და პროზის შემოჭრამ წაართვა ადრეული არალირიკული როლი კანონმდებლისა, ფილოსოფოსისა, წინასწარმეტყველისა და მჭვრეტელისა. და მართებულადაც წაართვა. ლირიკაც საკმარისია; ერთი მეტაფორა, ერთი ლირიკული გაელვება ადამიანური გულის ალტაცებისა და სიმწარისა კვლავაც გვანიჭებს იმპლიციტურად უფრო მეტ ზნეობრივ ალღოს, ვიდრე დიდაქტიკა. ალღოს და არა იმას, რაც „ყველა ბრძენს ძალუძს“. ლირიკა გვანიჭებს მეტ ადამიანურ ალღოს, ვიდრე რომელიმე რომანტიკული „იმპულსი გაზაფხულის ტყისა“. და, რა თქმა უნდა, უფრო მეტს, ვიდრე პოზიტივისტური მეცნიერების სტატისტიკა.

სტატისტიკასა და საცდელ მილებს თავისი ადგილი აქვს; ისევე, როგორც სარედაქტორო სტატიებსა და იდეოლოგიას; მაგრამ ისინი არ აბრუნებენ მზესა და ვარსკვლავებს. ლირიკა და სიყვარული სინონიმებია; ლირიკა და სიყვარული ერთადერთი ცეცხლია, რაც აკავშირებს ფორმასა და შინაარსს, ესთეტიკასა და ეთიკას, ისე, რომ არცერთს არ შეინირავს მსხვერპლად. როდესაც მოცარტი სულ პატარა იყო, უფროსმა მეგობარმა, გოტფრიდ ფონ ჯაკუინმა, დიადი ხელოვნების სახელმძღვანელოდ ეს სიტყვები ჩაუწერა ალბომში: „ჭეშმარიტი გენიალობა ვერ იარსებებს

უგულოდ, რადგან ვერც დიდი ცოდნა, ვერც წარმოსახვა, ვერც ორივე ერთად ვერ შექმნის გენიოსს. სიყვარული! სიყვარული! სიყვარული! ეს არის სული გენიოსისა“.

შენიშვნები

1. დონალდ დევი, პერიოდულ გამოცემაში „მეოცე საუკუნე“, ლონდონი.

პიტერ ვიერეკი დაიბადა 1916 წელს. გარდაცვალებამდე იგი მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის ისტორიის პროფესორ ემერიტუსი იყო; რუსეთ-მცოდნეობასა და პოლიტიკურ მეცნიერებას ასწავლიდა. იყო ამავე კოლეჯის პროფესორი 1948-1987 წლებში და კათედრის გამგეც გარკვეული ხნის მანძილზე. იგი ცნობილი პოეტი, კრიტიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნეა. მრავალი შემოქმედებითი ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის, პულიცერის პრემია პოეზიაში და გუგენჰაიმის სტიპენდია პოეზიაშიც და ისტორიაშიც; ერთდღერთი მწერალია ამერიკაში, ვისაც ეს სტიპენდია ორ დარგში აქვს მიღებული. მოკლედ, ამერიკული ლიტერატურისა და პოლიტიკური აზროვნების პატრიარქი გახლდათ. ბოლო დროს ცოტას ბეჭდავდა, გასაგებია რატომაც, მაგრამ ყველანი მონიშნებით

რედაქციისაზან

ახსენებდნენ, რაც ამერიკაში იშვიათია, იქ თუ აღარ ბეჭდავ, აღარც არსებობ.

ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს მასზე. იგი გერმანული წარმოშობის ამერიკელი პოეტისა და პროზაიკოსის ჯორჯ სილვესტერ ვიერეკის შვილია. ჯორჯ ვიერეკს დიდი გავლენა არ მოუხდენია ამერიკული ლიტერატურის განვითარებაზე, მაგრამ თავი იმით გამოიჩინა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტთა თავგამოდებული აპოლოგეტი იყო და 1942-1947 წლებში სადაზვერვო კანონის დარღვევისათვის ციხეშიც კი იჯდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს ჯორჯ ვიერეკი გერმანიის კაიზერ ვილჰელმ I-ის ვაჟი იყო, ვინც მას მსახიობ ედვინ ვიერეკთან უკანონო ქორწინების შედეგად შეეძინა.

პიტერ ვიერეკი გარდაიცვალა 2006-ის წლის მაისში.

ნადირობა ავტორებზე

ბატონო რედაქტორო!

მტკიცებას არ დავინყებ, როგორ მიყვარს ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“. დაე ამ ბარათმა თვითონვე გაამჟღავნოს, გულშემატკივრობამ ამაღებინა კალამი ხელში თუ მოცალეობამ (ისე თქვენი ნიგნის, „ქება სიზარმაცისა“, მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არც მოცალეობა ყოფილა დასაძრახის!).

თქვენ თავს სდებთ დემოკრატიზმსა და ჰუმანისტობაზე და საკვებით სამართლიანადაც, მაგრამ მაინც მგონია, რომ გადამეტებული დემოკრატიზმი თუ ლოიალობა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. მომიტყვევთ ასეთი პირდაპირობა, მაგრამ ქართული სალიტერატურო ცხოვრებისათვის თვალყურის დევნება იმგვარ შთაბეჭდილებას მიტოვებს, რომ „ნადირობა“ გაჩაღებული თქვენს მიერ აღმოჩენილი ან დანინაურებული ავტორების გადასაბირებლად. თითქოს კვალში ჩაგდგომიან, გაახშიანებთ თუ არა ვინმეს სახელს, მაშინვე უნდა მიიტაცონ, ყველა თუ ვერა (და, როგორც ვაბყობ, სწორედაც რომ ვერა), არაერთი მაინც.

სალიტერატურო გამოცემათა მიზანი ის უნდა იყოს, რომ თვითონვე იპოვონ ახალი სახელები ანდა ნაკლებ დაფასებულ, ოღონდ ღირსეულ მწერლებს შესაფერისი პატივი მიაგონ, მზამზარეულის მიტაცება-მისაკუთრებაზე კი არ იყვნენ გამეცადინებულნი, რაც საქციელადაც უკადრისია, არამცთუ საგაზეთო-საჟურნალო პოლიტიკად.

რაც უნდა იყოს, საბოლოოდ მაინც ავტორები წყვეტენ, დაჰყვენ თუ არა ცთუნებას თავლის ქილისა თუ დათაფლული სიტყვის.

ცხადია, ვერავის დაუშლი, სად ითანამშრომლოს, ან – ერთ გამოცემასთან ერჩიოს ურთიერთობა თუ რამდენიმესთან, მაგრამ მიკვირს და გამკვირვებია: ვინც ვერ ან ნაკლებ აფასებს „ჩვენი მწერლობის“ მოქმედების გეზს – გამართოს ქართული ლიტერატურა ევროპული რადიუსით, ვისთვისაც ის დიდად არ წარმოადგენს კულტურის კერასა თუ სულიერების ოაზისს, მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი გამოცემა და ამიტომ არც ერთგულებას იჩენს მისადმი, თქვენ რატომღა უნდა შეხედოთ ყოველივე ამას ლოიალურად და შესაფერისი გადამწყვეტილება არ მიიღოთ?!

„ჩვენს მწერლობას“ ისეთი გამოკვეთილი სახე აქვს, ცალკეულ ავტორთა მოგზაურობა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მის გამორჩეულობას ვერ დააკნინებს, მაგრამ მცირეოდენ ჩრდილადაც რატომ უნდა დამჩნეს?

მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, ისეთ ავტორებს, რომელთათვისაც სულერთია, „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოაქვეყნებენ თავიანთ თხზულებებს თუ სხვაგან, და პირველივე დაძახილზე აქეთ-იქით გარბიან გაურკვეველი მსოფლმხედველობისა და მიმართულების გამოცემებში, გამოვემშვიდობებოდი და წარმატებას ვუსურვებდი სალიტერატურო ასპარეზზეც და პირად ცხოვრებაშიც.

ვინმეს ჭკუის დარიგებისაგან ღმერთმა დამიფაროს და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვცდებოდე, მაგრამ მოვალედ მივიჩნე თავი, ნრფელად გამეზიარებინა ჩემი გულისტკივილი. თქვენი მხრივ კი ანგარიშს გაუწევთ თუ არა ამგვარ მოსაზრებას, „ჩვენი მწერლობის“ ნომრები თავისთავად გამოაჩენს.

თქვენი სიკეთის სურვილით

ნიმო ტლაშაკი გორი

ფრიდონ ხალვაში

ერთხელ ნაზიმ ჰიქმეთთან

ბურსას ციხიდან გაიქცა თუ გააქციეს, არ ვიცი, მაგრამ 1951-ში, ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვში აღმოჩნდა.

იმავე წლის ზაფხულის მინურულს, გემ „გრუზიათი“ სოჭიდან ბათუმს ეწვია ერთი დღე-ღამით (ციხიდან ჭლექმეყრილი გამოვიდა. მას მოსკოველი ექიმი ქალი ახლდა).

გემიდან პირდაპირ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში მისულა. მე ნაზიმ ჰიქმეთი ვარო, შესვლისთანავე განუცხადებია. ჯერ ვერც დაიჯერეს თურმე. მერე ყველანი პოეტს შემოეხვივნენ.

ჯერ კიდევ ბურსას ციხეში გამოკეტილი ჰიქმეთის ერთი ლექსი, „შიმ-შილობის მეხუთე დღე“, რომელიც „ლუმანიტიდან“ „ლიტერატურნაია გაზეტას“ გადმოეღო, 1946 წელს ვთარგმნე და სწორედ ბათუმში დაბეჭდე. ვილაცას გაზეთის ის ნომერი მოუძებნია და სტუმრისათვის უჩუქნია.

პატიმარ თურქ პოეტზე ყველგან, ჩვენშიც, იმ დროს ბევრი იწერებოდა. მთელი „პროგრესული კაცობრიობა“ შეშფოთებულ იყო მისი ბედით. ნაზიმი თითქმის ლეგენდად იქცა.

„ინტურისტთან“ სურათი გადაგვიღეს. ის, მაღალი, ქერა, ცისფერთვალა, შუაშია. გრძელი „პლაში“ აცვია. ფერფლისფერი ქოჩორი უხდებოდა. თურქს არც ჰგავდა.

და, აი, 1956 წლის თოვლიანი შემოდგომის ერთ მიმწუხრზე, მოსკოვის მახლობელ პერედელკინოში, „ჰიქმეთის სახლს“ მივაღვექი. დიახ, ასე იყო, – „დომ ხიკმეტა“-ს ეძახდნენ იმ ორსართულიან ფიცრულ აგარაკს, სადაც საბჭოეთს შეფარებული თურქი კომუნისტი პოეტი ცხოვრობდა.

კარი გამიღეს და, როგორც კი შიგ აღმოვჩნდი, ქალი მომეგება. „ოო, ნაშ ბატუმეც!“ – მომადახა (დარეკილი მქონდა წინასწარ და ალბათ ნაზიმმა აუხსნა, ვინ ვიყავი). იქვე, პირველი სართულის დერეფანში, ნაზიმი ჯორკოზე იჯდა, რაღაც ჩხირებს დანით ფხეკდა, ტკეჩებივით დრეკდა. ძირს, მგონი, მეორე ჯორკოზე პატარა ანძებამწვერილი გემის მაკეტი ჩანდა. მიატოვა სამუშაო, მომესალმა და იქვე ტკეჩითვე ნაქსოვ ორ სკამზე ჩამოვჯექით. მეო, მითხრა, სტამბოლის საზღვაო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთხანსო. მიყვარს ზღვა

და გემიო. აი, ამით, ახლა თითქოს იქ, ჩემს სიყმანვილეში დავიბრუნე თავიო, – მიხსნიდა.

შემდეგ ზედა სართულისკენ შევუყევით კიბეს, ხის კედლებზე, ალაგ-ალაგ, თავისი პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების აფიშები გაეკრა. იქ სხვა პლაკატებიც დავინახე, ნაზიმი ციხიდან მსოფლიოს ელაპარაკება. ნაზიმი – კომუნისტი. ნაზიმი – მგზნებარე რევოლუციონერი. ნაზიმი – მშვიდობის მომღერალი. ნაზიმი – საბჭოთა ხალხის დიდი მეგობარი. წარწერები – სხვადასხვა ენებზე. ზემოთ, მოზრდილი ბიბლიოთეკის ერთი თაროდან თურქულად დაბეჭდილი თავისი ერთი კრებული გადმოიღო, გადაშალა, რაღაცა წაანერა და საჩუქრად გადმომცა. მითხრა, ეს წიგნი სოფიაში გამოიცა, ჩემს სამშობლოში კი ჩემსას არაფერს ბეჭდავენო.

საუბარში, შიგადაშიგ, ჩემი, ბავშვობაში „კალაიჯე-ბისგან“ (მკალავეები, ხშირად, თურქეთელი ბერძნები დადიოდნენ სოფელ-სოფელ. ისინი თურქულად ლაპარაკობდნენ ჩვენებურებთან) განაგონ-დამახსოვრებული თურქულითაც ვსინჯავდი და ლაპარაკებას. უხაროდა, მაგრამ ისე ვწვალობდი, შემობრალებდა, – ხშირად ისევე რუსულზე გადადიოდა. რუსულად ნაზიმი თავისუფლად უბნობდა.

იმხანად აჭარის გამოცემლობიდან შემატყობინეს, გამზადებთ ჰიქმეთის კრებულს გამოსაცემად. იქნებ სთხოვო დიდ პოეტს, პატარა

წინასიტყვა დაგვინეროს ამ წიგნისათვისო.

– ნაზიმ ეფენდი! – ვუბნები, – აი, ბათუმელები გთხოვენ, იქ გამოსაცემი თქვენი წიგნისთვის წინასიტყვა დაგვინეროთ. თუნდაც რამდენიმე სტრიქონი. – გავუადვილე საქმე, გაეღიმა და იცით, რა მითხრა? მე წინასიტყვა არცერთი თურქულად გამოცემული წიგნისთვის (როცა შინ ვიბეჭდებოდიო) არ დამინერია, მაგრამ რადგან ახლა ამას ბათუმი ითხოვს ჩემგან, რა გაენყომა, ბათუმს უარს ვერ ვეტყვიო.

ჩამოვჯექით წიგნებიანი კარადების გვერდით და ჰიქმეთმა მთელი ამბავი გაიხსენა. საბჭოთა წყობილება ერთი წლის ძლივს იქნებოდა. ტყე-ღრეებში ფეხით გადმოვიპარე საზღვარზე. ჩემი გული და სული „ახალი სამყაროსკენ“ მიილტვოდა. დამწყები კომუნისტი ვიყავი, ჩემი ხალხის საცოდავი ცხოვრების შემყურეს, საბჭოელთა გრანდიოზულ წამოწყებებში ადამიანთა მომავალი, ნამდვილი საშველი და ხსნა მეგულებოდა. იცით, როცა გჯერა, განამს კიდევ, იგი სწორუპოვარ ჭეშმარიტებად მიგაჩნია. ამას ენდობი, მასზე ლოცულობ. გინდა უღარიბეს მშრომელ ადამიანთა ამ ნანატრმა გაიმარ-



ნაზიმ ჰიქმეთი ბათუმში

ჯვოს. გინდა შენ იყო შენი ხალხისთვის საოცნებო, ნათელი მომავლის მქადაგებელი (იმ წუთებში, ნაზიმს შევატყვე, რომ მოსკოვში და საბჭოეთში უკვე რალაც-რალაცები აღარ სჯეროდა, გულგატეხილობის ნიშნები იგრძნობოდა. ამაში სინანულის სევდაც, რალა თქმა უნდა, აშკარა იყო).

მერე უცებ მომიბრუნდა, – წინასიტყვა აღბათ რუსულად გირჩევნია დავწერო? არა-მეთქი, ვუპასუხე. მთელი კრებულზე თურქულიდან ითარგმნა და აჯობებს წინასიტყვაც თურქულიდან ვთარგმნოთ-მეთქი. კი ბატონო, მაგრამ შენ თურქულიდან როგორ ითარგმნი. მე ავუსხენი, ვინვალე, მაგრამ ლექსიკონისა და მცოდნე ახლობელთა დახმარებით ამას თავს კარგად გავართმევ, პოეტის დედა ენიდან ითარგმანი რომ დაეწერება წიგნს, სხვაგვარად დააფასებენ-მეთქი. – არც ლექსი არ დამინერია სტამბოლ-ქალაქზე, ბათუმზე კი, ჩემო ძვირფასო, ღირდა ლექსიც დამეწერა, შენი ქალაქის კედლებიდან მივიღე მე პირველი გაკვეთილები სოციალიზმისა. მერე იქიდან მოსკოვში ჩამოვედი. აქ კომუნისტურ უმაღლესში ვისწავლე. მაშინ რუსულიც შევითვისე. მაიაკოვსკი ცოცხალი იყო, დედანში ვიკითხე. აი, მისმა პოეზიამ უფრო მეტი მომცა, ვიდრე მთელმა მარქსისტულმა იდეოლოგიამ.

უცებ ეს ერთგვარი მალაღფარდოვნებანი მიატოვა. თითქოს რალაც უფრო საჭირო რამ გაიხსენა. მომიბრუნდა, თვალეებში შემაცქერდა.

– რატომ იცვლით სახელებს აჭარაში, არა, ეს არ უნდა გექნათ! ჩვენ იქ, თურქ გლეხებს ვეუბნებოდით, – აი, ნახეთ, გადამა, „აჯარაში“ (წარმოთქვამდა „აჯარას“) რა კარგად იწყობენ „ჩვენები“ (ბიზიმ მილღეთ) ცხოვრებასო. ახლა სხვასახელიანები თურქისთვის მისაბაძი მაგალითი როგორღა იქნებიო.

მე ცოტა გაეჯავრდი, მაგრამ მაინც ალერსით ვუპასუხე, – კი არ ვიცვლით, სახელებს ვიბრუნებთ-მეთქი (თან ჩემთვის გავიფიქრე, – პოეტი კია, კომუნისტიც, მაგრამ თურქი მაინც თურქია).

– ხომ არ ვისადილოთ? – დერეფანში თავისი ქალი ექიმი დაინახა, რალაც უსიტყვოდ უთხრეს ერთმანეთს. შევწუხდი, მომერიდა. როგორ, ნაზიმ ჰიქმეთს სადილზე დავაპატიყებიო თავი? აქაურობა ხომ ჩემი სამშობლო უფროა, ვიდრე მისი?

გულს და გონს ჩუმ-ჩუმად მაინც ნაზიმის ის, წელანდელი მწარე შენიშვნა მიჭვანკავდა, სახელებს რატომ იცვლით აჭარაშიო. ეს მომენტი სხვა ტკივილებს აღვიძებდა, უფრო შორეულს, უფრო ღრმას. ამას იქნებ მოკლედ და გულის მომფხანელად ლექსი უფრო იტყვის. მართლაც, გვიან, დავწერე ეს:

**თოვლიანი ის დღე, – სევდა,
მშვენიერი ის დღე, შორი,
ისევ ისე გამითენდა,
იქ, იმ არყის ხეებს შორის.**

**ჯდა მგოსანი თვის „დაჩაში“,
იქით, ნისლში, ჩანდა კრემლი.
სხვა წარსულზე ვკამათობდით,
ის – თურქი და მე – ქართველი.**

**– სახელებს რად იცვლით, – მკითხა,
და თვალს თვალთ შევეყარე.
ფიქრებს იქით დავინახე,
წანვლები ჩემი მხარე.**

**ვკადრე, – ნაზიმ, მეგობარო,
მწყინს, – ასე ბჭობ შენაც თურმე,
სახელი არ შემიცვლია,
მე სახელი დავიბრუნე.**

ისევ ქვემო სართულისკენ დავეშვით. პატარა სამზარეულოდან რალაც უცნობი სუნი მოდიოდა. ნაზიმმა შეიხედა, მაგრამ აღარ შევიდა. დიასახლისს რუსულად უთხრა, – მოდი, ნავიდეთ ბაქოში, ა? – უმაღლე მივხვდი, რესტორან „ბაქოზე“ იყო ლაპარაკი.

კედლიდან ყურმილი ჩამოხსნა და სადღაც დარეკა. მძლოლს დაუძახა.

მოსკოვის ცენტრში გორკის ქუჩას სასტუმრო „ნაციონალის“ მხრიდან დავადექით. „მოსსოვეტთან“ ნაზიმმა მითხრა, – ვიცი, აქ, მარჯვნივ, თქვენი „არაგ-ვია“, მაგრამ „ბაქოში“ უფრო თურქულს მოგვართმევენ რაიმეს და მეც ერთგვარი მასპინძლობა გამომივაო. იქვე, ტვერსკოისა და გორკის კუთხეში, „არმენტორგი“ რომ იყო, იმ სახლის სახურავისკენ აიხედა. – აი, უკვე აუღიათ ის სამარცხვინო ქანდაკებაო, – კმაყოფილმა თქვა. გახსოვთ ალბათ, სახლის ნონოლაზე, კაბაშემოჭერილი გოგო რომ იდგა, საბჭოთა ბედნიერი ყოფის სიმბოლოდ. გააგრძელა, – სამარცხვინო-მეთქი, ვუთხარი სიმონოვს, ერთხელ. ალბათ, კონსტანტინემ ცეკაში გადასცა და აუღიათ კიდევო.

სტალინის ლანძღვით ნაწყენმა, ვიფიქრე, ნაზიმიც გულნატკენი იყო, და ვკითხე, – ნაზიმ-ვეწნდი, როგორ ფიქრობთ, სტალინს ამოშლიან კომუნისტური ისტორიიდან? სწრაფად, უემოციოდ მითხრა, – როცა ჩვენი ათათურქი გარდაიცვალა, მის გამოც ამგვარი ამბები იყო თურქეთშიო. ბოლოს, რაც კარგი ჰქონდა, დარჩა, დაფასდა. ასე იქნება აქაცო.

„ბაქოს“ პირდაპირ მაიაკოვსკის ვებერთელა ფიგურა ჩანდა გაჩირალდნებული. ერთ წუთს უცქირა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

სუფრაზე, სხვათა შორის, სასაუზმოდ ჩამონათვალეებში, ოფიციალტმა გოგონამ, საცივიც ახსენა. მაშინვე გადმომხედა ნაზიმმა, აი, გურჯების კერძიც გავსინჯოთო.

და, აი, იმ „საცივის“ ხსენებამ პოეტს სხვა მოგონებებიც წამოუშალა.

– „ნანინა“ რას ნიშნავს ქართულად? – მკითხა. ჩვილს რომ დედა უმღერებს, აი, იმ სიმღერას ჰქვია-მეთქი. ბებია მყავდა გურჯიო, – მითხრა ნაზიმ ჰიქმეთმა. დედის დედა. მახსოვს, საკმაოდ წამოზრდილს, აკვანში მწოლარეს, დაძინების წინ ბებია „ნანას“ მიმღეროდაო. მერე დაუმატა, – მამის მამა კი პოლონელი იყოო (აი, თურმე საიდან ცისფერი თვალეები, გავიფიქრე).

საქართველოში, ორმოცდაათიან წლებში, ძალიან მოდაში იყო ჰიქმეთის ლექსებისა და პიესების თარგმნა. საუკეთესო ლექსების გამოჩენული თარგმანები ჰქონდა ვახტანგ კეკელიძეს. უნიჭიერესი ბიჭი იყო. არ

ვიცნობდი პირადად, მაგრამ მისი თარგმანებით შემეცნებოდა ნაზიმი.

**მე თუ არ დავინვი,
შენ თუ არ დაინვი,
ის თუ არ დაინვა,
ბნელს ვინ გაანათებს...**

აი, ახლაც მახსოვს ერთი მგზნებარე ლექსის ბოლო სტროფი.

რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმიდან კვლავ დამირეკეს. გამომცემლობა შეპირებულ წინასიტყვას მთხოვდა. დარეკვა მომეხატრა. ავდექი და მივადექი პერედელკინოში ნაზიმის სახლს. ისევ ექიმმა ქალმა გამილო კარი.

– ახ, დარაგოი ფრიდონ! ნაზიმი ვარშავაშია. მობრძანდით. მალე უნდა დამირეკოს და, თუ გინდათ, დაელაპარაკეთ.

მეწყინა ძალიან, რომ პოეტი შინ არ დამხვდა. მალე ტელეფონმა მართლაც გაბმული ზარით გვამცნო, რომ შორიდან იყო. ალა ვასილევნამ ჩამოილო ყურმილი და კაიხანს ისაუბრეს. ბოლოს ნაზიმს გადასცა, – შენი ბათუმელი ფრიდონია აქაო. ნაზიმი საოცრად შენუხებული იყო, ვერ მოვასწარი დაწერა წინასიტყვისაო. მოიბოდიშა და მკითხა, რა მისამართზე გამოგიგზავნო. ამაღამ მთელ ღამეს არ ვიძინებ და დაპირებულ წერილს ხვალ აუცილებლად ავიაფოსტით გამოგიგზავნიო.

ჩავანერინე გორკის სახელობის ლიტინსტიტუტის მისამართი, სადაც ვსწავლობდი, და მადლობით დავემშვიდობე. ზუსტად ორი დღის შემდეგ მართლაც ინსტიტუტში, ჩემს სახელზე ვარშავიდან ჰიქმეთის წერილი მივიღე. წერილი ჩვენს კრებულში დაიბეჭდა.

ნაზიმ ჰიქმეთი დიდხანს დარჩა პოლონეთში, მე მგონი არა მხოლოდ ბაბუასეული ნათესაური ხაზის გამო, არამედ, როგორც მისმა რუსმა მეგობარმა პოეტებმა ამიხსნეს, მას უკვე ეზიზღებოდა სამოციანი წლების „საბჭოური კომუნიზმი“. პოლონეთი, ამ მხრივ, უფრო მოსათმენ „სოციალისტურად“ მიაჩნდა. ასე რომ, ეტყობოდა, ნაზიმ ჰიქმეთი თავის კომუნისტურ რომანტიკას, როცა რეალურ საბჭოეთთან პირისპირ აღმოჩნდა, თითქმის ველარაფრით ასაზრდოებდა. ის ნაოცნებარი, „მშრომელი ხალხის მხსნელის“ ჭეშმარიტი სახე და ბუნება, აქ, მოსკოვში, ვეღარ იგრძნო.

და, მე მგონია, მოსკოვში გულგატეხილობა იმედის და რწმენის შემრყვნელად ექცა (ეს სჭირდა ალბათ მაიაკოვსკისაც, მაშინ, 1930 წელს, როცა თავი მოიკლა) „საბჭოთა ცხოვრების“ ბოლო წლებს, ნაზიმი უფრო ხშირად, პოლონეთში ატარებდა.

ბოლო-ბოლო, სიკვდილის შემდეგ, თურქეთმაც თავისი დიდი პოეტი თავისთან დაიბრუნა. მას აპატიეს კომუნისტური რომანტიკით გატაცება. იგი, მგონი, თურქულ პოეზიაში ახალი ეპოქის, სტილისა და ფორმის დამფუძნებლად აღიარეს და ყველა სახელმძღვანელოშიც საპატიო ადგილი მიუჩინეს.

ღეჭილი


ჯეიმზ კოზენსი

**გაუთვალისწინებელი
წვრილმანი**

ჯეიმზ კოზენსი (1903-1978) ამერიკელი მწერალია. სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. ერთხანს მუშაობდა შინამასწავლებლად კუბაზე, მერე – ჟურნალ „ფორჩუნის“ რედაქტორად; კრიზისის პერიოდში ფერმერობას მოჰკვიდა ხელი. 1942-1945 წლებში მსახურობდა ავიაციაში, მაიორის ნოდება დაიმსახურა. რეალისტი და კონსერვატორი – იგი ისწრაფოდა, რომ თავის ნაწარმოებებში გამოეძინა ძლიერი, ნებისყოფიანი ხასიათები. მის კალამს არაერთი რომანი ეკუთვნის. დეტექტიური ელემენტი მოპოვება კოზენსის რომანში „უბინონი და ბინიერი“ (1942), აგრეთვე – ცალკეულ მოთხრობებში.

ჯეიმზ კოზენსი იყო ო'ჰენრისა და პულიცერის პრემიათა ლაურეატი (1936; 1949). არჩეულ იქნა ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიის წევრად (1960).

გარეთა კარიდან მალაზიაში შესასვლელად სამი საფეხური უნდა ჩაგველო. ვინრო, დაბალჭერიანი სათავსი, რომლის კედლები ერთიანად დაეპყრო წიგნებით გაძედილ თაროებს, სამოცი-სამოცდაათი ფუტის სიგრძეზე განელილიყო და მთავრდებოდა მცირე კანტორით, სადაც მოჩრდილული ლამპის შუქზე სანერ მაგიდას მისჯდომოდა ძონძროხა მამაკაცი ავადმყოფურად მოყვითალო პირისახით. ყური მოჰკრა, რომ შემოსასვლელი კარი გაიღო, იქით გაიხედა და სათვალისწინებელი კურადლებით მიაჩერდა. მაგრამ როდესაც დაინახა გამხდარი, მხედრული გამართულობის ჯენტლმენი მოკლედ შეკრეჭილი ჭალარა ულთავით, რომელიც გაუბედავად შეჩერდა მაგიდის წინ, რომელსაც ამშვენებდა განცხადება – „ნებისმიერი წიგნი – 50 ცენტად“, იგი ისევ დაუბრუნდა რელიგიური ყოველკვირეულის ნომერს, წინ რომ ედო მაგიდაზე. ხელახლა გადაავლო თვალი სვეტს, სადაც ჩამომწკრივებული იყო განცხადებანი მავანთა და მავანთა გარდაცვალების თაობაზე და თავის უბის წიგნაკში რალაც ჩაინიშნა. მერე თავი ასწია და დაინახა, რომ ჭალარაულვა-



შოსანმა სტუმარმა მთელი მალაზია გამოიარა და მის მაგიდასთან შეჩერდა.

– გისმენთ, სერ, – წარმოთქვა ძონძროხა კაცმა და ქალღლები განზე გადასდო. – რით შემიძლია გემსახუროთ?

ჭალარაულვაშოსანი ჯენტლმენი დაჟინებით მიაშტერდა.

– თქვენ მალაზიის მეპატრონე მისტერ ჯორეტი ბრძანდებით, არა? – იკითხა მან.

– დიახ, დიახ. მზად ვარ, გემსახუროთ.

– კეთილი. ჩემი გვარი გახლავთ ინგოლზი, პოლკოვნიკი ინგოლზი.

– პოლკოვნიკო, მოხარული ვარ თქვენი გაცნობით. რით შემიძლია...

– ვატყობ, რომ ჩემი გვარი არაფერს გეუბნებათ.

მისტერ ჯორეტმა სათვალე მოიხსნა და დააკვირვებით მიაჩერდა.

– არა, სერ. ვშიშობ, რომ არაფერს მეუბნება. ინგოლზი? არა, ამ გვარისა ვერაფერი გამიხსენებია.

პოლკოვნიკმა ინგოლზმა ხელჯოხი ილიაში ამოიჩარა და უბის ჯიბიდან კონვერტი ამოაძვრინა, იქიდან ქალღლების ფურცელი ამოიღო, გამალა, წამით შეიჭმუნა, და მაგიდაზე დააგდო.

– ეგებ, – ჩაიბუზღუნა მან, – თქვენი მეხსიერება ამან გამოაღვიძოს.

მისტერ ჯორეტმა ჰაერი შეიყნოსა, ყურადღებით შეათვალიერა პოლკოვნიკი ინგოლზი და სათვალე კარგად მოირგო ცხვირზე.

– აჰა, – ჩაილაპარაკა მან, – ანგარიშია. უნდა მომიტევათ. ხშირად მიწვევს ხოლმე ფოსტით საქმის წარმოება იმ კლიენტებთან, რომელთაც პირადად არ ვიცნობ. „ლირსი დოქტორ გოდფრი ინგოლზი, სენტჯონს რიქტორი“. ძალიან კარგი.

– დოქტორ ინგოლზი ჩემი განსვენებული ძმაა. და ანგარიში მის სახელზე, რა თქმა უნდა, შეცდომით მოვიდა. მას არასოდეს შეუკვეთია და არ მიუღია თქვენგან არაფერი და, ცხადია, ვერც წაიკითხავდა მსგავს რამე-რუმეებს. ამგვარი წიგნები თვალთ არ გვინახავს განსვენებულის ნივთებში.

– ჰო, – თქვა ჯორეტმა. – აგრე, აგრე... – თვალი გადაავლო წიგნების ნუსხას და თითქოსდა დაბნეულმა ჩაახველა. – აგრე, აგრე... მაშინ ნება მომეცით, ჩემს ჩანაწერებში ჩავიხედო.

ვეება, შელახულ-შეფერთხილი საბუღალტრო წიგნი გადმოიღო თაროდან.

– ეფ, ჯი, ეიჩ, – ბუტბუტით ეძებდა საჭირო ასოს. – ინგოლზი. აი, აგერ.

– რატომ წუხდებით? – შეანყვეტინა პოლკოვნიკმა ინგოლზმა. – ეს, უბრალოდ, გაუგებრობაა. და მე ვიტყვი, საკმაოდ უცნაური გაუგებრობა. მეტი სიფრთხილე გმართებთ, სერ! თქვენ, როგორც ჩანს, სახელის გატეხვა გნადიათ, ამგვარ წიგნებს საიდუმლოდ რომ ჰყიდით. ეს, რასაკვირველია, თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ...

მისტერ ჯორეტმა რამდენჯერმე თავი დაუქნია და სკამის ზურგზე გადაწვა.

– რას იზამთ, პოლკოვნიკო, – თქვა მან. – თქვენ სრული უფლება გაქვთ, საკუთარ შეხედულებას მისდით. მე კი არ ძალმიძს დავგმო ჩემი კლიენტების გემოვნება. ამ შემთხვევაში, ვგონებ, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ თქვენს ძმას შეუკვეთია ეს წიგნები. და ამა წლის თხუთმეტ მაისს შეკვეთა დავაკმაყოფილე. ვფიქრობ, რომ იგი მიიღებდა წიგნებს. შემდგომში რა დაემართათ, ეს უკვე აღარ მეხება; მაგრამ თქვენ რაღაც ბრალს მდებთ და ამიტომაც მინდა შეგახსენოთ, რომ ამგვარ ლიტერატურას, ჩვეულებრივ, მყუდრო ალბას ინახავენ და ჩუმ-ჩუმად კითხულობენ. აი, უკვე შვიდი თვე იქნება ზედიზედ, რაც განმეორებით უწყებებს ვგზავნი, მაგრამ ფული დღემდე არ მიმიღია. ცხადია, მე არაფერი ვიცოდი თქვენი ძმის სიკვდილზე – მხოლოდ ახლა გავიგე თქვენგან, – და

ამიტომაც ბოლო უწყებაში გავაფრთხილე, საქმე სასამართლოში უნდა გადავცე-მეთქი. ძალზე სამწუხაროა, რომ იძულებული ვარ...

– თქვენ სინდისგარეცხილი არამზადა ბრძანდებით! – დაუყვირა პოლკოვნიკმა ინგოლზმა მისტერ ჯორეტს. – მაშ თქვენ გინდათ დაამტკიცოთ, რომ ლირსმა დოქტორ ინგოლზმა შეიძინა ეს საზიზღარი წიგნები? უნდა მოგახსენოთ, რომ...

– ჩემო ძვირფასო სერ! გამაგებინეთ ერთი, საიდანა გაქვთ ასეთი გულდაჯერება? თქვენს ძმაზე რაიმე საძრახისის თქმისგან ღმერთმა დამიფაროს და არც არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ გარდა იმისა, რომ საქონელი მივანოდე მყიდველს და უფლება მაქვს, ფულიც მივიღო. ღარიბი კაცი ვარ და თუკი დამკვეთნი უარს იტყვიან ფულის გადახდაზე, რა ვქნა, ისლა დამრჩენია...



– უჰ, შე უნამუსო...

მისტერ ჯორჯტმა ხელი ასწია სტუმრის დასაშოშმინებლად.

– აბა, თუ შეიძლება, გეთაყვა! – ასე გამოხატა თავისი პროტესტი. – მე მგონი, პოლკოვნიკო, თქვენ იქცევით ძალზე უსამართლოდ და ყოვლად გაუმართლებლად. ეს ანგარიში უკვე დიდი ხანია უნდა გასტუმრებულიყო. მიუხედავად ამისა, გადამჭრელი ზომებისათვის არ მიმიმართავს. მე ხომ მშვენივრად მესმის, ამ წიგნების ამბავი რომ გახმაურდეს, მრავალ ჩემს კლიენტს სერიოზული უსიამოვნება მოეწივს. ამგვარი გარემოებანი სრულიადაც არაა იშვიათი, ძვირფასო სერ, და ჩემი მუდმივი კლიენტების საიდუმლო სია, უთუოდ, ძალზე გაგაოცებდათ!

პოლკოვნიკმა ინგოლზმა ფრთხილად თქვა:

– თუ შეიძლება, მაჩვენეთ ჩემი ძმის შეკვეთის დედანი.

– ეჰ, – ჩაიბუზღუნა მისტერ ჯორჯტმა და ტურები მოკუმა, – ეს არ გეკადრებათ, პოლკოვნიკო. თქვენ ხომ მშვენივრად გესმით, რომ ამგვარ დოკუმენტებს ვერ შევინახავ; ეს დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა და ჩემს კლიენტებს თავს მოსჭრიდა. მე შენახული მაქვს ზედნადების ასლი და მოცემულ შემთხვევაში, იურიდიული თვალსაზრისით, ეს სავესბით საკმარისია. აი, ასეთი გახლავთ ჩემი პოზიცია.

– ცხადია, – თქვა პოლკოვნიკმა, – რომ ეს არის ბინძური თაღლითისა და არამზადის პოზიცია, და მე არ მინდა მოვიკლო თქვენი გალახვის სიამოვნება!

მან ილლიდან ხელჯოხი გამოაძვრინა. მისტერ ჯორჯტი მარდად ჩამოსრილდა თავისი საჯდომიდან და ტელეფონის ყურმილს სტაცა ხელი, ფეხით კი სკამი გადააცირავა და პოლკოვნიკს გზა გადაუღობა.

– ალო, სადგურია? – დაიყვირა მან, – საჩქაროდ პოლისმენი გამოგზავნეთ!

მერე ერთბაშად გამოსწია მაგიდის უჯრა და იქიდან რევოლვერი დააძრო.

– ახლა კი, ჩემო ძვირფასო სერ, – თქვა მან და ზურგით მიეყრდნო კედელს, – ახლა კი სეირს გიჩვენებთ! თქვენგან ზღვა შეურაცხყოფანი მოვითმინე, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. მე ძალმიძს, რაღაცნაირად გავიგო თქვენი სიფიცხე, თუმცა ეს ვერანაირად ვერ ამართლებს თქვენს ქცევას. თუკი თქვენ თანახმა იქნე-

ბით, დაუყოვნებლივ წაეთრიოთ აქედან და გამომიგზავნოთ ჩემი თანხაზე, რაც მერგება, საქმე მოგვარებულად ჩათვალეთ. და თუკი გირჩევნიათ, რომ დაელოდოთ პოლისმენის მოსვლას, მაშინ...

პოლკოვნიკმა ინგოლზმა მაგრად ჩაბლუჯა თავისი ხელჯოხი.

– კეთილი, დაველოდები პოლისმენს, – წარმოთქვა მან საოცარი სიმშვიდით. – მგონი, გავცხარდი. თქვენ იმედოვნებდით ჩემს განცვიფრებას თქვენი ეგრეთწოდებული კლიენტების სიით, მაგრამ, უეჭველია, უნდა ვიფიქროთ სხვებზეც...

ანაზღად თავისი ხელჯოხი მკვეთრი მოძრაობით დაარტყა მისტერ ჯორჯტის მაჯას. ხელიდან გააგდებინა რევოლვერი, რომელიც იატაკზე გარახუნდა. პოლკოვნიკმა ინგოლზმა ფეხი ჰკრა და განზე მოისროლა იგი.

– როგორც კი წაიკითხავდით რომელიმე სასულიერო პირის სიკვდილის ამბავს, მისივე გზავნილით ანგარიშს მის სახელზე მღვდლის ნათესავებს სულაც არ ენდომებოდათ, რომ ყველას გაეგო, რა ჯურის წიგნებს კითხულობდა განსვენებული. ამიტომაც მათ აღარაფერი რჩებოდათ გარდა ანგარიშის გასწორებისა, რათა ჩაეფარცხათ საქმე. ძალზე მახვილგონიერი ჩანაფიქრია, სერ!

მისტერ ჯორჯტი ხელს ამოძრავებდა და ტკივილისგან იმანჭებოდა.

– ვერაფრით ვერა ვხვდები მთელი ამ მონაჩმასის აზრს, – თქვა მან. – როგორ ბედავთ...
– ნუთუ მართლა ვერა ხვდებით? – ჰკითხა პოლკოვნიკმა ინგოლზმა. – შესაძლოა, ჩვეულებრივ გარემოებათა დროს, მეც ვერაფერს მიხვდებოდი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ასე მგონია, რომ თქვენ გაბითურდით. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს განსვენებულ ძმას თქვენთვის წიგნები არ შეუკვეთია, მყუდრო ალაგას არ შეუნახავს და არც ნაუკითხავს ჩუმ-ჩუმად. ჩვენს სამგლოვიარო განცხადებაში, რასაკვირველია, აღნიშნული არ იყო, რომ თავის გარდაცვალებამდე თხუთმეტი წლით ადრე ღირსი დოქტორ ინგოლზი, საუბედუროდ, სავსებით დაბრმავდა... აი, აგერ პოლისმენიც, თქვენ რომ მონივით, სერ!

შექსპირი ჭკუასუსტობის განსაკურნად

უილიამ შექსპირის ტექსტები ტვინს ეხმარებიან “მუდამ ფორმაში” იყოს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მკვლევარები ლივერპულის უნივერსიტეტიდან, რომლებიც ჭკუასუსტობასთან ბრძოლის პრობლემებით არიან დაკავებული.

ლიტერატორთა და ფიზიოლოგთა დასკვნების შესახებ იტყობინება ლონდონური გაზეთი „ტაიმსი“. მეცნიერებმა ექსპერიმენტთა სერია ჩაატარეს, რომლის დროსაც მოხალისეთა ჯგუფი კითხულობდა ინგლისელ კლასიკოსთა ნაწარმოებებს, საგანგებო მონყობილობა კი თავის ტვინის ქერქის ელექტრონულ სიგნალს ალბეჭდავდა. გამოირკვა, რომ გარკვეული სტროფები შექსპირიდან, ჯეფრი ჩოსერიდან და უილიამ უორდსუორთიდან, რომლებიც შეიცავდნენ უჩვეულო სიტყვებს ან რთულ სინტაქსურ სტრუქტურას, მაჩვენებლის პიკად აისახებოდა. მეცნიერთა აზრით, უჩვეულო სიტყვები ჩვეულ კონტექსტში მკითხველისაგან ტვინის აქტივობის გაძლიერებას ითხოვს. ასეთი გარჯა თავსატეხის აწყობასავით შემავლთანებელია. ფილიპ დევისი, კვლევის ერთ-ერთი ავტორი, ტვინის ასეთ რეაქციას “ფუნქციონალურ მიღწევას” უწოდებს.

კვლევის შემდეგი ნაბიჯი იქნება გამორკვევა იმისა, თუ, კერძოდ, ტვინის რომელი უბანი მოქმედებს უფრო აქტიურად ენობრივ ნოვაციებზე და როგორ იქნება შესაძლებელი ამის გამოყენება ჭკუასუსტობის დასაძლევად.

**თარგმანა
ზურაბ ცერცვაძემ**

მანანა გაბაშვილი

თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა

მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით

ერთი რამ ცხადია, როგორც შავთელი, ისე ჩახრუხაძე, წარმატებულ საზღვაო პოლიტიკას ადასტურებენ, რაც ტრაპიზონის დაარსების ფაქტს შეიძლება დავუკავშიროთ და კიდევ უფრო შორს მიმავალ გეგმებს. ამ თვალსაზრისით ისინი არათუ ავსებენ ერთმანეთს, არამედ ეხმაურებიან საისტორიო წყაროების ცნობებს, სადაც საზღვაო ინტერესებზე საუბარია იქ, სადაც ქართული პოლიტიკის წარმატებები თუ შედეგებია შეჯამებული. ასე მაგ., თამარის ისტორიკოსი მისი მიღწევების ჩვენებისას ზღვებზეც აკეთებს აქცენტს და კონკრეტულად შავ ზღვაზე ჰეგემონიას აღნიშნავს. მემატინე, რომელიც მას ადარებს ალექსანდრე მაკედონელს, ანტიკური და შუა საუკუნეების სახელმწიფოებრივი სიბრძნის იდეალად რომ ითვლებოდა, წერს: „რომელმან სიმშვიდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავთა დღესისთა ხვალისა არ-მიგდებთა ალექსანდრიანითა, იპყრნა ზღვით პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის, და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკვითამდის“. ბასილი ეზოს-მოდვართანაც, იქ, სადაც თამარის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მწუხარებაზეა საუბარი და რეზონანსზე, რომელიც მას საერთაშორისო მასშტაბით მოჰყვა, ფიგურირებს ზღვა, და ზღვაოსნობაში დანიშნაურებული ის ხალხი, ვინც მაშინდელ სამყაროში ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. ესენი არიან ფრანგნი და ბერძენნი („... ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა მენავენი ნიავე-კეთილობათა შინა თამარის ქებათა იტყუდიან“).

ნიშანდობლივია, რომ ქართველი ისტორიკოსი ჯერ ფრანგებს (იტალიელებს) მოიხსენიებს, შემდეგ კი ბიზანტიელებს, რომელთა როლი აღარ იყო წამყვანი იტალიელთა მიერ კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერიის დაარსების შემდეგ. ვფიქრობთ, ქართველი ისტორიკოსი შემთხვევით არ ამახვილებს ყურადღებას იტალიელებზე, რომლებსაც შავი ზღვისა და ტრაპიზონის მიმართ განსაკუთრებული ინტერესები გააჩნდათ და სადაც, თამარის შემდგომაც, მათი ქართველებთან დაპირისპირება ასევე თვალსაჩინოა.

როგორც ვხედავთ, თამარის გარდაცვალებას და ეს მრავლისმეტყველია, რეზონანსი მოჰყვა იმ ქვეყნებსა და

ხალხებშიც, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ მაშინდელ საერთაშორისო ცხოვრებაში და, რაც მთავარია, ზღვაოსნობაში.

ამგვარად, რუსთაველი, შავთელი და ჩახრუხაძე გამიზნულად ეხებიან საზღვაო თემებს, რითაც ასახავენ ქართული სახელმწიფოს საზღვაო პოლიტიკისადმი ინტერესს. მაგრამ, თუ რუსთაველი ამას მხატვრული ლიტერატურისადმი დამახასიათებელი ხერხებით აკეთებს, შავთელი და ჩახრუხაძე ზოგ შემთხვევაში იმდენად კონკრეტულები არიან, რომ საისტორიო წყაროებსაც კი უახლოვდებიან. მაგრამ საზღვაო თემების პროპაგანდის თვალსაზრისით მაინც რუსთაველის როლია განსაკუთრებული, გამომდინარე იმ უდიდესი პოპულარობიდან, რითაც „ვეფხისტყაოსანი“ ხალხში ყველა დროს სარგებლობდა და რამაც ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ შექმნასაც მისცა ბიძგი. ამდენად, ზღვის თემა ამ გზითაც მაშინაც ცოცხლობდა და ილექებოდა ხალხის ცნობიერებაში, როდესაც შავი ზღვა, გარკვეულ პერიოდში, ოსმალთა ტბად გადაქცეულიყო.

საზღვაო თემების თვალსაზრისით ზემოაღნიშნულ მხატვრულ ნაწარმოებებს, თამარის ეპოქის სხვა ხასიათის ლიტერატურაც ეხმაურება. პ. ინგოროყვა განიხილავს საგალობელს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის გამოძახილად მიიჩნია და სადაც, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ქვეყნის წარმატების მთავარ პრინციპად აღებულია „სწავლა, სჯულთა ძალი და მადლთა მუშაკობა“, რაზეც ასეთივე ყურადღებას ამახვილებენ რუსთაველი, შავთელი და ჩახრუხაძე. მაგრამ ჩვენთვის ზემოაღნიშნულ, ჭეშმარიტად პროგრამულ, ლაკონურ ტექსტში მნიშვნელოვანია ზღვის დადასტურებაც („ვითარ სამსტროი უდაბნოს, / ვითარ ქსელი მთასა ზედა და ნიში – ბორცვსა, / მნიფე მარცვალი მჭახსა მტევანსა შინა, / ჰპოვეთ თქვენი ერი ქართველთაი, / რომელ ზღუადმდე (დარუბანდისა) და მდინარედ (რახსისა) / განავრცეთ დიდებითა, / დაფარვა მათა კავკასთა / უმაღლეს ყოფად ნაძვთა მათ ღმრთისათა, / რაცა არიან: / სწავლითა, სჯულთა ძალთა და მადლთა მუშაკობითა“).

ზღვის თემა მკვეთრად გამოხატული თამარ მეფესთან დაკავშირებულ ხალხურ ფოლკლორშიც, სადაც, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, საქართველო ზღვაზე გამარჯვებას აღწევს. მაგ., თემა „შუა ზღვას ჩადგა სამანი, სამანის რკინის კარიო“, სხვადასხვა ვარიანტით მეორდება – „ჩავჰყარე ზღვაში სამნები, ხმელეთი ჩემკენ დავიგდე“ და სხვ. ქართულ ისტორიოგრაფიაში, სავსებით სამართლიანად, ზღვაზე ძღვევის ეს ხალხური თემები დაკავშირებულია ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასთან.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ხალხური ლექსი, რომელშიც თამარის საზღვაო ბრძოლაზეა საუბარი. ჩვენთვის ის ორმაგად არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან განიხილება იმ კონტექსტში, სადაც არათუ აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის გამოძახილთან გვაქვს საქმე, არამედ აღმოსავლური და საზღვაო პოლიტიკის ურთიერთკავშირში განხილვასთან: „თამარ მეფე და ხონთქარი / მალალმა ღმერთმა ნაჰკიდა. ზღაში ჩაუშვა ხომალდი, / ზედ აღმასები დაჰკიდა, / შიგ ჩასვა ქართველთ ლაშქარი, / მრავალს წყალობას დაჰპირდა“.

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №2

მაგრამ ეს არ არის ამ ხასიათის ერთადერთი ლექსი. ჩვენ გვაქვს ხალხური პოეზიის ისეთი ნიმუშები, სადაც აღნიშნული თემა, აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის კავშირი, კიდევ უფრო დაკონკრეტებულია. ამ თვალსაზრისითაც ისინი ეხმაურებიან შავთელსა და ჩახრაბაძეს. მათ საგანგებოდ მივუბრუნდებით თამარის სპარსული პოლიტიკის განხილვის შემდეგ.

თამარის საზღვაო პოლიტიკის საქართველოში დიდ რეზონანსზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ის ზღვის-გან დაშორებულ რაიონებშიცაა პოპულარი, მაგ., ფშავში, სადაც ასევე ზღვაზე გამარჯვების ამსახველი ფრიად მნიშვნელოვანი თქმულებაა შემონახული. მასში ნათქვამია: „თამარის ხმალს ველარაფერმა გაუძლო...მარტო ზღვალა იყო თავისუფალი და ჯერ კიდევ არ უხრიდა თავს, მაგრამ ისიც მალე მოდრიკა, თამარმა უბრძანა ქარს, მოატანინა ზღვის პირზე ჩალა-ბალახი, თივა ფიჩხი, გადააყრინა ზღვაში და დაასხა ნავთი, ზღვამ თივა ზევით მოიგდო, მემრე მოაკიდებინა ცაცხლი...შენუხდა ზღვა, შაიძრა თავით ბოლომდე...გამოუგზავნა კაცი თამარს: ოლონდ ნუ დამწვავს და რაც გინდა ის ხარჯი გამოართვიო, თამარმა შეინყალა ზღვის თხოვნა და გამოართვა კამეჩები, ქარვა, მრავალი თვალ-მარგალიტი და ცხოველები...“

მოტანილი ნაწყვეტიდან აშკარაა, რომ თამარი ზღვაზე სიტუაციის მფლობელი და ბატონ-პატრონია, ჩანს აგრეთვე, რომ ზღვა ქართველებისთვის სიმდიდრისა და სიკეთის წყაროცაა. ფშავში თამარის ზღვასთან კავშირი ხალხურ პოეზიაშიცაა დადასტურებული, სადაც მინიშნებაა აგრეთვე, რომ თამარი აღრიდანვე ამ აზრით იზრდებოდა: „შვიდი წლის ქალი მობრძანდა / თამარ დედოფალია, / ჩიქილა გადაიქნია, / გადააქანა ზღვანია“.

საინტერესოა და კიდევ უფრო ღრმა კვლევას ითხოვს საქართველოს სხვადასხვა რაიონში გავრცელებული წყლის კულტი, სადაც ზღვისაგან დაშორებულ რაიონებშიც კი, ყურადსაღები ზღვასთან დაკავშირებული სიმბოლიკაა დადასტურებული,

თამარზე ხსოვნა ხალხში დღემდეა შემორჩენილი იმ ისტორიულ ტერიტორიებზეც, რომელიც საქართველოს საზღვრებს მიღმაა დარჩენილი. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ტაო-კლარჯეთი, სადაც მრავალი ადგილი მის სახელს უკავშირდება. მხედველობაშია მისაღები, რომ ის იყო ეკონომიკურად განვითარებული რეგიონი, რომელსაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და რომელზეც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი, ტრაპიზონისკენ მიმავალი დიდი საერთაშორისო მაგისტრალი გადიოდა. სწორედ ამ მაგისტრალთან კავშირში დანიშნულდნენ ისეთი ქართული ქალაქები, როგორცაა რუსთავი, ხუნანი და სხვ. ტრაპიზონის გზამ ხელი შეუწყო აგრეთვე საქართველოში ე.წ. ახალქალაქობის პერიოდს, როდესაც ახლად გაჩენილი ქალაქების პარალელურად ძველების განახლების პროცესი დაიწყო.

საქართველოზე გამავალ ტრაპიზონისა და თავრიზის გზების მნიშვნელობას არაერთგზის შევეხეთ, ხოლო თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრალის როლი საგანგებოდ შევისწავლეთ თამარისა და შემდგომი პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკასა და ცხოვრებაში. ვუჩვენეთ აგრეთ-

ვე, როგორ ცდილობდნენ ამ ქალაქების დაუფლებასა და თავრიზ-ტრაპიზონის გზის კონტროლს. ამ დიდ საერთაშორისო პოლიტიკაში აქტიურად იყო ჩართული თამარის სამეფოც. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებული და მრავალმეტყველია ტაო-კლარჯეთში ხალხის ხსოვნაში შემონახული ცნობა, რომლის თანახმადაც, ძველთაგან საქართველოს დედაქალაქი ტრაპიზონი ყოფილა.*

აღნიშნული ინფორმაცია მრავალმხრივია საინტერესო. ის მიგვანიშნებს საუკუნეების მანძილზე საქართველოსა და ტრაპიზონს შორის არსებულ განსაკუთრებულ სიახლოვესა და მჭიდრო ურთიერთობებზე, ასევე ტრაპიზონის უდიდეს როლზე საქართველოს ცხოვრებაში და საქართველოს საზღვაო ინტერესებზე. ამასთან, ეს ცნობა, ერთგვარი გამოძახილიც უნდა იყოს იმ დროზე, როდესაც თამარ მეფემ სათავე დაუდო ტრაპიზონის იმპერიას.

საქართველოს საზღვაო პოლიტიკა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით კიდევ უფრო სიღრმისეულად რომ შევისწავლოთ, ის აღმოსავლურ პოლიტიკასთან კავშირში უნდა განვიხილოთ. ამიტომ გასარკვევია, როგორ არის აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული სამყარო წარმოდგენილი რუსთაველთან, ჩახრაბაძესა და შავთელთან. „ვეფხისტყაოსანი“ ინერებოდა მაშინ, როდესაც აღმოსავლური პოლიტიკა საზღვაო პოლიტიკის მსგავსად ეტაპობრივად ხორციელდებოდა და ასევე აქტუალური იყო. სპარსეთის თემამ, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ აისახა, დიდი ხანია მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, მაგრამ მან გარკვეულ მიზეზთა გამო ცალმხრივი ხასიათი მიიღო. მთელი ძალისხმევა „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათვლამანე“-ს განმარტებას დაეთმო. როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ვნებათლევსა, რომელიც მას მთელი XIX და XX საუკუნეების განმავლობაში ახლავს, გასაგებია, ვინაიდან უკავშირდება ნაწარმოების წარმომავლობის საკითხს. მისი პირდაპირი გაცემა პოემას ორიგინალობას უკარგავდა და მის სპარსულ წარმოშობას ადასტურებდა. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ სპარსულს გარკვეულ კონტექსტში აქვს კონკრეტული მნიშვნელობა, რასაც თანადროულ ქართულ პოლიტიკასთან მივყავართ და აქედან გამომდინარე ანტისპარსულ განწყობასთან.

ამ ფაქტს ნაკლები ყურადღება მიექცა და შეიძლება ითქვას, რომ არ განზოგადოებულა თამარის პოლიტიკის ჭრილობი.

ასე რომ, პოლიტიკასთან დაკავშირებული ეს მხარე ჩრდილში მოექცა, მაშინ როდესაც „ესე ამბავი სპარსული“-ს გარშემო არა ერთი შეხედულება გამოითქვა. დავა პოემის სპარსული თუ ორიგინალური წარმოშობის შესახებ, საბოლოოდ ქართულის სასარგებლოდ გადაწყდა. ფუჭი ძიება სპარსულის მიმართულებით უარყო ნ. მარმაც და ქართულ ნიადაგზე დადგა. მან აღიარა რუსთაველი როგორც დიდი ეროვნული პოეტი, რომელმაც გაუსწრო მსოფლიო მასშტაბით თავისი დროის ჰუმანისტებს და ვისი გაცემა მხოლოდ თამარის ეპოქის პოლიტიკურ-კულტურულ გარემოშია შესაძლებელი.

* აღნიშნული ცნობა მოგვანოდა ლ. ჩლაიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. მასალა ტაო – კლარჯეთში ჩაიწერა ზ. ბატიაშვილმა.

ჩვენი კვლევისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვ. გაბაშვილის შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თაობაზე. მან დაასაბუთა, რომ გარკვეულ კონტექსტში, და ასეა არა მხოლოდ ქართულ, არამედ სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში, სპარსულს ზოგადმაჰმადიანურის მნიშვნელობა აქვს. მკვლევარმა ეს მოვლენა დაუკავშირა წინა აზიაში, სპარსულ-მუსლიმური კულტურის (X-XIII სს.) გავრცელებას.

მანვე გვიჩვენა, როგორ შეცვალა ამ კულტურამ, X საუკუნიდან, ახალი სპარსული ენის საფუძველზე არაბულ-მუსლიმური კულტურა. იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ახალი სპარსული ენა მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ეთნიკურ კულტურათა გამაერთიანებლის როლში აღმოჩნდა, სპარსელმა და სპარსეთმა კონკრეტულ მნიშვნელობასთან ერთად ზოგადი მნიშვნელობაც შეიძინა.

აღსანიშნავია, რომ სპარსულ-მუსლიმური კულტურის გავრცელების პერიოდში საქართველოს ინტენსიური კულტურული ურთიერთობა აქვს ირანთან და ვრცელდება სპარსული, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის ტერმინოლოგია. სწორედ ამ დროს, სპარსულ ისტორიოგრაფიაში ჩნდება „ქართველთა ზღვა“, რაც ირანთან მჭიდრო ურთიერთობის კიდევ ერთი დასტურია. ყურადსაღებია, რომ რუსთაველი, მსოფლიო ცივილიზაციის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის – სპარსულ-მუსლიმურ კულტურასთან ურთიერთობის მთელ სპექტრს ასახავს. მას, გარდა ზემოაღნიშნული ტერმინოლოგიისა, მოყვანილი აქვს სპარსული ლიტერატურის ნიმუშები („ვისრამიანი“, „შაჰ-ნამე“...) და სხვ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რუსთაველს სპარსული უნდა სცოდნოდა და „ვისრამიანი“ ამ ენაზე ჰქონოდა წაკითხული.

კ. კეკელიძეს ამის თქმის საშუალებას აძლევს პოეტის მიერ აღნიშნული ნაწარმოებიდან მოყვანილი ადგილები, რომელსაც ისე იმონებებს, როგორც ეს სპარსულ და არა ქართულ დედანშია დადასტურებული.

ამგვარად, თამაზად შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ასახავს, ერთი მხრივ, სპარსულ-მუსლიმურ კულტურასთან კავშირს, მეორე მხრივ კი, თამარის ეპოქის ირან-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ანტისპარსული ხასიათი აქვს.

იგივე შეიძლება ითქვას „აბდულმესიანისა“ და „თამარიანის“ მიმართ. აქაც აშკარადაა გამოხატული ზემოაღნიშნული ორი თვალსაზრისი. შავთელი და ჩახრუხაძე კიდევ უფრო აკონკრეტებენ ანტისპარსული განწყობის მიზეზებს, რასაც ასევე თანადროულ ქართულ პოლიტიკასა და საისტორიო წყაროებთან მიყვავართ. რუსთაველის მსგავსად ისინი დიდ ინფორმაციას ფლობენ სპარსეთზე, აფასებენ მას როგორც დიდი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანას, ვისთანაც ამ მხრივ საქართველოს დიდი და ნაყოფიერი ურთიერთობები გაჩნდა. ამის დასტურია ისიც, რომ თამარის შემკობისას, მას ჩახრუხაძე სპარსეთის სახელგანთქმულ მეფესა და დიდ რეფორმატორს, სამართლიანად წოდებულ ხოსრო ანუშირვანსაც ადარებს.

როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველი ანტისპარსულ განწყობას მხატვრული ლიტერატურისადმი დამახასიათებელი სხვადასხვა ხერხით გამოხატავს. ზოგიერთი მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ტარიელის ვეფხვთან ბრძოლაში დავინახოთ სხვადასხვა ალეგორია და, შესაბამისად, ლომ-ვეფხვი, პოლიტიკური ისლამის, სპარსეთურქეთის სიმბოლოდაც აღვიქვათ. მაგრამ რუსთაველისთვის სპარსეთთან დამოკიდებულების საჩვენებლად ცენტრალური ფიგურა მაინც ნესტან-დარეჯანია. ეს მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ მკვლევართა ერთსულოვან აზრს, რომ თინათინსა და ნესტანში რუსთაველს თამარის სახე აქვს ხორცშესხმული.

ამიტომ, როგორ გამოხატავს რუსთაველი ნესტანის პირით სპარსეთისადმი პოზიციას, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ეპოქით დაინტერესებული ისტორიკოსისთვის.

„ვეფხისტყაოსანში“ ნესტანის ზვარაზმშაჰთან ურთიერთობა სპარსეთთან ურთიერთობისა და მეტოქეობის ქრილშია განხილული. ხორეზმი, როგორც თავად რუსთაველი განმარტავს, სპარსეთია, ზვარაზმელები კი – სპარსელები. რუსთაველი ქაჯებს ფარსადანის კართან აკავშირებს დავარის გზით, რომელიც იყო „ქერივი, ქაჯეთს გათხოვილი.“ დავარს ასევე აქტიურად უკავშირებს ზვარაზმშაჰს ამბავსა და ნესტანის სამეფოდან განდევნას. ნესტანის, როგორც პატრიოტის სახე, არაერთმა მეცნიერმა განიხილა. ჩვენი კვლევისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპარსეთის საკითხისადმი ნაწარმოებში დადასტურებული ის დამოკიდებულებები, რომელიც სხვადასხვა პერსონაჟის სახითაა გამოხატული და ვისაც რუსთაველი შესაბამის სამოქმედო ასპარეზს უზსნის. ნესტანის პოზიცია აქტიურია და შემტევი. იგი იმ პოლიტიკას უპირისპირდება, რომელმაც შესაძლებელია მის სამშობლოში სპარსეთის გავლენა გააძლიეროს. ამ საფრთხეს ნესტანი სპარსელ უფლისწულზე ქორწინებაში ხედავს, რასაც შემდეგნაირად გამოხატავს: „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“.

ეს ჩანს იმ სიტყვებიდანაც, რომელსაც ის ტარიელს ფარსადანთან აბარებს: „ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“.

ნესტანისა და ტარიელის მეზობლი, უკომპრომისო პოლიტიკისგან განსხვავებულია ფარსადან მეფის შემგუებლური დამოკიდებულება. სამაგიეროდ, რუსთაველისთვის ნესტანი სახელმწიფოებრივი ხედვისა და მიდგომის მისაბაძი მაგალითია. მისი პოზიცია ნესტანის პოზიციაა და თავისთავად ცხადია, თამარისა, რომლის აქტიური პოლიტიკა სპარსეთის მიმართ როგორც პროპაგანდას, ისე იდეოლოგიურ დასაბუთებას საჭიროებდა.

რუსთაველი მხატვრული ხერხებით ანტისპარსულ განწყობას ისევე ქმნის, როგორც თამარის ისტორიკოსები მემატინისთვის ნიშანდობლივი მეთოდებით.

რაც მთავარია, ზვარაზმშაჰს ძლევით რუსთაველი სპარსეთის მარცხს ადასტურებს. იგი იმასაც გვიჩვენებს, რამდენად სახიფათოა ქვეყნის შიდა ძალებს შორის დაპირპირება იმ დროს, როდესაც გარეშე მტერი მიზნის მიღწევას გათიშე და იბატონეს პრინციპებითაც ცდილობს.

ამიტომ აშინებს ნესტანს ფარსადანსა და ტარიელს შორის არსებული დაპირისპირება: „თუ სასიძო არ მოუშ-

ვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს, / შენ და იგი ნაიკიდნეთ, ინ-
დოეთი გარდაქარდეს“.

ამას გარდა, რუსთაველი ძალიან არსებით ფაქტორ-
ზეც მიგვანიშნებს. ფარსადანი ტარიელის სახით შიდა ძა-
ლების იგნორირებას ეწევა და ცდილობს გარეშე ძალას
მიენდოს, მაშინ როდესაც ნესტანისათვის, მთავარი და-
საყრდენი ძალა პირველ რიგში ტარიელია.

ამგვარად, რუსთაველის დამოკიდებულება სპარსე-
თის მიმართ განპირობებულია იმ რეალობით, რაც თამა-
რის წინამორბედებმაც შეამზადეს და მის დროს წარმატე-
ბით დაგვირგვინდა.

რუსთაველთან პოლიტიკა ასე რომ იჭრება „ვეფხის-
ტყაოსანში“, პერსონაჟები კი პოლიტიკით დამუხტულები,
არ უნდა იყოს გასაკვირი. ამასთან დაკავშირებით, არ შე-
იძლება არ გავეხსენოთ ივ.ჯავახიშვილის შემდეგი სიტ-
ყები: „შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული
ძვერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები
აღელვებთ“.

„ვეფხისტყაოსანში“ კიდევ ერთი საინტერესო ხა-
ზია, რომელიც მკვლევართა ერთმა ნაწილმა კარგა ხანია
სპარსეთს დაუკავშირა (მ. ჯანაშვილი, თ. ნატროშვილი და
სხვ.). ეს არის ქაჯთა ქვეყანა, რომლის შესახებაც, თავის
დროზე, ცნობილი რუსთაველოლოგი ვ.ნოზაძე წერდა,
რომ ქაჯთა სამეფო ისტორიული ქვეყანაა. ამის დასტუ-
რად მას ამ ქვეყანასთან დაკავშირებული ისეთი სახელ-
მწიფებრივი მნიშვნელობის ტერმინოლოგია მიაჩნდა, რო-
გორიცაა – მეფე, ვაზირი, ლაშქარი და სხვ.

მნიშვნელოვანია ხორუმშაპის ისტორია, გარკვეული
სახით ქაჯეთის ამბებს რომ უკავშირდება. შეიძლება ით-
ქვას, რომ ქაჯეთის ამბავში საქართველო-სპარსეთის და-
პირისპირების ერთგვარი ასახვაა დაფუძნებული რეა-
ლურ სინამდვილეზე. ამ მხრივ საინტერესოა ის გამოკ-
ვლევები, რომელშიც პარალელებია გავლებული ქაჯთა
ქვეყანასა და ისმიალიტთა, ანუ მულიდთა ქვეყანას შო-
რის, რომელსაც ასასინთა სახელმწიფოსაც უწოდებენ
(1090-1256).

ისმიალიტთა ძირითადი სამფლობელოები ირანის ჩა-
მორჩენილ მთიან რაიონებში – ზაგროსსა და ქუჰისტანში
მდებარეობდა, მთავარი რეზიდენცია კი ყაზვინთან ახ-
ლოს 3680 მეტრის სიმაღლე, მიუვალ ციხე-სიმაგრე ალა-
მუთში („არნივის ბუდე“). მათი ბრძოლის მთავარი მეთო-
დი საჯარო ტერორი იყო, რასაც შუა საუკუნეების არაერ-
თი ცნობილი პიროვნება შეენირა. ამას საგანგებოდ აღ-
ნიშნავს ქართული წყაროც, მაგ., ჩალატა ნოინის მკვლე-
ლობის ამბავს. იგივე წყარო მათ ასეთ დახასიათებას აძ-
ლევს: „კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად
უნოდინან“. ისმიალიტები, იგივე ასასინები შიშის ზარს
სცემდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს. ნი-
შანდობლივია, რომ ევროპულ ენებში ასასინმა მკვლელის
მნიშვნელობა შეიძინა. რამდენად დიდი რეზონანსი ჰქონ-
და ამ სახელმწიფოს მაშინდელ მსოფლიოში, მეტყველებს
ისიც, რომ მასზე საუბარია თითქმის ყველა აღმოსავლურ
და დასავლურ საისტორიო წყაროში (ჯუვეინი, რამიდ ად
დინი...), მოგზაურთა ჩანაწერებში (მარკო პოლო, ოდორი-
კო პორდენონე...), აღმოსავლურ და დასავლურ პოეზიაში
(ნიზამი, ხაკანი, დანტე...).

როგორც ქართული და აღმოსავლური წყაროებიდან
ჩანს, მათთან გარკვეული შეხება ჰქონიათ ქართველებ-
საც. XIII. შუა წლებიდან ისმიალიტებთან, ანუ მულიდებ-
თან არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე, მეტყველებს
მათ მიერ თბილისის ყადის მკვლელობა (1139). მიზეზი ყა-
დის მიერ მულიდებისთვის გამოტანილი სასიკვდილო გა-
ნაჩენი ყოფილა.

ეს ურთიერთობა სპარსეთთან პოლიტიკური სიტუა-
ციის დაძაბვის გამო, კიდევ უფრო უნდა დამძიმებულიყო.
ფიქრობენ, რომ ქართველებს მულიდებთან შეხება თამა-
რის ირანში ლაშქრობების დროსაც უნდა ჰქონოდათ, მათ
მიერ აღებული სპარსეთის ერთ-ერთი ქალაქი, ყაზვინი
არც თუ ისე შორს მდებარეობდა ალამუთიდან. მულიდებ-
მა ასახვა ჰპოვეს მოგვიანო ქართულ წყაროებშიც (ფარ-
სადან გორგიჯანიძე).

სხვათა შორის, თავის დროზე, თ. ჟორდანიამ ვარაუდი
გამოთქვა, თამარ მეფე, დავით სოსლანი და ლაშა გიორგი
თითქოსდა მულიდებმა რომ მოწამლეს, მაგრამ მკვლევა-
რებმა უარყვეს ეს მოსაზრება, გამომდინარე ანგარიშო-
რების იმ მეთოდებიდან, რაც მსხვერპლის საჯარო დას-
ჯას გულისხმობდა. სამაგიეროდ, ტერორისტული აქტის
მომზადების პროცესი მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითა-
რებაში მიმდინარეობდა და სხვადასხვა ადამიანად გარ-
დასახვის ისეთ მეთოდებს მიმართავდნენ, რის გამოც, თა-
ნამედროვენი მათ „შაითანებსაც“ უწოდებდნენ, რაც ქარ-
თულ თარგმანში „ქაჯს“ ნიშნავს. მათ ასე მოიხსენიებს
სპარსული წარმოშობის ისტორიკოსი ჯუვეინი. პოეტი ნი-
ზამი განჯელი, რომელიც, და ეს ძალზედ მნიშვნელოვა-
ნია ჩვენი კვლევისთვის, მათ ადგილსამყოფელსაც აზუს-
ტებს და მას ირანში ათავსებს (მაზანდერანი).

აღნიშნული ცნობა კიდევ უფრო ამაგრებს მოსაზრე-
ბას „ვეფხისტყაოსანის“ ქაჯების ასასინებთან იდენტურო-
ბის თაობაზე და მათ სპარსეთთან კავშირს.

ჩვენი კვლევისთვის არსებითია აგრეთვე, ორივე უფ-
ლისწული, ნესტანის ხელის პრეტენდენტი, მიზანს რომ
ვერ აღწევს, როგორც ზვარაზმელები, ისე ქაჯები მარ-
ცხედებიან. ორივე შემთხვევა სპარსეთზე ძლევის მხატ-
ვრული ფორმით გამოხატულების ნიმუშია.

ამ თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო თამა-
რისადმი მიძღვნილმა ერთმა ხალხურმა ლექსმა, რომე-
ლიც საინტერესოდ ეხმაურება „ვეფხისტყაოსანს“, ანუ
ქაჯებისა და სპარსეთის თემას.

ჯერ ერთი, მასში ქაჯები და ისპაჰანი ერთ კონტექ-
სტშია განხილული, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, მაგ-
რამ მთავარი და არსებითია, რომ თამარი როგორც ერთს,
ისე მეორეს ამარცხებს. ლექსში „თამარ დედოფალი ვი-
ყავ“ ნათქვამია: „ქაჯებსა დავდე იჯარა, / ისპაჰანს ხარჯი
ავიდე, / სტამბოლს ხმალი ვკარ, დარუბანდს, / შამს საბა-
ლახე ავიდე.“

აღნიშნული ლექსი მრავლისმეტყველია იმიტაც, რომ
მასში თამარის აღმოსავლური და დასავლური პოლიტი-
კის წარმატებასა და მათ შორის კავშირზეა საუბარი.
სპარსეთზე გამარჯვების გარდა მინიშნებაა თამარის
საზღვაო პოლიტიკის იმ ამოცანაზე, რომელსაც ამ პოლი-
ტიკის კონსტანტინოპოლზე ორიენტირებულ მეორე ეტა-
პად განვიხილავთ.

ბუნებრივია, თემიდან გამომდინარე, დაისვას კითხვა. როგორ არის სპარსეთის თემა განხილული შავთელსა და ჩახრუხაძესთან. ერთი თვალის გადავლებითაც აშკარაა, მსგავსება რომ დაეინახოთ მათ შორის, არა მხოლოდ ზღვაოსნობასთან, არამედ სპარსეთთან მიმართებაშიც. ამ შემთხვევაშიც ორივე, „ვეფხისტყაოსნისგან“ განსხვავებით, კონკრეტულია. შავთელი და ჩახრუხაძე თამარის სპარსეთის პოლიტიკას, კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში დიდი წარმატებების ფონზე განიხილავენ და მის შეფასებებშიც ძალზედ ჰგვანან ერთმანეთს: „მძლეოთა მძლეველი თვით უძლეველი“ წერს ჩახრუხაძე, „სხვათა მძლეველსა თვით უძლეველსა“, ადასტურებს შავთელი. ორივე ავტორი გამარჯვებული, მდიდარი, განსაკუთრებული მისიის მატარებელი ძლიერი სახელმწიფოს პოზიციიდან წერს, რომელიც ქრისტიანული ქვეყნების ფორპოსტიცაა მაჰმადიანური სამყაროს წინაშე. ისინი ქართული სამეფოს საერთაშორისო ცხოვრების ფართო მასშტაბზე მიუთითებენ, იმ ქვეყნებსა და ქალაქებს ჩამოთვლიან, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ მამინდელი მსოფლიოს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში (ინდოეთი, არაბეთი, ეგვიპტე, სირია, ერაყი, ბიზანტია, ბალდადი, მოსული, დამასკო, ალექსო, კონსტანტინოპოლი...). ორივე სპარსეთთან ბრძოლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და, რაც მთავარია, მის შედეგებსაც გვიჩვენებს. შავთელი ამის შესახებ პირდაპირ წერს, როდესაც თამარს ჯიმშედი, ანუ სპარსეთის მფლობელად წარმოგიდგენს. მას ეხმაურება და ფაქტიურად იგივეს ამბობს ჩახრუხაძეც: „მოუნდა არსთა, მიდთა და სპარსთა ერთ-სამწყსოობა ერთ-უფლებულად“.

აღნიშნული ცნობები მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, 1210წ. ლაშქრობა უკვე შემდგარი. ამ თვალსაზრისით, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ჩახრუხაძის იმ ტაეპზე, რომელიც მიესადაგება „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციას სპარსეთის ცნობილი 1210წ. შორეული ლაშქრობის შესახებ. ჩახრუხაძე წერს: „შენთა მოყმეთა რა ჰქმნან, რომელთა / დედა და მამა აღარა სმოდის? – / მუნ დაიხოცნეს, სადა სახელი / ქვეყანისაცა არა ისმოდის.“

შევადაროთ „ქართლის ცხოვრებას“, მასში ნათქვამია: „დალენნეს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყვიდეს და ერანის ქვეყანა. ესდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არც თუ სახელი ქართველობისა ისმოდა.“

აღსანიშნავია აგრეთვე, ჩახრუხაძესთან სპარსეთის თემა გარდა იმისა, რომ დინამიკაშია განხილული, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სპარსელთა მარცხი, ისეთ ღირსშესანიშნავ თარიღებთანაცაა მისადაგებული, როგორიცაა ტახტის მემკვიდრის ლაშა გიორგის დაბადება: „ძესა სანდომსა, ვახტანგის ტომსა, / რომელ ენატრა მისად სწრებულად / ვითა ინადა რა დაიბადა, / სპარსთა სიმაღლე და-ცა-დებულად?“

ამითაც ჩახრუხაძე ეხმაურება თამარის ისტორიკოსს. იგი ვახტანგ გორგასალსაც, სპარსელებთან ომით სახელმწიფოეჭილს, სავსებით გამიზნულად, თამარის დროსა და მის სპარსულ პოლიტიკას უკავშირებს, ყველაზე ხშირად კი შამქორის ომს: („უძლე ძლიერთა, / ბევრთა სძლი ერთა, / ოს ყვეს ბოზქარის მეოტებანი, / ვატანგის ტომსა, მას

ვეფხებერ მსლტომსა, / გზისა გშვენინან განშვენებანი.“ ან-და „მეფე მთავართა, მფლობი ჯავართა, / სოფლისა წყალთა დამაშვენალი. / მიეც ქადილსა, სრულ-ჰყავ წადილსა / ვახტანგს სწორებით შემას-მქმენალი; / ბოზქარ მეოდები, მცდრად ნანოდები, / დავითის ხრმლით ა შემარცხვენალი.“). ჩახრუხაძის მიერ ვახტანგის შამქორის ბრძოლასთან დაკავშირება, რომლის სახელიც ქართველებმა განსაკუთრებული შარავანდებით შემოსეს და XIII საუკუნემდე ცნობილ მეფეთა შორის ხალხურ ფოლკლორში თამართან ერთად ყველაზე პოპულარულია, არ არის შემთხვევითი.

ეს ომი საქართველოს აღმოსავლურ პოლიტიკაში გადამწყვეტი ეტაპი იყო, მას მოჰყვა 1210წ. სპარსეთის ლაშქრობა. შამქორის ბრძოლა და მისგან გამომდინარე შედეგები, უკვე იმ დროს, საერთაშორისო პოლიტიკის საგანი გახდა და დიდი რეზონანსი გამოიწვია აღმოსავლეთსა და დასავლეთში. მის გამოძახილს მომდევნო საუკუნეებშიც ჰქონდა ადგილი, როგორც მაგ. რუსეთში.

ჩახრუხაძე აბუბექრს, ანუ ბოზქარს, როგორც ის მას უწოდებს, ხუთჯერ მოიხსენიებს და ყველგან როგორც დამარცხებულსა და დამცირებულს. არ ავინყდება აბუბექრის ძლიერების აღნიშვნა, ვის წინაშეც ოდესღაც სხვები იხრიდნენ ქედს. ჩახრუხაძეს, ქართველ მემატია-ნეთა მსგავსად, გააზრებული აქვს გზა, რომლის გავლის შემდეგაც, ქართული სამეფო შამქორში იმარჯვებს. მას პოეტი თამარის აღმოსავლური პოლიტიკის წარმატების ფონზე განიხილავს: „და მუსულმანთა სიმართლით მსრველი, / ურჩთა კვლავ მკოდი, სულტანთა მგოდი, / ხალიფას სეისა ჯავართა მშლელი. / ბოზქარ სადა რბის? – დასდვას დვინსა რბის, / ოდესმე ლხინთა საზღვარი ბნელი. / სხვათა მძლევართა, ხარკთა მძლევართა / ზედა სხვა შიში ჰმატს საშინელი.“

მრავლისმეტყველია, რომ სპარსეთის ძლევას ეძღვნება ჩვენამდე მოღწეული თამარის ლექსი „ცასა ცათასა“, რომელსაც საისტორიო წყაროები მოიხმობენ და მკვლევართა აზრით, შამქორში გამარჯვებასთან დაკავშირებითაა დაწერილი: „ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ სპათა / ჩვენნი მხედარნი, მოსავნი შენი, სძალო, / მოწყლნეს, მოსწვიდეს აგარის ნათესავნი“.

ამგვარად, რუსთაველის, შავთელისა და ჩახრუხაძის გვერდით დვას თამარის ეს ლექსიც. ქართველი მეფე, პოეზიის გზითაც, აღმოსავლეთის თემას და სპარსეთის ძლევას დიდ პროპაგანდას უწევს. მრავლისმეტყველია აგრეთვე, რომ თამარის სპარსულ პოლიტიკაზე სხოვნა, არა მხოლოდ ქართულმა, არამედ, აღმოსავლურმა სამყარომაც, საისტორიო, სალიტერატურო, თუ ფოლკლორულმა ტრადიციამ შემოინახა. მას იხსენებენ, რაც ასევე მნიშვნელოვანია, მისი ეპოქისგან საკმაოდ დაშორებულ დროშიც.

საისტორიო წყაროების მიხედვით, თამარის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის საკითხების კვლევისას, აღვნიშნეთ, რომ შამქორის ბრძოლა ირან-საქართველოს შორის არსებული დაპირისპირების შედეგი იყო, რომლის უკანაც დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები იდგა. მათი ხორცშესხმის გზაზე შამქორის ბრძოლა უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენდა 1210წ. ლაშქრობის წინ, რომელიც ამ მიმართულებით გადადგმული კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. აღმოსავ-

ლეთშიც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული საქართველოს პოლიტიკის მიზნები და ამოცანები სპარსეთის მიმართ, რომელთანაც დაპირისპირებას არა მხოლოდ სამხედრო, არამედ დიპლომატიური ხერხებითაც ცდილობდნენ. ამის ნათელი დასტურია, შამქორის ბრძოლის ახლო პერიოდში, XIII. 90-იან წლებში შექმნილი ერთი სპარსული დოკუმენტი, რომელიც თავრიზშია დაცული და, რომლის თანახმადაც, თამარ მეფე აღმოსავლეთის ერთ-ერთ მმართველს უსაფრთხოების გარანტიას აძლევს. თავისთავად მრავლისმეტყველია ის ცნობილი ფაქტიც, რომ აბუბექრის სარდლობით შექმნილი მუსლიმთა დიდი კოალიცია ბაღდადის ხალიფას ეგედიტა და დახმარებით წარიმართა. თამარიც რამდენად კარგად ფლობდა აღმოსავლეთში ვითარებას და როგორი წარმატებით იყენებდა სპარსეთში არა მხოლოდ სამხედრო, არამედ დიპლომატიურ ხერხებს, კარგად გამოჩინდა შამქორის ომის წინაც. იგი მოხერხებულად მიმართავდა გათიშე და იბატონეს პრინციპებსაც სპარსეთის დასასუსტებლად. აღსანიშნავია, რომ ამ ომში ქართველთა მხარეზე იბრძოდნენ აბუბექრთან დაპირისპირებული შირვანშაჰი და მისი სიძე, აბუბექრის ძმა ამირმირმანი, აგრეთვე აბუბექრის მეომართა ნაწილი.



მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი

აღნიშნულ საკითხებთან ერთად ქართულ ისტორიოგრაფიას ყურადღების მიღმა დარჩა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაც, რომელიც საქართველოს სამეფოს სპარსულ პოლიტიკას უკავშირდება. გარდა იმისა, რომ შირვანშაჰი და ამირმირმანი თამარს სპარსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდნენ, რომლის ძლევაც მათივე სიტყვებით მას შეეძლო. ისინი ქართველ მეფეს სპარსეთის ტახტზე რუსუდანის დასმასაც სთხოვდნენ („მაშინ დასუთი ასული თქუენი... პატრონად ყოვლისა სპარსეთისა“). აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროს ამ ცნობას ადასტურებს აღ-ჰუსეინიც.

შესაძლებელია, ამის გამოცაა, აღმოსავლური მწერლობისა და ლიტერატურის ინტერესი რუსუდანის მიმართაც, რომელსაც ზოგჯერ თამართან ერთადაც მოიხსენიებენ. რაც მთავარია, აღნიშნული გეგმების დაწყობა და მოლაპარაკებები სწორედ შამქორის ბრძოლის წინ მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ თამარს და რუსუდანს ერთად მოიხსენიებს XIII ს. სპარსელი ავტორი იბნ ბიბი, რომელიც არცთუ ისეა დაშორებული თამარის ეპოქას და რომელსაც რუსუდანის შესახებ ცნობები არაბული წყაროებიდანაც აქვს ამოკრებილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ

აღმოსავლური სამყაროს ამ მეფისადმი ინტერესი არ იყო შემთხვევითი. იბნ ბიბი განიხილავს ბასიანის ბრძოლაში რუქნ ად-დინის მარცხს და აღმოსავლეთში გავრცელებული ამ თქმულების ისლამიზირებულ ვარიანტს, თამარის რუქნ ად-დინისადმი უიმედო სიყვარულის თაობაზე.

ითვლება, რომ ასე იცია შური აღმოსავლეთმა თამარზე რუქნ ად-დინის ამ ომში დამარცხების გამო. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლურ წყაროებში აისახა თამარის წარმატებული პოლიტიკის ორი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, შამქორისა და ბასიანის ომების სახით, რომელსაც მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დიდი საერთაშორისო გამოცხილი ჰქონდა. იგი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, გაცდა საკუთრივ აღმოსავლეთის ფარგლებს.

აღმოსავლურ სამყაროში თამარ მეფის მიმართ ინტერესი მთელი შუა საუკუნეების მანძილზეც, თვით მოგვიანო, თამარის ეპოქისაგან დაშორებულ პერიოდში არ განელეზულა. მასზე წერენ ნიზამი, XVI – XVII სს. სპარსელი და თურქი ისტორიკოსები: ალი ჩელები, იბრაჰიმ ფეჩევი, ევლია ჩელები, მალიქ შაჰ ჰუსეინ სისტანი. ისინი აღმოსავლეთში გავრცელებულ ფოლკლორულ მასალასაც იყენებენ. მაგრამ, პირველ რიგში, თვალშისაცემია, თამარის სახელი სხვადასხვა სახით სპარსეთს რომ უკავშირდება. აღსა-

ნიშნავია, რომ სპარსული ტრადიცია, უკვე ნიზამის დროიდან მოყოლებული მეშინ ბანუს (შამირა) და თამარს ერთმანეთთან აიგივებს, რაც შუა საუკუნეების სპარსული ისტორიოგრაფიისთვისაც ცნობილია. საინტერესოა, რომ ასევე მოგვიანო პერიოდის რუსული თქმულებაც თამარის სახელს სპარსეთთან მიმართებაში და, რაც ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, მასზე ძლევის თვალთახვიდან განიხილავს. აღნიშნულ „თქმულებასდინარაზე“ თავის დროზე მ. ბროსემ მიაქცია ყურადღება. მანვე ის თამარის ეპოქას მიაკუთვნა. ივერიის მეფე დინარაში, რომელიც ასევე მეფის ერთადერთი ასული იყო, მან თამარი დაინახა, პარალელები „ქართლის ცხოვრებასთან“ დაძებნა და სპარსეთზე გამარჯვება შამქორის ომს დაუკავშირა. ი. ცინცაძემ კიდევ უფრო განაგრცო მ. ბროსეს აღნიშნული მოსაზრება და მასში არა მარტო შამქორის, არამედ ბასიანის ომისა და 1210წ. ლაშქრობის გამოცხილიც პოვა, ანუ როგორც მეცნიერი აღნიშნავს, თამარ მეფის მოღვაწეობის სრული შედეგი. ი. ცინცაძემ, ამის ერთ-ერთ საბუთად მიიჩნია თქმულების ის ცნობა, რომლის თანახმადაც, სპარსეთზე გამარჯვებული დინარა თავრიზს იღებს. მეც-

ნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ უკვე XVII ს. ამ თქმულების რუსეთში გავრცელების დროისათვის, კახეთში, სადაც რუსი დიპლომატები აქტიურად მიმოდინდნენ, იცოდნენ, რომ დინარა თამარი იყო. ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რუსულ თქმულებაში განსაკუთრებული აქცენტი დინარას მიერ სპარსეთის ძლევასა და თავრიზის აღებაზე რომ არის გაკეთებული. სწორედ თავრიზისკენ იყო მიმართული ქართველი მეფის ძალისხმევა, გამომდინარე იმ უდიდესი როლიდან, რასაც ეს ქალაქი საერთაშორისო ცხოვრებასა და ვაჭრობაში ასრულებდა.

რუსული თქმულება, რომელიც „ქართლის ცხოვრებას“ ეხმარება, საგანგებოდ აღნიშნავს, როგორ ემზადებოდა დინარა (თამარი) საბრძოლველად და როგორი იყო მისი პიროვნული წვლილი. როდესაც იგი ივერიის წინააღმდეგ სპარსელთა გამოლაშქრების ამბავს გაიგებს, დინარა ფეხშიშველი გაუძღვება ჯარს და ბრძოლის წინ მონასტერში ილოცებს. ამასთან, აღთქმას დადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, მთელ მოპოვებულ საგანძურს ეკლესია-მონასტრებს დაურიგებს. ამის შემდეგ იგი სამხედრო საქურველში გამოწყობილი ჯარს წინ წაუძღვება და ომში ჩაებმება. მისი ხმის გაგონებაზე სპარსელები შედრკებიან და გაიქცევიან. ივერთა ლაშქარი მუსრს ავლებს მტერს, დინარა კი თავისი ხელით კლავს სპარსთა მეფეს, თავს ჰკვეთს და შუბზე წამოცმულს სპარსთა ქალაქ თავრიზამდე მიიტანს. ქალაქის აღების შემდეგ ძველ მეფეთა საგანძურს წამოიღებს და სამშობლოში გამარჯვებული ბრუნდება. სპარსეთი მისი მოხარკე ხდება და ვერავინ ბედავს დინარას სამფლობელოს შევიწროებას.

მთელი ეს ნაამბობი, რომლის თანახმადაც, თამარი საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობს, კლავს სპარსეთის მეფესა და მისი მოჭრილი თავით თავრიზში შედის, მიგვანიშნებს თამარის იმ განსაკუთრებულ როლზე, აგრეთვე ყველა იმ წინაპირობაზე, იდეოლოგიურსა თუ სხვა ხასიათის მზადყოფნაზე, რამაც განაპირობა საქართველოს სპარსული პოლიტიკის წარმატება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ „თქმულებამ დინარაზე“ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია XVII ს. რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებას. ე.წ. ყაზანელი მემბტიანე ადასტურებს, რომ ივანე მრისხანემ ქალაქ ყაზანზე გალაშქრების წინ (1552) თავისი ლაშქარი ამ ამბის თხრობით გაამხნევა. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ დინარას, ანუ თამარის სახელი რუსეთისათვის საქართველოს სახედ იქცა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში გარკვეული როლი შეასრულა.

ცხადია, ამ თქმულების მთავარ წყაროს ქართველები და საქართველო წარმოადგენდა, სადაც საუკუნეების შემდეგაც, ხალხში ცოცხალი იყო თამარის სპარსული პოლიტიკა, გაცნობიერებული მისი ეპოქის მნიშვნელობა და მასშტაბი. თქმულებამ, რომლის მრავალი ხელნაწერია რუსეთში დადასტურებული, უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვა იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთის სახელმწიფოსთვის კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

ვფიქრობთ, თამარის სახე, როგორც საქართველოსა და მისი ძლიერების სიმბოლური გამოხატულება, ისევე როგორც სპარსეთზე გამარჯვება, რუსეთს სჭირდებოდა

როგორც იდეოლოგიური იარაღიც სპარსეთთან დაპირისპირებაში, რომლის წინააღმდეგ მას მოკავშირედ ქართველი ხალხი ჰყავდა მოაზრებული.

ამ მეთოდს და ქართველების განწყობას რუსეთი არაერთგზის გამოიყენებს მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკაში მთელი XVI – XVIII სს. მანძილზე.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთში „თქმულება დინარაზე“ სწორედ იმ დროს ვრცელდება, როდესაც მის პოლიტიკაში აქტიურად დგება კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საკითხი.

სამაგიეროდ, საქართველოში ფეხის მოკიდების შემდეგ, რაც ასევე არ არის შემთხვევითი, რუსეთი გამიზნულად და არაერთხელ, ზოგჯერ ქართველებისავე ხელით, თამარის სახელს დაამცირებს, მისი სახით კი საქართველოს ისტორიის ყველაზე ბრწყინვალე ხანას, რაც ერის ღირსებაზე, ეროვნულ ცნობიერებასა და ჯანსაღ ისტორიულ ორიენტირზე შეტევის ნაცადი ფორმაცაა.

კიდევ ერთ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც აღნიშნულ თქმულებასთან არის დაკავშირებული. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, (აკად. ა.სობოლევსკი...), „თქმულება დინარაზე“, ტრაპიზონულ-ბერძნული ლიტერატურის ერთ-ერთი ქმნილებაა, რომელიც რუსეთში ტრაპიზონის იმპერიის შექმნისთანავე, მის შემადგენლობაში შესული კორსუნის გზით ვრცელდება. ა. სობოლევსკი მას მიიჩნევს თამარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შექმნილ ნაწარმოებად, მის რუსულ თარგმანს კი XIII-ის მეორე მეოთხედს მიაკუთვნებს.

ა. სობოლევსკის აღნიშნული შეხედულება გაიზიარეს ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, პ. ინგოროვყამ.

თუ ეს ასეა, მაშინ ისიც შეიძლება ითქვას, რამდენად პოპულარული იყო ტრაპიზონში თამარის მიერ სპარსეთის ძლევის ისტორია, რაც ირიბად კიდევ ერთი მაგალითი იქნება ტრაპიზონისა და სპარსულ პოლიტიკას შორის კავშირისა.

ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებასაც, რომ რუსეთში ზემოაღნიშნული თქმულების გავრცელების დროს, თითქმის ამავე პერიოდში სპარსული ისტორიოგრაფია ასევე მიმართავს თამარის სახელს. ნიშანდობლივია, რომ ეს არის „იხია აღ-მულუქის“ ავტორი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ მოვლენებში და შაჰ აბას I-ს თანახმად საქართველოში ცნობილი ლაშქრობების დროს (1613-1614, 1616). უშუალო თვითმხილველი არაერთი აღწერილი მოვლენისა, იგი ჩვენი აზრით, სავსებით გამიზნულად, სპარსული პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე იყენებს თამარის სახელს. აღნიშნავს საქართველო-ირანს შორის არსებულ დიდ ისტორიულ სიახლოვეს, თამარის, საზოგადოდ კი ქართველ და სპარსელ მეფეთა საერთო წარმომავლობის დამტკიცება სურს, მოჰყავს ლეგენდაც, დაკავშირებული ნიზამის „ხოსროვ და შირინთან.“ სპარსელი ისტორიკოსი ხოსროვ შირინს მეჭინ ბანუზე აქორწინებს, რომელიც მისი განმარტებით თამარ მეფეა (გ. ბერაძე).

ამგვარად, საქართველოს სპარსულ პოლიტიკას ფართო საერთაშორისო რეზონანსი მოჰყავს არა მხოლოდ თანამედროვეთა შორის, არამედ მომდევნო თაობებშიც. როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა, რომ თამარის დიდ სა-

ხელს, მის სპარსეთზე გამარჯვებას საინტერესოდ იყენებდნენ, მოგვიანო პერიოდის, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ მოვლენებში.

ყველა იმ მხატვრულ ნაწარმოებში, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, წინ ორი თემაა წამოწეული – სპარსეთისა და საზღვაო.

ახლა საკითხი ასე დავსვათ – რამდენად არის მათ ავტორთა მიერ სპარსეთისა და საზღვაო პოლიტიკა ურთიერთკავშირში გააზრებული.

ამ პასუხს იძლევა როგორც შავთელი, ისე ჩახრუხაძე. ეს უკანასკნელი წერს: „უკლებლობს ლალი, / მბრძოლთ გულის მდალი, / სპარსთა სისხლისა დანაკლებანი, / ბედდიდობს მრავლად, აქვს სვე დიდ ავლად, / პონტოს ზღვისითგან არს უფლებანი“.

როგორც ვხედავთ, სპარსეთზე გამარჯვება და შავ ზღვაზე ჰეგემონია ავტორს ერთ კონტექსტსა და პირდაპირ კავშირში აქვს განხილული. იგივეს ადასტურებს შავთელიც, რომელიც ამ წარმატებულ პოლიტიკას, საქართველოს ეკონომიკურ ძლიერებასთან კავშირში განიხილავს: „ხარკე ისარი, ხარ კეისარი, / სიმდიდრით ლალი ჯიმმედ (სპარსეთის) მფლობელი.“ ასე რომ, აღნიშნული ავტორიც, რომელიც ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ფაქტს აღნიშნავს, ჩახრუხაძის მსგავს ფორმულირებას გვაძლევს. იგი თამარის წარმატებებს, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში რელიგიური დატვირთვაც აქვს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის არეალში განიხილავს. („აღმოსავალით და დასავალით მთანი და ბორცვნი ხმობს უფულად“). შავთელიც, თავის ნაწარმოებში, ხომ მაშრიყით მალრიბამდე თამარის სახელის დიდებით იწყებს: „შემოკრბით, ბრძენო, ათინელთ ძენო, / თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა, / კრიტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს მამრიყს, ჩინეთს-მაჩინეთს თარშის ქებულსა“.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზეც, ორივე ავტორს ასევე რომ აახლოებს. საქმე ისაა, რომ შავთელი და ჩახრუხაძე, ზემოთ მოყვანილი ტაეპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საუბრობენ თამარის პოლიტიკის შედეგებზე, რომელიც ერთი მხრივ, სპარსეთისკენ, მეორე მხრივ კი ტრაპიზონისა და საზოგადოდ საზღვაო ინტერესებისკენ იყო მიმართული. ამ ჩვენს დაკვირვებას კიდევ უფრო ამტკიცებს ამავე ავტორებთან დადასტურებული ისეთი ხასიათის მრავლისმეტყველი ფორმულირებანი როგორცაა „ახალო ხვასრო“ და „ახალო რომო“.

„ახალო ხვასრო“ ჩახრუხაძესთან არის დადასტურებული, რითაც პირდაპირ მიგვანიშნებს საქართველოს პრეტენზიებზე, როგორც სპარსეთის მემკვიდრეზე. იგი ამას აცხადებს მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ მიმართული ქართული სამეფოს ძალისხმევა წარმატებით სრულდება. იგივე შეიძლება ითქვას შავთელზეც, რომელიც საქართველოს, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების, საზოგადოდ კი მისი აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის წარმატებით წარმართვის შემდეგ, მას ბიზანტიის მემკვიდრედ მოიაზრებს: „ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო / უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა. / ვნატრი ელადას, თვით მას გელათსა, / სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა.“

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ „ახალო რომო“ ძალაუფლებისა და ჰეგემონიის მნიშვნელობითაა მოხმობილი და

მას ელადასთან არ გააჩნია საერთო, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს. ამგვარად, თუ აქამდე მიღებული იყო, რომ თამარი ბიზანტიის მემკვიდრეობაზე აცხადებდა პრეტენზიას, იგივე შეიძლება ითქვას სპარსეთზეც. „ახალო რომოს,“ „კეისრისა“ და „ახალო ხვასროს“ აღნიშვნა თამარის ეპოქის თანადროულ მწერლობაში ამ მოსაზრებას ადასტურებს.

ჩვენი კვლევისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფოლკლორულ მასალასაც, რომელიც ამ თვალსაზრისით არ ამეტყველებულა და რომელიც უძვირფასესი ინფორმაციის შემცველია სპარსული და საზღვაო პოლიტიკის თვალსაზრისით.

თამარის ცნობილ ეპიტაფიაში ნათქვამია: „თამარ დედოფალი ვიყავ, / თავი ძირს აღარ დავიდე, / ზღვაში ჩავყარე სამნები, ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე, / ქაჯებსა დავდე იჯარა, ისპაჰანს ხარჯი ავიღე, სტამბულს ხმალი ვკარ, დარუბანდს, / შამს საბალახე ავიღე, / უსიერი მთა გავკაფე, / დიდი შარაგზა გავიღე, / ლადალუდა ტყე ვიარე / ქვაზე საყდარი ავიგე... / ამდენი საქმის მოქმედმა / ცხრა ადლი ტილო წავიღე“.

როგორც ვხედავთ, აქ უკვე ხალხია შემნახველი და მატარებელი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის, რომელიც თამარის სპარსულსა და საზღვაო პოლიტიკას უკავშირდება, მის დიდ საერთაშორისო მიღწევებს. ამავე დროს, თამარის ეპოქის მწერლების მსგავსად ხალხიც ამ პოლიტიკის წარმატებულ შედეგებზე საუბრობს და თამარის მოღვაწეობის შეფასება-შეჯამებისას ყურადღებას როგორც მის აღმოსავლურსა და სპარსულ, ისე საზღვაო პოლიტიკაზე ამახვილებს. ამავე დროს, მათ შორის არსებულ კავშირს ადასტურებს და, აქედან გამომდინარე, იმ მასშტაბს, რის გამოც ხალხისთვის თამარ მეფე დიდა და შეუდარებელი. შემთხვევით არ ამახვილებს ყურადღებას თამარის ისტორიკოსი, ქართველი მეფის პოლიტიკის დიდ მასშტაბზე, რის გამოც, საგანგებოდ მიმართავს მომავალ თაობებს. იმ ურწმუნოსაც, ნიჰილიზმით და საზოგადოების დეზორიენტირებით ეროვნულ ცნობიერებას რომ ანგრევს. ამასთან დაკავშირებით ბასილი ეზოსმოძღვარი წერს: „ამიერიდან განგება ღირს, რომელმან შეუძლოს აღწერასა მიცემად წარმართებანი თამარის საქმეთანი, რამეთუ ვითარ თმანი თავისანი თვითეულად ვერავინ აღრიცხუნეს, ეგრეთვე ვერცავინ ესენი აღწერნეს, და რომელთაცა ოდენ შეუძლონ, საეჭუელ მიჩნს მომავალითაგან შემდგომად არა დარწმუნებად. გარნა ლომი ბრჭყალოთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან: ვის უნდეს ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი სულტანთა სასხდომნი, მისგან ახმულნი, მზღვარნი, რომელნი მას დახუდეს მას გარეთ მისსა სამეფოსა ორად განფართებულნი, და ამისგან ცნას მეძიებელმან საქმეთამან, მერმე ცნას ერავამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარლამდის, და თვით იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე კმა არს ქუე-ჯდომით მოქმედისაგან.“

ხომ არ ეხმაურება „ქართლის ცხოვრებას“ ამ ცნობას, ჩახრუხაძის ის ადგილი, სადაც „ახალო ხვასროს“ შემდეგ კონტექსტში ათავსებს: „ახალო ხვასრო, ბაღდადით სპარსო“, რაც სამხრეთ ლევანტზე პრეტენზიად შეიძლება აღვიქვათ.

ჩვენ მიერ განხილულ მხატვრულ ნაწარმოებებში, ვფიქრობთ, თამარ მეფის როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური პოლიტიკის ნარმატებების შედეგებია მოცემული, დაარსებულია ტრაპიზონის იმპერია და 1210 წ. ძლევამოსილი ლაშქრობა დასრულებული. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა, თამარის ეპოქის, აღნიშნული ნაწარმოებების დათარიღების კიდევ უფრო დაზუსტებას შეუწყობს ხელს.

ამგვარად, ზემოთ განხილული მასალების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ: რუსთაველი, ჩახრუხაძე და შავთელი სპარსულ და საზღვაო თემებზე სავსებით გამიზნულად აკეთებენ აქცენტებს, იმ დროს, როდესაც თამარის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა სპარსეთისა და ტრაპიზონისკენაა მიმართული.

შავთელი და ჩახრუხაძე მოვლენების დაკონკრეტების თვალსაზრისით საისტორიო წყაროებთან ახლოს დგანან. ისინი აღნიშნავენ როგორც სპარსული, ისე საზღვაო პოლიტიკის ნარმატებებს. ამავე დროს, ადასტურებენ საზღვაო პოლიტიკის ორ ეტაპს – ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასა და კონსტანტინოპოლისკენ მიმართულ ძალისხმევას, რითაც ასევე ეხმაურებიან ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებს.

რაც შეეხება რუსთაველს, მას მხატვრული ნაწარმოებისთვის ნიშანდობლივი ხერხებით აქვს წინ წამოწეული სპარსეთის ძლევა და საზღვაო თემები.

შესაბამისად „ვეფხისტყაოსანი“ აღნიშნული თემატიკით თავსდება თამარ მეფის საგარეო პოლიტიკის იმ სქემაში, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ იყო მიმართული. ამასთან დაკავშირებით გვებადება კითხვა. ხომ არ შეიძლება ზღვათა სამეფოში, რომელიც სპარსულისაგან განსხვავებით, დადებითი განწყობის მატარებელია, ვიგულისხმობთ ტრაპიზონის სამეფო. მით უმეტეს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ზღვათა სამეფო მთავარი გმირების მოკავშირეა. ამ საკითხს ცალკე შევხებით და ვეცდებით დავასაბუთოთ, გულანშაროს ქვეშ შესაძლებელია თუ არა ქალაქი ტრაპიზონი იგულისხმებოდეს.

პრობლემები იმდენად დიდია და იმდენი შემავალი თემისგან შედგება, რომ იგი სცილდება ერთი წერილის საზღვრებს და საბოლოოდ მას მონოგრაფიის სახეს მივცემთ. ამჟამად ჩვენს მიზანს, თამარის ეპოქის განხილვა წარმოადგენდა, მისი აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის გააზრება მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით. რუსთაველის, შავთელისა და ჩახრუხაძის, ისევე როგორც თამარის ისტორიკოსთა წინაშე, პირველ რიგში, სწორედ ეს ამოცანა იდგა – ეპოქის ჩვენება.

ეპოქა წარმოაჩინა ქართველმა ერმაც თავისი ხალხური შემოქმედებით. მაგრამ, ამ მხრივ, ისევე, როგორც ქართველი ხალხის თამარის ეპოქასთან უწყვეტი კავშირის თვალსაზრისით, განსაკუთრებულია შოთა რუსთაველის როლი.

გამოსწავრა

საბა სულხანიშვილი

მოსე – ნილოსის ქვეყნის მისტარიაში

*

ერთი ფარული გადაახილი

ნარკვევში „დავით სასუნცი (სომხური ხალხური ეპოსი)“ პავლე ინგოროყვა მთავარი გმირის ენაბლუობას ბიბლიური მოტივის ანარეკლად მიიჩნევს და ირწმუნება: ეს ისტორია უმეტესად უდგება ბიბლიურ ლეგენდას იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ენაბლუ პატრიარქი მოსეო.

თუ რა ისტორია იგულისხმება, შესაძლოა აღარც მიაქციო ყურადღება, რადგანაც უცნაური და აუხსნელი ჩანს მოსე წინასწარმეტყველის მოხსენიება ენაბლუდ.

იქნებ კარგად არ გახსოვს ძველი აღთქმის ტექსტი და სადღაც, რომელიღაც მუხლში გამოსვლათა წიგნისა უშუალოდ თუ არ ენეროს მოსეს ეს ნიშანი, მინიშნებით მინიშნებული იყოს?

გულდასმით ჩახედავ, ჩაუკირკიტები... მაგრამ ეძებ, რამდენიც გინდა.

ბუნდოვან – არამცთუ გამჭვირვალე – მინიშნებასაც ვერ ამოიკითხავ და შესაძლოა გაგინდეს აზრი, პავლე ინგოროყვას ბიბლიური წინასწარმეტყველი და ანტიკური ბელადი ხომ არ აერია უნებურად ერთმანეთში, ენაბლუ ხომ დემოსთენე იყო და არა მოსეო.

მართალია დავით სასუნცის დაენაბლუება და დემოსთენესი სრულიად დაშორებულია ერთმანეთს – სომეხ გმირს თუ ცეცხლით გამოცდამ დაუბრგვილა ენა, ბერძენს დაბადებიდან დაჰყოლოდა, მაგრამ, ასეა თუ ისე, მოსე საერთოდ არაფერ შუაშია ენაბლუობასთან.

კალმისმიერი ლაფსუსი ყველას შეიძლება მოუვიდეს. მესხიერებამ ყველას შეიძლება უმტყუნოს.

და ეს გარემოება ალბათ ასეც უნდა აღინიშნოს აკადემიური გამოცემის კომენტარებისას.

მაგრამ... ხომ არ ვჩქარობთ კომენტარში მაინცდამაინც ლაფსუსის ჩანერას?

აბა, ჩახედეთ გრიგოლ რობაქიძის რომანს „გველის პერანგი“, იმ ქვეთავს, ასე რომ დასათაურებულა – „ჰოზარსიპო“, არ დაგავიწყდეთ, რომ ჰოზარსიპო იგივე მოსე წინასწარმეტყველია, და თვალი მიაღვენეთ ამ სტრიქონებს:

„ყრმა ყოველთვის განზეა. ჩუმი. მას „მდუმარეს“ ეძახიან. ეკითხებიან. ყრმა ლაპარაკობს. ენა ებრგვილება – (სიტყვას თუ ეძებს?!). ყრმა განაგრძობს. ებრგვილება ენა კიდევ – (თუ ეშინია აზრის მხელის?!). ყრმა ლაპარაკს უეცრად გასწყვეტს. შეჩერდება. განზე იხედება. საგნებს

არ უყურებს. საგნების „მიღმა“ იხედება. ან და: შუაგულ სჭრის მზერით საგნებს და „იქით იმზირება“.

კიდევ შეიძლება ამ პასაჟის გაგრძელება, მაგრამ ისე-დაც თვალნათლივია ზოგადი ფონი, რომლის ნიაღშიც ასე უეცრად შემოგვანათებს ყრმის ენაბრგვილობა.

და მკითხველი ისეთივე გაოცებით ათვალეირებს ყრმა მოსეს ამ პორტრეტულ და ფსიქოლოგიურ ნიშნებს, როგორც მოხუცი იოფორი, ოსირისის ტაძრის ქურუმი, თვითონ მას – რეალობიდან და უსასრულობიდან ერთდროულად გამოცხადებულ ჰოზარსიპსს, ვისაც ხელები შესვრია ებრაელი ქვისმტეხის დამწაგრავი ეგვიპტელი ზედამხედველის სისხლით.

და პავლე ინგოროყვას უშუალოდ „გველის პერანგის“ ეს ფრაგმენტი ახსენდება, როდესაც მოსეს ენაბლულ ნარმოგვიჩენს?

თუ ის წყარო, საიდანაც მისი ნარკვევის შექმნამდე გრიგოლ რობაქიძემაც ისარგებლა?

არსებობს კი ასეთი წყარო?

მართლა რაიმეს ეყრდნობა ქართველი რომანისტი თუ მოსეს თავგადასავლის ეს – ბიბლიური-საგან რამდენადმე განსხვავებული – ვერსია მისი შემოქმედებითი ნარმოსახვის ნაყოფია?

მანანა ხომერიკის ლიტერატურული ნარკვევი „ჰიერატული“ „გველის პერანგსა“ და „ფალესტრაში“ (პირველად გამოქვეყნდა ამ თექვსმეტი წლის წინათ, ახლახან კი ხელახლა განმეორდა მკვლევარის წერილების კრებულში) გვარწმუნებს, რომ ეს ვერსია გრიგოლ რობაქიძის ფანტაზიას არ შეუქმნია და მოსეს – ჰოზარსიპსის სახელით – ჯერ კიდევ ფილონ ალექსანდრიელი იხსენიებდა ეგვიპტელ ქურუმ მანსთეონზე დაყრდნობით.

„გველის პერანგის“ კონცეფციით რომ მოსე ეგვიპტელი იყო და მისი სწავლება უფრო ეგვიპტურია, ვიდრე ისრაელური?

ნიკოს კაზანძაკისთან, მისთვის სულიერად ასერიგად მახლობელ მწერალთან ჟენევიდან გაგზავნილ ვრცელ წერილში, 1952 წლის 17 დეკემბრით რომ თარიღდება, გრიგოლ რობაქიძე სწორედ „გველის პერანგს“ გულისხმობს, როდესაც თავის შეხედულებას უზიარებს და დასძენს, ეს უკვე ნათქვამი მაქვსო:

– მოსე მეორედ დაბადების შემდეგ ეგვიპტელი იყო: უფრო ზუსტად: განდობილი ნილოსის ქვეყნის მისტერიებში. თუ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ „შესაქმეს“ ზერელედ ჩავიკითხავთ, რაც ფაქტიურად, ხდება საუკუნეების მანძილზე.

ეს მოსაზრება ბიბლიურ ტრადიციას კი ეწინააღმდეგება, მაგრამ იზიარებს ფრანგი მისტიკოსის ფაბრ დ'ოლივეს ნაშრომის – „მოსეს კოსმოგონია“ – მრწამსს, რო-

მელიც ეგვიპტური სწავლების მიხედვით ცდილობს ბიბლიის ფარული აზრისა და ჭეშმარიტი კოსმოგონიის აღდგენას. ფრანგი სწავლული აღიარებდა მოსესა და პითაგორას კოსმოგონიის გარეგნულ განსხვავებას, მაგრამ ამტკიცებდა მათი არსის იგივეობას. და განა არჩიბლდ მეკემის წინაპარმა, ირუბუქ ირუბაქიძემაც არ „იცოდა საიდუმლო სწავლანი საკუთრივ – მოსე და პითაგორა“?

მკვლევარი ფრთხილად გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა ქართველი რომანისტი კარგადაც იცნობდა

ფაბრ დ'ოლივეს ნაშრომებს (ყურადღებას მიაქცევს, რომ „გველის პერანგის“ ერთი პასაჟი – „კირში – მზის ხურუში... სპარსეთის ტიტველ ნაპრალეზიდან, საცა გახელეული მზე ავბორცობის ჟინს იკლავს, ხანდახან ლომის გრგვინვა გადავარდება...“ – საგულისხმოდ ემთხვევა ფრანგი მისტიკოსის თხზულების ერთ ადგილს), მაგრამ დაბეჯითებით ირწმუნება, რომ მას უსარგებლია დ'ოლივეს მიმდევრის, მისივე თანამემამულე ბელეტრისტის, პოეტისა და მისტიკოსის ედუარდ შიურეს ნაწარმოებით „დიადი შეწირულნი. რელიგიის ეზოტერიზმის ნარკვევი“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1889 წელს, მისი რუსული თარგმანი კი 1914 წელს გამოჩნდა:

„ჰოზარსიპს“ საესებით იდენტურია შიურეს დასახელებული ნაწარმოების შესაბამისი თავისა – „მოსეს ზიარება ეგვიპტეში – მისი გაქცევა იოფორთან“, რაც გამოიხატება არა მხოლოდ შინაარსის, არამედ ცალკეული გამოთქმებისა და მთელი ფრაზების დამთხვევით.

მანანა ხომერიკი ცალკე ნარკვევს მიუძღვნიდა ამონარიდთა შე-

პირისპირებას გრიგოლ რობაქიძისა და ედუარდ შიურეს ამ თხზულებებიდან, რაც ძალდაუტანებლად ადასტურებს თურა ყოფილა „გველის პერანგის“ ამ თავის უშუალო წყარო.

მკვლევარი იმასაც დასძენს, რომ არც ამ რომანის სხვა მონაკვეთებსა და არც „ფალესტრაში“ არ შეიმჩნევა შიურეს წიგნის ამგვარი გავლენა, თუმცა ორივე ქმნილებაში ამა თუ იმ სახით არეკლილია „დიად შეწირულთა“ ყველა ძირითადი მომენტი.

უეჭველია, პავლე ინგოროყვას კარგად ეცოდინებოდა არა მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის რომანი, არამედ ედუარდ შიურეს მისტიკური ქმნილებაც; და დავით სასუნცის ენაბლუობა თავისთავად ნამოტივიტივებდა მის მეხსიერებაში ორივე წიგნის პასაჟებს – ერთიც აკრძალულიყო და მეორეც საბჭოთა სინამდვილეში და მხოლოდ ასე, ფარული მინიშნებით შეეხმინებოდა გადახვეწილ მეგობარსაც და იმ ფრანგ სწავლულსაც, ვის „დიად შეწირულთ“ გამოქვეყნებისთანავე საკმაო ხმაური და გამოძახილი გამოეწვია ევროპის საზოგადოებრივ-კულტურულ რეალობაში.



მოსე წინასწარმეტყველი.
მოქანდაკე მიქელანჯელო ბუონაროტი

მხოლოდ ძველი აღთქმის მკითხველისათვის პავლე ინგოროყვას ნარკვევის ის პასაჟი კალმისმიერი ლაფსუსია და სხვა არაფერი, მეხსიერებაზე დაყრდნობა და ამით გამონვეული შეცდომა, მაგრამ როდესაც პავლე ინგოროყვას რანგის სწავლულთა სამეცნიერო თხზულებებს ვკითხულობთ, ნურასოდეს გამოგვრჩება, თუ რამხელა განცდებსა და ასოციაციებს შეიძლება იტყვდეს თუნდ ის დაკვირვებანი, რაც ზერელე შეხედვით შეცდომად თუ ლაფსუსად მოგვეჩვენება.

მოსე წინასწარმეტყველს ენა უბრგვილდებოდაო, – ირწმუნებოდა იატაკქვეშ მოქცეული რომანი. დავით სასუნცსაც მოსესავითო, – ეხმიანებოდა დიდი ტერორის მიწურულს გამოქვეყნებული ნარკვევი. და თავისას ბრუნავდა ისტორიის ჩარხი.

P.S.

ამ ჩანანერს ჩემს ძველ მეგობარს ლუკა ავალიშვილს რომ წავაკითხებდი, მას ძალდაუტანებლად გაახსენდებოდა ყურანის 43-ე სურის – „შემკულობანი“ – ოთხი აია (50-53) და ზეპირადაც დაიმონებდა: „და დაიძახა ფარაონმა თავის ხალხში და თქვა: ო, ხალხო ჩემო, განა არა მაქვს მე ხელმწიფება ეგვიპტისა და

ეს მდინარენი მოედინებიან ჩემს ფერხთა ქვეშ, განა ვერ განჭვრეტთ?!

და განა არა ვარ უკეთესი ამაზე, რომელიც კნინია და ძლივს მეტყველებს?!

და ოქროს სამაჯურები მაინც მკეთებოდა, ანდა მასთან ერთად მოსულიყვნენ ანგელოსნიო“.

მერე კი საგანგებოდ მომიძებნიდა ყურანის კომენტატორთა – ალ-ბაიდავისა და ალ-ჯალალაინის – განმარტებას: „ეს იმის გამო ითქვა, რომ მოსე ენაბრგვილი იყო, რადგან ბავშვობაში ცხელი ნაკვერჩხალი ჩაიდო პირში“.

როგორც ჩანს, ისინი სწორედ ეგვიპტურ ტრადიციას ეყრდნობიან და ყურანისეულ გამოთქმას – „ძლივს მეტყველებს“ – ამიტომაც აზუსტებენ „ენაბრგვილობად“, თავის მხრივ კი ცხელი ნაკვერჩხლის მოტივსაც უმატებენ.

თუმც ხსენებით არ ახსენებენ ამ ტრადიციას და მკითხველისათვის, ვინც ძველ მისტერიებში მაინცდამაინც არ არის გათვითცნობიერებული, ბუნდოვანი და აუხსნელი რჩება მათი თვალსაზრისის პირველწყარო.

ცხადია, კომენტატორთა მინანერებს დამატებითი დაზუსტება-შევსება აღარ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ ამჯერად შორს წულარ გავეყვებით და მოსეს ენაბრგვილობის ვერსიაში ყურანის იმ პასაჟის შემოტანა თავისთავად საგულისხმო მასალად მივიჩნიოთ.

დანარჩენი კი, თუკი მოინდომებენ, სხვებმა იკვლიონ.

რეპორტაჟი

ეკა ბუჯიაშვილი

მზერა წარსულის ბურუსიდან

*

ელიზბარ ერისთავის დღე გორში

„ჩვენი ზაგოვორის თავი ელიზბარი იყო, ამისთვის რომ დიდათ ცდილობდა და ყოველს ადგილას მიმომსვლელი ის იყო, და შუაკაცი,“ – ეს სიტყვები ალექსანდრე ორბელიანს უთქვამს ელიზბარ ერისთავზე – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ თაოსანზე, სრულიად ახალგაზრდას თავის თავზე რომ აულია ამბოხის მთავარსარდლობა.

ათწლეულები გაფრინდნენ მას შემდეგ...

დღესდღეობით კი სწორედ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ძალისხმევით, უკვე ტრადიციად იქცა ყოველ თერთმეტ იანვარს, ელიზბარ ერისთავის გარდაცვალების დღეს, შეიკრიბონ ამ გმირის ღვანლის დამფასებელნი მის მშობლიურ ქალაქში, გორში და კიდევ ერთხელ გაიხსენონ მისი სახელი. ორბელიანის საზოგა-

დობის თაოსნობით 2002 წელს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ ელიზბარ ერისთავის ძეგლიც დაიდგა.

წელს კი ამ ეროვნულ გმირს მეთერთმეტედ გადაუხდიან პანაშვიდს...

„ელიზბარ ერისთავი, გულგატეხილი და ცხოვრების მდინარებას ადევნებული, დილაობით მდუმარედ სვამდა ჩაის და ნალვლიანად გაიცქირებოდა სადღაც.

შვილს მამისგან ყველაზე მკაფიოდ ეს ნალვლიანი მზერა ჩარჩა ხსოვნაში“, – მახსენდება როსტომ ჩხეიძის წიგნიდან „ელიზბარ ერისთავი“, შთამბეჭდავად რომ გვიხატავს ამ ეროვნული გმირის ღვანლსა და პორტრეტს.

ათწლეულების ბურუსიდან კი ნალვლიანი თვალები იკვეთება, აუსრულებელი მიზნის ნალველით სავსე თვალები...

ეს მზერა დაეჭირა ძეგლის ავტორსაც, გენო დაზაქარაიასაც.

სადღაც შორს გაიცქირებოდა ელიზბარ ერისთავი, ამ გმირის ხსოვნის პატივსაცემად შეკრებილები კი მის ახლოს ტრიალს ცდილობდნენ და ასე ამბობდნენ:

მაკა ჯოხაძე:

„საერთოდ, ადამიანი არის ხსოვნა და რეაქცია. დღევანდელი ტენდენციები ყველაზე მეტად ხსოვნას აზიანებს და რეაქციებს აჩლუნგებს. „ჩვენი მწერლობის“ რედაქცია მიზანმიმართულად მუშაობს იმისთვის, რომ ხსოვნა იყოს ცოცხალი, დროთა კავშირი არ დაირღვეს და

ჩვენს ცხოვრებაში მუდმივად მონაწილეობდნენ ეროვნულ გმირთა სახელები, წლების მანძილზე შეგნებულად რომ ავიწყებდნენ ხალხს. წარმოიდგინეთ, ელიზბარ ერისთავი თვით გორელებისთვისაც კი აღმოჩენა იყო, ეს სახელი ორბელიანის საზოგადოებამ დაუბრუნა ამ ქალაქს და მთელს საქართველოს. ყოველთვის ასე იყო – „ათასების გასაკეთებელს ერთეულები აკეთებდნენ“ – ამაზე სწუხდა ილია. დღეს კი, როცა სამყაროს გლობალიზაცია ემუქრება, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ამ ერთეულების გაკეთებული საქმე გაცილებით უფრო საჭირო, მნიშვნელოვანია, სამშობლოს განცდას შეგვახსენებს. სამწუხაროდ ამ განცდის შესხენებაც სჭირდება ბევრს...

სიონში 28 დეკემბერს ყოველწლიურად იმართება ალექსანდრე ორბელიანის პანაშვიდიც, მის საფლავთან იკრიბებიან ადამიანები, ვინც იცის ვინ იყო იგი. ერთხელ გვკითხეს: შთამომავლები ხართ მისიო? არადა... ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ სულიერად ვიყოთ ამ ეროვნულ გმირთა შთამომავლები.

„ზაგოვორიც“ იყო და „ზაგოვორიც“... ეს ადამიანები უზარმაზარ იმპერიას ამბობებოდნენ და მასთან ბრძოლა და მისი დამარცხება განეზრახათ.

გეგმაც მზად იყო.

მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილს მოიაზრებდნენ, ელიზბარ ერისთავი მინისტრთა კაბინეტსაც ადგენდა, ოღონდ ამ სიაში არც თვითონ, არც ალექსანდრე ორბელიანი და არც სოლომონ დოდაშვილი არ იგულისხმებოდნენ.

პატრიოტიზმიც ეს იყო, ასე ესმოდათ სამშობლოს სიყვარული.

დღეს კი, ელიზბარ ერისთავის ძეგლთან, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი (საგურამოში), ბატონი ანდრო ბედუქაძე მეუბნება:

„ამ გრძნობას არ გააჩნია ერთი სახე, მას სხვადასხვა გამოხატულება აქვს. პატრიოტიზმის ერთ-ერთი ფორმაა, მაგალითად, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, ილია, ვაჟა, აკაკი... დღესაც აქ რომ მოვედით და შევიკრიბეთ ელიზბარ ერისთავის ხსოვნის პატივსაცემად, ესეც სამშობლოს სიყვარულია, და უნინ ჩვენ გვჭირდება, ჩვენს მომავალს სჭირდება ეს ყველაფერი, თორემ არც ელიზბარ ერისთავს, არც არავის, ვინც სამშობლოსთვის იღვანა და სული ღმერთს მიაბარა, სხეული კი – მიწას, ამაზე არ უფიქრიათ. როგორც გურამ ასათიანი იტყოდა: მდინარეს ემუქრება ოკეანე, რომელშიც შეერევა, დაიკარგება და გაითქეფება. თუ ჩვენი წარსული და ელიზბარ ერისთავის მსგავს ეროვნულ გმირთა სახელები გვემახსოვრება, იქნებ საერთოდ ავცდეთ ამ ოკეანეს. ამისთვის იღვნის როსტომ ჩხეიძე, ჩვენი წარსულიდან რომ გვიბრუნებს ამ სახელებს.“

შეთქმულებაც იყო და შეთქმულებაც...

ელიზბარ ერისთავი და მისი თანამოაზრეები ხომ უზარმაზარ იმპერიას აუმბობდნენ... და, ვფიქრობ, ისინი კი არ დამარცხდნენ, გაიმარჯვეს! რადგან მათ შემდეგ მოვიდა ილია, გაღვივდა ის იდეები, რომელიც ვერა და ვერ ჩააქრეს... ის ყველაზე დიდი გამარჯვება იყო და დღეს ჩვენ ასეთ გამარჯვებულ კაცთან ვართ მოსულები“.

– ძეგლი ჩვენი უნივერსიტეტის ეზოში დგას, – მეუბნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ბატონი მამუკა ჯოლობორდი, – ამიტომაც პირველკურსელები ხშირად ინტერესდებიან. – ვინ იყო ელიზბარ ერისთავი და რა დამსახურება მიუძღვის სამშობლოს წინაშე ამ გორელ კაცს. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ათწლეულების მანძილზე მიჩქმალული იყო მისი სახელი, ახალგაზრდობისთვის ვერ იქცა ნათელ ნიშანსვეტად. ამას დღეს ვცდილობთ ყველანი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით.

ქალბატონი მარინე გიგაშვილიც, გორის უნივერსიტეტის პედაგოგი, ფილოლოგი, იმ სიხარულს მიზიარებს, რომ ელიზბარ ერისთავის ძეგლი სწორედ იქ დგას, სადაც ახალ თაობას ყოველდღე უწევს ტრიალი.

– როსტომ ჩხეიძე ისტორიაში ეძებს მივიწყებულ გმირთა სახეებს და თავის ადგილს მიუჩენს მათ, რათა წარსული გვახსოვდეს. ეს ძეგლიც მუდმივად შეახსენებს ახალგაზრდებს, რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული, რამდენი რამ გააკეთა ამ კაცმა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, შემდეგ კი იღვანა, როგორც მენარ-

მემ... და ეს ტრადიცია, ყოველ თერთმეტ იანვარს შეკრებისა, მხოლოდ ელიზბარ ერისთავის ხსოვნის პატივგება კი არა, საერთოდ, მივიწყებულ გმირთა აპოლოგიააო.

ამ რამდენიმე წლის წინათ, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზაზა ცოტინაშვილის ხელმძღვანელობით სტუდენტებმა საღამო გამართეს, მიძღვნილი ალექსანდრე ორბელიანისადმი. მაშინ სცენარი სტუდენტმა ნინო ქომოშვილმა დაწერა და როსტომ ჩხეიძის წიგნით იხელმძღვანელა.

დღესდღეობით ნინო გორის მერვე საჯარო სკოლის პედაგოგია, ამჯერად ელიზბარ ერისთავის საღამოს გამართვას გეგმავს მოსწავლეებთან და უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად და ასეთ რამესაც დასძენს:

– გორში ვცხოვრობ და ყოველთვის, როცა ელიზბარ ერისთავის ძეგლთან გავივლი, გულგრილად არ შემიძლია ნაბიჯის გადადგმაო.

ისტორიკოსი, ქეთევან მეძმარიაშვილი კი მეტყველებს: ელიზბარ ერისთავის ძეგლის დადგმა რომ გადაწყდა გორში, რამდენიმე ადგილი შეირჩა, მაგრამ ყველაგან წინა-



ელიზბარ ერისთავის
მემორიალი გორში.
მოქანდაკე ვენო ზაქარაია

აღმდეგობა შეხვდათ, საბოლოოდ უნივერსიტეტის ეზო შეირჩა. არცთუ შემთხვევით – ესეც ბედისწერა იყო – ელიზბარ ერისთავი აქ უნდა მოეყვანა წერას, რათა ახალგაზრდები ყოველდღე უყურებდნენ და ახსოვდეთო...

შვილს კი რომ ჰკითხავდნენ: – მამისა რა გახსოვსო? – ნაღვლიანი თვალებით, – უპასუხებდა.

ამ მზერით გაიცქირებოდა სადღაც, შორეთში...

არადა, შეიძლებოდა ძეგლი არც დაგვხვედროდა აქო, – ამბობს ბატონი პაატა ჩხეიძე, – შეიძლებოდა მასაც იგივე ბედი სწეოდა, რაც სხვებს – მოპარვას და გაყიდვას უპირებდნენო.

ვერ გამოსვლიათ ეს ყველაფერი ავი საქმის მზრახველებს, ვერ დაუძრავთ ძეგლი ადგილიდან, მყარად დაუდგია, ვისაც დაუდგია...

ცოტა ნაფერდებული კი იყო, – მიაბობს ბატონი პაატა, – გუშინ მოსულა ბატონი მალხაზ ლალეაშვილი, მშენებელი კაცი თავის ჯგუფთან ერთად და გაუსწორებიათ. გამეხარდა – დღეს ისევე ასე ლამაზად რომ დაგვხვდა ყველას, ვინც აქ სიყვარულმა, ისტორიამ და იმ იმედებმა მოგვიყვანა, ელიზბარ ერისთავის სახელს რომ უკავშირდებო.

შემთხვევით არ იყო, რომ ვერ მოიპარეს.

ვერა, ვერ დაძრავდნენ ელიზბარ ერისთავს თავისი ადგილიდან – ის მყარად დგას თავისი სამშობლოს ფესვებზე, როგორც მისი გაკეთებული საქმე და ღვანჯირი.

– ესეც ჩვენი ერის და კულტურის გადარჩენის სიმბოლო!... საქართველოს შორსმომავალი ეკონომიკური თუ გლობალისტური პროექტები კი არა, უწინარესად წარსულის ხსოვნა გადაარჩენსო, – ამასაც ბატონი პაატა მეუბნება.

უწინარესად გუმბათი მიიქცევს ყურადღებას – ქართულ არქიტექტურას არ ჰგავს, არც მართლმადიდებლურს, თუმცა ამის პასუხსაც მალევე შემოგაგებებენ. ღვთისმშობლის შობის სახელობის ამ ეკლესიაში პირველად გადაიხდინა ელიზბარ ერისთავის პანაშვიდს. მანამდე ეს რიტუალი შედარებით პატარა ტაძარში და გორის ციხის კალთაზე მდებარე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში სრულდებოდა.

პანაშვიდს დეკანოზი გიორგი სიდამონიძე იხდის.

სხვათა შორის, ის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის ძმის შვილიშვილია და უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გორში რომ ამწესებდა, ასე უთქვამს:

– შენც იქიდან დაიწყებ მოღვაწეობას, საიდანაც პაპა-შენმა დაიწყო...

საკმეველის სურნელით ივსება ტაძარი.

გალობს მგალობელთა გუნდი (ხელმძღვანელი: ზაქარია ზარიძე; მგალობლები: მალხაზ დავითიანი, ზურაბ ნკრიალაშვილი, ემზარ ჯანეზაშვილი, ლამა აბუაშვილი).

აქ ტაძრის შიგნით ყველაფერი ქართულია, მართლმადიდებლური სულით სავსე, გამორჩეულად კი ფრესკები და კედლების ჯერ დაუსრულებელი მოხატულობა ნაგართმევთ თვალს.

– XX საუკუნის დასაწყისამდე ეს ეკლესია კათოლიკური იყო, – მიხსნის გორის მცხოვრები ზაქარია დემეტრაშვილი, – ზუბალაშვილებს აუშენებიათ, ამბობენ: უფრო ადრე მართლმადიდებლური იყო და კათოლიკებმა გადააკეთესო. კომუნისტების დროს აქ ხან სანყოფი გახსნეს, ხან სპორტული დარბაზი, 1987 წელს კი, ეროვნული მოძრაობა რომ თანდათან აზვირთდა, საპატრიარქოს გადაეცა, წირვა-ლოცვაც აღდგა, ოღონდ ამ ხუთიოდე წლის წინათ, გორისა და კასპის ეპარქიის წინამძღვრად მეუფე ანდრია გვაზავა რომ გამოგვიგზავნეს, საეკლესიო ცხოვრება აქ სხვაგვარი სიცხოველით გაგრძელდაო.

მისივე თქმით, ამ სამიოდე წლის წინათ, ტაძარში ძველი ბათქაში ჩამოუხსნიათ, თავიდან გაულესიათ და ეს ქართული ფრესკებიც, მართლმადიდებლური კანონიკით, ქართული ფერებითა და სულისკვეთებით ახალგაზრდა მხატვარს, ზურაბ მოდებაც დაუხატავს.

ელიზბარ ერისთავის პანაშვიდი კი დასასრულს უახლოვდება...

„მონვეთავს ჯავრი მჭმუნავ სახიდან, ისევე დაბრუნდა, რადგან ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად დღესაც კედელთან დადგა“, – ეს ლექსი მწერალ ვანო ჩხიკვაძეს ელიზბარ ერისთავის ძეგლის გახსნისთვის მიუძღვნია. ამ სტრიქონებს კითხულობდა ძეგლთან 11 იანვრის თავყრილობებზეც. ალბათ ამიტომაც არ მიკვირს ახლა ამას რომ მეუბნება:

ქართველი კაცისთვის ელიზბარ ერისთავი ის დიდი მოღვაწეა, რომელზეც ორიენტირი უნდა ჰქონდეს. ასეთი მოღვაწეების სიმრავლით არის ქვეყანა მდიდარი. ვინც მათ ცხოვრებას ირჩევს ორიენტირად, ის თაობა არის ბედნიერი და იმ ხალხს უწერია მომავალი, მათ გაკვალულ გზაზე მოვიდა ილია... საერთოდ მომავალი ხომ წინა კაცის ნაკვალევზე მიდის და ვინც სწორად აირჩევს ორიენტირს, ფონსაც ის გავაო...

ორიენტირი კი უკვე აურჩევია გორის ეთნოგრაფიის მუზეუმსაც, რომელსაც, ახლახან, მისი დამაარსებლის, სერგი მაკალათიას სახელი ეწოდა და სამეცნიერო სესიაც გაიმართა. ეს ყოველივე უკვე მოეხსენება „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს საბა სულხანიშვილის რეპორტაჟის მეოხებით „სახელი სერგი მაკალათიასი“ (2006, №25).

ღირეჭორის, ქალბატონი თინა სოსანიძის თქმით მუზეუმში ელიზბარ ერისთავის კუთხეც კი მოუწყიათ.

– ეს ყველაფერი იმ მცირე მასალით გაკეთდა, რაც ჩვენს ხელთ იყო, – ამბობს ქალბატონი თინა, – სამწუხაროდ, ელიზბარ ერისთავის ნივთებიდან არაფერი შემოგვრჩა. საექსპოზიციოდ გამოვფინეთ ბოთლები და სხვადასხვა ფერის, ხარისხის თუ დანიშნულების მინის „ლენები“ ღვარების ქარხნიდან; მოსაწვევი ბარათი, რომელიც ელიზბარ ერისთავის ძეგლის გახსნის გამო დაიბეჭდა. ასევე ბატონი როსტომ ჩხეიძის წიგნი და ზოგიერთი ის მასალა, რომელიც გორში ძეგლის გახსნას უკავშირდება. საქმე ის არის, რომ მაშინ ელიზბარ ერისთავის ბიუსტის დადგმას დიდი მონაწილეობა გამოუჩნდნენ. ამ საქმეში, გამორჩეულად, ტელეკომპანია „თრიალეთი“ აქტიურობდა. გორის მაშინდელი გამგებლის, ბატონი პაატა ჩხეიძის დიდი ძალისხმევა რომ არა, ძეგლის დადგმა ვერ მოხერხდებოდა. სწორედ იმ დაძაბულ პერიოდში, ქალაქის

მთავარი არქიტექტორის, გია სოსანიძის თაოსნობით, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, სამხატვრო სკოლაში შეიკრიბა ინტელიგენცია და ყველამ თავისი პოზიცია გამოხატა ძეგლის გახსნის შესახებ. სწორედ ეს ჩანაწერები დაფურთხებული გამოფენას, გრაფების სახით.

სამწუხაროდ, მუზეუმში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო უფრო დიდი ღონისძიების დაგეგმვა ვერ შეეძლებოდა, თუმცა სულ მალე მუზეუმში ჩატარდება სამეცნიერო სესია, რომლის ერთ-ერთი თემაც ელიზბარ ერისთავი იქნება... გვინდა ჩვენი მორალური ვალი მოვიხადოთ არა მხოლოდ ელიზბარ ერისთავის, სხვა ეროვნული გმირების წინაშეცო...

ამ თვალსაზრისით მუზეუმს ბევრი საინტერესო გეგმაც აქვს, ოღონდ, ამაზე სხვა დროს უფრო ვრცლად მოგიხსნებოდა. ახლა კი...

როსტომ ჩხეიძე წარსულიდან ელიზბარ ერისთავის სახეს რომ წამოწევს, თავის წიგნში ამასაც იკითხავს გულსტიკივით:

„ელიზბარ ერისთავის სახლი თუ მაინც გადარჩენილა გორში? ის სახლი, ქვეყნის გამოხსნისა და სულიერი ამაღლების ფიქრი რომ ტრიალებდა; ჟურნალის დაარსების ბჭობა მღელვარებდა, „სინათლის“, რომლის გამოცემაც ხელისუფლებამ არ დაანება; „ცისკრის“ ნომრებს რომ განსჯიდნენ, თეატრალურ წარმოდგენებსაც მართავდნენ; თავად-აზნაურობის მარშლად დიმიტრი ყიფიანის

არჩევას რომ გეგმავდნენ და საარჩევნო კამპანიასაც აქედან წარმართავდნენ...

რამდენი რამ ემახსოვრებოდათ იმ კედლებს, იმ ჭერს, იმ ავეჯს...

მინად ქცეულა ყოველივე, თიხად და ნაცრად!

გულმოკლული ილტვი, ელიზბარ ერისთავის საფლავთან ჩამუხვლას მოინატრებ... მაგრამ სად გინდა იპოვნო მისი სამარე! გორის საკრებულო ტაძარი დაუნგრევიათ, საფლავები ამოუყრიათ, აღარსადაა კვალი ელიზბარ ერისთავის ნეშტისა...“

არც ის შუშის ქარხანა შემორჩენილა, ელიზბარ ერისთავმა სოფელ ღვარებში რომ დააარსა, არადა, იარაღის ქარხანა კი ედგა თვალწინ.

„მინად ქცეულიყო ყოველივე, თიხად და ნაცრად!“

ვერა, ვერ შეეგუებოდნენ ამას ელიზბარ ერისთავის ღვანლის მცოდნენი და დამფასებელნი – ნაქარხნალზე ჯვარს ჩაასობდნენ, კიდევ ერთ ჯვარს, ელიზბარ ერისთავის სახელზე, მთაზე აღმართავდნენ... და ამ ძეგლსაც დაუდგამდნენ გორში... მხოლოდ სულიერის კი არა, მატერიული კვალის აღდგენასაც შეეცდებოდნენ...

ელიზბარ ერისთავი კი კვლავაც ნაღვლიანად გაიცქირებოდა სადღაც შორეთში – შებინდებულზეც გაარჩევდით ამ მზერას, ოღონდ მეჩვენებოდა რაღაცნაირი, სხვანაირი შუქიც ჩამდგარიყო მის თვალებში, იქნებ იმედი თაობისა, მათი შვილებისა, შვილიშვილებისა... რომელთა გულსა და გონებასაც მუდმივად აწრიალებდა ერთი უჩვეულო გრძნობა –

– წარსულისა რა გახსოვთ? – ასე რომ ჰკითხავდა.

ახალგაზრდებო, ან კი თქვენ

მანანა ნოდია

ქუსლი

„არა იქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა და რაოდენი არს წყალთა შინა, ქუეშე ქვეყანასა. არა თაყუანის-სცე, არცა მსახურებდე მათ“.

ათი მცნება

დასრულდა გრანდიოზული კონცერტი, რომელიც გაზაფხულის შემობრძანებას და ერთ-ერთი გაურკვეველი კომპანიის დაბადების დღეს ეძღვნებოდა. ბინდბუნდი ხელს არ უშლიდა ბრბოს, ჯგროდ მდგარიყო შენობასა თუ ქუჩაში და მოთმინებით ეცადა საყვარელი კერპებისათვის, იქნებ ხელი შეეხოთ ან თუნდაც ახლოდან მოეკრათ თვალი.

მაღალი გოგონა, სახელად თიკო, გრძელი ქერა თმითა და გამხდარი სხეულით, ანერვიულებული ექაქანებოდა დაქალს:

– გავიგე, რომ აქეთ გამოივლის, თუმცა, შესაძლოა სხვა მხრიდანაც გავიდეს... ხო იცის, როგორ გიჟდება ხალხი მასზე. ვაიმე, ისე ვლელავ, ისე, რომ შეიძლება გულიც გამისკდეს!.. არადა, საქმროს დაშორდა, შენც იცი. ვერ გამიგია, ის შტერი ბიჭი რამ გააგიჟა, როგორ ვერ შეინარჩუნა, მასზე ლამის ლოცულობენ. მე, მაგალითად, ყოველ ღამე, ძილის წინ, ათი წუთი თვალმოუშორებლად ვუყურებ მის სურათს, ვილაცამ მითხრა, რომ ფიზიკურად, და შესაძლოა, ცხოვრებითაც დაემსგავსო, ვის სურათსაც დიდხანს უმზერო! წარმოგიდგენია? მეც მისნაირი რომ გავხდებე!..

გოგონა ხელებს იმტვრევდა და აფორიაქებული ცქმუტავდა ადგილზე. დაქალიც არანაკლებ ლელავდა, თუმცა, მეგობართან შედარებით, უფრო მშვიდად გამოიყურებოდა და არც წამდაუნუნ იცქირებოდა სავარაუდო კიბისკენ, რომლიდანაც წუთი-წუთზე „ის“ უნდა დაშვებულყო.



ახალგაზრდობა ზუზუნით ირეოდა. უცნაურად დამუხტულიყო ჰაერი. დროდადრო მატულობდა ხმაური და წივილ-კივილში გადადიოდა. დაცვისგან შექმნილ „დერეფანში“ მეტად კმაყოფილი სახით „ვარსკვლავი მონათებდა“, რომელიც საკუთარი „თავმდაბლობით“ აღფრთოვანებული, მოწყალედ არიგებდა ავტოგრაფებს, ხელსაც კი ართმევდა გულისნასვლამდე მისულ თავყვანისმცემლებს და არც მათთან სურათის გადაღებას თაკილობდა.

მოულოდნელად კვლავ ატყდა ღრინაცელი, ქერაკულულებიანმა გოგონამ გულში ჩხვლეტა იგრძნო და წუთით დაგუბებულმა ყურებმა გაარჩია კერპის სახელი, ხოლო თვალებმა აღიქვა თავად „ის“.

კვლავ შექმნილიყო სახელდახელო „დერეფანი“ და უამრავი „ფანი“ მიწყდომოდა მომღერალს. გოგონამ უნებურად შეჰკვივლა და დაქალს მიუტრიალდა:

– გვანცა, დროზე მივუახლოვდეთ, თორემ გავა და ველარ დავენევით! – თან ენერგიულად ცდილობდა გამძვრალიყო არანაკლებ მონდომებულ თავყვანისმცემლებს შორის და წარმოუდგენელ ქაოსში მოხვედრილ გვანცასაც არ უშვებდა სუსტ ხელს.

– ღმერთო, მიმალწევიწე, ღმერთო მიშველე... რომ ვერ მივუახლოვდე, გავაფრენ!.. ავტოგრაფი უნდა ავილო!.. – ბუტბუტებდა და ფერი მთლად დაეკარგა, დერეფანმდე მიღწევას და მისთვის ხელის შევლებას – მხოლოდ ამასლა ფიქრობდა. გაშმაგებული მიიწევდა წინ, უხეშად იცილებდა ხელის შემშლელთ, არად აგდებდა მიყოლილ ლანძღვა-გინებას. ბოლოს ახალგაზრდა, დაკუნთული, ფორმიანი ვაჟი აღიმართა მის წინ, რამაც მიახვედრა, რომ მიზანს მიაღწია და სანატრელი კუმირისგან ნაბიჯილა ამორებდა.

– გამატარეთ, გთხოვთ! – აჩურჩულდა თიკო, – მე უბრალოდ მსურს ავტოგრაფი ჩამოვართვა! – აუნია ხმას.

დაცვის წევრი მოილუშა, გახედა მომღერალს, რომელიც ყალბი ღიმილით უცქერდა „უბადრუკ“ ბრბოს და გოგონა მიუშვა..

მისმა ხელმა ძლივს ამოაძვრინა ჩანთიდან განსხვავებული, სურნელოვანი ქალაღი ავტოგრაფისთვის:

– მე თქვენ მიყვარხართ, უგონოდ მიყვარხართ!.. – გოგონამ ვერ იცნო საკუთარი ხმა, რატომღაც ცრემლები წამოსცვივდა, თუმცა მათი მოწმენდისთვის დრო აღარ დაუკარგავს, თვალმოუშორებლად შესცქეროდა კერპს, რომელიც აშკარად დაღლილიყო და ბევრი ლაილის თავი არ ჰქონდა.

– თქვენი ავტოგრაფი, თუ შეიძლება, – გამოერკვა ფანატი, მიხვდა, სწრაფად უნდა ემოქმედა, დაბნეულობა მოშორდა, ტვინმა კი მუშაობა დაიწყო. ქალმა დაუდევრად მიაჯღაბნა გაურკვეველი სიტყვები ქალაღს და დაცვას გადახედა:

– წავედით!

გოგონა ბედნიერებისგან გაშეშებული იდგა, ავტოგრაფი გულზე მიეხუტებინა. უცებ მომღერალი ნაბორძიკდა, თუმცა, სწრაფადვე აიყვანა თავი ხელში, ისევ გაიღიმა და დაცვის წევრს გადაულაპარაკა:

– ქუსლი მომტყდა, ახლა კი ნამდვილად წავედით!

ბრძანება იმნამსვე შესრულდა და ბრბოს ღრინაცელიც მიმავალ ჯგუფს მიჰყვა, გოგონას წინ კი სტანდარტული ზომის, წვრილი, წითელი ქუსლი დარჩა, საკმაოდ სიმპათიური.

ეს საოცრება იყო, განგების მიერ ნაბობები საოცრება. გოგონას თვალებიც კი დაუელმდა წამით. მოულოდნელად შეაძიგდია, ამის მიზეზი მეგობარი გამოდგა, რომელიც ყურში ჩასძახოდა:

– თიკო, რა გჭირს?

– გვანცა, ნახე!! – ნამოკივლა თიკომ და ელვის უსწრაფესად დასწვდა ქუსლს, – ეს მისი ფეხსაცმლის ქუსლია! წარმოგიდგენია?! და მხოლოდ მე შევამჩნიე, რომ მოტყდა!

– მერე რა? – პირველი შემთხვევა არ იყო გვანცას დაბნევა, რის გამოც ხშირად კონფლიქტიც მოსვლიათ დაქალებს.

– როგორ თუ რა? – ბედნიერი თიკო დასცქეროდა ორივე ხელისგულზე მოთავსებულ ფეხსაცმლის დამახასიათებელ ატრიბუტს, – ეს ხომ მისია, ანუ მე უკვე მაქვს მისი ნივთი!..

ის ღამე თიკომ ღამის თეთრად გაათია. ხშირ-ხშირად გადახედავდა ხოლმე სანერ მაგიდაზე მოთავსებულ მინის კოხტა ყუთს, რომელსაც ღამის ბრა დანათობდა თავზე, ყუთში კი წითელი ქუსლი ჩასვენებულიყო.

მშობლებმა ორი-სამი დღე განცვიფრებით ათვალაიერეს ყოვლად გამოუსადეგარი და საეჭვო ნივთი, მერე კი თავი დაანებეს – ბავშვი მალევე მიხვდება თავის სისულელეს და ადრე თუ გვიან გადააგდებსო.

გოგონა კი აღტაცებული იყო. სახლში მისვლისთანავე საწოლ ოთახში შერბოდა, რომ ქუსლისთვის დაეხედა, შორიდან მოფერებოდა და თუ გრძნობები მეტისმეტად მოსჭარბდებოდა (რაც არცთუ იშვიათად მოსდიოდა), ჰაეროვანი კოცნაც გაეგზავნა მისთვის.

სკოლაში უკვე ყველამ იცოდა თიკოს „გმირობის“ შესახებ და ზოგს შურდა კიდევ: „მე კი მთელი ორი საათი ველოდე ი-ის გამოსვლას, რომ თვალის მაინც მომეკრა და ეგეც ვერ მოვახერხე“... – ამბობდნენ ისინი.

ყოველ საღამოს გოგონა სათუთად იღებდა ყუთს (ჰო, მანამდე ჯერ კარს მაგრად ჩაკეტავდა, რომ ხელი არავის შეეშალა) და ფრთხილად გახსნიდა, შემდეგ კი დაძახული თითებით მოწინებთ იღებდა თავის მონაპოვარს და რამდენიმე წუთი სიყვარულით დასჩერებოდა, თან გულდასმით აცლიდა არარსებულ მტვერს სპეციალურად შექმნილი პანია ჯაგრისით. ზოგჯერ საალერსო მეტსახელებითაც მიმართავდა: „მე პანანკუნა, რა კოხტა ხარ, პუნუნკუ!“ – ღამეული რიტუალი კი მინის ყუთის გაპრიალებით სრულდებოდა და ქუსლიც კვლავ ფრთხილადვე უბრუნდებოდა ერთხელ მიჩენილ ადგილს.

ყველასთან მასზე საუბრობდა თიკო, ახალგაწობილთანაც კი: „იცი, ჩემს გარშემო ბევრნი იყვნენ, მაგრამ მხოლოდ მე შევძელი „მისი“ ქუსლის დასაკუთრება“...

ხანდახან, როცა გარეთ წვიმდა, ხოლო მოზუზულ და აჩქარებულ მგზავრებს ბუნება მოლუშული დასცქერო-

და, გოგონა ოთახში ჩაიკეტებოდა, ტელეფონს გამოერთავდა, სანუკვარ ქუსლს მიუჯდებოდა და მისი სიახლოვით ტკბებოდა.

– არავის ესმის ჩემი, – ეჩურჩულებოდა ქუსლს თიკო, – მარტო შენ მიგებ, ჩემო პატარა მეგობარო. რა საყვარელი და ლამაზი ხარ, ბოლოს და ბოლოს მას ეკუთვნოდი, ახლა კი – მე... რა კარგია! მუდამ ჩემთან იქნები... ხომ! ხომ არ მიმატოვებ?..

ერთ ღამეს თიკოს ქუსლი დაესიზმრა, დიდი, ნითელი ქუსლი, რომელიც უცნაურად უღიმოდა.

– რა სჭირს ამ ბავშვს, ვეღარ გავიგე, – უკვირდა დედას და გოგონას ხელდაუკარებელ თეფშს დასცქეროდა, – ეს ბოლო დღეები აღარაფერს ჭამს... არა, ასე თუ გააგრძელა, ექიმთან უნდა წავიყვანო!

თიკო კი თავის ოთახში განმარტოებულიყო და შემოფოთებული გასცქეროდა ყუთს:

– რისი ბრაღია ნეტავ?... – ჩურჩულებდა დაეჭვებული, ვერ მიმხვდარიყო, სადილობისას ბორშიან თეფშში რატომ დაინახა ქუსლი, თან მეტად ცხადად... მოლანდება დაკვირვებისთანავე გაქრა, მაგრამ გოგონას სადილობის სურვილი სულ დაეკარგა.

– გუშინაც, გუშინინაც... მაინც რატომ ვხედავ საჭმელში ამ ქუსლს? – თიკო ყუთს მიუახლოვდა და გაკვირვებით შეათვალიერა, – მოდი, გვანცას დაუურეკავ! – გადანყვიტა უცებ.

მეგობარმა სასიამოვნო ამბავი აცნობა, ქართულის საკონტროლოში ხუთი დაგინერესო. სხვა დროს ძალიან გაუხარდებოდა, რადგან ხშირად ვერ იღებდა კარგ ნიშნებს, მაგრამ ახლა აღარ აღტაცებულა.

– რა გჭირს? – დაეჭვდა გვანცა.

– რალაც უნდა გითხრა, მოვიდე თუ მოხვალ? – ჰკითხა თიკომ.

– მოდი, მოდი. სახლში მარტო ვარ... ყველაფერი რიგზეა?

– ჰო... აბა მოვდივარ, – დაემშვიდობა გოგონა და ნასასვლელად გაემზადა.

მყუდრო ოთახში ბუხარი გუზგუზებდა, ავეჯი გემოვნებიან თვალს თეთრ ფერში გადაეწყვიტა. ფუმფუ-

ლა ტახტის წინ, პატარა მაგიდაზე, ჯერ კიდევ ასდიოდა ორთქლი ყავის ორ ფინჯანს. თიკო და გვანცა გულიანად იცინოდნენ.

– მიდი აბა, ყავაშიც ნახე, ხომ არ გდია ქუსლი? – ეუბნებოდა გვანცა, – მე სტანდარტულად მოვამზადე, ყოველგვარი ფეხსაცმელებისა და „ზმეიკების“ გარეშე.

სახლში დაბრუნებული გოგონა იმედიანად მიუჯდა მაგიდას. მოშიებულმა, არც დაკვირვებია თეფშს, ისე მიირთვა კერძი.

ოთახში შესულს შორიდანვე თვალში მოხვდა მინის ყუთი და მისი ბინადარი ნითელი ქუსლი. ერთხანს ჩაფიქრებული აკვირდებოდა, შორიდან ათვალთვლებდა, თითქოს პირველად ხედავსო, შემდეგ კი ხელში აიღო და თვალბინთან ახლოს მიიტანა:

– არ მეშინია! – თქვა ხმამალა, – ეს უბრალოდ ფეხსაცმლის ქუსლია, თანაც „მისი“...

და მოულოდნელად მოეჩვენა, რომ მის უკან რალაც ხდებოდა. მაშინვე შეტრიალდა საწოლისკენ და გაშეშდა: ბალიშზე იგივე ქუსლი ესვენა! უნდოდა ეყვირა, მაგრამ გაუელვა: მშობლები არ შემომიცვიდნენო, – და თავი შეიკავა, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად

უკვე აკვიატებული მოლანდებისა და გაურკვეველი შიშისა, რასაც ქუსლის მიმართ გრძობდა, მაინც არ ეთმობოდა თავისი მონაპოვარი და რაც მთავარია, ის მონაპოვარზე მეტი იყო, უფრო ფართო მნიშვნელობის, უფრო მასშტაბური, უფრო ღრმა შინაარსისა...

თიკო ასეთი დაბნეული არასდროს ყოფილა:

– რა ვქნა, ვის მივმართო, რალაც რომ მიჩიოს?.. მაშა მიქაელი! – გაუნათდა გონება მოულოდნელად, – მას უნდა ვკითხო რჩევა, ყველაფერი მოუწყვე... მშველელი არსებობს და ის ჩემი მოძღვარია! – ჩურჩულებდა გახარებული გოგონა.

მამა მიქაელი თიკოს დანახვისთანავე შეუყვარდა. მაღალი, შავგვრემანი მღვდელი, ღია ცისფერი, ერთი შეხედვით, მხიარული თვალებით, თუმცა, დიდ სულიერ ტრავმას ატარებდა. სამოქალაქო ომმა მას ერთადერთი საყვარელი ძმა წაართვა, რის შემდეგაც გადანყვიტა, სასულიერო პირი გამხდარიყო. ენერგიული და ვაჟკაცური გარეგნობა მრევლს მოძღვრის ნდობას უღრმავებდა; ღვთისგან მონიჭებული მჭევრმეტყველების ნიჭი კი ადამიანთა გულების დაპყრობაში და ღვთის სიტ-



მხატვარი მარიამ კიკნაძე

ყვის თესვაში ეხმარებოდა. ყველა ასაკის სულიერი შვილი ჰყავდა მამა მიქაელს. ბავშვებს ძალიან უყვარდათ მისი მოსმენა, რადგან მათ ხშირად უბრალო, ხუმრობანარევე ენაზე ესაუბრებოდა, თიკო ვერ დაიკვივნიდა მოძღვრის რჩევა-დარიგებების ზედმინევენით შესრულებას, მაგრამ ხშირად დაფიქრებულა და თავისი ნაკლის აღმოჩენით შეწუხებული წამოსულა მისგან. საკმაოდ იშვიათად დადიოდა ეკლესიაში, რის გამოც მამა მიქაელის საყვედურებს იღებდა, თუმცა, ეს საყვედურებიც მეგობრული და ლმობიერი იყო. აი, ამიტომ ეიმედებოდა თიკოს თავისი საყვარელი, გრძელწევრა და ოპტიმისტი მამის.

სკოლიდან პირდაპირ ეკლესიას მიაშურა. გული უფანცქალებდა: ვაითუ, მამა მიქაელი ამჯერად ვერ მიმიხვდესო...

შესვლისთანავე მის წინაშე აღიმართა გაღიმებული მოძღვარი: – ნეტა რა სასწაული მოხდა, რომ შენი სტუმრობა გვაღირსე და გაგვიხსენე? – ჰკითხა თიკოს და ჯვარი გადასახა.

– რაღაც მინდა გითხრათ... მოგიყვით... – აუხსნა თიკომ.

– ანუ შემომჩივლო. რომელ ბიჭს მოსწონხარ და რომელი დაქალი აპირებს მის წართმევას? – ჩაეკითხა ჩვეული ღიმილით მამა მიქაელი.

თიკოს გულზე მოეშვა. იგრძნო, მოძღვარი ყველაფერს გაუგებდა.

– ეს მას შემდეგ დაიწყო, რაც ქუსლი შევიტანე სახლში...

– რა ქუსლი? – დაიბნა მამა მიქაელი.

– ეს ქუსლი N-საა, მომღერალია, – დააზუსტა თიკომ, როცა შენიშნა, რომ მოძღვარმა ვერაფერი გაიგო, – კონცერტის შემდეგ ავტოგრაფის დარიგებისას მოტყდა და მხოლოდ მე დავინახე...

– და აილე, არა? – დაასწრო მამა მიქაელმა, თანხმობის ნიშნად კი განაგრძო, – მერე კი სახლში წაილე და... და რა?

– მინის ყუთში ჩავდე... იცით, მე N-ი ძალიან მიყვარს და მისი ქუსლი თითქოს მასთან მახლოვებდა...

– მერე? – მამა მიქაელი აღარ იღიმებოდა.

– ამ ბოლო დროს ყველგან და ყველაფერში ქუსლს ვხედავ, ქუსლი მელანდება... – შეშინებულმა გააპარა თვალი მოძღვრისაკენ, – მშობლებს ვერაფერს ვეუბნები, რადგან მეშინია, არ გადამიგდონ!..

მამა მიქაელი ერთხანს დუმდა.

– შენ გაგიგია ქრისტეშობამდელ ადამიანებზე, – დაიწყო ბოლოს უცნაური ხმით მოძღვარმა, იგი ასეთი სერიოზული არასოდეს ყოფილა გოგონასთან, – იმ პერიოდში ადამიანებმა არაფერი იცოდნენ ღმერთის შესახებ და ამიტომაც ქმნიდნენ რკინისა და ქვისგან რაღაც ქანდაკებებს, რომელსაც კერპს უწოდებდნენ. ამ ნაკეთობებს ისინი უვლიდნენ, უფრთხილდებოდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ... და სჯეროდათ, რომ მათ დიდი ძალა ჰქონდათ. ეს გარკვეულწილად სიმართლე იყო, შვილო, ადამიანის ხელით ნაკეთებ ქმნილებებს მართლაც ჰქონდათ ძალა, შეეძლოთ უცნაური ხმაუ-

რის გამოწვევა, მოძრაობაც კი, თუმცა მიზეზი მეტად მარტივი იყო და ალბათ შენც მიხვდი უკვე, რომ ამ ყველაფრის უკან ჩვენი დაუძინებელი მტერი – ეშმაკი იდგა. სწორედ მისი საშუალებით ხდებოდა ესა თუ ის ცრუ სასწაული, რაც გაუნათლებელ და ურწმუნო ხალხს კერპების ნდობას უღრმავებდა... ქრისტეს მოსვლის შემდეგ კი ეშმაკმა იცვალა სახე. რკინისა და ქვის ნაკეთობების ნაცვლად შექმნა სხვა, უფრო პროგრესული, მაგრამ იმავე დანიშნულების მქონე კერპები: მოდა, კინო, მუსიკა და მათი თავყვანისმცემლებიც ძალაუნებურად გახდნენ კერპთაყვანისმცემლები. ასე რომ, უფლის მცნება – „არა იქმნე თავისა შენისა კერპი“ – კვლავ ირღვევა და ისე უბრალოდ, რომ ბევრი ვერც ხვდება...

შენც არა მხოლოდ მომღერალი გააკერპე, არა მხოლოდ ადამიანი დააყენე ღმერთზე წინ, არამედ, ქუსლს ეცი თავყვანი! შედეგი სრულიად ლოგიკურია, შენ ის გაასულიერე, ქუსლიც ეშმაკის საბუდრად იქცა!

– ახლა რა უნდა ვქნა? – წარმოთქვა თიკომ, ნამდვილად აღარ სურდა ეშმაკის საბუდარი ოთახში ჰქონოდა.

– დღესვე მოვალ შენს ოჯახში, სახლს ვაკურთხებ და შენც წაგიკითხავ ლოცვებს. რაც შეეხება ქუსლს, პირადად მე მოვუვლი! – დაჰპირდა მამა მიქაელი.

* * *

მამა მიქაელი დაპირებისამებრ იმ დღესვე მივიდა გოგონას სახლში და განცვიფრებული მშობლების თვალწინ შეუდგა სახლის კურთხევას. რა თქმა უნდა, თიკოს გაფრთხილებული ჰყავდა დედ-მამა მოძღვრის მოსალოდნელი სტუმრობის შესახებ, თუმცა, მიზეზი არ აუხსნია და მხოლოდ მოკლე განმარტებით – სახლი გასანმენდიაო, – შეამზადა.

მამა მიქაელმა გულმოდგინედ შეასრულა რიტუალი და არა მარტო სახლი, შესასვლელი და სადარბაზოც კი აკურთხა, რის გამოც თიკოს ოჯახს ბინის ყველა კარი ღიად ჰქონდა დატოვებული. ამ დროს მოხდა სწორედ ის ამბავი, რაც ალბათ დაუჯერებელი იქნებოდა ყველა-სათვის, ოთხი კაცი რომ არ შესწრებოდა მამა მიქაელის, თიკოსა და მისი მშობლების სახით. შემდეგ გოგონას მშობლები ირწმუნებოდნენ, რომ იმ წუთას ეს ყველაფერი ისე ჩვეულებრივი და ბუნებრივი ჩანდა, იოტისოდენადაც არ შეგვშინებიაო.

საქმე ისაა, რომ ლოცვის დასასრულს, როდესაც ოჯახი მოძღვართან ერთად თიკოს ოთახში იყო შეკრებილი, მოისმა მორიდებული პაკი-პუკი. ხმაურის გამომწვევი ობიექტისკენ შებრუნებულმა ადამიანებმა დაინახეს პატარა, ნითელი ქუსლი, რომელიც რაღაც ნაღვლიანად მიიწვედა კარისაკენ. მამა მიქაელის პირველივე რეაქცია ჯვრის გადასახვა იყო, რამაც უცნაური მსვლელობა უფრო დააჩქარა. ქუსლმა გარეთ გასვლისას „ნაბიჯი“ შეანელა, თითქოს ვიღაცას ემშვიდობებოდა, შემდეგ კი, გადალახა რა ზღურბლი, სადარბაზოში გააკაუნდა და კიბეს ჩაუყვა. სახლში სიმშვიდემ დაისადგურა.

მაკა ჯოხაძე

განსაცდელი და არჩევანი

გონიერი ადამიანებისათვის, მიუხედავად წითელი ტერორებისა და საყოველთაო აკრძალვებისა, 10 მცნება მაინც ინარჩუნებდა დაუწერელი, მარადიული კანონების სტატუსს ადამიანური სახის შესანარჩუნებლად... მიუხედავად ეპოქის სულისკვეთებისა, მიუხედავად აღზრდისა, განათლებისა, სოციალური წარმომავლობისა თუ მსოფლმხედველობისა, რაღაც ძალიან შინაგანი, თანდაყოლილი ეხმარებოდა ადამიანს არ გაქცეოდა საკუთარი სინდისის ხმას (რაც სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ხმა თითოეულ ჩვენთაგანში), არ ქცეულიყო საკუთარი სისუსტეების, ვნებების, ცოდვების მძევლად...

და აი, დაინგრა საბჭოთა იმპერია, თითქოს დამთავრდა აკრძალვების ხანა, ტაბუ აეხადა ყველას და ყველაფერს სამყაროში, თითქოს მოვიდა ასე ნანატრი თავისუფლება... მაგრამ ადამიანი კვლავაც რჩება იმ მუდმივი დი-

ლემის წინაშე, როცა მისივე გადასაწყვეტია საკუთარი არჩევანი...

მიუხედავად ყველაფრისა, დღევანდელ ახალგაზრდობას, წინა თაობებთან შედარებით, მაინც აქვს ერთი დიდი უპირატესობა – არც აკრძალვებს დაემორჩილოს და არც იდეოლოგიად ქცეულ ნებისმიერ სარწმუნოებას მოუდრიკოს თავი. მას შეუძლია ყველაფერი ნახოს, გამოცადოს, უყვარდეს, სძულდეს, დაეცეს, წამოდგეს, ერთი სიტყვით, იცხოვროს სისხლსაცვე ცხოვრებით, მაგრამ ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს თავადვე გადანყვიტოს – საითკენ წავიდეს, ვინ მოიძიოს, რომელი ყველაზე ძლიერი, ყველაზე წმინდა და ყველაზე ერთგული მეგობრის კარზე დააკაკუნოს.

ამ მშვიდად დაწერილ მოთხრობაში, მღელვარე, თინეიჯერული მოვლენებით რომ იწყება, ავტორმა ყოველგვარი დიდაქტიკური პათოსის გარეშე, რომ იტყვიან ჩუმიად, ხმაურისა და განგაშის გარეშე გადანყვიტა საკმაოდ აქტუალური პრობლემა. ეს ბუნებრიობა იქიდანაც მოდის, რომ ბავშვობიდანვე ეზიარება რწმენის ცხოველმყოფელ მაღლს.

მანანა ნოდია თავის მრავალრიცხოვან დაძმებთან და მშობლებთან ერთად მეორე იერუსალიმად სახელდებულ დიდებულ ქალაქში ცხოვრობს და მცხეთის №1 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა.

კრიტიკა

ეთერ ბერიაშვილი

წინამურიდან საგურამომდე ლურჯი მთები და უძირო ცაა...

„წინამურიდან საგურამომდე...“

დამეთანხმებით, წიგნთან მიახლება, მასთან პირველი ნაცნობობა გარეკანითა და სახელდებით იწყება. ამ მხრივ მართლაც საგულისხმოა ეს პატარა, ხელისგულისოდენა წიგნი, რომელიც ჯერ არ გადაიშლია, მაგრამ უკვე რამდენ რამეს სწვდება მზერა და ფიქრი...

სამიზნედ გამოყენებული ილიას ნათელი სახე. სხივიანი თვალების კეთილი შუქი და ფიქრიანი, ნატყვიარი შუბლი – მის ფონზე კი ავისმზრახველი, შურითა და ბოღმით საცხე მკვლევლები თვალეში ჩაგუბებული ბოროტებით, ეკლიანი მზერით... ხელში ბერდენკაჩაბლუჯულებს ფეხებზე ქალამნები ამოუცვამთ. ჩუმიად მიდიან, მიიპარებიან და მაინც როგორ ხმაურობს მათი გულების უამური ფეთქვა... ამ ხმაურიან სიჩუმეში სევდისფერი ფრაზაც ამოიზრდება „ეკლიანი და პატარა გზა“ და სულში რიალებენ ასე ნაცნობი, მწუხარებით გაჟღენთილი სტრიქონები:

წინამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზა,
წინამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა,

წიგნი ჯერ არ გადაიშლია და უკვე ვიცი – კიდევ ერთხელ მომიწევს ცხადად ვიგრძნო და განვიცადო ილია ჭავჭავაძის მოწამებრივი აღსასრულის მთელი სიმძაფრე. უკვე ვიცი, რომ ამ ფურცლებზე დატეულა ვერგავილილი მანძილი წინამურიდან საგურამომდე. აქ დაუვანებია ჩვენი ერის ისტორიის სამარცხვინო, საუკუნოვან ცოდვას.

წიგნი გამორჩეულია თავისი კომპოზიციური აგებულებითაც. თხრობის ამგვარი მანერა, რომლითაც როსტომ ჩხეიძის ეს პოსტმოდერნისტული ყაიდის წიგნი დაწერილი, ლიტერატურისთვის საკმაოდ მიღებული და ნაცადი ხერხია – როცა ერთი და იგივე ამბავი თუ პიროვნება დანახული და წარმოსახულია სხვადასხვა ადამიანების თვალით. თავისთავად ეს საკმაოდ საინტერესოა, რადგანაც ნებისმიერი პიროვნება თავისებურად განსჯის ერთსა და იმავე მოვლენას – მხოლოდ მისეული განცდით, გამორჩეული დეტალით აღქმულსა და დამახსოვრებულს.

წერილში „ჩემი, შენი, ჩვენი იესო“ (რომელიც ჯიბრან ხალილ ჯიბრანის წიგნს ეძღვნება), როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, რომ „ამგვარი კომპოზიციური წყობა სახარებიდან იღებს სათავეს“.

იმავე წერილში ავტორი მსჯელობს ამ ჟანრისთვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან თავისებურებაზე: „მწერალი ნებაყოფლობით ამბობდა უარს იმ ყოვლისმცოდნეობაზე, კლასიკური ლიტერატურისთვის რომ არის ნიშანდობლივი. ის ყველაფერს უკვე ვეღარ განაგებდა. პერსონაჟთა ხასიათები თუ საქციელი მის ხელთ აღარ იყო და

ერჩივნა ისეთივე მონაწილე გამხდარიყო თავის მიერვე შეთხზული ამბებისა, როგორც... მკითხველი“.

ამ შემთხვევაშიც სწორედ ასეა. მწერალი ჩვეულებრივ მკითხველად და გამომცემლად გვეცნობა მხოლოდ. თუმცა საგულდაგულოდ შენიღბვის მცდელობა – „არ მინდა ეს თხზულება ვინმემ ჩემად მიიჩნიოს“ ან „ნეტა მართლა ჩემი ყოფილიყო“ – სწორედაც რომ საწინააღმდეგოს გაფიქრებინებს.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის წიგნი ვახსენე და სიმართლე გითხრათ, წიგნის კომპოზიციურმა აღნაგობამ მაშინვე სწორედ „იესო ძე კაცისა“ გამახსენა, ხოლო ერთ-ერთი საუბრისას აკუთავავე რიუნოსკეს „უსიერ ტყეშიც“ მომაგონა. მათ რიცხვს უკვე როსტომ ჩხეიძის წიგნიც შეემატა. თუმცა ამ შემთხვევაში საინტერესო სიახლესთან გვაქვს საქმე, რადგან აქ გამოყენებულია მემუარები და საგამოძიებო ოქმები, რასაც მწერლის წარმოსახვა და ფანტაზია მხატვრულ ყალიბში აქცევს.

26 მთხრობელი, სხვადასხვა ხასიათები, სხვადასხვაგვარი ხედვა და წვდომა, განსჯა და ახსნა იმისა, რაც მოხდა თუ ხდებოდა ილიას მკვლელობამდე თუ იმ ავადსახსენებელ დღეს. ავტორმაც 26-ჯერ სხვადასხვა გული უნდა ჩაიდგას მკერდში, ამ გულით განიცადოს, ამ გულით იგრძნოს... ორჯერ 26 თვალი და ამდენივე სასმენელია საჭირო, რათა დასანახი დაინახოს, მოსასმენი მოისმინოს. ავსა და კარგს, ტყუილსა და მართალს თავთავის ადგილი მიუჩინოს.

და მაინც, უპირველესი ღირსება ამ წიგნისა სწორედ მისი დოკუმენტურობაა, ასე ცხადად რომ წარმოაჩენს XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ტრაგიკულ ბედს. იმ მძიმე განსაცდელს, სოციალ-დემოკრატიები რომ უმზადებდნენ ქვეყანას. ისინი ხომ თავგამოდებით ებრძოდნენ ყველაფერ ეროვნულს, ნაციონალიზმს ჭაობად ნათლავდნენ და საქართველოს ხსენებაც კი სათაკილოდ მიაჩნდათ. სწორედ ამიტომ გახდა მათთვის მთავარი სამიზნე ის, ვისთვისაც სამშობლო და მისი დამოუკიდებლობა უპირველესი საფიქრალი იყო.

ეს წიგნი მთელი ეპოქა – მრავლისმეტყველი მოგონებებით გაცოცხლებული, ნაცნობი თუ უცნობი პერსონაჟებით დასახლებული. როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც პიროვნების მიმართ ორგვარი დამოკიდებულებაა წარმორჩენილი – უკიდურესად დადებითიც და უარყოფითიც. რაოდან გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ერთი და იმავე კაცის ნამბობშიც იჩენს თავს.

აბა, ისაკა ალხანაშვილს მოუსმინეთ, სანამ მისი აზრი ილიაზე რადიკალურად შეიცვლება: „ერთხელ მგონი მას გადავანყდი. ავყევი და მივდიე. ეხლაც არ ვიცი, მართლა ილია იყო თუ არა, გულს კი ბაგაბუგი გაჰქონდა და ისე მიხაროდა, თითქოს ბუმბერაზთ ბუმბერაზი მენახოს“.

კითხულობ ამ სიტყვებს და შენს გულსაც ბაგაბუგი გააქვს, იმდენად დიდია თანაგანცდა. თვითონ პერსონაჟის ხიბლი კი ილიათი სულ მალე ქრება, მის ადგილს სიძულვილი იკავებს და ზაქარია ჭიჭინაძის ცემას რომ იხსენებს,



ნებს, გულმოსული ამბობს: „ნაქცეულს ყველა ნავესიეთ, გული გვინდოდა გვეჯერა, თითქო თვითონ ილია მოგვყოლოდა წიხლქვეშ!“ – აი, თვალსაჩინო ფაქტი იმისა, როგორ ანგრევდნენ ადამიანის ცნობიერებას, როგორ ამზადებდნენ ნიადაგს ილიას მკვლელობისათვის.

მხრობელთა მოგონებებით მკითხველის თვალწინ ცოცხლდება მღელვარე და მშფოთვარე ხანა – სათავადაზნაურო ბანკის ხმაურიანი კრებები, მაჩაბლისა და ილიას მომხრეების გამუდმებული შეხლა-შემოხლა, საბაშვილის დუქანში დატრიალებული აურზაური, პრესის ფურცლებზე გაჩაღებული აქციური ბრძოლა ილიას წინააღმდეგ, ბახვის საიდუმლო კრება და ავისმზრახველთა შეთქმულება...

კითხულობ და თითქოს ცხადად ხედავს სასტუმროს აივანზე გადმომდგარ ნაავადმყოფარ აკაკის, „ხმაც რომ უკანკალებდა და ხელიც – ფურცლები რომ ჩაებლუჯა“. ხატობიდან თბილისში გამოჩქარებული ვაჟაფშაველას ცხენის ფლოქვების თქარათქურიც ჩაგვისმის. კიდევ ერთხელ მწარედ გიჩხვლევს გულს ილიაზე ნათქვამი ცნობილი ფრაზები – „ტყეში ერთი დიდი დათვი გავაგორეთო“, „ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივაო“. გულს გისერავს ის სიბილნე, ილიაზე რომ ვრცელდებოდა. გაოგნებს ადამიანთა მუხანათობა და ვერაგობა.

ასე ტყუილ-მართალში, სიბნელისა და სინათლის ჭიდილში თანდათან ახლოვდებოდა საბედისწერო დღე – წინამური.

განსაკუთრებული ემოციურობით აცოცხლებს მოსალოდნელი განსაცდელის საფრთხეს არტურ ლაისტის ნამბობი: „რალაც ავი წინათგრძნობა ამეკვიცა თუ არა, საგურამოს მივაშურე. ისე ბრუნავდა და გადიგამოდოდა ილიას სახელი, ისეთი გმობა და მუქარა გაისმოდა, კაცმა რომ თქვას, რა წინათგრძნობა უნდოდა – ისედაც ხელისგულზე გვედო მომავალი... ტფილისში რა გული გამიძლებდა.“

ჩაგაკითხე და ერთ კვირას დავრჩი. ღამე ძილი არ მეკარებოდა და დღისით ყოველ გაფაჩუნებაზე ვკრთოდი. ვცდილობდი, ილიას არ ეგრძნო ჩემი ასეთი ფორიაქი... ბოლოს, სხვათა შორის, მაინც გადავუკარ, რამდენი ხანია ყვარელში აღარ ყოფილხარ, თუ გინდა, ერთად წავიდეთ, დაისვენებ... ეს ჭორებიც აღარ შეგანუხებს...-მეთქი.

გაეცინა: – ბედისწერას არავინ წასვლიაო.

... ტფილისში ერთად დავბრუნდით. ღრუბლიანი დღე იდგა და წვიმაც წამოვიდა. ძალიან არ მიყვარს ცრიატი, ისედაც ცუდ გუნებაზე მაყენებს და ახლა ხომ... თითქოს ის წვიმა სულში მანვიმდა. მონოტონური სიჯიუტით ხვრეტდა გულისფიცარს.

რა გინდა დაიფარო, რით გინდა დაიფარო...“

ბედისწერას არავინ წასვლიაო – და ვერც ილია გაექცეოდა. პირიქით, სწორედ ამ ბედისწერის შესახვედრად თითქოს რალაც გასაოცარი ჟინით ისწრაფოდა. მასაც არ დაუყოვნებია...

ერთგული მსახურის ნამბობში ჩვენს თვალწინ ილანდება ილიას სიცოცხლის ბოლო წუთები.

პრიტიკა

„– ერთი აქ გამიჩერეთო, – ილიამ, გზისპირა წყაროსთან და ეტლიდან ჩამოვიდა.

ეს ადგილი ძალიან უყვარდა. ისე არ ჩაუვლიდა, ცოტა ხანს არ შეესვენა. იდგა გაყურებული და დასალიერს გაჰყურებდა ხოლმე. ახლა კი აღელვებული და გაფითრებული გადიგამოდოდა მწვანე მოლზე. კნეინა და მე ეტლში ჩავსხედით... ვისხედით, ველოდით...

ორმოც წუთზე მეტი გავიდა.

როდის-როდის ამობრუნდა.

სახეზე გატანჯული იერი ედო“.

და თავისთავად იღვებს წარმოსახვა – მაცხოვარი გეთსიმანიის ბაღში. ასე რომ, ქართველებს ჩვენი გეთსიმანია გვაქვს – წინამური.

„წინამურს მივადევით თუ არა, თოფებმაც იპრიალეს ბუჩქებში. აი, იქ, პატარა სამლოცველო რომ არის. ადრე ხატიც ესვენა. იპრიალეს და ტყვიაც ტყვიაზე წამოვიდა“.

ტყვია წამდვილად არ დაუშურებიათ ილიასათვის! მხოლოდ შემდეგ იტყვის წყალობა ბიჩნიგაური: „ველოდით კია, მთელი სოფელი ველოდით ამ გასროლას. ჰაერში ტრიალებდა სისხლის სუნი“.

მარტო სოფელი კი არა, მთელი საქართველო ელოდა ამ გასროლას. ყველამ იცოდა, ყველა ელოდა. არავინ არაფერი იღონა. და წინამურის გზაზე, პატარა სამლოცველოსთან, სადაც უკვე აღარ ესვენა წმიდა ხატი, სასიკვდილოდ გაიმეტეს ის, ვისაც ხელთ ეპყრა საქართველოს მთრთოლვარე მაჯა.

ვისაც „ძილშიაც არ ეძინა, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტყინებულსა“.

ვინც მამულის „ძარღვის ცემას ყურს უგდებდა სულ-განაბული“.

ვის ნათქვამ „თითო სიტყვას თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყვებოდა“.

ვინც იყო „თვალ-ყურ-მადევარი იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა“.

ვინც სწორედ ამ პატარა ქვეყნის მომავალ პრეზიდენტად ესახებოდა მამულისთვის გულმტკივნეულ ადამიანებს.

„ყველა ერთსულოვნად ვხედავდით მასში დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს, ვინც საუკუნოებრივ ოცნებას რეალობად ააცხადებდა... სწორედ პრეზი-

დენტობისაკენ მოუჭრეს გზა“ – დაუფარავად აცხადებს მიხაკო წერეთელი.

საპრეზიდენტო კაცი მოგვიკლესო – და მწარედ გეკუმშება გული. ვინ იცის, მართლაც რომ დასცლოდა, იქნებ... მაგრამ ოცნება იქვე ისხიპება. საქართველოში ხომ ასე არ ხდება. აქ ხომ თუ ერთი დიდი კაცი მაინც გამოგვერია, „ისე დავკორტინო, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

ილიასაც ეს ბედი ერგო, „მეფე ლირივით მარტო დარჩენილს“.

ილიამ „ჩვენი ქვეყნის დიდ საიდუმლოდ გაიღვია, ამოუხსნელ მოვლენად... მის კვალს უნდა მისდოს კაცმა, თუკი კვლავაც უოლავს მასში რალაც მამაპაპური“ – ასე ასრულებს ვაჟა-ფშაველა თავის ნაამბობს. საგულისხმო შეგონებაა გლობალიზაციის პროცესში ჩართული დღევანდელი ქართველებისთვის.

მეტად საყურადღებო თვითგანსჯით მთავრდება წიგნი „ილია აღარ არის და... ის ადგილი ცარიელია. და ერთადაც რომ შევქუჩდეთ ყველა, მაინც ცარიელი იქნება.

აკი ყველა ილია ვიყავით.

აბა, ეხლა გავნით მისი უღელი!..“

ძნელი მისია გვეკისრება, მაგრამ უნდა შევძლოთ. იმ ცარიელი ადგილის შევსებაც უნდა შევძლოთ. ამას ისევ ილიას ხსოვნა გვავალებს, მისი სულის ნათელი, ზეციური საქართველოდან რომ დაგვყურებს და გვმფარველობს.

ამ იმედით მიწა დაამთავროს ყველამ წიგნის კითხვა. იმედს კი წინოს ის პანია ჯვარიც გვინერგავს გულში, უკანასკნელი ნაამბობის ბოლოს რწმენის სიმბოლოდ რომ ჩახატულა კრიალა ფურცელზე.

... დავხურე წიგნი – ისევ ილიას ნატყვიარი შუბლი შემომანათებს. ისევ გაიბლანდება ფიქრი წინამურიდან საგურამომდე მიმავალ ეკლიან გზაზე – „წინამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?“ ალბათ, მარადისობაში გაქვავებული ერთი წამი და მთელი ეპოქის დამტევი ორად ორი სიტყვა: „ილია ვარ!“

P.S.

ეს წიგნი ერთგვარი „დეტექტიური ცდაა“, ხოლო „ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“.

ქრონიკა

10 იანვარს, მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ლიტერატურულ სალონ „დიაოხის“ თაოსნობით მოიწვიეს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი და გამომცემელი, შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის ხელმძღვანელი ავთანდილ ბერიძე.

შეხვედრას უძღვებოდა სალონის თავმჯდომარე პოეტი იკა ქადაგიძე. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო პუბლიცისტური წერილი: „ლიტერატურული მესხეთი – ეროვნული მოღვაწეობის თანამედროვე ნიმუში“. წერილი ასახავს ავთანდილ ბერიძის მოღვაწეობას მესხეთ-ჯავახეთში, იმას, რომ გაზეთი მეცხრე წელია შეუფერხებლად გამოდის რედაქტორის ხარჯით. იბეჭდება მეტად საგულისხმო ეთნოგრაფიული წერილები, სადაც ხაზგასმულია ამ ძირძველი ქართული კუთხის ისტორიული როლი და მისი დღევანდელი ყოფა. გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობს ტაო-

კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების აღწერას, მკითხველს აცნობს მათ ამჟამინდელ მდგომარეობას.

ბატონმა ავთანდილმა დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო გაზეთის შექმნის ისტორია, ისაუბრა შოთა რუსთაველის მუზეუმის მდგომარეობაზე, წაიკითხა საკუთარი ლექსები.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: ნოდარ ჯალალონია, ერეკლე საღლიანი, რამაზ ბერაძე, მზია სამადაშვილი.

შეკრებილმა საზოგადოებამ იმსჯელა შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის სავალალო მდგომარეობაზე. გადაწყდა, რომ ერთობლივი ძალისხმევით ითანამშრომლონ საქართველოს ამ უძველეს კუთხესთან, პოპულარიზაცია გაუწიონ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთს“. ბატონმა ავთანდილმა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს საჩუქრად გადასცა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ცხრა წლის მანძილზე გამოსული სრული კომპლექტი.

ლიტერატურული ამბები და კურიოზები

პირველი მონახაზი

ჩაიში ჩამბალი ნამცეცავი „მადლენის“ ეპიზოდი, რომელიც მარსელ პრუსტმა აღწერა რომანის „დაკარგული დროის ძიებაში“ პირველ ფურცლებზე, თავდაპირველად ავტორმა სხვა ვერსიით წარმოიდგინა. ეს იყო შოკოლადში ჩამბალი ბისკვიტი.

უსავდონიო

როდესაც საზოგადოებისათვის ჯერ უცნობ ამელი ნოტომს გამომცემლობამ კონტრაქტი შესთავაზა, ახალგაზრდა მწერალმა მოისურვა, ფსევდონიმად კაზუსტელი აერჩია. „ალბენ მიშელის“ გენერალურმა პრეზიდენტმა ქალიშვილი დაარწმუნა, რომ ნოტომი მშვენიერი გვარია.

„პატარა უფლისწულამდე“

გამომგონებელმა და მეცნიერმა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერიმ თხუთმეტამდე გამოგონება წარადგინა ინდუსტრიული საკუთრების ნაციონალურ ინსტიტუტში, მაგრამ ვერცერთი პატენტი ვერ მოიპოვა. გამოგონებათა უმრავლესობა ეხებოდა თვითმფრინავების დაშვების ტექნიკურ მხარეებს.

საომარი ჭრილობა

1914 წელს პირველ მსოფლიო ომში განვეულ გიიომ აპოლინერს საფეთქელში ჭურვის ნამსხვრევი მოხვდა. 1916 წლის მარტში ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ საბოლოოდ ვერ გამოკეთდა. პოეტის გარდაცვალების მიზეზი, 1918 წელს, ისევ ეს ჭრილობა აღმოჩნდა.

უსულს საგნები

პოეტი ვიზიონერი ვიქტორ ჰიუგო ირწმუნებოდა, რომ ახერხებდა, აელაპარაკებინა იმ ქვეყნად წასული ადამიანები: მოლიერი, ნაპოლეონი ანდა კორნელი... სპირიტუალის ადვოკატი ჰიუგო მართლაც ხშირად ატრიალებდა მაგიდებს.

ნადარიდან მთვარემდე

ჟიულ ვერნის არაერთი რომანის პერსონაჟი მიშელ არდანი ავტორს შთააგონა ცნობილმა ფოტოგრაფმა ნადარმა (ნამდვილი სახელი – ფელიქს ტურნაშონი). აეროსტატებით გატაცებულმა ფოტოგრაფმა 1863 წელს საჰაერო ბურთი ააგო, რომელსაც „გიგანტი“ უწოდა. არდანი სწორედ ნადარის ანაგრამას წარმოადგენს.

კინომატრაჟი მატრაჟისათვის

რეჟისორ ალბერტ კაპელანს 2400 მეტრი ფირი დასჭირდა, რათა ეკრანზე გაეცოცხლებინა ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“ 1913 წელს.

საოჯახო საიდუმლოებები

პოეტი და რომანისტი აგრიპა დ'ობინიე (1552-1630) გახლავთ ბაბუა ფრანსუაზა დ'ობინიესი, რომელიც დაიბადა 1635 წელს, 1675 წელს მიიღო მარკიზა დე მენტენონის ტიტული, ცოტა ხანში კი ლუი XIV-ის საყვარელი გახდა. მეფე-მზე ქალბატონ დე მენტენონს საიდუმლო ქორწინებით შეეუღლა.

მწერლის რიტუალი

ამელი ნოტომს პატარა სამწერლო რიტუალები აქვს: წერს ადრიან დილით, 4-დან 8 საათამდე, სანერ მაგიდას ურჩევნია ძველი დივანი, რვეულს მუხლებზე იდებს, ხოლო კალამი აუცილებლად ბურთულიანი უნდა იყოს. წერის დანყებად სვამს ნახევარ ჩაიდან მუქ ჩაის.

უარი ნობელს

1964 წელს ჟან-პოლ სარტრი უარს ამბობს ნობელის პრემიის მიღებაზე პიროვნული და ობიექტური მიზეზების გამო და დასძენს: „არცერთი ხელოვანი, არცერთი მწერალი, არცერთი ადამიანი არ შეიძლება უკვდავყოთ სიცოცხლეშივე, ვინაიდან მას შეუძლია და უფლებაცა აქვს, ყველაფერი შეცვალოს.“

გასტრონომი დიუმა

სათავგადასავლო რომანების სახელგანთქმული ავტორი დახვეწილი გასტრონომიც გახლდათ. დიუმა მამას გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ გამოქვეყნდა მისი წიგნი სახელწოდებით „დიდი კულინარიული ლექსიკონი“.

პროფანსიები

თანამედროვე ფრანგმა მწერალმა მიშელ უელბეკმა, სანამ ლიტერატურას მოჰკიდებდა ხელს, ინჟინერ-აგრონომის დიპლომი აიღო 1980 წელს.

დიუკის საპატივსაცემოდ

ბორის ვიანის რომანის „დღეთა ქაფის“ გმირ ქალს დიუკ ელინგტონის ერთი ნაწარმოების სახელწოდება – ქლოე – შქვია სახელად.

ორგზის ბაკალავრი

ჟიულ ვერნმა ორჯერ მიიღო ბაკალავრის ხარისხი: ლიტერატურაში 1846 წელს და სამართალში 1848 წელს.

ფრანგულიდან თარგმნა
ნიწო ციმაკურიძე



ნიკოს ენგონოპულოსი

ხსოვნა

... les croque-morts porteraient des gants transparents, afin de rappeler aux amants le souvenir des caresses.

FR. PICABIA

თმას ვუშლი, ხელებს შევუცურებ ნაწნავებში. ჩემი სიცილი იშლება მთებზე, ველებზე, ხევში და მარადდათოვლილ მთის მწვერვალებზე. გულს მიკლავს მისი თეთრი თვალების ვედრება: მიწა ისევ ამოვძირკვო ხეები, გავათავისუფლო ნაკადული, უნდა მოვიდნენ შავგვრემანი, მშვენიერი ასულები და ვარდისფერი შადრევნის წყლით გაიგრილონ მკერდები. უნდა... უნდა... უნდა... ფაქიზ ხელისგულებში გავსრეს სიხარულის ბროწეულებს, ჩიტებს გაუფშვებ გალიიდან, ლაღად რომ იფრინონ ღამით.

წყლიდან ანგელოზი ამოფრინდება.

ანგელოზს გახარებული ვხვდები და ვთავაზობ მარკებს, ლელვს, ლომის ტყავს და უთვალავ კოცნას.

ვდგავარ სახლის ზღურბლთან, ვაკვირდები ჰორიზონტს და, დახრილი, ხელით ვასუფთავებ საფლავის ქვას, მასზე ღამით მთვარემ რომ შეისვენოს.

უცბად ხმა მომესმის:

„ნიკოლაე ენგონოპულოს, ეს არ უნდა ჩაგედინა!“ ამის შემდეგ შემოვუსხდებით წითელსუფრიან მაგიდას და ავტირდებით.

მაგიდაზე გამხმარი ხილით სავსე ლარნაკი დგას. ეს სურათი გვახსენებს ადამიანური მოლოდინისა და იმედის ამაოებას.

ყვავილთა ლექსიკონი

ჰოეზია თუ სახელ-დიდება?

ჰოეზია.

სიმდიდრე თუ სიცოცხლე?

სიცოცხლე.

ქრისტე თუ ბარაბა?

ქრისტე.

გალატეა* თუ უბრალო ქოხი?

გალატეა.

ხელოვნება თუ სიკვდილი?

ხელოვნება.

ომი თუ მშვიდობა?

მშვიდობა.

ჰერო** თუ ლეანდრე?***

ჰერო.

ხორცი თუ ძვალი?

ხორცი.

ქალი თუ კაცი?

ქალი.

მონახაზი თუ ფერადოვნება?

ფერადოვნება.

სიყვარული თუ გულგრილობა?

სიყვარული.

სიძულვილი თუ გულგრილობა?

სიძულვილი.

ომი თუ მშვიდობა?

ომი.

ან თუ მარადის?

მარადის.

ეს თუ სხვა?

ეს.

შენ თუ სხვა?

შენ.

ალფა თუ ომეგა?

ალფა.

გამგზავრება თუ დაბრუნება?

გამგზავრება.

სიხარული თუ მწუხარება?

სიხარული.

მწუხარება თუ მოწყენილობა?

მწუხარება.

ადამიანი თუ გულისთქმა?

გულისთქმა.

ომი თუ მშვიდობა?

მშვიდობა.

უყვარდე თუ გიყვარდეს?

მე მიყვარდეს.

ჰამადრიადეზა****

ალვა, რომელსაც თვალს შევავლებ

ჩემი სარკმლიდან

წამიერად შემიყვარდება.

მრავალი წელი – ზამთარ-ზაფხულ – ვაკვირდები

ამ ხეს ახლოდან,

ზოგჯერ ფოთლებით შეიმოსება,

ზოგჯერ შიშველი ჩრდილოეთის

ქარებში რჩება.

* გალატეა – ერთი ნერეიდა, ნერეუსისა და დორიდას ასული

** ჰერო – აფროდიტეს ქურუმი ქალი, ლეანდრეს სატრფო

*** ლეანდრე – აბიდოსელი ჭაბუკი, ჰელესპონტში დაღუპული, როცა ჰეროს შესახვედრად მიცურავდა.

**** ჰამადრიადა – ხის ნიმფა

მაგრამ არასდროს შემინიშნავს
ამ ალვის ხის ჰამადრიადა.
თუმცა კი ვიცი, რომ აქ სახლობს.
ვაკვირდებოდი და დიდხანს, დიდხანს
არ შემინყვიტავს მისი თვალთვალი.

იქნება სულაც არ არსებულა ჰამადრიადა, ხეთა ნიმფები?
ოლონდ ამაზე
არასოდეს არავის უთქვამს!

ასე მგონია, გარდაიცვალა
ადრე ჩემი ჰამადრიადაც,
ალვის ხის ნიმფა შეუერთდა მიღმა გასულებს.
მისი არყოფნა რა სასტიკი და მტანჯველია.

ცისკრის ჟამს

რაც მალეღებდა
– და ყოველთვის გულს უჩუყებს სხვებსაც –
არის ის, რომ საოცრად ვგავარ
აბრაამ ლინკოლნს.

ერთხელ, როდესაც აღმართეს ჩემი ბრინჯაოს ძეგლი
პირეოსის* მოედნის ცენტრში,
ფერხთით დამიდეს
ჩუმიად რაღაცა,
რაც ძლიერ ჰგავდა
– ვერ გავარჩიე კვარცხლბეკიდან –
ნეშტს, ან
სპილენძის მაყალს
ნაკვერჩხალით.

დაველოდე ჩამობნელებას,
მივუახლოვდი, რომ გამერკვია
– ო, საოცრებავ –
ამოვიცანი გიშრის თვალები იმ ქალისა,
მე რომ მიყვარდა
როგორ ელავდნენ, ანათებდნენ
უკუნ ღამეში.

იღუმალი პოეტი
hommage á ravel

ოთახს ტბის ჩრდილი ეფინებოდა
და ყოველ სკამზე,
მაგიდის ქვეშაც,
წიგნების უკან,
თაბამირის ფიგურების
მწუხარ მზერაში
ჩურჩულით ისმოდა
მკვდარი პოეტის
იდუმალი ორკესტრის
სიმღერა.

* პირეოსი – ნავსადგური ათენში

მაშინ გამოჩნდა ქალი, რომელსაც
დიდხანს ველოდი,
თეთრ სამოსელში გამონყობილი
თითქოს შიშველი,
მთვარის შუქზე თმები გაშლოდა,
თვალეები მწვანე ბალახებით დაეფარა,
ბალახი ზანტად ირწეოდა
და ჰგავდა იმგვარ დაპირებას,
რასაც არასდროს იძლევიან უცნობ ქალაქში
და გაჩერებულ სანარმოებში.

ენატრობდი, რომ მეც გავმქრალიყავი
მკვდარი პოეტის მსგავსად
ქალის გრძელ, ფაფუკ თმაში,
თმის ყვავილებში,
სალამოს რომ ყვავილობენ
და დილისთვის ისევე ჭკნებიან.
თმაში, რომელიც ჰგავს
გამშრალ თევზს,
ჩამოკიდებულს თოკზე
მალლა ნახშირსაცავში.

უნდა გავიქცე შორს,
ბრბოს გავშორდე,
გავეცალო სროლების ხმაურს,
გადავუარო დამსხვრეულ მინებს.
მერე დავსახლდე სამარადისოდ
მალლა ჭერზე,
და თვალწინ მედგეს
იდუმალი სიმღერები,
მკვდარი ორკესტრის
პოეტს რომ ჰყავდა.

ბაღები თაკარა სიცხეში

იმ ქალის თეთრი სხეული
სიღრმიდან შუქით ბრწყინავდა,
ამიტომ უკვე შემეძლო
ლამპა ამელო
და იატაკზე მშვიდად დამედო
იმისთვის, რომ ჩვენი ძვირფასი სხეულები
არეკლილიყვნენ ჩრდილებად
კედლებზე,
ვით ბიბლიური ქურუმები.

ლამპა უწყვეტად ინვოდა,
– ნავთის მარაგი არ ილეოდა –
მთელი ის ღამე,
მეორე დღე,
და მომდევნო მთელი საღამოც
ლამპა ინვოდა.
ძირს, იატაკზე,
ხალიჩებზე
მიმობნეულ
ხილთან,
უძვირფასეს ყვავილებთან,

– იქ, სადაც ჩანდნენ
ოლეანდრები
თეთრი, ნითელი, –
ირგვლივ ყოველი იყო – სიმბოლო –
იყო ყვითელი: ერთადერთი
ყვითელი ოქრო.

ალამი

... Je la veux agiter dans l'air comme un mouchoir.

CH. BAUDELAIRE La Chevelure

არ დაემალო სიყვარულს არსად,
მე ლამაზად ვერ მივიჩნევ ცრემლიან თვალებს.
ოლონდ გთხოვ, ნულარ დააყოვნებ,
ჩვენთან ხომ მოხვალ? ხომ ისევე დაგვიბრუნდები?
ყოველთვის, როცა დავაპირებ, რომ რაღაც გითხრა,
მიახლოვდება იმედების თეთრი ღრუბელი
მაცდუნებელი მაქმანივით უთეთრესი და მოვარდისფრო.
გთხოვთ, გონს მოეგეთ:
ყოველ ცისმარე დღეს ვერ დავდგამთ გილიოტინას,
ნელა ჭაღარა შეიერევა თქვენს ფაფუკ თმასაც
ჭაღარა, როგორც თეთრი ალამი.
თეთრი დროშებით დამარცხებას აუნყებთ ყველას,
ნებდებით, ციხე-დარბაზებიც ნადგურდება სამარადისოდ.

მეროპე

ვერ შევაჩერებთ დროს
და მასზე ვერ გავიმარჯვებთ.
ნამდვილ სიყვარულს ბადებს
მხოლოდ უბინოება.
აღმოდებული გრძნობაც,
ჩვენ რომ გამოვავლინეთ
– წრფელად სხვებსაც გავუნანილეთ –
გაიგეს, როგორც უძღურება და სხვა...
ახლა: ფერები:
ცის სილურჯე,
ხეთა სიმწვანე,
მთების სიმკრთალე
გვჭირდება მისთვის,
რომ დავხატოთ
მომხიბლავი, თვალწარმტაცი
სიცოცხლის ტილო.

სიცხადის კონა

ჭექა-ქუხილი საუკუნეებში გაიბნა და ბურუსის შუაგულში
ჩაიკარგა.
ახლა წვიმის თქეშში ცხოველები საკუთარ
სამფლობელოში,
თვალეებში არეკლილი მინდვრებითა და ბილიკებით,
მოთმინებით

მოელიან სიყვარულის ცეცხლსა და იმედს.
შენ, ქარების, და არა ოდენ ქარების, ეშაფოტების ვარდო,
მდინარეებისა
და მწუხარების მსუბუქო ქარო, მოდი და დაემსგავსე
ქალებს და ჩიტებს, თან მოიყოლე მჩქეფარე სისხლი ზარის
ხმა შორს რომ გადაიტანოს. შენი ხელები, ვით პორფირები
მიუახლოვე სარკეს. გრძელი თმის თეთრ ყვავილებს
თითები
გაჰკარი. გახსენი ჯადო შენი წამწამების და თვალების
ნავთსაყუდელით. ნუთუ ვერ ამჩნევ, დრო რა სწრაფად
გარბის?!

სომალდი ტყეში

მე რომ მქონოდა
სამოსელი
– უფრო კი ფრაკი –
ხასხასა მწვანე
მუქი ნითელი ყვავილებით,

დღეს ჩემი თავი
ეოლიური უჩინარი
არფაა თითქოს,
მე რომ მქონოდა
თავის ნაცვლად
ოთხკუთხედი მწვანე
საპონი,
ჩემს მხრებს
ნაზად დაეყრდნობოდა.
რომ შემძლებოდა
ჩემი ხმის წმინდა
საფარველი
შემეცვალა
იმ სიყვარულით,
რომლითაც ეტრფის
უსხეულო მუსიკა –
ქალი
წვიმის დროს
შავად გადაშლილ ქოლგებს,

მხოლოდლა მაშინ,
მე შევძლებდი ამომეხსნა
სიხარულის ჩქარი ზმანება,
ჩვენება, რაც კი მომიხილავს
ოდესლაც უწინ
– სიყმაწვილის უამს –
ღვთის სიყვარულით ავსებული
როს ვუმზერდი
თვალეებში ჩიტებს.

პოეზია 1948წ.

ეს დროება
დატანჯული შინაომებით

არ არის ჟამი
ჰომეროსისთვის
და სხვაგვარი ხელოვნებისთვის:

და თუკი ვინმე
დანერს რამეს,
მეორე გვერდზე
უეჭველად
გარდაცვალების
უნებება ახლავს.

სწორედ ამიტომ
ჩემი ლექსებიც
არის უსაზღვროდ სევდიანი
(და ნეტავ – როდის – არ იყო ასე?)
და არა მხოლოდ სევდიანი
– უპირველეს ყოვლისა –
ასეთი მცირე.

ბრონეული = SO₄ H₂

ყური მიუგდე, როგორ სცივია თვალებს ცრემლები,
ცრემლი, რომელიც ჰგავს
დამუნჯებულ
და უძრავ
ხეებს,
ხეებს ღამეში მიტოვებულებს.

ოღონდ ბალი კი
– ვამბობ –
ბალი თვალუნვდენელი
იყო სარკმლებით შემოსაზღვრული.
და იმ ბალის მწვანე ბალახი
ზღვამდე აღწევდა
ყვითელ ქვიშიან სანაპირომდე.

ყვითელ ნაპირზე
შევასრულეთ
– ასე მგონია –
ყველაზე მეტად მშვენიერი სიმღერები,
და ამ ადგილას
დაგვიშინეს
კენჭები და
ქვები
მუჭებით.
კენჭები ჰგავდნენ
ქათქათა და ეროტიკულ კბილებს
ქალების,
იმ ქალებისა, ჩვენ რომ გვიყვარდა.

მერკურიუს გუასი

ის იჩოქებს და ხსნის სკივრს, ერთი ხელით სახურავი
უჭირავს და მეორეს შიგნით აფათურებს, რაღაცას ეძებს.

– რა გაქვს სკივრში? – ვეკითხები მას.
მობრუნდება:
– Lettere d'amore – მპასუხობს.
და შემდეგ:
– რა არ გაინტერესებს? – მეკითხება.
– რა თქმა უნდა, თანაც ხომ იცი, როცა საქმე სიყვარულს ეხება ... – ვპასუხობ.

მაშინ ნელ-ნელა, განსაკუთრებული ყურადღებით, სკივრიდან სათითაოდ ამოაქვს სხვადასხვა ნივთი და მე მაჩვენებს. პირველად ამოიღებს ხავერდის ქსოვილებს, ათასნაირ ძაფის გორგალს, ზოგს ჭრელს, ზოგს ერთფერს. ბოლოს ამოაძვრენს ერთ ძველ, დაშლილ ლეიბს. სკივრის სახურავს ხელს უშვებს და ბოლოს ამოიღებს მკვდარი მამაკაცის შენახულ გვამს, ძირს დაასვენებს.
შთაბეჭდავია მკვდრის კანის მბრწყინავი სითეთრე, უხეში თმა და გრძელი, მეომრის უღვაშები.

ქსანოფობი ორფვისი

ცრემლებით სიცოცხლე ისვრება.

იტირეთ ისე, რომ
დაგიშრეთ თვალები ცრემლით
თქვენ, ელადის
ქალბატონებო.

იქ, სადაც თქვენი ნამნამები მიმოიფანტნენ,
ახლა ხარობენ კვიპაროსები,
კენწეროზე კი ბინადრობენ
მუდამ ჩიტები.

შეპარღენი

შორიდან ისმის ქალის სიცილი, ჩვენგან მოშორებით ერთი ქალი იცინის და მისი ექო ქარს ახლოს მოაქვს. ამ უკაცრიელ სანაპიროზე, ტყვიისფერი ცის ქვეშ, აქაფებულ ტალღებთან „სამი ფილოსოფოსის“ მსგავსად ვცხოვრობთ ჩვენ აუტანელ მარტოობაში. შიშველ ფეხებზე ფრთები გვეზრდება. იქნებ ყველანი ღმერთ ჰერმესად უნდა გადავიქცეთ, ყმანვილ ჰერმესად! ო, ეს ჩვენი საშიში მარტოობა! ო, ეს თქვენი საბედისწერო მარტოობა! ეჭვი არ არის, ვცხოვრობთ მარტონი საუკუნოდ და ვიტანჯებით მარტონი. ჩვენც და თქვენც, ყველანი. თუმცა მე მხოლოდ ერთი ვარ, ვინც ვერ ეგუება თავის სამარცხვინო სასჯელს და ვჯანყდები, ვწუხვარ, ვყვირი, მარტო მე. აქვე ერთი პატარა დეტალი...

ის ქალი არ იცინოდა, ტიროდა. ქარმა დაგვცინა, ქარმა ქალის ხმა შეცვალა. ფრინველები ტყვიისფერ ცაზე დაფრინავენ. ნავი აქაფებულ ტალღებს ებრძვის. ის ჯერ შორს არის, მაგრამ თანდათან გვიახლოვდება ნაპირზე მყოფთ.

მოგზაურობა ელბასანში*

I
მინდა გაიამბოთ ალბანეთში ჩემი მოგზაურობის
შთაბეჭდილებანი.
უპირველეს ყოვლისა გეტყვი, რომ ძალზედ მარტივია ამ
ქვეყანაში გამგზავრება. თუმცა დავძენ, უკეთესია ამ
მიზნის განხორციელება
ზაფხულში, წმ. იოანეს დღესასწაულზე. მხოლოდ
ამ დღეს, შებინდებისას, თუ შორეულ ქვეყნებს
მონატრებული
კაცი კოცონს გადაახტება, უმაღვე ნანატრ ქალაქში
აღმოჩნდება.
ერთ მშვენიერ დღეს, მწარე მარტოობის ჟამს, როცა
ჩიტებმაც
მიმატოვეს და მოსალამოვდა, ათენის ღარიბ კვარტალში
კოცონს გადავხტე, გულში ღრმა სურვილს ვატარებდი,
ალბანეთში
მოვხვედრილიყავი. ერთხელ გადავხტე, მეორედ, არაფერი
გამოვიდა, მესამე ნახტომზე
კი მოულოდნელად ელბასანში აღმოვჩნდი.

II
ელბასანი დიდი ქალაქია და შემოძლია ზუსტად აღვწერო.
ერთ სიმღერაზე გაიამბოთ – ერთ უცხოენოვან სიმღერაზე –
რომელიც მხოლოდ სამი ნოტიო განუწყვეტელივ,
დილიდან საღამომდე მეორდება. მას უსინათლო გლახაკი
უკრავს სტვირზე, ქუჩის კუთხეში.
ქუჩები – ელბასანში – ვინროა, ყოველი მხრიდან
უზარმაზარი,
ცარიელი კედლებია აღმართული, ეს კედლები ცის კიდეს
სწვდებიან.
არსაიდან არ მოჩანს არც კარი და არც ხეთა რტოები.

„თუ მთელი ჩემი ცხოვრე-
ბა დაკავშირებულია მხატ-
ვრობასა და პოეზიასთან, ეს
იმიტომ ხდება, რომ მხატვრო-
ბაც და პოეზიაც მანუგეშებს და უჩვეულოდ მართობს“ – ეს
სიტყვები ეკუთვნის მე-20 საუკუნის თვალსაჩინო ბერძენ შე-
მოქმედს ნიკოს ენგონოპულოსს. ეს ტანმორჩილი, ჟღალთმი-
ანი და არცთუ ლამაზი გარეგნობის პოეტი წარმატებით ემსა-
ხურა ხელოვნების ორ დარგს – მხატვრობასა და პოეზიას. და
თუ ბუნებამ იგი გარეგნულად არ დააჯილდოვა, ბუნებამვე
უბოძა შინაგანი მომხიბვლელობა და განსაკუთრებული ნიჭი.
მან, როგორც თვითონ აცხადებდა, შთამომავლობას დაუტოვა
„მხატვრული ტილოები და პოეტური ქმნილებანი აუტანელი
მარტოობის გრძობის გასაქარვებლად და ჭეშმარიტ მშვენი-
ერებასთან საზიარებლად“.

ნიკოს ენგონოპულოსი ის პიროვნებაა, რომელმაც თავისი
თანამედროვე ბერძნული ლიტერატურა გაამდიდრა ახალი და
„სკანდალური“ (იმ დროისათვის) ლიტერატურული მიმდინა-
რებით, რომელსაც სიურრეალიზმი ეწოდება. იგი ერთ-ერთი
პირველთაგანი იყო, ვინც ფრანგული ლიტერატურის ვაგლე-
ნით საბერძნეთში – დიდი წინააღმდეგობისა და კრიტიკის

III
ამ ქალაქში ცნობისმოყვარეობით ვბორიალობდი. გულში
სიმშვიდე სუფევდა და ვმღეროდი, უფრო სწორად,
ვლილინებდი ჩემი ბავშვობის სიმღერას.
ქუჩაში ვხვდებოდი მაღალ, ფუსტანელებიან** ადამიანებს.
მათი ნაბიჯი იყო ნელი, ზანტი. „დიდებული –
როგორც სწვევიათ სიარული აღმოსავლეთში“ – მოსეირნე
ადამიანთაგან ზოგს თეთრი ფესი*** ეხურა თავზე, ზოგს
კი ქალის მძიმე ბუმბულებიანი ქუდი.
უცბად გამოუთქმელი მღელვარება დამეუფლა. შევნიშნე,
რომ ადამიანებს თვალები არ ჰქონდათ! ყურადღებით
დავაკვირდი: უკვე მამფოთებდა მათი მზერა! შიშმა
შემაჩერა, ცოტა ხნით გამაქვავა გაუნძრევლად, თითქოს ენა
ჩამივარდა: და როცა შევძელი ამოძრავება, სიბილი
და აზროვნება, ვიგრძენი, რომ თავზარდაცემული ვიყავი.
უჩვეულო ადამიანთა კვალს გავყვი, შევნიშნე,
ისინი ქუჩის მოსახვევში სიზმრებით უჩინარდებოდნენ
და სხვა კუთხეში დროდადრო ჩნდებოდნენ, შემდეგ
უშფოთველნი საზარლად ბორიალობდნენ.
ეჭვი არ იყო, ჩემს თავს დაუჯერებელი ჯადოქრობა
თამაშდებოდა.
მივხვდი, რომ საშინელი და სამარცხვინო მზაკვრობის ბრმა
მსხვერპლი ვავხდი. მაშინვე სრულად გავაცნობიერე ჩემი
შეცდომის სიღრმე, მუხლზე დავეცი და მწარედ ავტირდი.

ახალი ბერძნულიდან თარგმნეს
ბიორგი ნულაქი
და
კაკა დულაჰვილია

* ელბასანი – ქალაქი ალბანეთში
** ფუსტანელი – თურქების ბატონობის ხანაში ბერძნების
ეროვნული სამოსელი, თეთრი, მოკლე, ფართო ქვედაკაბა.
ეცვათ ევზონებს (ბერძენ მეომრებს)
*** ფესი – ბერძენი მეომრების თავსაბურავი ნითელი ფერის
(აღმოსავლური წარმოშობის).

მთარგმნელებისაგან

შემდეგ – სიურრეალისტურ
მიმდინარეობას საფუძველი
ჩაუყარა და მომხრენიც და
დამფასებელიც გაიჩინა. რო-
ცა სამწერლო ასპარეზზე პირველად გამოჩნდა, მისმა ენ. „სი-
ურრეალისტურმა თვალთახედვამ“, „პოეზიის ალოგიკურო-
ბამ“ და „ქვეცნობიერმა გრძობებმა“ გაარღვია მანამდე დამ-
კვიდრებული ლოგიკური, დამტამპული ჩარჩოები. კლასიკურ
ბერძნულ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობე-
ბისათვის ძნელი აღმოჩნდა ახალი სტილის პოეზიის მიღება.
მოგვიანებით ის თავდაპირველი ენ. „ნეგატიური გაოცე-
ბა-განწყობა“ საზოგადოებაში თანდათანობით შეიცვალა და
დღეს უკვე იგი საკმაოდ აღიარებულ შემოქმედად ითვლება.
მისი მხატვრობითა და პოეზიით არამარტო საბერძნეთში,
არამედ მის ფარგლებს გარეთაც დაინტერესდნენ კრიტიკოსე-
ბიც და მთარგმნელებიც.
ნიკოს ენგონოპულოსს დიდი პოეტური მემკვიდრეობა არ
დარჩენია, სულ რამდენიმე პოეტური კრებული დაგვიტოვა.
პოეტი ამბობდა: „ლექსები უნდა განიცადო, გააცოცხლო და
არა წერო“. აი, ნუსხა იმ კრებულთა, რომლებიც შემოქმედის
უღრმესი განცდებით არის სავსე: „ნუ ესაუბრებით წინამ-

ძლოლს“ (1938წ.), „დუმილის პიანინოები“ (1939წ.), დიდი მოცულობის ლექსი „ბოლივარი“ (1942წ.), „ჩიტების დაბრუნება“ (1946წ.), „ჩამოსვლა“ და პოეზიის პირველი პრემიით დაჯილდოებული კრებული „კაზმული ბერძნული სიტყვით“. XX საუკუნის 80-იან წლებში ნიკოს ენგონოპულოსმა გამოაქვეყნა თავისი უკანასკნელი კრებული „ვარდების ხეობაში“.

პოეტურ ნიმუშთა გარდა მან, როგორც პროფესიონალმა მხატვარმა, მონაწილეობა მიიღო ჯგუფურ გამოფენებში და გამართა პერსონალურიც.

ვფიქრობთ, ენგონოპულოსის პოეზია ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.

საზოგადოდ, პოეტის სახეს რითმების ხასიათსა და რიტმში დაეძებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ პოეტის თავისებურებას ლექსის შინაგან მუსიკაში ხედავენ. ნიკოს ენგონოპულოსის პოეზიას თუ ამ კუთხით განვიხილავთ, უთუოდ საინტერესო დასკვნას გამოვიტანთ. მისი ლექსების ფორმა აოცებს მკითხველს, თვალშისაცემია სიტყვების განლაგება, ზოგჯერ ერთი სიტყვა განცალკევებულია, გაბნეულია, ან არტიკლი ერთ ხაზზეა მოთავსებული და არსებითი სახელი ქვედა სტრიქონზეა ჩამოტანილი, ამგვარად, ჩვენი აზრით, ცალკეული სიტყვის განსაკუთრებულ შინაარსობრივ დატვირთვას წარმოაჩენს პოეტი. ენგონოპულოსის პოეზია ურითმოა, ხშირად არ არის გამოყენებული სასვენი ნიშნები, რაც ლექსის შინაარსის გაგებას ართულებს და მკითხველს თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ლექსიკაც საკმაოდ უჩვეულოა და „არაპოეტური“, რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს შემდეგი სიტყვები: ბეტონი, უთო, საპნის ნაჭერი, ლიფტი და ა.შ. გვხვდება ენგონოპულოსის პოეზიაში.

თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ურითმოა ლექსის შინაგან რიტმს არ არღვევს. სიტყვათა და ფრაზათა სისტემური მონაცვლეობა (ზოგჯერ ბგერათა დონეზე) ქმნის სიმეტრიულობას, რაც ქმნილებას პოეტურ ფორმას სძენს.

რაც შეეხება პოეტურ სახეებს, ამის შესახებ მრავალმხრივ შეიძლება მსჯელობა. მის პოეზიაში მხატვრულ სახეს უხვი ეპითეტები და შედარებები ქმნიან, ზოგჯერ შეუსაბამო ნიშნითაც შედარებული:

მაგ.:

„ყური მიუგდე, როგორ სცვივა
თვალებს ცრემლები,
ცრემლი, რომელიც
ჰგავს დამუნჯებულ
და უძრავ ხეებს...“

(„ბრონეულები = SO₄H₂“)

„დღეს ჩემი თავი
ეოლიური უჩინარი
არფაა თითქოს,
მე რომ მქონოდა
თავის ნაცვლად
ოთხკუთხედი მწვანე საპონი...“

(„ხომალდი ტყეში“)

ყველაზე მეტად შესამჩნევი ენგონოპულოსის პოეზიაში პოეტური ტროპებიდან შედარებებია, ზოგჯერ არალოგიკურად დაკავშირებულია საგნები რაიმე ნიშნით და მხატვრულ შედარებადაა წარმოდგენილი

„მსუბუქი მუცლები ცის კამარას ჰგავს...“
„ვხედავთ თეძოებს, ვით ამფორებს სანაპიროზე
ფეხებს, ალერსის მომგვრელ შუქურებს“

„ბრონეულებს ჰგვანან ქალები, ჩვენ რომ გვიყვარს...“
„ტყეებს ვადარებთ ქალებს, ჩვენ რომ ასე გვიყვარს...“

(„სადიდებელი ჰიმნი ქალებს, ასე რომ გვიყვარს“)

„მიახლოვდება იმედების თეთრი ღრუბელი,
მაცდუნებელი მაქმანივით უთეთრესი და მოვარდისფრო...“
(„ალამი“)

მრავალფეროვანი შედარებების ნიმუშია მთელი ლექსი „ხმები“.

პოეტი ლექსებში თავის განწყობილებას ლირიკულად გადმოსცემს, მაგრამ უმრავლესად არა რეალისტური, არამედ სიურრეალისტური პეიზაჟებით; ბუნება მის პოეზიაში ერთგვარი დეკორაციაა განცდათა სიმძაფრის გამოსახატავად.

„ბალი თვალუნვდენელი
იყო სარკმლებით შემოსაზღვრული
და იმ ბალის მწვანე ზალახი
ზღვამდე აღწევდა...“

(„ბრონეულები = SO₄H₂“)

ნიკოს ენგონოპულოსის პოეზიის თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია, რომ ძნელია გამოყო მთავარი. პოეტი საგნებს, ბუნების მოვლენებსა თუ ადამიანებს, თვით მითოსურ პერსონაჟებს (ჰამადრიადა, ორფევსი) ემოციებისა და შინაგანი განწყობის გამოსახატავად იყენებს.

მაგ.: „ქარმა დაგვცინა...“ („შეგარდენი“)

„ჩემი გული – ტყეა ბნელ ღამეში“ („ხმები“)

„...კუნძულებიც სუდარებად გადაქცევიან...“

(„გმირ ქალწულთა ბეტონი“)

„თაბაშირის ფიგურების მწუხარე მზერაში...“

(„იღუმალი პოეტი“)

ცვალებადი განწყობილების პოეტისათვის უმთავრესი მოტივი სიყვარულია, ტრფობა საოცნებო ქალისადმი, რომელსაც ზოგჯერ სახელი ჰქვია „ელენე“, „ლაურა“, ზოგჯერ კი უბრალოდ „ქალია“, რომელიც უზომოდ უყვარს პოეტს. ამ სიყვარულით არის იგი იმედით აღსავსე და ესწრაფის უკვდავებას.

„...რადგან ქალები, ვისაც ასე ძლიერად ვეტრფით
ღვთაებრიობას ჩვენც გულუხვად გვიწვინებენ“

(„სადიდებელი ჰიმნი ქალებს, ასე რომ გვიყვარს“)

სიურრეალისტური პოეზიის უკეთ ჩანვდომისა და გაგებისათვის მკითხველი უპირველეს ყოვლისა უნდა გამოირჩეოდეს ფაქიზი სულით და მოქმედებდეს არა ლოგიკით, არამედ ინტუიციით. თუ მკითხველს სიურრეალიზმი მხოლოდ აინტერესებს და მას სიღრმისეულად ვერ განიცდის, მაშინ ნიკოს ენგონოპულოსის პოეზია შეიძლება ექსცენტრულად, არაბუნებრივად და ნაკლულად მოეჩვენოს.

„პოეზია ხომ მოვლენათა მიღმა გადახედვაა. აქ მთავარი სახელების დარქმევია, მოძებნა მოთანაბრე სახეების, ინტიმურ განცდათა სიტყვიერი პარალელების“ – ასე ახასიათებს პოეზიის მთავარ მიზანს ცისფერყანწელი სანდრო ცირეკიძე. ჩვენი დაკვირვებით, ამ მიზანს იდეალურად აღწევს ნიკოს ენგონოპულოსი თავის პოეზიაში.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ შეეძელით სიურრეალისტური და სიმბოლური სახეების ადეკვატურად ასახვა ქართულ თარგმანში, მკითხველისთვის მიგვინდვია.

მარიო ბენედეტი

ბრწყინვალე შაბათი

ძილში წვიმის ხმა ჩამესმა. ოფისში ვიყავი წასასვლელი, და გავიფიქრე, უკვე შვიდის თხუთმეტი წუთი იქნება-მეთქი, მაგრამ უეცრად გამახსენდა, რომ რეზინის ფეხსაცმელი დედაჩემთან დავტოვე, და ახლა ფეხსაცმელებში გაზეთის ნაგლეჯები უნდა ჩამეფინა, რადგან საშინლად მაღიზიანებდა, როცა ნესტისაგან ფეხისგულები და კოჭები მეყინებოდა. მერე ისიც გამახსენდა, დღეს კვირა დღე რომ იყო, და ცოტა ხანს კიდევ გავაგრძელე ლოგინში ნებივრობა. ბავშვური აღტაცება მიპყრობდა იმის გაფიქრებაზე, რომ დღევანდელ დღეს თავისუფალი ვიყავი და მთელ ამ დროს ჩემს ნებაზე გამოვიყენებდი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ავადმყოფობის უფლებაც მქონდა და ცხოვრებაზე, ფეხბურთსა ან თუნდაც ომზე ფიქრისაც. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უდარდებლობა იყო ჩემი მუდმივი თანამგზავრი, თითქოს კვირაში რამდენიმე კვარტლის გავლა არ მიხდებოდა სამსახურში მისასვლელად.

ოფისში ყოველდღიურად საშინლად დაკავებული ვიყავი და დრო არაფრისთვის აღარ მრჩებოდა. საქმე კი მართლაც ბევრი იყო; საბუთებზე ბეჭდების დასმავი, დათარიღებაო, მერე ზედ ინიციალების მიწერაო! თორმეტ საათზე შესვენება მენწყებოდა. ამჯერად ოთხი კვარტალი ფეხით უნდა გამევილო, რომ ავტობუსის გაჩერებაზე მივსულიყავი. სხვა გზით რომ წავსულიყავი, ტრამვაისთან შეხვედრას ვერ ავცდებოდი; ტრამვაი კი საშინლად მძულდა, თუმცა ეს სიძულვილი კი არა, უფრო შიში იყო, რომელიც სულაც არ იყო გამონეუული სიკვდილზე ფიქრით, ამ დროს უფრო ზიზღს მგერიდა იმის წარმოდგენა, რომ ასობით ცნობისმოყვარე და შეშფოთებული თვალი თავგაჩეხილსა და ნაწლავებგალმოყრილს დამინახავდა. ეს ადამიანები აღშფოთებას ვერ დამალავენ: მეორე დღეს, კი, ნასადილევის, პირს დესერტით რომ ჩაიტკბარუნებენ, ამ შემთხვევაზე გაუთავებლად ილაპარაკებენ.

აი, უკვე რახანია ასეთი ოჯახური სადილის მარტოსული თანამეინახე ვარ. გლორია ნახევარი საათით ადრე მიდის მაღაზიაში და გამზადებულ საქმელს ნელ ცეცხლზე შემოდგმულს მიტოვებს. მე კი ხელებს ვიბან, მაგიდას მივუჯდები, წვნიანი რომ შევხვრიპო, შემდეგ კი ტორტილია და კომპოტიც დავაყოლო. ნასადილევს გაზეთს თვალს გადავავლებ ხოლმე და ისევ ავტობუსის გაჩერებაზე გავრბივარ. ორი საათისთვის ისევ ოფისში უნდა ვიყო. დარჩენილ ანგარიშებს რომ მოვანესრიგებ, ხუთისათვის უკვე ვიცე-პრეზიდენტი

გამომიძახებს და ბლოკნოტი ხელში მის კაბინეტში უნდა შევიდე. აქ ინგლისურად ან გერმანულად თარგმნილ ხუთ ან ექვს სასწრაფო წერილს გადმომცემენ, რომლებიც შვიდ საათამდე დანიშნულების ადგილზე უნდა მივიტანო.

კვირაში ორჯერ, სამსახურის შემდეგ გლორია ოფისის შესასვლელთან მელოდება, რომ კინოში წავიდე. ფილმის მსვლელობის დროს გულამომჯდარი ტირის, მე კი ხელში ქუდს ვათამაშებ ან პროგრამის კიდებს ვლექავ. სხვა დღეებში გლორია დედასთან მიდის, მე კი ორი საფუნთუშის ბულალტრულ აღრიცხვებს ვამონებ გულდასმით. ეს საფუნთუშეები ერთ გალიელსა და მალიორკელს ეკუთვნის და ორივე საკმაოდ ბლომად ფულს შოულობს ლაყე კვერცხებით გამოცხვარი ბისკვიტების წყალობით. მაგრამ ვიდრე ამ აღრიცხვების შემონებას შევუდგებოდე, ქალაქის სამხრეთ უბანში მივდივარ და იქ ბინების ავეჯით მოწყობის საქმით ვარ დაკავებული. შინ რომ ვბრუნდები, გლორიას უკვე სძინავს; ხანდახან კი, როცა ერთად მოვდივართ, ვვახშობთ და, პირუტყვებით დაღლილებს, მაშინვე გვეძინება, ისე, რომ ცოლ-ქმრული მოვალეობის შესასრულებლად ან წიგნის წასაკითხად იშვიათად თუ გვრჩება დრო. ისე ვარ ქანცგამოცილი, გლორიას ჩემი სამსახურის ამბებსაც ველარ ვუყვები, ისიც არაფერს აღარ ამბობს თავისი შეფის უხეშობაზე, რომელიც საკუთარ თავს ღვთივკურთხეულად შერაცხავს, თანამშრომლები კი რატომღაც ღვთისგან დაწყვეტილს ეძახიან.

ხანდახან შუქი ანთებული გვრჩება, რადგან გლორიას დეტექტივების კითხვა უყვარს, მე კი სპორტული გაზეთებისა, ისე, რომ ძილის წინ „ღამე მშვიდობისასაც“ კი ვერ ვუსურვებთ ხოლმე ერთმანეთს. ასე და ამრიგად, ყველა პრობლემა თუ სათქმელი, დღევანდელი შაბათის მსგავსად, ამ დღისათვის გვაქვს შემონახული. შაბათობით ოთხის ნახევარზე ვდგები, რათა რძიანი ჩაი ლოგინში დავლიო. ამ დროს გლორიაც იღვიძებს. მთელი კვირის ჟურნალებს გადაფურცლავს, მერე ისე, რომ ლოგინიდან არც წამოდგება, წინდებს მომიმზადებს და, ხუთს თხუთმეტი წუთი რომ უკლია, „ბოლეროს“ მოსმენით ერთობა.

მაგრამ დღევანდელი შაბათი ჩვეული სიმშვიდით არ გამოირჩეოდა. წინა საღამოს კინოსეანის შემდეგ ცოტა არ იყოს ზედმეტი მომივიდა კინოსახიობ მარგარეტ სულევანის ქება. ამის პასუხად გლორია უკვე აღტაცებას აღარ მალავდა მაღაზიის ერთ-ერთი თანამშრომლის მიმართ, რითაც მაგრძნობინა, რომ ამ



ტიპისადმი გულგრილი არ იყო. მახეში ადვილად გავე-
ბი. ჩემთვის ხომ მსახიობი ქალი მხოლოდ მიუწვდომე-
ლი, ვირტუალური სახე იყო, გლორია კი ხორცშეს-
ხმულ, რეალურ ადამიანზე მელაპარაკებოდა.

ამ სულელური ინციდენტის გამო დასაძინებლად
ისე დავნექით, ერთმანეთისთვის ხმა არ გავციცია. მე-
რე ჩაბნელებულ ოთახში ნახევარი საათი მაინც ველო-
დებოდით ერთმანეთს, ჩვენს შორის ვინ გამოიჩინდა
შერიგების ინიციატივას. უარზე არ ვიყავი, პირველს
დამეთმო (როგორც ეს საერთოდ ხდებოდა), მაგრამ
ძილმა მანამდე დამრია ხელი, ვიდრე ჩემს ყალბ გუ-
ლისწყრომას დავძლევდი. ჩვენი შერიგებაც, ბუნებრი-
ვია, მეორე დღისათვის გადაიდო.

გარეთ წვიმა და გავიფიქრე, რა კარგია, რომ ამინ-
დიც ხელს გვინყობს, უფრო ინტიმურად ვიგრძნოთ
თავი და ამ წყნარ, წვიმიან შაბათ საღამოს არც ერთ
ჩვენგანს არ მოუვიდეს თავში აზრად, განქორწინებაზე
ან ბინის გაყოფაზე დაიწყოს ლაპარაკი-მეთქი. ამ ბინა-
ში ხომ მარტოობა ვირტუალურადაც კი წარმოუდგენე-
ლი იყო და ჩვენი თანაცხოვრება უკვე აუცილებლობად
ქცეულიყო.

გლორიამ დაიკვნესა და გაიღვიძა. ცუდი არაფერი
მიფიქრია, რადგან ასეთი ჩვევა ჰქონდა. მაგრამ, როცა
ძილ-ბურანიდან სრულიად გამოერკვა, მის სახეს და-
ვაკვირდი და შიშმა ამიტანა. მივხვდი, რომ ნამდვილად
რალაც ანუხებდა, ცდილობდა ტკივილი მოეთმინა,
მაგრამ ამოშავებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ ძა-
ლიან ცუდად იყო. ვილას ახსოვდა გუშინდელი უთან-
ხმოება! შეშინებულმა ვკითხე, რა დაგემართა-
მეთქი. გლორიას მუცლის არეში რალაც სტიკოდა, ძალიან
სტიკოდა და შეშინებული ჩანდა. გადავწყვიტე ექიმთან
დამერეკა და ისიც დამეთანხმა. თან ცდილობდა გაე-
ლიმა, მაგრამ თვალები ჩასცვენოდა, ცუდად გამოიყუ-
რებოდა და მეც ვყოყმანობდი, აღარ ვიცოდი, მასთან
დავრჩენილიყავი თუ დასარეკად გავქცეულიყავი. ბო-
ლოს მივხვდი, თუ არ ნავიდოდით, შიში უარესად აიტან-
და. ქვევით ჩავიბრინე და ექიმს შინ დავურეკე.

ტელეფონზე უცნობმა ხმამ მიპასუხა და მითხრა,
ექიმი შინ არ არისო. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ
უეცრად გავიფიქრე, რომ მატყუებდა, და ვუთხარი, ახ-
ლახან დავინახე, ექიმი შინ რომ დაბრუნდა-მეთქი. ამის
შემდეგ უცნობმა ხმამ მითხრა, ცოტა ხანს მოითმინე-
თო, და ხუთი წუთიც არ გასულა, ექიმი ტელეფონთან
მოვიდა. მერე აშკარა ტყუილი დაახეთქა და დასძინა:
ბედი გქონიათ, რადგან შინ ეს- ესაა დავბრუნდიო.
ექიმს ცალკებად ვუთხარი, მჯერა-მეთქი, მისამართი
ჩავანერინე და ვთხოვე, ექქარა.

ბინაში რომ ამოვბრუნდი, გლორიას გული არეოდა
და გვერდი უარესად სტიკოდა. აღარ ვიცოდი, რა მექ-
ნა. ჯერ ცხელი, შემდეგ ყინულიანი სათბური დავადე,
მაგრამ ტკივილს არაფერი უამებდა. ბოლოს ასპირინი
დავალევი. ექვსი საათი გახდა, ექიმი ჯერაც არ ჩან-
და; უკვე იმდენად ვიყავი დაბნეული, გლორიას გამხნე-

ვებასაც ველარ ვახერხებდი. მერე თავს ძალა დავატა-
ნე და სამი თუ ოთხი გონებამახვილური ანექდოტი მო-
ვუყევი, რომ ამით მაინც გამერთო. გლორია დაღრეჯი-
ლი სახით იღიმებოდა, მე კი მისი ეს ღიმილი გულს მიკ-
ლავდა. ვგრძნობდი, ასე ჩემს გასამხნეველად იქცეო-
და. პირში ჯერაც არ ჩამსვლოდა ლუკმა, მხოლოდ ერ-
თი ჭიქა რძე მქონდა დალეული და კუჭში საოცარ სიმ-
ძიმეს ვგრძნობდი.

შვიდის ნახევარზე, როგორც იქნა, ექიმიც გამოჩ-
ნდა. ამ ზონზროსა ქალს ჩვენი ბინისათვის შეუსაბამო,
ბუმბერაზი ფორმები ჰქონდა. მერე გლორიას გასინ-
ჯვას შეუდგა. ორ თითს მუცელზე აჭერდა, მეორე
ხელს თითებზე ირტყამდა და მოსხლევით უშვებდა.
გლორია სიმწრისაგან ტუჩებს იკვნეტდა და ეუბნებო-
და, აქ უფრო მტიკია, აქ კი უფრო ნაკლებადო. მაგრამ
ტკივილი ნელ-ნელა აშკარად ძლიერდებოდა.

ის ზონზროსა კი ერთხანს კვლავ მუშაობდა თითე-
ბით, მერე ნელში გასწორდა. შევამჩნიე, რომ შეშინე-
ბული მზერა ჰქონდა და საღიზინფექციოდ სპირტიანი
სასმელი მოითხოვა. დერეფანში რომ გავედი, მით-
ხრა, გლორიას პერიტონიტი აქვს და სასწრაფოდ ქი-
რურგს უნდა დაელაპარაკოთ, რადგან ოპერაციის გა-
დადება არ შეიძლებაო.

ექიმი ქვევით ჩავაცილე, გლორიას დედას დავურე-
კე და ტაქსი გამოვიძახე. ბინაში ფეხით ავბრუნდი,
რადგან მეექვსე სართულზე ვილაცას ლიფტის კარი
ღია დაეტოვებინა. გლორია მოკუნტული იწვა. თვა-
ლებზე ცრემლი არ უჩანდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ
ტიროდა. ნამოვაყენე, ჩემი პალტო ჩავაცვი და კაშნეც
ჩემი შემოვავხვიე. ამან კი ერთი კვირადღე გამახსენა:
გლორიამ ჩემი შარვალი და ქურთუკი ჩაიცვა. მაშინ
ბევრი ვიცინეთ, მის გაბზეკიდ უკანალსა და ბიჭურ
თქიძობზე, ახლა კი ჩემს ტანსაცმელში გამონყობილი
მამინდელი გლორიას აჩრდილს ჰგავდა. დაყოვნება
აღარ შეიძლებოდა. სასწრაფოდ უნდა წავსულიყავით.
ქუჩაში რომ გავედი, გლორიას დედა იქ დაგვხვდა.
„ღმერთი იყოს შენი მფარველი, შე საბრალოვო,“ უთ-
ხრა შვილს, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ საქმე უფრო
სერიოზულად იყო, ვიდრე ეგონა, და ამიტომაც მხნედ
უნდა ყოფილიყო და ყველაფერს შეგუებოდა. საავად-
მყოფოში რომ მივდიოდით, საბრალომ ტაქსში ხუმრო-
ბაც კი სცადა. მერე რალაც აუცილებელი ლიცენზია
ახსენა, რომელიც მაღაზიაში უნდა მიეცათ. ცოტა ხან-
ში მეც გადმომწვდა და შემახსენა, ორშაბათს სუფთა
წინდები აღარ გექნებაო: თან ისიც საგანგებოდ აღნიშ-
ნა, თვითონ რა დიდ როლს თამაშობდა და როგორი შე-
უცვლელი იყო, როგორც დედა. გლორიას ისეთი შეგ-
რძნება ჰქონდა, თითქოს ყველაფერ ამას რადიოში
გადმოსცემდნენ. ვგრძნობდი, ტკივილი თანდათან უძ-
ლიერდებოდა, გლორიაც ხვდებოდა, რომ მე ეს ვიცო-
დი, და ჩემგან განზე ინევდა.

საავადმყოფოში რომ მივედი, ტკივილი უკვე გაუ-
საძლისი გახდა; გლორიამ კვნესა დაიწყო. ოთახში შე-

ვიყვანეთ თუ არა, ქირურგიც მოვიდა. ახოვანი კაცი იყო, კეთილი, ცოტა არ იყოს დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა და ჭუჭყიანი, ლაბადის მსგავსი გულგადაღელილი სამოსი ეცვა. მე და გლორიას დედას გვთხოვა ოთახიდან გავსულიყავით და კარი ჩაკეტა. ქალი იქვე დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ტირილს უმატა.

ფანჯარაში გავიხედე. წვიმას გადაელო. ისეთი დაძაბული ვიყავი, რომ სიგარეტიც კი ველარ მძღვედა შვებას. როცა ლიცეუმში ვსწავლობდი, ოცდათვრამეტი ბავშვიდან მხოლოდ მე არ ვენეოდი. სწორედ იქ სწავლის დროს გავიცანი გლორია. მაშინ შავი ნაწნავები ჰქონდა და კარგად მახსოვს, კოსმოგრაფიაში გამოცდას ვერა და ვერ აბარებდა. რაკი ეს ვიცოდი, ვიფიქრე, ამ საგანში ერთად თუ ვიმეცადინებდით, მასთან დაახლოებას შევძლებდი, მაგრამ საბოლოოდ ეს შანსი ვერცერთმა ვერ გამოვიყენეთ.

ამ ფიქრებში ვიყავი ნასული, ექიმი ოთახიდან რომ გამოვიდა. მკითხა, პაციენტის ძმა ხართ თუ ქმარიო. როდესაც ვუპასუხე, ქმარი ვარ-მეთქი, მან ასთმიანივით ჩაახველა და მითხრა: ეს პერიტონიტი არ არის; ის თქვენი ექიმი ნამდვილი უფიცი ყოფილა, რადგან აქ სულ სხვა სურათი გვაქვს; ხვალ უკვე გვეცოდინება, ანუ უკეთ გავარკვევთ, რა სჭირს ავადმყოფს, თუკი, რასაკვირველია, დღევანდელ ღამეს გაატანს. მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და, ახლა რომ ოპერაცია გავუკეთოთ, ნამდვილად ვერ გადაიტანს. მაგრამ თუ ხვალამდე გაუძლებს, ვფიქრობ, გადარჩებაო. ეს რომ მითხრა, დღესაც არ ვიცი, რატომ, მადლობა გადავუხადე. მან კი დასძინა: აქაური წესებით ეს აკრძალულია, მაგრამ გამონაკლისის სახით ნებას დაგრთავთ, რომ ამაღამ მასთან დარჩეთო.

დერეფანში ექთანმა ჩაიარა. ხელში ჩემი ქურთუკი და კაშნი ეჭირა. მერე გლორიაც გამოიყვანეს. თვალებდახუჭული უგონოდ იწვა საკაცზე.


რვა საათზე მის პალატაში შევედი. ამ ერთსაწლიან ოთახში მხოლოდ ორი სკამი და მაგიდა იდგა. სკამზე

უკულმა შემოვჯექი და იდაყვებით მის ზურგს ჩამოვეყრდნე. ქუთუთოებში ნერვიულ ტკივილს ვგრძნობდი, ასე მეგონა, საცაა თვალები ბუდიდან გადმომცვივდება-მეთქი. გლორიას თვალს არ ვაშორებდი. სახეზე მიტკლის ფერი ედო. შუბლი ცვილისაგან ჩამოქნილს უგავდა და საშინლად უბრიალებდა; მაგრამ ვხე-

დავდი, რომ მშვიდად და თავისუფლად სუნთქავდა, და ეს შვებას მგვრიდა. გლორიას თვალები კვლავაც დახუჭული ჰქონდა, და თავს ვაჯერებდი, განგებ არ ახელს, რადგან მარგარეტ სულევანის გამო ისევ მიბრაზდება-მეთქი. მასთან ლაპარაკი ვითომ მეც არ მინდოდა. არ მაინყდებოდა, როგორი ალტაცებით აქებდა იმ სიმპათიურ თანამშრომელ ბიჭს. მინდოდა დამეჯერებინა, რომ ეს ჩემი იძულებითი ღამისთევა საწყალობელი ირეალობა იყო, რომელიც ჩემგან წამიერ ნერვიულობასა და ემოციას მოითხოვდა, და ნებისმიერ წუთს უნდა დამთავრებულყო. მაგრამ სიმართლე გულის სიღრმეში გაცნობიერებული მქონდა, ამ სიმართლეს ჰაერში შევიგრძნობდი.

კედლის საათის შორეული ხმა თითოეულ წამს მარადისობად აქცევდა. ჯერ მხოლოდ ერთი საათი გასულიყო. ავდექი და დერეფანში გავიარ-გამოვიარე. უცერად ვილაც უცხო

მამაკაცს შევეფეთე. სახელწინილი სიგარეტს ნერვიულად ღეჭავდა. მერე მკითხა, თქვენც ელოდებითო? როდესაც შეიტყო, რომ მეც ველოდებოდი, დასძინა, ეს პირველია, მაგრამ, ვფიქრობ, დიდი წვალეა უნდა ახლდეს თანო. ვგრძნობდი, ძალ-ღონე ნელ-ნელა რომ მეცლებოდა; პალატაში დავბრუნდი. ისევ სკამზე ჩამოვჯექი და ცრურწმენას აყოლილმა რატომღაც თამაში წამოვიწყე: იატაკის ფილებს ვითვლიდი. თუ ერთ რიგში დანყობილი ფილების რაოდენობა კენტი აღმოჩნდებოდა, გლორია გადარჩებოდა. მართლაც კენტი რიცხვი დავითვალე. მერე ჩავიფიქრე, გლორია გადარჩება, თუ ათამდე ისე დავთვლი, რომ საათი მანამდე არ დაინკარუნებს, ვიდრე ათამდე დავითვლი-მეთქი, და



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

საათიც მეხუთე ან მეექვსე თვლაზე წკარუნებდა. უეცრად ექიმის ნათქვამი გამახსენდა: „თუ ღამეს გაატან-სო“, და საშინელმა შიშმა შემიპყრო. ახლა ისეთ მომავალზე უნდა მეფიქრა, რომელიც გლორიას იხსნიდა სიკვდილისაგან, და წარმოვიდგინე, შევებულების დროს, როგორ წავიდოდით ფლორენციაში, მომავალ კვირა დღეს კი ჩემს ძმასა და რძალთან ერთად სადმე ვივასშმებდით. მაშინ ბევრს ვიცინებდით ჩემი შეშინებუ-ლი სიდედრის საქციელზე. მე კი საგანგებო განცხადებას გავაკეთებდი, რომ საბოლოოდ გავწყვიტე ურთიერთობა მარგარეტ სულევანთან. დავგეგმე, რომ მე და გლორიას ოთხი თუ არა, ორი შვილი მაინც გვე-ყოლებოდა. ამაზე ვფიქრობდი და სულ უფრო ნერვიუ-ლად ვცემდი ბოლთას დერეფანში. პალატაში როცა დავბრუნდი, ექთანიც შემოვიდა და მთხოვა, ცოტა ხნით ისევ გაბრძანდითო, რადგან ნემსის გაკეთების დრო იყო. მე კი ისევ და ისევ ამ მარტივ და საოცრად გამჭვირვალე მომავალზე ვფიქრობდი. ახლა პალატა-ში სამნი ვიყავით: გლორია, მე და სიკვდილის მუქარა.

გლორიამ თავი გადააქნია, რალაც ნაიბუტბუტა. მი-სი ანმყო ახლა მხოლოდამხოლოდ ეს აგონია იყო. მე თავი მის სახეზე დავხარე, შევამჩნიე სუნთქვის დროს ნეს-ტოები მშვიდად როგორ ებერებოდა. ახლა ამ პალატისა და მონიკნიკე საათის მეტი აქ აღარაფერი აღარ იყო.

ჯიბიდან წიგნაკი ამოვიღე. მინდოდა ჩამეწერა, რა-საც ახლა განვიცდიდი. მერე კი გლორია შინ რომ დაბ-რუნდებოდა, აუცილებლად წავუკითხავდი. შინ დაბ-რუნება მართლაც კარგი რამ იყო, მაგრამ მაინც აუხ-დენელ ოცნებად მეჩვენებოდა. ახლა ეს ყველაფერი იმ შორეულ და არარეალურ წარმოსახვას ჰგავდა, თერ-თმეტი წლის ბიჭის გონებაში რომ ამოტივტივდება ხოლმე. როგორც პირველი ქალის მიუწვდომელი სახე, ანდა როგორც ოცი წლისას გიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე რევატიზმი შეგანუხებს, როგორც რეა-ლურად ვერ აცნობიერებ სიკვდილს, რომელიც ყო-ველთვის მხოლოდ წარსულში არსებობს. უეცრად რა-ტომღაც ყურადღება გამეფანტა და ფიქრით დღევან-დელ მატჩს გადავწვი, ის შე-სადლოა წვიმის გამო გადადეს კიდეც. ინგლისელი მსაჯიც გამახსენდა, დღეს პირველად რომ უნდა ემსაჯა მოედანზე. მაგრამ როცა გლორიას გაპ-რიალებული ცვილის შუბლსა და სიცხისაგან დაშაშრულ ტუჩებს შევხედავდი (გამუდ-მებით რომ ამოძრავებდა), სა-ოცარი გაუცხოების გრძნობა მეუფლებოდა. დარწმუნებუ-ლი ვიყავი, ეს შაბათი დღე სა-მუდამოდ ჩამრჩებოდა მეხსი-ერებაში და ჩემი საკუთრება გახდებოდა.

თორმეტის ნახევარი იქნებოდა, ღმერთი რომ გამახ-სენდა. ახლა ისლა მესახებოდა უკანასკნელ იმედად, და გავიფიქრე, ალბათ მართლაც არსებობს-მეთქი. ლოც-ვების წაკითხვა ნამდვილად არ მინდოდა, რადგან, ჩემი აზრით, ასეთ დროს გულწრფელად მხოლოდ ის ლოცუ-ლობს, ვისაც ჭეშმარიტად სწამს. მე კი ღმერთი არ მწამს და მხოლოდ იმედი მაქვს, რომ არსებობს. საკმაო ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ პატივმოყვარეობა არ მაძლევდა ლოცვის უფლებას, და ლოცვა დავინწყე. შე-სანიშნავი სიტყვები მოვიფიქრე, რომლებსაც მკაცრი, თუმცა კი ეჭვნარევი ტონით წარმოვთქვამდი. ვლოცუ-ლობდი და უკვე ეჭვის მისხალიც კი არ დამრჩენოდა, რომ არ მინდოდა და არ შემეძლო ვინმეს განდიდება. ეს იყო ლოცვა აგრესიული და შემართული. ვუსმენდი სა-კუთარი გონების ბუტბუტს, გულისყური კი გლორიასა-კენ მქონდა მიპყრობილი, რომელიც მძიმედ სუნთქა-და. ეს ერთი მარადისობაც გადავლახე, და თორმეტი საათიც შესრულდა. დღევანდელ დღეს თუ გაუძლებს, ყველაფერი უკან დარჩება, ყველაფერი დასრულდება. გლორია ისუნთქებს, იცოცხლებს და მეც დაძინებას შევძლებ... არაფერი არ დამსიზმრებია.

ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო და შემანჯღრია. ათს თხუთმეტი წუთი აკლდა. გლორია აღარ სუნთქა-და. ცოტა ხანში ექიმი შემოვიდა და ექთანს ჰკითხა, იცის თუ არა ეს ამბავი ქმარმაო. უეცრად ყვირილით მივაძახე, დიახ, უკვე ყველაფერი მითხრეს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მწარედ მომატყუეთ. თქვენ იმ ზონ-ზროხა ექიმ ქალზე უარესი ხართ, რადგან შემპირდით, თუ დღევანდელ ღამეს გაათევს, გადარჩებაო; მაგრამ აი, კარგად ხედავთ, როგორ დამთავრდა ეს ყველაფე-რი-მეთქი... ბოლო ხმაზე ვყვიროდი და ექიმს უკანას-კნელი სიტყვებით ვლანძლავდი. ის კი თანაგრძნობით, მაგრამ თან ამრეზით მიყურებდა. ვიცოდი, რომ დამ-ნაშავე მე ვიყავი, რომ ეს ყველაფერი ჩემი ბრალი იყო, დიახ, მხოლოდ ჩემი. იმიტომ, რომ ჩამეძინა, იმიტომ, რომ გლორია მივატოვე და ჩემი წარმოსახვითი მომავ-ლისა და ჩემი შურისმაძიებლური ლოცვის გარეშე დავტოვე.

ვთხოვე უკანასკნელად ეჩვენებინათ. რალაც არა-ჯანსაღი ცნობისმოყვარეო-ბა მანვალეზდა და იმავდრო-ულად გულს მიმაგრებდა. ახ-ლა უნდა მენახა, როგორ მშორდებოდა გლორია, რო-გორ მიჰყავდა ჩვენი შვილე-ბი, როგორ მიჰქონდა თან ჩემი ყველა უქმე დღე და ღმერთის მიმართ მთელი ჩე-მი გულგრილობა.

14-18 თებერვალს
ეროვნული ბიბლიოთეკის
საკონფერენციო დარბაზში
ფონდი
„ფიროსმანის სახლი“
გინვევთ გამოფენაზე
„ფიროსმანი მხატვართა მუზა“
დასაწყისი 16 საათზე
გუდიაშვილის №7

ესპანურიდან თარგმნა
მაკა გომოლაშვილი

* * *

ივანე ამირხანაშვილი ხან ისეთ მახვილ სიტყვასა თუ კალამბურს გამოურევს, ისეთ ეფექტურ სიტყვათშეთანხმებას თუ მოხდენილ პარადოქსს, შეგეხარება: რამ მოგაფიქრაო. ის კი, ყველაზე გულუხვი მასპინძელივით, მზადაა გაჩუქოს იუმორის ის ჩინებული გაკვეთება. და ეს ჩვენს რეალობაში, როდესაც წარმოთქმულს კი არა, დაწერილ სიტყვასა თუ ტექსტსაც უბოდიშოდ წაანონიალებენ ხოლმე თავიანთ ნაცოდვილარში.

მისი ერთიციდა ჩანანერი „მარკესი გვაფრთხილებს“, კომენტარი ნობელიანტი კოლუმბიელის მძაფრ პუბლიცისტურ სტატიაზე „ეს ავისმომასწავებელი შობა“, რომელიც ანტიგლობალისტური ჟინით განმსჭვალულა, ძალიან რომ



გახმაურდება და მის მინანერს თვით სტატიაზე ნაკლებად აღარც კი მიიჩნევენ, ცალკეულ ფრაზებსა და გამოთქმებთან ერთად, ალტაცების გამოხატვისას რომ დაიმონმებდნენ, საგანგებოდ მოიხსენიებდნენ ამ მარჯვე მიგნებასაც: დემოკრატიული თავისუფლების ტყვეობაში.

სამად სამი სიტყვა რაოდენ შთამბეჭდავად წარმოაჩენს გლობალიზმის არსსა და მიზანს.

მშვენიერი სათაური იქნება სტატიისათვის.

მარტო სტატია? წიგნისთვისაც კი.

ოღონდაც ჩუმად ნუ გადააპარებთ,

ესესხეთ და... დაუნანებლად გაჩუქებთ.

აბა, რისი ჩამსესხებელი ხართ!..

* * *

იმხანად აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე რომ ჩააბარებდი, მხოლოდ მერე შეგიჩვენებდნენ ადგილს ირანული ფილოლოგიის განყოფილებაზე თუ სემიტოლოგიის, თურქოლოგიისა თუ არმენისტიკის. შეგიჩვენებდნენ იმიტომ, რომ ირანულ ფილოლოგიას ყოველთვის ყველაზე მეტი მსურველი ესეოდა და აუცილებელი ხდებოდა დეკანატიის ენერგიული ჩარევა სტუდენტთა დასარწმუნებლად და გადასანაწილებლად.

დარწმუნება იოლი არ გახლდათ და გიორგი ფუთურიძეს, მაშინდელ დეკანს, მთელი თავისი დიპლომატიური ხელოვნების გამოყენება უხდებოდა, რათა გულნაკლული არავინ დარჩენილიყო. და ისე შედიოდა ემხში და ისეთ მომხიბლავ ფერებში წარმოსახავდა არაბული, თურქული და სომხური ენების შესწავლის სარგებლიანობასა და განსაკუთრებულ პერსპექტივას, ლამის ერთიანად დაცლილიყო ირანული განყოფილება.

ნანა კაჭარავა მაინცდამაინც არ აფორიაქებოდა, თურქული ენის შესწავლას რომ ურჩევდნენ. რასაკვირველია, მასაც სპარსული ენა ენება და სკოლის დამთავრებას ოქროს მედალზე და ფრიადზე ჩაბარებულ ქართული წერის გამოცდას წინ ველარაფერი უნდა გადადგომოდა, მაგრამ იოლად შეეგუებოდა ახალ არჩევანსაც, ისე გაიტაცებდა თურქული ენის ქებათა-ქება.



– თანახმა ვარ, – დაბეჯითებით განაცხადებდა, მაგრამ გიორგი ფუთურიძე, ყოველი შემთხვევისათვის, ამ დამატებით არგუმენტსაც მიაწვდის მისი არჩევანის გასამართლებლად:

– ანბანის შესწავლაც აღარ მოგიწევს.

ნანა... შეცბება:

– როგორ თუ აღარ?

– თურქები ხომ ლათინური ანბანით წერენ და არა არაბულით, ირანელებივით.

– მაშ... მარჯვნიდან მარცხნივ არ წერენ?

– ცხადია, არა... როგორც ლათინური ანბანის წესია – მარცხნიდან მარჯვნივ.

– აბა, აღარ მინდა თურქული. აღმოსავლურზე იმიტომ ჩავაბარე, მარჯვნიდან მარცხნივ მენერა. სახლშიც, ნათესავებშიც, კლასელებშიც სულ ვტრახახობდი, ნახავთ, მარჯვნიდან მარცხნივ რომ დავწერ-მეთქი. ეს ისეთი უჩვეულოა!.. და რა გამოდის... ლათინური ანბანით თუ უნდა მენერა, ინგლისურზე ჩავაბარებდი!..

რაღა დროს...

თუმც სინანულით ახლა რაღა აქვს სანანებელი, როდესაც ერთი საუკეთესო მცოდნეა ამ ენისაც და კულტურისაც, და ამ რეალობას კიდევ უფრო შეეთვისა, სტამბოლში რომ მოუწია მუშაობამ რამდენიმე წელიწადს.

არაბული ანბანი კი საგანგებოდ შეისწავლა და, როდესაც სევდა შემოაწვება ან წარსულის ნოსტალგია შეახსენებს თავს, წერს და წერს მარჯვნიდან მარცხნივ.

აქ თითქოს რა აუცილებელია იმ ეპიზოდის გახსენება, ერთხელ უკვე რომ გამოვიყენე პავლე ინგოროყვას ცხოვრების ქრონიკაში აკაკი განერელიას მემუარული ნარკვევიდან, მაგრამ თავისთავად მოჰყვა კალამს და... იყოს კიდევ, ისეთიც რა დაშავდება:

პავლე ინგოროყვა თბილისში მყოფ იური ტინიანოვს უცნობი მხატვრის მიერ დასურათებულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს აჩვენებს და იმ მინიატურას, სპარსულად მორთულ პერსონაჟს გრაგნილზე ასოები რომ გამოჰყავს. ავთანდილის ანდრძის ილუსტრაციაა, და სხვა მკვლევართათვის საცილო თუ გახდებოდა, ნეტა მხატვარი ქართველია თუ სპარსელი, პავლე ინგოროყვას თვალში იმი-

სი ქართველობა ეჭვს არ გამოიწვევდა ერთი დახედვითაც კი, და მიზეზს ასე განუმარტავდა რუს სწავლულს:

– პოემის დამსურათებელი რომ ქართველი მხატვარია, იქიდან ჩანს, რომ მის მიერ დახატული ვითომც მაჰმადიანი ქართველივით მარცხნიდან მარჯვნივ წერს და არა პირიქით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო არაბულად წერის მცოდნისაგან.

და აღტაცდებოდა ტინიანოვი: მხოლოდ დაკვირვებულ პალეოგრაფისტს შეეძლო ამის შემჩნევად.

... ნანა კაჭარავას კი თუ მაშინ შეესწარით, როგორ გამოჰყავს არაბული ასოები მარჯვნიდან მარცხნივ, იცოდეთ, სევდას იქარვებს, ანდა წარსულის ნოსტალგიას შეუსხენებია თავი.

მარჯვნიდან მარცხნივ... მარჯვნიდან მარცხნივ... და ამოიფრქვევა გაყინული წამები.

* * *

რა ვქნა, გავაგრძელო?

არა, ახლავე კი არა.

რამდენჯერმე რომ მეგონა, გათავდა, მეტი ნაკვეთის დამწერი აღარ ვარ-მეთქი, თურმე ასეც არ ყოფილა და კვლავ მიწყოფოდა ერთმანეთს ახალ-ახალი ნიმუშები.

მე ის მიკვირს, აქამდე რომ გავუძელი, თორემ დამიტანს ეს იუმორისტული ციკლი და ეგ იქნება.

გამოვეცლები და ევაა.

თავს დავიმშვიდებ: დროებით-მეთქი.

ისე დროებით ვართ ამქვეყნად, აბა, ცას ვინ გამოკერებულა.

რა ვქნა, გავაგრძელო?

ეს მაშინ – გაბზერების განცდა თუ გადამივლის და ისევ დაგროვდება მასალა განწყვეტილის ძაფის აღსადგენად.

თუმც ღირს კი?

ამიტომაც რჩევას გეკითხებით.

პირდაპირ უნდა მითხრაო, მოურიდებლად, თორემ თავაზიანად თუ გამიზიარებთ თქვენს აზრს: ნულა შეწუხდებით, – იქნებ ვერც მიგიხვდეთ.

ერთი თანასოფლელი მყავდა.

ეს გახსენება გამოთხოვებისა იყოს, თუნდ დროებით განწყვეტილი ჩანაწერებისა.

თანასოფლელი მყავდა, ერთი სიტყვით.

ქალის გადასანახლებლად ნაუყვანია დას. იმ ოჯახში დიდი ამბით მოელოდნენ, დას ისე დაეცვითა ტუჩები მისი ქებით. მისულად, თავაზიანად დახვედრიან, თავაზითვე გამოუსტუმრებიათ. და დას რომ უკითხავს ჩუმად მასპინძლებისათვის: როდის გეახლოთო, – იმათ: ნულა შეწუხდებითო, – ამ სიტყვით გამოთხოვებია.

ასე მითხრესო, – სოფელში ჰყვებოდა, – და ვერ გამოიგია, როგორ უნდა მოვიქცეთ, თითქოს ფეხი უკან მრჩება და ვეღარ მოვსულვარ, არადა, რა შეწუხებაა, თუნდ შევწუხდეთ, რა ბედენაა. არა, ასე მაინც რატომ მითხრეს, რა ვიღონო, აღარ ვიცი, იქნებ თქვენ მაინც ამისხნათო.

არ უნდა შეწუხდეთო, – უკეთ როგორ აეხსნათ.

თქვენც იმავს მეუბნებით და მაინც ვერ გამოიგია, რა შეწუხებაა, თუნდ შევწუხდეთ და რა ბედენააო.

მეც ვერ გაგიგებთ.

ამიტომ: მოურიდებლად იყოს.

შეწუხება კი რა ბედენაა.

რა ვქნა, გავაგრძელო?

გამოთხოვება ხან პირობითობა უფროა.

ემშები და... ველარც ემშები, ემშვიდობები და... კვლავ შეხვედრის წყურვილი გკლავს.

და არ გამიკვირდება, ამ სტრიქონების ჩაკითხვისას ათასგვარ ასოციაციასთან ერთად ძალაუნებურად რომ წამოგაგონდეთ იოსებ გრიშაშვილის ქრესტომათიული ლექსიც „გამოთხოვება ძველ თბილისთან ანუ დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“, განმსჭვალული სამუდამო გამომშვიდობების ტკივილით და, იმავდროულად, კვლავ შეყრის წადილით იმ სინამდვილესთან, რომელიც თითქოს თვითონვე გაფერმკრთალებულია, გადაშლილა, ქარს გადაჰყოლია, მაგრამ მოჩვენებითი უფროა ეს განცდა, რადგანაც ის სტილისტიკა, ის მოტივები და განწყობილებანი კვლავაც გადმოჰყვებოდა იოსებ გრიშაშვილის პოეზიას.

ამიტომ ამ ლექსს სულ სხვა თვალთვალს ვავზომავთ და სხვაგვარად განვაზოგადებთ – არა როგორც აღიარებას ძველი თბილისის თემატიკის უარყოფისა, არამედ შეხმიანებას ყველა იმ შემოქმედთან, ვინც რაღაცას ემშვიდობება თავისი მხატვრული ძიებებისას – მოტივს, განწყობილებას, რკალს, თემატიკას, პეიზაჟს... მაგრამ ემშვიდობება კვლავ შეხვედრის იდუმალი შერამძნებით, განახლების სულიერი მოლოდინით...

მაგრამ ღირს კი ყოველთვის მიბრუნება?

იქნებ მართლა მისატოვებელიც იყო და, როგორც უნდა აღევსო შენთვის ესა თუ ის ხანა, ლიტერატურული სამრეკლოდან ის შთაბეჭდილება არც აღმოაჩნდეს, ასე რომ გეიმედებოდა, და სჯობდეს შენს ბიოგრაფიას შეერიოს.

შენ აგისხნია ბევრი ქარაგმა, ქორონიკონის კენტი და ლუნიო, – აფორიზმივითაც დატრიალდებოდა ლექსის დასაწყისი ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში, იმ სტრიქონისა არ იყოს: და დამრჩა... სევდა ნაუბაძველიო.

ძნელია, როდესაც გრჩება სევდა, მაგრამ... უკეთესი ანკი რა უნდა დაგრჩეს, მითუფრო – ნაუბაძველი, და ასეთ დროს დაე შეჩრე რეალობას უღებდემონოდ, შენ, სხვა ცხოვრების წინამორბედი.

იოსებ გრიშაშვილს სხვა გზა მოჭროდა – მართლა ეთხოვებოდა თუ არა ძველი თბილისის სურათებს, აუცილებლად დეკლარაციით უნდა დაედასტურებინა თავისი განდგომა. ჩანაწერების ამ ციკლით ან გამომშვიდობება კი მთლად ასეთ დამთრგუნველ განცდებს და შინაგან გაორებას სულაც არ იწვევს და პირნმინდად ლიტერატურულ საზღვრებს არა სცილდება.

და მაინც რა ვქნა, რა ვიღონო:

გავაგრძელო თუ... ნულა შევწუხდები?!

ინალიზი ელჩისა

იატაკზე ისხდნენ ანთე-ბულ ბუხართან, სოფელ სალტიკოვკას სააგარაკო სახლში, მოსკოვის მახლობლად. შუახნის მამაკაცი გატაცებით უკრავდა გიტარას და ღიღინებდა „პოლიუშკო პოლეს“...

ეს კაცი გახლდათ ჯორჯ კენანი – ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში.

იდეა 1952 წლის ნაადრევი შემოდგომა.

სადაც არ უნდა წასულიყო კენანი, სულ მცირე, ოთხი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ვაჭბატონი მხედრული გამართულობისა ფეხდაფეხ დაჰყვებოდა. როდესაც მოსკოვიდან მიემგზავრებოდა სალტიკოვკაში, ჩეკისტებით გაჭედილი ორი ავტომანქანა საპატიო ესკორტად ახლდა ხოლმე. აგარაკზე სეირნობის დროსაც, რა თქმა უნდა, არ დატოვებდნენ უყურადღებოდ და ამიტომაც შინ ყოფნას ამჯობინებდა. ეზოში, ფიჭვებქვეშ მოიკალათებდა და კითხულობდა ჩეხოვს.

მთელი სიცოცხლე ოცნებობდა, ნეტავი ჩეხოვზე გამოკვლევა დამანერინაო, მაგრამ პოლიტიკით გართულს ჩეხოვისთვის სად ეცალა!

1947 წლის ივლისში ამერიკული ჟურნალის („ფორინ აფერს“) ფურცლებზე გამოქვეყნდა სტატია ასეთი სათაურით „საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საფუძვლები“. ხელმოუწერელი სტატიის ავტორი სინამდვილეში იყო ზემოსხენებული ჯორჯ კენანი, სახელმწიფო დეპარტამენტის დიდმოხელე.

კენანი თავის სტატიაში დეტალურად აღწერდა ომის შემდგომ საბჭოთა ექსპანსიონიზმს და აშშ ხელისუფლებას მოუწოდებდა – განეხორციელებინათ „შეკავების პოლიტიკა“, რომლის თანახმადაც საბჭოთა იმპერიის საზღვრებს გარს უნდა შემორტყმოდა ჯებირები, რათა ყოველი აგრესიული ნაბიჯი კრემლისა შესჯახებოდა ამერიკელთა წინააღმდეგობას.

უინსტონ ჩერჩილს, საბჭოეთში შერაცხულს „ცივი ომის“ გამჩაღებლად და მედროშედ, მხარში ამოუყენეს ჯორჯ კენანი, როგორც იმავე ომის მთავარი იდეოლოგი და ფილოსოფოსი.

კენანი იმედოვნებდა, რომ პრაგმატულად მოაზროვნე კრემლი, საჭიროების შემთხვევაში, შეცვლიდა პოლიტიკურ კურსს; ხოლო ცვლილებათა პირველივე ნიშნები უნდა შეემჩნიათ და გამოხმაურებოდნენ. კენანი მზად იყო სამსახურად, როგორც გამოცდილი ბეზიქალი რთული მშობიარობისას.

კენანმა მოახერხა მოლაპარაკებოდა სახელმწიფო დეპარტამენტს, წასულიყვნენ მცირე დათმობაზე – შეესუსტებინათ ანტისაბჭოთა პროპაგანდის სიმწვავე. მან დაარწმუნა „ამერიკის ხმა“ – თავი შეეკავებინათ სტალინზე თავდასხმებისგან. კენანის აზრით, თუკი ორივე მხარე შეწყვეტდა ერთმანეთის ლანძღვა-გინებას, შეიქმნებოდა ხელსაყრელი კლიმატი დიალოგისათვის. მაგრამ „ცივი ომის“ ინერცია ამუხრუჭებდა ვაშინგტონსაც და მოსკოვსაც.

ერთხელაც კენანი ძალზე აღელვებული და აღშფოთებული ჩასულა აგარაკზე. გზაში თვალი მოუკრავს პლაკატებისათვის, სადაც გამოსახული იყო საბჭოთა თვითმფრინავები, რომლებიც ძირს ანარცხებდნენ ამერიკულ თვითმფრინავებს, საბჭოთა საზღვრების დარღვევას რომ ლამობდნენ. კენანმა ოფიციალური პროტესტი განუცხა-

და საგარეო საქმეთა სამინისტროს და უარი თქვა, დასწრებოდა საბჭოთა ავიაციის დღისადმი მიძღვნილ ზეიმს ტუშინოში.

1952 წლის 19 სექტემბერს დილით კენანი ლონდონს უნდა გაფრენილიყო ამერიკელ დიპლომატთა ყოველწლიურ შეხვედრაზე. ვნუკოვოს აეროპორტში მას აცილებდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმისი“ კორესპონდენტი მოსკოვში ჰარისონ სოლზბერი. კენანი უგუნებოდ ყოფილა. მის ვოიაჟებს დასავლეთში ყოველთვის თან ახლდა უსიამოვნო ინციდენტები. დასავლურ პრესაში ქვეყნდებოდა სტატიები, რომლებშიც იმონებდნენ კენანს და მიანიშნებდნენ, თითქოსდა მისი პირადი შეხედულებანი საბჭოეთის შესახებ საკმაოდ განსხვავდებოდა მისივე საჯარო გამონათქვამებისგან. კენანი შესჩიოდა სოლზბერის, საჩოთირო მდგომარეობაში მაგდებენო. ვშიშობ, რუსები თვალთმაქცად ჩამთვლიან, შესაძლოა ისიც კი იფიქრონ, რომ თავად მე ვწერ ამ უსიამო სტატიებს და სინამდვილეში სრულიადაც არა მსურს დიპლომატიურ ურთიერთობათა გაუმჯობესება, რასაც მოსკოვში ვქადაგებო.

სოლზბერი ამშვიდებდა შემფოთებულ ელჩს, რომელიც პირობას დებდა, დასავლეთში კრინტს აღარ დაეძრავო ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შეეცდები, პრესას მიკიბულ-მოკიბული პასუხები გავცე, რუსებს რომ არ ვანყენინო.

როგორც უთქვამთ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. თვითმფრინავი გასამართავად დაჯდა ბერლინში, ტემპელჰოფის აეროდრომზე. კენანს შეხვდნენ ამერიკელი რეპორტიორები და შეკითხვები დაუსვეს.

კენანმა დასავლეთის დიპლომატთა მოსკოვში ცხოვრებისა და მუშაობის პირობები შეადარა იმ ვითარებას, რაც სუფევდა ბერლინში, ჰიტლერის დროს. და რატომღაც დაავინყდა ეთქვა, ამას დასაბუქლად არ გეუბნებითო.

კენანი გაფრინდა ლონდონს, ხოლო მისი როყიო განცხადება ელვის სისწრაფით მოედო მთელს მსოფლიოს.

ჰარისონ სოლზბერი იგონებს: როდესაც ეს წავიკითხე, მყისვე მივხვდი, კენანის დღეები მოსკოვში დათვლილი იყო.

წინათგრძნობა აუხდა. 1951 წლის დამლევს აშშ ელჩად გამწესებული კენანი 1952 წლის ოქტომბრის დამდეგს, საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით, განვეულ იქნა თავისი პოსტიდან.

P.S. ჯორჯ კენანი, სხვათა შორის, ამგვარად ახასიათებს კრემლის პირსისხლიან დიქტატორს: „სტალინი გამბედავიც იყო და ფრთხილიც. მოთმინებაც სჩვეოდა და დაჟინებული სწრაფვაც თავისი მიზნებისაკენ. დიდი შეუპოვრობით მოქმედების უნარი შესწევდა, ოღონდ მოლოდინიც და მალული ნაბიჯებიც ემარჯვებოდა. გარეგნულად უბრალო და თავმდაბალი – სახელმწიფოს პრესტიჟსა და ღირსებასთან დაკავშირებულ საქმეებს მძაფრად განიცდიდა. ლოიალურობისა და პატივისცემის თაობაზე დაუნდობლად რეალისტური და მედგარი იყო. მას ხელეწიფებოდა, როგორც ნამდვილ ქართველ გმირს, კარგი მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი, სახიფათო მტერიც. ერთსა და მეორეს შორის ყოფნა, სადღაც შუაში, მას უჭირდა“.

გამრიელი სპაგეტი ფელინისაგან

ყიდვისგან, რაც შეიძლება, შორს დავრჩენილიყავიო.

ფედერიკო ფელინის ფილმებიდან ყველაზე ცნობილი, ალბათ, „ტკბილი ცხოვრება“

გახდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ პოპულარულ და პრესტიჟულ ამერიკულ ლექსიკონში ინგლისურ იდიომთა რიგში შეუტანიათ ამ ფილმის სახელწოდება (dolce vita). ფილმი არაა ნახსენები, მაგრამ მითითებულია დამონმებული გამოთქმის იტალიური წარმოშობა და მისი მნიშვნელობაც: უქმი და ეგოისტური ცხოვრებაო. ამავე ლექსიკონში გაჩენილა აგრეთვე „პაპარაცო“ – ფელინის ფილმის მეორეხარისხოვანი პერსონაჟის გვარი, უტიფარ ფოტორეპორტიორთა აღმნიშვნელ ცნებად რომ გადაიქცა და აგერ, ჩვენამდეც მოუღწევია.

ფელინის ნყალობით, ტკბილი ცხოვრებაც და პაპარაცოც მოურიდებლად შეიჭრნენ მსოფლიოს არაერთ ენაში და მტკიცედ მოიკიდეს ფეხი.

„ტკბილმა ცხოვრებამ“, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიხვეჭა კანის კინოფესტივალის მთავარი ჯილდო – „ოქროს პალმა“ და, ამასთან ერთად, მილიონობით დოლარი. უზარმაზარ შემოსავალს, რასაკვირველია, ტკბილი ცხოვრება უნდა მოეტანა „ტკბილი ცხოვრების“ შემოქმედთათვის, მაგრამ თვით ფელინის, გარკვეული გარიგების გამოისობით, ნილად ერგო მხოლოდ 50 ათასი დოლარი და ოქროს საათი, უზომოდ გამდიდრებულმა პროდიუსერმა რომ აჩუქა.

ფელინი თავის მემუარებში წერს, ბევრსა ჰგონია, თითქოსდა წინადადებანი ფილმის გადასაღებად თავზე საყრელად მქონდაო. სცდებიანო. გაცილებით მეტს მივალწვედი კინემატოგრაფში, ჩემი ფილმისათვის რამდენიმე პროდიუსერს რომ ებრძოლა, სინამდვილეში კი ერთსაც ძლივს ვპოულობდიო.

დაუფერებელია, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, უნდა დავიჯეროთ – ფელინი თავის სახელგანთქმულ შედეგებს რის ვაივარაგებინო უშვებდა წარმოებაში. „ტკბილი ცხოვრების“ გადაღებაზე უარი უთქვამს შვიდ პროდიუსერს, „გზის“ გადაღებაზე – ცხრას და „კაბირიას ლამეების“ გადაღებაზე – თერთმეტს!

ფელინი ამბობს: რა დასამალია და, შეძლებული ქალბატონები, მდიდარ მამიკოთა მემკვიდრენი თუ სამრეწველო მაგნატთა ცოლები, არაერთხელ გადაკვრით მთავაზობდნენ ინტიმურ ურთიერთობას და, სამაგიეროდ, მპირდებოდნენ ჩემი ფილმების დაფინანსებას. არ ვთანხმდებოდი. მსურდა, რომ ყიდვა-გა-

ტორისათვის ჰოლივუდიდან დიდი ფული შეუთავაზებიათ, მაგრამ უნდა გადაეღო ფილმი, რომელსაც დაუკვეთდნენ. მე კი ყოველთვის მენადა, ჩემი ფილმი გადამელოო.

აცხადებს, არასოდეს გამიყვიათ თავი, შიმშილი მერჩივნა უღირსობასო.

როგორც ირკვევა, მთელი ცხოვრება მტრულად იყო განწყობილი იმის მიმართ, რაც ყველას უყვარს და რასაც ყველა ესწრაფვის. ასე მაგალითად, არასოდეს ყოფილა გატაცებული ფეხბურთით, არასოდეს არც უთამაშია და არც უყურებია. მსუბუქი ირონიით ასკვნის: „ამის თქმა იტალიაში, დამეთანხმებით, იმას უდრის, რომ აღიარო, მამაკაცი არა ვარო“.

არასოდეს ჰქონია სურვილი რომელიმე პარტიაში შესვლისა ანდა რომელიმე კლუბში განევრიანებისა.

როდესაც „ტკბილმა ცხოვრებამ“ საყოველთაოდ გაუთქვა სახელი, შეერთებულ შტატებშიც მიიწვიეს. ხანმოკლე ვიზიტისას აღმოჩნდა, რომ უფრო ნაკლებად ესმოდა იქაურობისა, ვიდრე ჩასვლამდე. გულისტვივლით ამბობს: ის, რაც შორიდან მიყვარდა, დარჩა წარსულ ამერიკაში, რომელიც აღარ არსებობსო. მივხვდი, რომ სუფთა, გულლია და მიამიტი ბავშვობა ამერიკისა გასრულდაო...

შეერთებულ შტატებში ყოფნისას, ცხადია, შესთავაზებდნენ გამოსვლას ტელევიზიით. ოღონდ სჯობდა, სულ არ შეეთავაზებინათ.

როგორც ამბობენ, ნიუ-იორკში უფრო მეტი იტალიელი ცხოვრობს, ვიდრე რომში. ამერიკული ტელევიზიის ჭკუის კოლოფებმა კი მოინდომეს, რომ მაინცდამაინც ფელინის ეჩვენებინა მთელი ამერიკისათვის, როგორ უნდა გააზნაოდ გემრიელი სპაგეტი! სახელოვანი კინორეჟისორი საჯაროდ გამოჰყავდათ მოყვარული მზარეულის როლში. თავის სიცოცხლეში არათუ გემრიელი, არამედ უგემური სპაგეტიც კი არ გაუმზადებია არც გარეთ და არც შინ. აბა, თავს როგორ შეირცხვენდა მთელი ამერიკის თვალწინ!

უარი ვტყვიცეო, გვაუწყებს ფელინი და იქვე დასძენს: უბრალოდ მიჭირს გავიმეორო პრესაში, ქალებისა და ყმანვილთა გასაგონად, რაც სიტყვასიტყვით ვუთხარიო.

ადვილი წარმოსადგენია, რა გემრიელი ტექსტით გაუმასპინძლებოდა...



ფედერიკო ფელინი

2007 წლის იანვარში „არსის“ საგამოფენო დარბაზში გაიმართა თბილისის საბუნებისმეტყველო ლიცეუმის მე-11 კლასის მოსწავლის თარხან გასვიანის გამოფენა.

წარმოდგენილი ფოტონამუშევრები გამოირჩეოდა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, მაგრამ ერთი რამ აშკარად თვალში-საცემი იყო – სიჩუმე და სიმშვიდე.

ყოფიერების ამაო ფუსფუსი, ქუჩის სიჭრელე, ურბანიზირებული კვარტლები, მახინჯი კორპუსებითა თუ ფემენებლური შენობებით, სილატაკე და სიმდიდრე, საგანგებოდ დადგმული ნატურმორტები თუ ლამაზი თეატრალიზებული ქალები, ბავშვები, მათხოვრები, მანქანების ჯოგი, მოხუცთა დანაოჭებული სახეები... ერთი სიტყვით ყოველივე ის, რასაც ასე ხშირად შეხვდებით

მოყვარულთა გამოფენებზე, აქ თითქოს მიღმურ სამყაროს ეკუთვნოდა, თითქოს არც კი იგულისხმებოდა.

ფოტოებზე უხვად ჩანდნენ სადღაც ტაატით მიმავალი ფერადოვანი, მაგრამ მაინც მწუხარე ღრუბლები, ბილიკები და შარაგზები, რომლებიც იმ რაკურსით იყო გადაღებული, ნეორეალისტური ფილმები გაგახსენდებოდათ თავისი ფინალური გზებით. მონასტრები, სასულიერო პირები და გვირილებისა თუ პიონების ჭკნობაშეპარული თავები. და რაც მთავარია, გადიდებული ხელის მტევენები სანთლითა და კალმისტრით ხელში.

თარხან გასვიანის გამოფენა არა მხოლოდ კონკრეტული ავტორის ნიჭიერების გამო აჩენდა სიხარულის განცდას, არამედ ამ გამოფენით მთელი თაობის იმედიანი სახე იკვეთებოდა.